წამების მსხვერპლის უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში: სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

დოქტორანტი **ეკა ბესელია**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის 21 ივლისი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **გიორგი ღლონტი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი 2015

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი „წამების მსხვერპლის უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში: სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ეკა ბესელია

რეზიუმე

შესავალი

ძალადობრივ დანაშაულებს შორის ცემასა და წამებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ აღნიშნული ქმედებები უხეშად ლახავენ პიროვნების

უფლებებს და არაიშვიათად წინ უსწრებენ უფრო მძიმე დანაშაულს (მკვლელობას, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას). მათი ჩამდენი ადამიანების დაუსჯელობა ძალადობის სტიმულირებას უწყობს ხელს, შესაბამისად, მოცემული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ოპტიმიზაცია პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის პრევენციის ეფექტიანი საწინდარი იქნება.

საკვლევი თემის აქტუალობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც: უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოსაკვლევი ქმედებების რაოდენობამ მკვეთრად იმატა.

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია, ის მისი უფლებებისა და თავისუფლებების წყაროა. უფლება იმისა, რომ არ იყო ძალადობის, წამების, სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის მსხვერპლი, აბსოლუტურია. ამასთანავე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში ძალადობისა და წამების ფაქტები თანამდებობის პირთა მხრიდან არაიშვიათია, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია. საქართველოს მთავარი პროკურატურის სპეციალური აღრიცხვის მონაცემებით, 2006-2013 წლებში დაფიქსირდა სისხლის სამართლის კოდექსის 144[1], 144[2], 144[3] მუხლებით წარმოებული 213 სისხლის სამართლის საქმე.

წამება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ძალადობრივი დანაშაულია, რომელსაც თანამდებობის პირები ჩადიან. ის საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა და ხელყოფს ადამიანის, კონსტიტუციით დაცული, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებას, ლახავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შეიარაღებული ძალებისა და სხვა ძალოვანი ფორმირებების ინტერესებს, ვინაიდან მოქალაქეთა ნდობა იმ ორგანოთა მიმართ, რომელთა თანამდებობის პირები ადამიანებს აწამებენ, მცირდება.

სადისერტაციო კვლევის მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება სამართალდამცავ უწყებებში სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო, ორგანიზაციული, საინფორმაციო და პრევენციული მექანიზმების დასახვეწად.

მეთოდოლოგია

დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის ზოგადი მეთოდები, მათ შორის, ფილოსოფიური, რომლებიც მეცნიერული აზროვნების უნივერსალურ პრინციპებს გამოხატავენ. ავტორმა შესასწავლი მოვლენა განიხილა მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციიდან, ანუ განვითარების პროცესში, კონკრეტულ ისტორიულ გარემოში და სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში. მეცნიერული შემეცნების ცალკეულ ეტაპზე გამოყენებულ იქნა ანალიზის, სინთეზის, აგრეთვე, სოციალური ექსპერიმენტის მეთოდები.

სადისერტაციო კვლევაში, ასევე, გამოყენებულ იქნა შემდეგი კერძო და სპეციალური მეთოდები: ისტორიული, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, მოდელირების, ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი, ლინგვისტური, სოციოლოგიური (ანკეტირებისა და გამოკითხვის ფორმით) და სხვ.

კვლევის შედეგები

1. წამების მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, მაგრამ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის შემთხვევაში მსგავსი რისკი უფრო მაღალია. მსხვერპლის უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი მამაკაცები არიან. წამებისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დამნაშავისა და დაზარალებულის ასაკი უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირია: 18-დან 35 წლამდე. მსხვერპლის ნაწილი ექვემდებარება განმეორებით ვიქტიმიზაციას.
2. წამების ყველაზე უფრო სრულყოფილ და მისაღებ განმარტებად შეიძლება მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციით დადგენილი

განსაზღვრება.

3. წამების წინააღმდეგ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელია მათი სისტემატიზაცია. ზოგადი ხასიათისა და ე.წ. სპეციალური დოკუმენტების ცალ-ცალკე დაჯგუფება.
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე წარმოდგენილია ფიზიკურ ძალადობასთან შეუღლებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებით. წამების სპეციალური სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, პირები, რომლებიც ასრულებენ ორგანიზაციულ-განმკარგველ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებში, სხვა საჯარისო და სამხედრო ფორმირებებში ან წარმოადგენენ სპეციალური დახურული სამკურნალო დაწესებულების პერსონალს.
5. წამების ჩამდენი პირის განმასხვავებელი თავისებურებებია: ა) ძირითადად შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებში მუშაობა; ბ) სისტემის სოლიდარობასა და კორპორატიულობაზე დაფუძნებული თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და ძალაუფლების გამოყენება; გ) სხვა ადამიანის ღირსების უპატივცემულობა, კულტურის დაბალი დონე, ნეგატიური პიროვნული თვისებები (სისასტიკე, აგრესიულობა,, თავშეუკავებლობა, კარიერიზმი და სხვ.);
6. წამების ჩამდენი დამნაშავის ტიპოლოგია ეფუძნება მის მიერ ჩადენილი ქმედების მოტივს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა

1. ავტორის მიერ შემოთავაზებულია ძალადობის და წამების ცნებათა ახლებური განმარტება და წამების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის ახალი მოდელი;
2. თეორიულად დამუშავდა საკანონმდებლო ნორმებში შესატანი ცვლილებები და დამატებები, განისაზღვრა და დასაბუთდა მათი ადგილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, დადგინდა საზღვრები წამების მომიჯნავე დანაშაულთა შემადგენლობებთან;
3. ავტორის მიერ, ასევე, შემოთავაზებულ იქნა ძალადობასა და წამებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინის ახლებური განმარტება;

4. შემუშავდა წამების პრევენციის პრინციპები დამნაშავის პიროვნებისა და დაზარალებულისათვის დამახასიათებელი თვისებების, ასევე, მისი სოციალური სტატუსის გათვალისწინებით;
5. წამების არასწორი კვალიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით გამოიკვეთა უზენაესი სასამართლოს ნორმატიული დადგენილების მიღების აუცილებლობა.
6. თეორიულ დონეზე გამოიყო წამების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების 4 ჯგუფი: სოციალური, სახელმწიფო (უპირეტესად შინაგან საქმეთა და პენიტენციური სისტემის) ორგანოების თანამშრომლების ფუნქციურ მოვალეობებთან დაკავშირებული, დაუსჯელობის ხელშემწყობი და წამების სუბიექტის პიროვნული ხასიათით განსაზღვრული მიზეზები და პირობები.
7. დაისახა წამებასთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებები.

Abstract

Introduction

In violent crimes beating and torture is on the particular place. First of all, because above mentioned actions roughly violate human rights and mostly precede more serious crime (murder, intentional damage to health). The impunity of perpetrators stimulates the violence and that struggle against such actions prevents the crime.

About the research theme is the statistical data: in last years increased the examined actions.

Human dignity is inviolable this is the source of human rights and freedom. The right no to be victim of violence, torture and other severe, inhuman or degrading treatment is absolute. Also as the practice shows in Georgia the facts of violence and torture from the officials is not rare that is particularly annoying. In accordance to the data of Prosecutor's office of Georgia in 2006-2013 observed in Criminal Code articles 144^1, 144^2 and 144^3 and 213 Criminal Cases.

Torture is one of the wide-spread violent crimes committed by officials. This is dangerous for society and encroaches the right of health and life. This also violate the interests of state and local authorities, armed forces and other law enforcement units, because civilians trust the officials who make torture increase.

Dissertation research aims to develop science-based recommendations for systemic changes in the law enforcement agencies, torture and inhuman treatment against the legal, organizational, informational and preventive action to improve.

Methodology

While working on thesis, general research methods were used, including philosophical that express universal principles of scientific thinking. The author discusses the materialist dialectic phenomenon being studied from the standpoint of the development process, and other events in conjunction with a specific historical setting.

Dissertation research, as well as private and special methods was used for the following: systematic, historical, structural - functional modeling, formal - legal, compared to - legal, grammatical, sociological (polling and survey form) and others.

Research outcomes

1. 1.Anyone can become a victim, accused and convicted of a criminal offense but the risk is higher. The majority of victims of adult men. Torturing It is noteworthy that the vast majority of criminal cases are the same and the victim's age: 18 - 35 years. Subject to re-victimization of the victim.
2. Torture is the most complete and acceptable explanation could be regarded by the United Nations Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment established by the Convention definition

3. Torture against international - legal documents necessary for the practical application of their systematization, and the general nature of the so-called Special documents separately - grouping.
4. Provided for in Article 144[1] of the Criminal Code of the objective side of the crime of physical violence combined with the physical and psychological suffering damage. Torture special subjects may be the only government officials, persons performing organization - the manager or administrative - economic functions of the state and local authorities, the Armed Forces, other troops and military formations of the hospital staff or a special closed.
5. Torture the person committed the distinctive characteristics: a) the interior and justice work; B) The system is based on solidarity and corporate use of official authority and power; C) Other disrespect for human dignity, culture, low levels of negative personality traits (violence, aggression, withdrawal, career and others.).
6. Torture committed by the perpetrator of a criminal typology is based on the motive of the action

Scientific Novelty

1. The author proposes a new definition of the concepts of violence and torture, and torture of legal norms governing the new model;
2. In theory, the changes and amendments in legislative norms processed, identified and substantiated their place in the private section of the Criminal Code, torture related crimes in the compositions of the established limits;
3. The author also proposed a new definition of violence and torture related to the different terms;
4. The principles have been developed for the prevention of torture and the criminal personality traits of the victim, as well, considering his social status;
5. Torture wrong qualifications were a Supreme Court order to avoid the necessity of statutory regulation,
6. For the theoretical level of torture causes and circumstances contributing 4 groups: social, state (especially Interior and the prison system), functional responsibilities of enforcement officers, Impunity and contributing to the torture of the causes and conditions of the subject's personal character.
7. Key measures outlined to fight against the torture.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. ძალადობის კრიმინოლოგიური კვლევის თეორიული ასპექტები 16

1.1. კრიმინალური ძალადობის ცნება და მისი ძირითადი სახეობები 16

1.2. აგრესია და ძალადობა, შედარებითი ანალიზი 30

1.3. ძალადობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის ტიპოლიგია 34

1.3.1. საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა 36

1.3.2. პიროვნებათაშორისი ძალადობა 37

1.3.3. კოლექტიური ძალადობა 38

1.4. ძალადობის დეტერმინაციის საკითხი კრიმინოლოგიაში 40

თავი 2. წამების, როგორც ძალადობის ხერხის კრიმინოგენული თავისებურება 45

2.1. წამების ცნება და სახეობები 47

2.1.1. ფიზიკური წამება 47

2.1.2. ფსიქოლოგიური წამება 51

2.1.3. უკანონო, საიდუმლო და შენიღბული წამება 53

2.1.4. ფიზიკური დასჯა, როგორც წამების დაკანონებული სახეობა 53

2.2. წამების ისტორიული ანალიზი ანტიკური პერიოდიდან თანამედროვეობამდე 56

2.2.1. **წამება ანტიკურ პერიოდში** 59

2.2.2. ადრეული ქრისტიანული სამსჯავროები 60

2.2.3. წამების ფენომენი თანამედროვე მსოფლიოში XX –XXI საუკუნეებში 63

2.2.3.1. წამება ნაცისტურ გერმანიაში 63

2.2.3.2. წამება ჩინეთში 64

2.2.3.3. წამება ამერიკის შეერთებულ შტატებში 66

2.2.3.4. წამება საბჭოთა კავშირში 68

2.2.4. წამების, როგორც დანაშაულობის ნაირასახეობის გენეზისი

საქართველოში 70

თავი 3. *წამებისა და სხვა* სახის *სასტიკი, არაადამიანური* ან ღირსების

შემლახველი მოპყრობისა *და* დასჯის კრიმინოლოგიური დახასიათება 79

3.1. წამების მიზნები 79

3.2. წამების და არაადამიანური მოპყრობის ხერხები 82

3.2.1. წამების ხერხები 82

3.2.1.1. ფიზიკური წამების ხერხები 83

3.2.1.2. ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) წამების ხერხები 86

3.2.2. არაადამიანური მოპყრობის მეთოდები 88

3.3. კრიმინალური ძალადობის (კერძოდ, წამების) მსხვერპლის დახასიათება 109

3.3.1. ვიკტიმიზაციის ზოგადი მიმოხილვა 109

3.3.2. ინდივიდუალური ვიკტიმიზაცია 113

3.4. წამების, აგრესიისა და ძალადობის შედეგები 116

3.5. წამების პრობლემა საქართველოში სოციოლოგიური გამოკითხვის

შედეგების მიხედვით (2007-2012 წლებში) 120

3.5.1. წამების, როგორც სოციალური პრობლემის, შეფასება მოსახლეობის მიერ 120

3.5.2. წამების, როგორც სოციალური პრობლემის შეფასება ყოფილი პატიმრების მიერ 130

თავი 4. საკანონმდებლო მიდგომები ძალადობისა და წამების აღკვეთის პრობლემისადმი **134**

4.1. წამების შეზღუდვის ინსტიტუტის ჩამოყალიბების და განვითარების თავისებურება **134**

4.2. საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები წამების წინააღმდეგ **141**

4.3. წამებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში **151**

4.4. საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებები *წამებისა და სხვა* სახის *სასტიკი, არაადამიანური* ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა *და* დასჯის აღკვეთასთან მიმართებით **156**

4.5. წამებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრობლემები საქართველოს კანონმდებლობაში **158**

4.5.1. წამება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისტორიული მიმოხილვა **159**

4.5.2. წამების საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით **165**

თავი 5. წამების და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის ფორმების პრევენცია **185**

5.1. წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობის პრევენციის
სისხლისსამართლებრივი ცნება 185
5.2. წამების პრევენციის სუბიექტები და მექანიზმები 189
5.2.1. წამების პრევენციის პრობლემატიკა სასჯელაღსრულების, პრობაციისა
და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 190
5.2.2. წამების პრევენციის პრობლემატიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში 191
5.2.3. წამების პრევენციის პრობლემატიკა მთავარ პროკურატურაში 193
5.2.4. წამების პრევენციის პრობლემატიკა საქართველოს სასამართლო
სისტემაში 195
5.2.5. წამების პრევენციის პრობლემატიკა ომბუდსმენის - საქართველოს
სახალხო დამცველის ოფისში 197
5.3. წამების პრევენციის საკანონმდებლო და ორგანიზაციული
უზრუნველყოფა 201
5.3.1. წამების პრევენციის საკანონმდებლო უზრუნველყოფა 202
5.3.2 წამების პრევენციის სტრუქტურული უზრუნველყოფა 203
5.3.3. წამების პრევენციის ორგანიზაციული უზრუნველყოფა 206

თავი 6. დასკვნები და რეკომენდაციები 209

ბიბლიოგრაფია 218

დანართი #1 (120-132)

სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ფაქტებზე საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად მომზადებული ანკეტა (2007-2012 წწ.)

მოსახლეობის გამოკითხვა (კითხვარი A)

კ ი თ ხ ვ ა რ ი „A“

მოცემული კვლევა ტარდება **სამეცნიერო მიზნებით.** შევსებული კითხვარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად ხშირად აწყდებიან მოქალაქეები უკანონო ქმედებებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მხრიდან. (**კვლევა არ გულისხმობს კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენას) გამოკითხვა ანონიმურია, კითხვარის შევსებას დასჭირდება 15-25 წუთი.**

სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი

რამოდენიმე შეკითხვა თქვენ შესახებ

1. **თქვენი სქესი:**

1.	მამრობითი	
2.	მდედრობითი	

2. **თქვენი ასაკი:**

1.	16-18 წლის	

2.	19-24 წლის	
3.	24-29 წლის	
4.	30-49 წლის	
5.	50-64 წლის	
6.	65 და მეტი წლის	

3. განათლების დონე:

1.	დაწყებითი	
2.	არასრული საშუალო	
3.	საშუალო/საშუალო სპეციალური	
4.	არასრული უმაღლესი და უმაღლესი	

4. თქვენი სოციალური მდგომარეობა; ხართ:

1.	ხელმძღვანელი პირი	
2.	სპეციალისტი	
3.	მოსამსახურე	
4.	მუშა	
5.	სტუდენტი, მოსწავლე	
6.	პენსიონერი, ინვალიდი	
7.	სამხედრო მოსამსახურე	
8.	ფერმერი, გლეხი	
9.	სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი	
10.	მეწარმე	
11.	უმუშევარი	
12.	დიასახლისი	
13.	სხვა	

5.ძირითადი საქმიანობის სფერო (აირჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან):

1.	მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა	
2.	კავშირგაბმულობა, კომუნიკაცია	
3.	საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა	
4.	მასობრივი ინფორმაციის საშუალებები	
5.	შეიარაღებული ძალები/სამართალდამცავი ორგანოები	
6.	სახელმწიფო მმართველობის ორგანოები	
7.	საზოგადოებრივი ორგანიზაცია	
8.	სოფლის მეურნეობა	
9.	სხვა (კერძოდ, რა?)	
10.	უარი პასუხზე	

ძირითადი შეკითხვები

წამება, როგორც სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა

გვაინტერესებს თქვენი აზრი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ. სამართლებრივად, წამების ქვეშ იგულისხმება ტკივილისა და ტანჯვის მიყენება თანამდებობისა და ოფიციალური პირების მიერ. მათი მონაწილეობა შეიძლება იყოს პირდაპირი, ან გამოიხატებოდეს წაქეზებასა და მდუმარე თანხმობაში. კერძო პირების (მაგალითად, რეკეტერების, გამომძალველების) მიერ მიყენებული წამება არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს.

ეთანხმებით თუ არა შემდეგ მოსაზრებებს:

1. საქართველოში არ არსებობს წამებისგან დაცვის რეალური გარანტიები

1.	ვეთანხმები	
2.	არ ვეთანხმები	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

2. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან წამებისგან დაცვის გარანტიები

1.	გაიზარდა	
2.	შემცირდა	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

3. თვლით თუ არა, რომ საქართველოში წამება

1.	არადამახასიათებელი მოვლენაა	
2.	გამოიყენება ეპიზოდურად	
3.	გამოიყენება სისტემატურად	
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	

4. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ძალადობისგან მოქალაქეთა რეალური დაცვისათვის ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება

1.	ვეთანხმები	
2.	არ ვეთანხმები	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

5. წამების წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაში:

1.	ვეთანხმები	
2.	არ ვეთანხმები	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

6. თვლით თუ არა, რომ თქვენ, თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შეიძლება დასჭირდეთ წამებისაგან რეალური დაცვა?

1.	ეს გამორიცხულია	
2.	ნაკლებად შესაძლებელია	
3.	სავსებით შესაძლებელია	

7. თვლით თუ არა, რომ 2012 საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამების პრობლემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შუქდება:

1.	ძალიან ხშირად	
2.	საჭირო მოცულობით	
3.	არასათანადოდ	
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	

8. როგორ მიგაჩნიათ, უნდა შეიცვალოს თუ არა პასუხისგების სიმძიმე წამების მიყენების გამო?

1.	ზოგადად უნდა გამკაცრდეს	
2.	ზოგიერთ შემთხვევაში გამკაცრდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი შემსუბუქდეს	
3.	დარჩეს, როგორცაა	
4.	ზოგადად შემსუბუქდეს	
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ შემდეგი დებულებები და აღნიშნოთ, თუ რამდენად ეთანხმებით მათ.

9. ჩვენი საზოგადოების პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ასოციალური და კრიმინალური პირებისაგან მის გასათავისუფლებლად:

1.	ვეთანხმები	
2.	არ ვეთანხმები	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

10. ჩვენი საზოგადოების პრობლემების გადაჭრის ერთერთი უფრო საიმედო საშუალებას დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერება წარმოადგენს

1.	ვეთანხმები	
2.	არ ვეთანხმები	
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	

პრობლემაში ჩართულობა

ქვემოთ საქმე შეეხება თქვენს პირად გამოცდილებას.

11. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) გქონიათ თუ არა შეხება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან? კერძოდ,

1.	როგორც დაზარალებულს ან მოწმეს სისხლის სამართლის საქმეში	
2.	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	
3.	შეგიმოწმეს დოკუმენტები ან პატრულის მხრიდან თქვენ მიმართ გზებზე კონტროლი განხორციელდა	
4.	გაგჩხრიკეს ან დაგაკავეს	
5.	დაგაკავათ პოლიციამ	
6.	გაგასამართლეს	
7.	აღგეკვეთათ თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით	
8.	სხვა	

12. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად გქონიათ კონფლიქტური სიტუაცია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან?

1.	არცერთხელ	
2.	ერთხელ	
3.	რამოდენიმეჯერ	
4.	ხშირად	
5.	ვერ გიპასუხებთ	

13. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წაწყდომიხართ თუ არა რეალურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას?

1.	არცერთხელ	
2.	ერთხელ	
3.	რამოდენიმეჯერ	
4.	ხშირად	
5.	ვერ გიპასუხებთ	

14. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად ატარებდა ეს ძალადობა უკანონო ან გაუმართლებლად სასტიკ ხასიათს?

1.	არცერთხელ	

2.	ერთხელ	
3.	რამოდენიმეჯერ	
4.	ხშირად	
5.	ვერ გიპასუხებთ	

15. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) თქვენზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით რამდენად ხშირად იქნა გამოყენებული წამება მესამე პირის (ნათესავის, მეგობრის, კოლეგის) მიმართ?

1.	არცერთხელ	
2.	ერთხელ	
3.	რამოდენიმეჯერ	
4.	ხშირად	
5.	არ მაქვს პასუხი	

16. წამების გარდა, გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით), რამდენად ხშირად წაწყდომიხართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შემდეგ ქმედებებს?

	არცერთხელ	ერთხელ ან რამოდენიმეჯერ	სისტემატურად	არ მაქვს პასუხი
უწმაწურობას, შეურაცხყოფას				
უყურადღებობას და თქვენი განცხადებებისა თუ ჩივილის უხეშ იგნორირებას				
სხვას (აღწერეთ)				

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წამების მსხვერპლი პირების გამოკითხვის შედეგები (კითხვარი B)

1. რამდენად ხშირად გამოუყენებიათ თქვენ მიმართ ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით)?

	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	ბევრჯერ
1. წამება მოხრჩობით (მათ შორის აირწინაღით)			

2.	წამება აღკვეთით (ძილის, წყლის მიწოდების, საჭმლის მიწოდების, ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების და მსგ.)			
3.	იძულებითი პოზაში ყოფნით (დაჭიმვით,ხელბორკილით დაბმით და მსგ.)			
4.	დაკიდებით, ხელების გადაგრეხვით, ჰაერში სროლით.			
5.	ელექტროდენით			
6.	ცემით			
7.	წყალში ჩაძირვით			
8.	ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებით: შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით, ძლიერი შუქით			
9.	ცივ შენობებში ან ანტისანიტარულ პირობებში ყოფნით			
10.	სხვა პირების (თანასაკნელების) გამოყენებით თქვენზე ძალადობის განხორციელების მიზნით.			
11.	დამწვრობის მიყენებით ცხელი საგნებით, მდუღარეთი, სიგარეტის ნამწვით			
12.	სხვა (დააზუსტეთ)			

2. ფიზიკური ძალადობის გარდა, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განუხორციელებიათ თუ არა თქვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მუქარის გამოყენებით თქვენი ახლობლის ან პირადად თქვენ მიმართ?

1.	არცერთხელ	
2.	ერთხელ	
3.	რამოდენიმეჯერ	
4.	ხშირად	
5.	არ მაქვს პასუხი	

3. რა მიზნით გამოიყენებოდა ფიზიკური ძალადობა თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა და რა სიხშირით?

		არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
1.	ბრალის აღიარების, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმის მიზნით			
2.	პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური იუტანლობის გამო			
3.	შურისძიების მიზნით			
4.	გამოძალვის, ფულის ან ქონების ძალით წართმევის			

5. დაცინვისთვის			
6. საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულების მიზნით			
7. მოტივი თქვენთვის ამოუხსნელია			

4. რა ზიანი მოგაყენეს აღნიშნული ქმედებებით და რა სიხშირით?

	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
1. მორალური და ფსიქოლოგიური ზიანი, შიში დამცირების გრძნობა			
2. მატერიალური ზიანი, ქონების, საკუთრების უფლების დაკარგვა			
3. ფიზიკური ზიანი (ჯანმრთელობის ხანმოკლე ან ხანგრძლივი მოშლა, დასახიჩრება, ინვალიდობა)			
4. გაიძულეს გაგეკეთებინათ აღიარება ან მიგეცათ ჩვენება, რომელთაც შემდგომში სხვა პირის ან თქვენ წინააღმდეგ გამოიყენებდნენ			
5. სხვა (დააზუსტეთ)			

5.თქვენი დაკავების მიზნით მიუმართავთ თუ არა დაკავების საფუძვლების ფალსიფიკაციისთვის? ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი საშუალება გამოიყენეს?

	არ გამოუყენებიათ ან თქვენთვის უცნობია	გამოიყენეს
1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაფორმება		
2. მტკიცებულებების ფალსიფიკაცია სისხლის სამართლის საქმეში (ნარკოტიკები, იარაღი, საბრძოლო მასალები და		
3. სხვა საშუალებები (დააზუსტეთ)		

6. მიგიმართავთ თუ არა თქვენ, თქვენს ადვოკატს, ნათესავს, კოლეგას ან სხვა პირს რომელიმე უფლებადამცველი ორგანიზაციისათვის თქვენ მიმართ წამების გამოყენების გამო? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1.	კი	
2.	არა	
3.	პასუხი არ გაქვთ	

7. გაგიწიეს თუ არა უფლებადამცველებმა რაიმე სახის დახმარება?

1.	არ მიგიმართავთ ან თქვენთვის უცნობია დახმარების შესახებ	
2.	გაგიწიეს რეალური დახმარება	
3.	ეცადნენ, მაგრამ ვერ დაგეხმარნენ	
4.	დახმარება არ გაუწევიათ ან თქვენთვის უცნობია დახმარების შესახებ	

8. გიჩივლიათ თუ არა პროკუტატურაში თქვენ ან თქვენს ადვოკატს, ახლობლებს, ნათესავებს, კოლეგებს თქვენ მიმართ წამების გამოყენების გამო? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1.	კი	
2.	არა	
3.	თქვენთვის უცნობია	

9. აღძრულა თუ არა სისხლის სამართლის საქმე თქვენ მიმართ წამების გამოყენების გამო? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1.	არ აღძრულა ან არ იცით	
2.	საქმე აღიძრა და შემდეგ შეწყდა	
3.	საქმე აღიძრა, მიმდინარეობს ძიება	
4.	საქმე სასამართლოს გადაეცა	
5.	საქმე აღიძრა, მაგრამ მისი შემდგომი ბედი უცნობია	

10. შეგიძლიათ თუ არა დააზუსტოთ რომელი სამსახურისა თუ ქვედანაყოფის თანამშრომლები მიმართავდნენ თქვენ წამებას და რამდენად ხშირად?

	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
1. სპეცდანიშნულების			
2. საპატრულო სამსახური			
3. კრიმინალური პოლიცია			
4. სოდ-ი			
5. ობიექტების არასაუწყებო დაცვა			
6. კუდ-ი			
7. პროკურატურის თანამშრომლები			
8. პენიტენციური დაწესებულებების ოპერატიული მუშაკები			
9. სასამართლო აღმასრულებლები			

10. სხვა ოფიციალური ორგანიზაციების თანამშრომლები			
11. სხვა პატიმრები (ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების დავალებით)			
12. სხვა სამსახურები			

11.რა ფორმალური საფუძველი ან ოფიციალური საბაბი არსებობდა თქვენ წინააღმდეგ წამების გამოყენებისთვის? რამდენად ხშირად მიმართავდნენ თქვენს წამებას?

	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
1. თქვენი მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა			
2. დებოში და ჩხუბი თქვენი მონაწილეობით			
3. თქვენი უარი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე			
4. თქვენი უარი ციხის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე			
5. თქვენზე ჩივილი ვინმეს მხრიდან			
6. წესრიგის აღმდგენი ოპერატიული ღონისძიება			
7. ეჭვის არსებობა დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მომზადებაზე ან მასში მონაწილეობაზე			
8. უბრალო გაუგებრობა			
9. თქვენ წინააღმდეგ ზომები გატარდა სავსებით უსაფუძვლოდ, ან ეს საფუძველი თქვენთვის უცნობია.			

დანართი #2 (გვ. 203-206)

საქართველოს კანონი

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ (პროექტი)

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ სისტემურ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისათვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და საზოგადოების მაღალი ნდობის მქონე მექანიზმის შექმნა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

ა) დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი - სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ სისტემურ დანაშაულთა გამოძიებაზე, და სისხლისსამართლებრივ დევნაზე და ბრალდების სასამართლოში მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია და მისი ანგარიშვალდებულება განისაზღვრება ამ კანონით;

ბ) კომისარი - დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის უფროსი;

გ) მოსთხოვოს სხვა საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერება კონკრეტული ფაქტის გარშემო და;

დ) მოსთხოვოს და მიიღოს სხვა საგამოძიებო ორგანოების მოპოვებული მასალების მისთვის გადაცემა.

მუხლი 3. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საქმიანობა და პრინციპები

1.დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ქვემდებარეობას განეკუთვნება გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება თუ:

ა) თუ სავარაუდოდ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე, 144^1 -ე, 144^2 -ე, 144^3 -ე, ან/და ასევე სამოხელეო დანაშაულობები

ბ) თუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ, მიუხედავად იმისა ის ახორციელებს თუ არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და დანაშაულს შედეგად მოყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სახეზეა სისხლის სამართლის 126^1-ე, 144^1 -ე, 144^2 -ე, 144^3 -ე, ან სამოხელეო დანაშაულობების შემადგენლობა.

2. თუ გამოძიება ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით, მაგრამ კომისარს მიაჩნია, რომ სახეზეა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, იგი უფლებამოსილია მიმართოს კონკრეტული საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელს და მოითხოვოს საქმის მისთვის გადაცემა.

3. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიერ უპირატესი იურისდიქცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დანაშაულის შემადგენლობის ჩადენის შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან ბრალდების მხარდაჭერის პროცესში სახეზე იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

4. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მხრიდან საქმის გამოძიების წარმართვის შემთხვევაში, შესაბამისი უწყება ვალდებულია შეაჩეროს გამოძიება და/ან დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის მასალები სრულად და დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე გადასცეს დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს

5. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გამოძიებას, სისხლისსამართლებრი დევნასა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქცია არ ვრცელდება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებულ იმ ქმედებებზე, რომლებიც იწვევენ მხოლოდ ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას. თუ კომისარს მიაჩნია რომ ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ამავე ქმედების გარშემო მიმდინარეობს სამართალწარმოება ადმინისტრაციული სახდელის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით, იგი უფლებამოსილია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

7. სისხლის სამართლებრივი გამოძიების და/ან დევნის უფლებამოსილების სხვა სამართალდამცავი ორგანოებისთვის სრულად გადაცემის შემთხვევაში, კომისარი უფლებამოსილია მოთხოვოს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობაზე ინფორმაცია.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ახორციელებს:

ა) მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვას იმ საქმეებზე, რომლებიც შეიცავენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული სისტემური დანაშაულების გამოძიებას;

ბ) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან შესაბამისი დანაშაულების ჩადენის შესახებ საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას;

გ) მჭიდრო თანამშრომლობას სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციის მექანიზმის წარმომადგენლებთან და მათ მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოვლენილი ადამიანის ან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნების შემთხვევაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას;

<u>**დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:**</u>

ა) **კერძო პირის უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვა და პატივისცემა** - რაც უწინარესად გულისხმობს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიერ სიცოცხლის უფლებითა და წამების აკრძალვით სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებას, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვითნებობის აკრძალვასა და ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოებას;

ბ) **დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი** - რომლის თანახმადაც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი არ ექვემდებარება აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთ ორგანოს ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე;

გ) **ობიექტურობა და მიუკერძოებლობა** - დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებს მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებულ, ჯეროვან და საფუძვლიან მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მოიპოვებს და აფასებს მათ მიუკერძოებლად და სამართლიანად;

დ) **კანონიერება და ადეკვატურობა** - გამოძიების წარმართვა მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესის შესაბამისად. ამავდროულად ეს პრინციპი გულისხმობს გამოძიების სწრაფად, სრულყოფილად, ყოვლისმომცველად და ადეკვატურად წარმართვას;

ე) **საჯაროობა და გამჭვირვალობა** - ხსენებული პრინციპი ეხება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიერ საზოგადოებრივი ნდობის მაღალი ხარისხის მოპოვებას და შენარჩუნებას, მაქსიმალურ ღიაობას და გამჭვირვალობას.

მუხლი 4. საგამოძიებო მექანიზმის დამოუკიდებლობა

1. საგამოძიებო მექანიზმი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ პოლიტიკურ ძალას. საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებზე რაიმე ზემოქმედება ან მექანიზმის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე და წარუდგენს მას მოხსენებას წელიწადში ორჯერ საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების განმავლობაში.

3. საგამოძიებო მექანიზმის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას მას საქმიანობის სათანადო პირობები, უზრუნველყოს ადექვატური ფინანსური და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის სტრუქტურა და დაკომპლექტება

მუხლი 5. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის სტრუქტურა

1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს კომისარი.
2. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ცენტრალიზებული უწყებაა და ყველა პირი ექვემდებარება ზემდგომ თანამდებობის პირს. მას ხელმძღვანელობს კომისარი.

მუხლი 6. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი

1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება, ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება, სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით და მორალური რეპუტაციით.

2. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი არ შეიძლება იყოს საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს საჯარო სამსახურში რომელიმე თანამდებობა ან პარალელურად ეწეოდეს რაიმე სახის ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისა. საგამოძიებო ორგანოს კომისარი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. დაკისრებული ფუნქციების ფონზე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარს ეკრძალება მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური ძალების მხარდამჭერ ან საწინააღმდეგო შეკრებებსა და მანიფესტაციებში.

3. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი ვალდებულია არჩევიდან 1 თვის ვადაში შეწყვიტოს თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა. თუ საგამოძიებო ორგანოს კომისარი ამ ვადაში არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, მისი უფლებამოსილება ვადამდე წყდება. სანამ კომისრის თანამდებობაზე აჩეული პირი არ შეწყვეტს თანამდებობრივად შეუთავსებელ საქმიანობას, იგი არ არის უფლებამისილი განახორციელოს კომისრის უფლებამოსილება.

4. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის შესარჩევი საკონკურსო კომისია იქმნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით. კომისიის შემადგენლობა შედგება 9 წევრისაგან და მასში შედიან: ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი ან მისი წარმომადგენელი; ბ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებიდან თითო წარმომადგენელი; კომიტეტებიდან წარმოდგენილ პირთაგან ერთი მაინც უნდა წარმოადგენდეს საპარლამენტო უმცირესობას; გ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი (კომისიის წევრად წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი); დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი; ე) საქართველოს სახალხო დამცველი ან საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი; ვ) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან შერჩეული 3 პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ გაეროს ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოებისადმი ალტერნატიული ანგარიშების წარდგენაში ბოლო 5 წლის განმავლობაში. კომისია იქმნება მხოლოდ კომისრის ასარჩევად და მის წევრებს არ მიეცემათ ანაზღაურება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

5. . დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის შესარჩევი საკონკურსო კომისია მუშაობა და პროცედურები განისაზღვრება კანონით.~

6. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი ინიშნება 7 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს განმეორებით.

9. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის უფლებამოსილება წყდება დანიშვნიდან 7 წლის გასვლისთანავე ან ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

10. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარს ჰყავს მოადგილეები, რომელსაც იგი თავად ნიშნავს თანამდებობაზე

მუხლი 7. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის თანამშრომელთა შერჩევა და დანიშვნა

1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გამომძიებელი და პროკურორი ინიშნება კომისრის მიერ კონკურსის წესით.

მუხლი 8 . დამოუკიდებელი საგამოძიეობო მექანიზმის აპარატზე ვრცელდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა

მუხლი 9. კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი გამოძიებას იწყებს და საგამოძიებო მოქმედებებს წარმართავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 10 მათ კომპეტენციაში შემავალი საგამოძიებო მოქმედებების და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ:

ა) დაუბრკოლებლად შევიდნენ სასჯელაღსრულების, შსს და კერძო (კანონმდებლობით დადგენილი წესით) დაწესებულებებში;

ბ) სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირებს მოსთხოვონ და დაუყოვნებლივ და სრულად მიიღონ გამოძიებისათვის ან სისხლის სამართლებრივი დევნისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი, ახსნა-განმარტება და სხვა მასალა;

გ) სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები, მოიწვიონ სპეციალისტები/ექსპერტები საექსპერტო ან/და საკონსულტაციო სამუშაოთა განსახორციელებლად;

დ) გამოაქვეყნოს თემატური ანგარიშები სხვადასხვა საკითხის გარშემო.

მუხლი 11. კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელი საგამოძიებო და სისხლის სამართლებრივი დევნის მექანიზმის პროკურორი სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. საგამოძიებო პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ან დაწყებაზე უარს ამტკიცებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი.

მუხლი 12 საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე პასუხისმგებელია თავად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გამომძიებელი. იგი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები.

მუხლი 13 დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი ექსპერტიზის (ასევე საგამოძიებო მოქმედებებში ექსპერტის მონაწილეობის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩატარება უზრუნველყოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა წინასწარ შედგენილი სიის მეშვეობით, რომელსაც ამტკიცებს კომისარი.

მუხლი 14. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საქმიანობის სამართლებრივი გარანტიები

1.დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის, პროკურორის ან გამომძიებლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, კომისარს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერი ორგანოს, თანამდებობის თუ იურიდიული პირის, შესაბამისი საჯარო მოხელის და/ან თანამშრომლის დაჯარიმება

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ჯარიმა პირს შეეფარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. ჯარიმის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისრის ანგარიშვალდებულება

მუხლი 15. ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე

1. კომისარი საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების განმავლობაში წელიწადში ორჯერ წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. კომისრის ანგარიში საჯაროა და მის გამოქვეყნებას უზრუნველყოფს კომისარი. ანგარიშის წარდგენა ხდება მოხსენებით, რომლის შემდეგაც კომისარი ვალდებულია უპასუხოს პარლამენტის წევრთა შეკითხვებს.

2. კომისრის ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულთა კუთხით ზოგად მდგომარეობას, კომპეტენციის სფეროში წარმოებული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის სტატისტიკას, ზოგად ტენდენციებსა და შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებსა და სხვა რელევანტურ საკითხებს.ს

3. საქართველოს პარლამენტს ხმათა სრული უმრავლესობით უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიიწვიოს კომისარი პარლამენტის და/ან საპარლამეტო კომიტეტის სხდომაზე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიმდინარე საქმიანობის ანგარიშის წარსადგენად. ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში. კომისარი ვალდებულია დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 3 დღისა) ეწვიოს პარლამენტს და/ან საპარლამენტო კომიტეტს და წარუდგინოს ანგარიში და მოხსენება.

მუხლი 16. საზოგადოებრივი კონტროლი

საგამოძიებო და სისხლის სამართლებრივი დევნის კომისრის ოფისის მიერ განხორციელებული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის კომისრის ოფისის ვებ გვერდის მეშვეობით.

მუხლი 17 დამოუკიდებელმა საგამოძიებო მექანიზმმა შეიძლება განახორციელოს იმ ქმედებების/უმოქმედობების გამოძიება და მათი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულად ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში, რომელიც ჩადენელია წარსულში და ეხება სისტემური დანაშაულობების ჩადენას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ, ასევე თუ ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლო დაადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის დადგენილი უფლების დარღვევას

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. საქართველომ შესაბამის საერთაშორისო ნორმებთან საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულება იკისრა, რამაც საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა სამამულო კრიმინოლოგიის ცალკეული მეცნიერული დებულება, შეგვეცვალა თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტები. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონით დაცული ღირებულებების ჩამონათვალში პირველ ადგილზე ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ფიგურირებს, ხოლო პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები კოდექსის კერძო ნაწილშია წარმოჩენილი.

ძალადობის, წამების აკრძალვა დადგენილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (მუხლი 5), საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 7), *წამებისა და სხვა* სახის *სასტიკი, არაადამიანური* ან ღირსების შემლახველი მოპყრობის *და* დასჯის წინააღმდეგ კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126, 144[1], 144[2], 144[3] მუხლებით და საქართველოს სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს სამართლებრივი პოლიტიკის კონცეფცია მოითხოვს ჰუმანიზმისა და „სისხლისსამართლებრივი რეპრესიების ეკონომიის“ პრინციპის განუხრელ დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისას

უნდა გამოირიცხოს შეურაცხყოფა, წამება და ძალადობა. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის კონცეფციის თანახმად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამოსავალ წერტილად მიჩნეულ უნდა იქნას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც კანონით დაცული უზენაესი სოციალური ფასეულობების განუხრელად დაცვა.

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა:

ძალადობრივ დანაშაულებს შორის ცემასა და წამებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ აღნიშნული ქმედებები უხეშად ლახავენ პიროვნების უფლებებს და არაიშვიათად წინ უსწრებენ უფრო მძიმე დანაშაულს (მკვლელობას, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას). მათი ჩამდენი ადამიანების დაუსჯელობა ძალადობის სტიმულირებას უწყობს ხელს, შესაბამისად, მოცემული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ოპტიმიზაცია პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის პრევენციის ეფექტიანი საწინდარი იქნება.

საკვლევი თემის აქტუალობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც: უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოსაკვლევი ქმედებების რაოდენობამ მკვეთრად იმატა.

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია, ის მისი უფლებებისა და თავისუფლებების წყაროა. უფლება იმისა, რომ არ იყო ძალადობის, წამების, სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის მსხვერპლი, აბსოლუტურია. ამასთანავე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში ძალადობისა და წამების ფაქტები თანამდებობის პირთა მხრიდან არაიშვიათია, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია. საქართველოს მთავარი პროკურატურის სპეციალური აღრიცხვის მონაცემებით, 2006-2013 წლებში დაფიქსირდა სისხლის სამართლის კოდექსის 144[1], 144[2], 144[3] მუხლებით წარმოებული 213 სისხლის სამართლის საქმე.

წამება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ძალადობრივი დანაშაულია, რომელსაც თანამდებობის პირები ჩადიან. ის საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა და ხელყოფს ადამიანის,

კონსტიტუციით დაცული, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებას, ლახავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შეიარაღებული ძალებისა და სხვა ძალოვანი ფორმირებების ინტერესებს, ვინაიდან მოქალაქეთა ნდობა იმ ორგანოთა მიმართ, რომელთა თანამდებობის პირები ადამიანებს აწამებენ, მცირდება.

საქართველოში ძალადობისა და წამების პრაქტიკის არსებობის შესახებ სხვადასხვა წყარო იუწყება. ეს არის: ოფიციალური სტატისტიკა, სასამართლო პრაქტიკის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასალები, ომბუდსმენის ანგარიშები, საერთაშორისო და ქართული უფლებადამცავი ორგანიზაციების მონიტორინგის შედეგები და სხვ.

წამება მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულთა რიცხვს. მისი დამტკიცება ძნელია, ვინაიდან შემთხვევათა უმრავლესობაში მათი ჩადენა ხდება მოწმეების გარეშე. ამასთანავე, სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირებს, როგორც წესი, გააჩნიათ იურიდიული განათლება, აქვთ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება და იციან როგორ იმოქმედონ დაუსჯელად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ საქართველო ვალდებულია პერიოდული ანგარიში წარუდგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კომიტეტს წამების წინააღმდეგ“ იმის შესახებ, თუ რამდენადაა დაცული *წამებისა და სხვა* სახის *სასტიკი, არაადამიანური* ან ღირსების შემლახველი მოპყრობის *და* დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ნორმები ქვეყნის შიგნით.

კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს წამების კვალიფიკაციის პრობლემა; დასახვეწია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-144[2]-144[3] მუხლები; ეფექტიანობას მოკლებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზოგიერთი მექანიზმი, პროცედურა და ინსტრუმენტი; ამასთან გამოიკვეთა რიგი ფაქტორებისა, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოაშკარავებაზე. ესენია: წამების ფაქტის დამტკიცების სირთულე, შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში არსებული ე.წ. კორპორატიულობისა და სოლიდარობის სულისკვეთება, წამების მსხვერპლის განცხადების არასათანადოდ შემოწმების შემთხვევები. აქედან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის მიზნით აუცილებელია სპეციალური ღონისძიებების შემუშავება და მათი სწორად გამოყენება.

კვლევის მიზანია:

სადისერტაციო კვლევის მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება სამართალდამცავ უწყებებში სისტემური ცვლილებების განხორციელების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო, ორგანიზაციული, საინფორმაციო და პრევენციული მექანიზმების დასახვეწად.

კვლევის ამოცანებია:

- წამების წარმოშობისა და კრიმინალიზაციის ისტორიის გაანალიზება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- საქართველოსა და მსოფლიოში წამების, როგორც სოციალური მოვლენის კრიმინოლოგიური დახასიათება;
- წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა;
- წამების ჩამდენი დამნაშავის პიროვნების შესწავლა;
- საქართველოში წამების მსხვერპლის ვიქტიმოლოგიური დახასიათება;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევა წამების პრობლემის შესახებ საქართველოში;
- წამებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ნორმების კვლევა და სამამულო კანონმდებლობაში მათი იმპლემენტაციის აუცილებლობის განსაზღვრა;
- წამების შემადგენლობის გაანალიზება ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში;
- წამების ობიექტისა და შემადგენლობის ადგილის განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში;
- წამების შემადგენლობის ანალიზი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

- წამებასთან დაკავშირებული დანაშულის მდგომარეობის, სტრუქტურისა და დინამიკის დადგენა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში,

კვლევის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება, ერთი მხრივ, თანამდებობის პირებს, სახელმწიფოსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს და, მეორე მხრივ, ძალადობისა და წამების მსხვერპლ ფიზიკურ პირებს შორის.

კვლევის საგანია ძალადობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა სოციალურ-კრიმინოლოგიური ფორმები, დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნების თავისებურებები, წამების გამო პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სისხლისსამართლებრივი ნორმები, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების რეგლამენტაციის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საკითხები, ძალადობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების პრევენციული ღონისძიებები.

ნაშრომის ჰიპოთეზა:

1. წამების შემადგენლობის სამართლებრივი დეფინიცია უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ სპეციალური სუბიექტის (სახელმწიფო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის) პასუხისმგებლობას;
2. წამება ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც მძიმე დანაშაული, რომელიც აუცილებლად გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას დამდგარი შედეგისგან დამოუკიდებლად.
3. წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიება არ შეიძლება იყოს ეფექტური სპეციალური დამოუკიდებელი „საგამოძიებო მექანიზმის“ ამოქმედების გარეშე, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის ეფექტურ გახსნას.
1. წამება და არაადამიანური მოპყრობა პატიმრების მიმართ, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე ხორციელდება, ყოველთვის მასობრივ ხასიათს იძენს და პოლიტიკური ცვლილებებისა და გადატრიალების კატალიზატორი ხდება;

2. წამებას, როგორც ძალადობის სისტემურ გამოვლენას, ორგანიზებული ფორმები გააჩნია და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ლახავს მის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე;
3. წამება, სახელმწიფო სტრუქტურების, ცალკეული თანამდებობის პირის, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა იმ პირთა მიმართ, რომელთა თავისუფლება შეზღუდულია საკანონმდებლო ნორმებით, სასამართლო გადაწყვეტილებით.
4. წამებასთან დაკავშირებულმა სისხლისსამართლებრივმა ნორმებმა უნდა უზრუნველყონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ეფექტური დაცვა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან;

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი:

თანამდებობის პირთა მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის სირთულემ, წამებასთან დაკავშირებული საკითხების თეორიულმა და პრაქტიკულმა მნიშვნელოვნებამ მის მიმართ უცხოელი და ქართველი მკვლევარების ინტერესი განაპირობა. წამების სხვადასხვა ასპექტის, ძალადობრივი დანაშაულისა და მისი პრევენციის, ძალადობის მსხვერპლის უფლებების დაცვის პრობლემებს მიეძღვნა გ. ღლონტის, გ. თოდრიას, მ. შალიკაშვილის, გ. ტაბატაძისა და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომები. საერთაშორისო დოკუმენტებში წამების აკრძალვის, მისი პრევენციის საკითხებს მიუძღვნეს საკუთარი კვლევები უცხოელმა ავტორებმა: ლონე იაკობსენმა, კნუდ სმიდტ-ნილსენმა, ასევე საერთაშორისო თუ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებმა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტმა წამების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციამ და სხვ.)

ძალადობასა და წამებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხს ყურადღება დაუთმეს მეცნიერებმა, რომელთა შირის არიან ჩეზარე ბეკარია, მიშელ ფუკო, ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე, ემილ დიურკჰეიმი, კონრად ლორენცი, ბერნარდ კრიკი, რობერტ ა. ბარონი, დ. ჰალტუნგი. ეს

უკანასკნელი ეხება ისეთ ასპექტებს, როგორიცაა წამებისა და ჩვენების მიცემის იძულების გამო საზღვარგარეთის ქვეყნებისა და სამამულო კანონმდებლობის განვითარების ისტორია, აღნიშნული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მათი პრევენცია. მითითებული პრობლემები აისახა, ასევე, სხვა ცნობილი სწავლულების ნაშრომებშიც, რომელთა შორისაა: ი.მ. ანტონიანი, ი.ნ. არციბასოვი, კ.ა. ბეკიაშევი, ტ.ვ. ვარჩუკი. კვლევების თეორიული საფუძველი შექმნეს ჰუმანისტურმა ფილოსოფიურმა სწავლებებმა, პროგრესულმა სამართლებრივმა კონცეფციებმა, მიღწევებმა სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის სფეროში, სამამულო და უცხოელი სამართალმცოდნეების ნაშრომებმა კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის, კრიმინალისტიკის, სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით, ასევე სასწავლო, და დამხმარე სახელმძღვანელოებმა.

ლიტერატურული წყაროების მრავალფეროვნების მიუხედავად, თანამდებობის პირის მხრიდან ძალადობის ან, კონკრეტულად, წამების გამოყენების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა თუ პრევენციის საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ. არსობრივი პრობლემები იჩენს თავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი ნორმების კონსტრუქციის კვლევისას. საერთო სამეცნიერო კონცეფციის არარსებობის და მოცემული პრობლემის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობის პირობებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^2-144^3 მუხლებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები წინამდებარე სადისერტაციო კვლევის ჩარჩოებში პირველად განიხილება.

დისერტაციის ნორმატიული ბაზა წარმოდგენილია სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციათა დებულებებით, დარგობრივი კანონმდებლობებით. ნაშრომში გაანალიზებულია რეგიონული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ადამიანის წამების ობიექტად ქცევას. დისერტაციული კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა საზღვარგერეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა.

კვლევის ემპირიული ბაზა შეადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო-ანალიტიკურმა გამოცემებმა, წამების წინააღმდეგ კომიტეტში წარდგენილმა სამთავრობო მოხსენებებმა, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებმა, საქართველოს პროკურატურის სტატისტიკურმა მონაცემებმა, ომბუდსმენის ანგარიშებმა,

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, უფლებადამცველი ორგანიზაციების, ქართული და საერთაშორისო კონფერენციების მასალებმა.

დისერტაციაში განზოგადებულია წამების შესახებ საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიური კვლევის შედეგები. სპეციალური ანკეტის გამოყენებით გამოიკითხა 300-მდე რესპონდენტი. გამოკითხვა ჩატარდა, ასევე, წამების მსხვერპლთა შორის. კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები აისახა სამეცნიერო პუბლიკაციებში, საკონფერენციო მოხსენებებში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოსმენებზე.

მეთოდოლოგია:

დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის ზოგადი მეთოდები, მათ შორის, ფილოსოფიური, რომლებიც მეცნიერული აზროვნების უნივერსალურ პრინციპებს გამოხატავენ. ავტორმა შესასწავლი მოვლენა განიხილა მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციიდან, ანუ განვითარების პროცესში, კონკრეტულ ისტორიულ გარემოში და სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში. მეცნიერული შემეცნების ცალკეულ ეტაპზე გამოყენებულ იქნა ანალიზის, სინთეზის, აგრეთვე, სოციალური ექსპერიმენტის მეთოდები.

სადისერტაციო კვლევაში, ასევე, გამოყენებულ იქნა შემდეგი კერძო და სპეციალური მეთოდები: ისტორიული, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, მოდელირების, ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი, ლინგვისტური, სოციოლოგიური (ანკეტირებისა და გამოკითხვის ფორმით) და სხვ.

ძალადობისა და წამების პრობლემის შესწავლისას ავტორმა ასევე გამოიყენა სისტემური მიდგომის პრინციპები:

- *მთლიანობის პრინციპი,* რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად განვიხილოთ წამებასთან დაკავშირებული დანაშაულების სისტემა, როგორც ერთი მთლიანი და ამავდროულად, როგორც ქვესისტემა ძალადობრივი დანაშაულობის ზემდგომ დონეებთან მიმართებით;

- *სტრუქტურიზაცია* ძალადობრივი დანაშაულობის სისტემის ელემენტებისა და კონკრეტულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში (სახელმწიფოში) მათი ურთიერთკავშირის გაანალიზების შესაძლებლობებით. როგორც წესი, სისტემის ფუნქციონირების პროცესი განპირობებულია არა იმდენად მისი ცალკეული ელემენტის თვისებებით, რამდენადაც თავად სტრუქტურის თავისებურებებით.
- *სიმრავლის პრინციპი,* რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა ძალადობრივი დანაშაულის მრავალი სტატისტიკური და სოციოლოგიური მოდელის გამოყენება მთლიანად სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტის აღწერისათვის.

ისტორიული მეთოდის ჩარჩოებში ავტორმა ძალადობა, მათ შორის, წამება შეისწავლა, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა მისი ფორმირების, განვითარებისა და დროსა და სივრცეში ტრანსფორმაციის პროცესში. მეთოდის საფუძველში ძევს ისტორიზმი, მეცნიერული შემეცნების პრინციპი, რომელიც მოიცავს 1) სამეცნიერო კვლევის საგნის (წამების, როგორც ძალადობის ფორმის) თანამედროვე მდგომარეობას; 2) წარსულის რეკონსტრუქციას - შესასწავლი ნეგატიური მოვლენის გენეზისის განხილვას, მის წარმოშობასა და ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებს; 3) მომავლის განჭვრეტას - აღნიშნული მოვლენის შემდგომი განვითარების ტენდენციების პროგნოზირებას.

ისტორიულ ასპექტში შესწავლილ იქნა ძალადობის ძირითადი ფორმების განვითარება და მისი კრიმინალიზაციის ეტაპები. კერძოდ, დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარების მანძილზე ძალადობის ყველაზე გავრცელებულ და დაკანონებულ ფორმას წამება წარმოადგენდა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ანტიკური ქვეყნების სამხედრო და სამართალდამცავი სტრუქტურები, შუა საუკუნეების ევროპა (ინკვიზიციის ფორმით), მე-20 საუკუნეში მსოფლიო ომებისა და სამოქალაქო კონფლიქტების დროს და თანამედროვე მსოფლიოში (აშშ-ში, ჩინეთში, საუდის არაბეთსა და სხვა ქვეყნებში).

ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ძალადობრივი დანაშაულობის და წამების ტენდენციებისა თუ ისტორიული ეტაპების კვლევას საქართველოში, კერძოდ, ფეოდალიზმის, რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის, გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღევანდელი პერიოდების ჩათვლით.

დისერტაციაში, ასევე, გამოყენებულ იქნა კვლევის სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი, რომელიც წარმოადგენს რა სისტემური პრინციპის ნაირსახეობას, ორიენტირებულია

სტრუქტურული სისტემის გამოვლენაზე, ანუ მდგრადი ურთიერთობების ერთობლიობის, მისი ელემენტების ურთიერთკავშირისა და მათი როლის (ფუნქციების) გამოაშკარავებაზე ერთმანეთის მიმართ. აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგ ეტაპებზე:

1. სისტემური ობიექტის (ძალადობრივი დანაშაულის) სტრუქტურის შესწავლა;
2. მისი ელემენტების (წამება, არაადამიანური მოპყრობის სხვადასხვა ფორმა) და ფუნქციური თავისებურებების ანალიზი;
3. აღნიშნული ელემენტებისა და მათი ფუნქციის ცვლილების კვლევა;
4. სისტემური ობიექტის განვითარების განხილვა მთლიანობაში;
5. ობიექტის წარმოდგენა, როგორც ჰარმონიულად ფუნქციონირებადი სისტემისა, რომლის ყველა ელემენტი აღნიშნული ჰარმონიის შენარჩუნებას ემსახურება.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა ფართოდ გავრცელებული კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომელიც ძირითადად გამოიყენება სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალოგიური ნორმების შედარებისას. მსგავსი შედარებითი ანალიზი აუცილებელია, რათა შესაძლებელი გახდეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ხაზის შემუშავება. თურქეთის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, რუსეთის, უკრაინის, უზბეკეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობების შედარების საფუძველზე შემუშავდა საქართველოში ანალოგიურ დანაშაულთან წარმატებული ბრძოლის ხელშემწყობი რეკომენდაციები.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა, განსაზღვრულიყო კვლევის საგანთან დაკავშირებული იურიდიული ცნებები (მაგალითად, ისეთი სპეციალური იურიდიული ტერმინები, როგორიცაა წამება, ტანჯვა, ძალადობა, წამების სპეციალური სუბიექტი და ა.შ.), გამოვლენილიყო მათი ნიშნები, მომხდარიყო კლასიფიკაცია, განმარტებულიყო სამართლებრივი რეგულაციები, დაზუსტებულიყო მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, მომხდარიყო მათი ინტერპრეტაცია, შესწავლილიყო ის ფაქტორები და პირობები, რომლებშიც მოცემული ნორმები მოქმედებენ. აღნიშნული მეთოდის გამოყენება გამოსაკვლევი მოვლენის ტექნიკურ-იურიდიული და ნორმატიული მხარის დეტალური შესწავლისა და აღნიშნულის საფუძველზე საკანონმდებლო რეკომენდაციების მომზადების საშუალებას იძლევა. კერძოდ, შემოთავაზებულ იქნა ცვლილებები და დამატებები

საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, 126-ე მუხლის („ძალადობა“) ამოღება, 144[1] მუხლის ახალი რედაქცია და სხვა ცვლილებები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა, აგრეთვე, სტატისტიკური მეთოდი. კონკრეტულ ნაშრომში სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა კვლევის ფაქტობრივი მასალით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა. სტატისტიკური მასალის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა თეორიული განზოგადება, საქართველოში ძალადობისა და წამების განვითარების კანონზომიერებების დადგენა. სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, შესასწავლი მოვლენის გენერალური ერთობლიობიდან, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, გამოყო რეპრეზენტატული ჯგუფი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა შესასწავლი პარამეტრების განაწილების ობიექტური კანონზომიერებების გამოვლენა ისე, რომ გამოკვლევას დაექვემდებარა არა გენერალური, არამედ რეპრეზენტატული ერთობლიობა.

ავტორი, ასევე, დაეყრდნო სოციოლოგიურ მეცნიერებათა კვლევის სპეციფიკური მეთოდებით მოპოვებულ მასალებს, რამაც საშუალება მისცა ემპირიულ დონეზე დაკვირვებოდა ქართულ საზოგადოებაში ძალადობასა და წამებაზე მოსახლეობის რეაქციასთან დაკავშირებულ პროცესებს. ჩატარდა ლოგიკური თანმიმდევრობით შემდგარი მეთოდოლოგიური, მეთოდური და ორგანიზაციულ-ტექნიკური სისტემისგან შემდგარი გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი კრიმინალური ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ ზუსტი, ობიექტური მონაცემების მიღება იყო.

კვლევის ფარგლებში ავტორმა

- მოახდინა 300 რესპონდენტის ანკეტირება; კვლევაში მონაწილე პირები თავად ავსებდნენ კითხვარს კურატორის თანდასწრებით. ინტერვიუსთვის შეირჩა 50-60-კაციანი 5 რეფერენტული ჯგუფი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. კვლევაში გამოყენებულ იქნა რეპრეზენტატულობის ინდექსი.
- განხორციელდა პენიტენციურ სისტემაში ძალადობის მსხვერპლი 100 რესპონდენტის ინტერვიურება, როგორც პირდაპირი (პირისპირ), ისე არაპირდაპირი (მაგალითად, ტელეფონით) წესით.

კვლევის შედეგები:

7. წამების მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, მაგრამ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის შემთხვევაში მსგავსი რისკი უფრო მაღალია. მსხვერპლის უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი მამაკაცები არიან. წამებისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დამნაშავისა და დაზარალებულის ასაკი უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირია: 18-დან 35 წლამდე. მსხვერპლის ნაწილი ექვემდებარება განმეორებით ვიქტიმიზაციას.
8. წამების ყველაზე უფრო სრულყოფილ და მისაღებ განმარტებად შეიძლება მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციით დადგენილი განსაზღვრება, რომლის თანახმადაც: „კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.“
9. წამების შემადგენლობის თავისებურება მისი ობიექტების სიმრავლით გამოიხატება. ერთ-ერთი ასეთი ობიექტია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. წამების სხვა ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შეიარაღებული ძალების, საქართველოს სხვა სამხედრო ფორმირებების სწორ, კანონიერ საქმიანობას.
10. წამების მრავალწახნაგოვანი ბუნება წარმოჩნდება ძალადობის პრობლემისადმი სისტემური მიდგომით. ამგვარი მიდგომა ეფუძნება ინდივიდუალური და კონტექსტუალური ფაქტორების ურთიერთკავშირს და ძალადობას განიხილავს, როგორც

ადამიანის ქცევაზე მოქმედი მრავლობითი ფაქტორების პროდუქტს. ასეთ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

- პიროვნულ-ბიოლოგიური;
- პიროვნულ-სოციალური (ურთიერთობები);
- სოციალური გარემო (თემი, საზოგადოება) ;
- საზოგადოებრივი განვითარება (სახელმწიფო).

11. წამების წინააღმდეგ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელია მათი სისტემატიზაცია, ზოგადი ხასიათისა და ე.წ. სპეციალური დოკუმენტების ცალ-ცალკე დაჯგუფება. ზოგადი ხასიათის დოკუმენტებში უნდა გამოვყოთ ძირითადი და დამხმარე დოკუმენტები. სპეციალურია: 1) ცალკეული პირის დაცვაზე ორიენტირებული, 2) წამების აღმკვეთი (პრევენციული), 3) „პროფესიული“, 4) „პირდაპირი“ დოკუმენტები. მოცემული ჯგუფები, თავის მხრივ, ქვეჯგუფებად იყოფა.
12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე წარმოდგენილია ფიზიკურ ძალადობასთან შეუღლებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებით. წამების სპეციალური სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, პირები, რომლებიც ასრულებენ ორგანიზაციულ-განმკარგველ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებში, სხვა საჯარისო და სამხედრო ფორმირებებში ან წარმოადგენენ სპეციალური დახურული სამკურნალო დაწესებულების პერსონალს.
13. წამების ჩამდენი პირის განმასხვავებელი თავისებურებებია: ა) ძირითადად შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებში მუშაობა; ბ) სისტემის სოლიდარობასა და კორპორატიულობაზე დაფუძნებული თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და ძალაუფლების გამოყენება; გ) სხვა ადამიანის ღირსების უპატივცემულობა, კულტურის დაბალი დონე, ნეგატიური პიროვნული თვისებები (სისასტიკე, აგრესიულობა,, თავშეუკავებლობა, კარიერიზმი და სხვ.);
14. წამების ჩამდენი დამნაშავის ტიპოლოგია ეფუძნება მის მიერ ჩადენილი ქმედების მოტივს, რომელიც შეიძლება იყოს: ა) ანგარება; ბ) დანაშაულის გახსნის, ჭეშმარიტების

დადგენის აუცილებლობა; გ) სამსახურებრივი ინტერესების არასწორად გაგება; დ)კარიერიზმი და ა.შ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

ქართულ მეცნიერებაში დისერტაცია არსობრივად თანამდებობის პირთა მხრიდან ძალადობის, კერძოდ, წამების პრევენციის თეორიული და გამოყენებითი, კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი პრობლემების პირველი კომპლექსური მონოგრაფიული კვლევაა.

8. ავტორის მიერ შემოთავაზებულია ძალადობის და წამების ცნებათა ახლებური განმარტება და წამების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის ახალი მოდელი;
9. თეორიულად დამუშავდა საკანონმდებლო ნორმებში შესატანი ცვლილებები და დამატებები, განისაზღვრა და დასაბუთდა მათი ადგილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, დადგინდა საზღვრები წამების მომიჯნავე დანაშაულთა შემადგენლობებთან;
10. ავტორის მიერ, ასევე, შემოთავაზებულ იქნა ძალადობასა და წამებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინის ახლებური განმარტება;
11. შემუშავდა წამების პრევენციის პრინციპები დამნაშავის პიროვნებისა და დაზარალებულისათვის დამახასიათებელი თვისებების, ასევე, მისი სოციალური სტატუსის გათვალისწინებით;
12. წამების არასწორი კვალიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით გამოიკვეთა უზენაესი სასამართლოს ნორმატიული დადგენილების მიღების აუცილებლობა, რომელშიც:

    - საჭიროა სასამართლოების ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ძალადობასა და წამებასთან დაკავშირებული დანაშაული არსებით ზიანს აყენებს ადამიანის კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამიტომ აღნიშნული კატეგორიის საქმეების დროული და სწორი განხილვა ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეალური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის;
    - ხაზი უნდა გაესვას წამების პრევენციის მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით, სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს საქმეში წარმოჩენილი წამების

ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ რესპუბლიკაში კანონიერების დაცვის მდგომარეობაზე;

- ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამოტანილ კერძო დადგენილებებზე და შესაბამისი ზომების გატარების აუცილებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს წამების მიზეზების აღმოფხვრას.

13. თეორიულ დონეზე გამოიყო წამების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების 4 ჯგუფი: სოციალური, სახელმწიფო (უპირეტესად შინაგან საქმეთა და პენიტენციური სისტემის) ორგანოების თანამშრომლების ფუნქციურ მოვალეობებთან დაკავშირებული, დაუსჯელობის ხელშემწყობი და წამების სუბიექტის პიროვნული ხასიათით განსაზღვრული მიზეზები და პირობები.

14. დაისახა წამებასთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებები, როგორიცაა:

- აღნიშნული ფაქტების გამომძიებელი დამოუკიდებელი ორგანოს ფორმირება;
- მოქმედ კანონმდებლობაში ისეთი ნორმის ამოქმედება, რომლის საფუძველზეც პროკურორს დაეკისრება წამების ფაქტის არარსებობის დამტკიცების ვალდებულება სასამართლო სხდომაზე. ასევე მნიშვნელოვანია იმ მოთხოვნების ლეგალიზაციაც, რომელთა თანახმად მოხდება წამების თაობაზე განცხადების შემოწმების მექანიზმის რეგლამენტაცია;
- ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლისთვის ნორმატიული უფლების მინიჭება, ექსპერტიზა გაიაროს ექიმთან, რომელსაც არ აქვს კავშირი შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებთან.
- დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის დანერგვა, რაც მოქალაქეებს თანამდებობის პირთა მხრიდან ძალადობისა და წამებისაგან დაცვის უფლების რეალიზების ფართო საშუალებას მისცემს;
- შინაგან საქმეთა ორგანოებში ანგარიშგების სისტემის შეცვლა (მაგალითად, დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის ჩანაცვლება სხვა მაჩვენებლით);
- „წამების აღკვეთის“ შესახებ კანონის შემუშავება და მისი მიღება საქართველოში.

თავი 1. ძალადობის კრიმინოლოგიური კვლევის თეორიული ასპექტები

1.1. კრიმინალური ძალადობის ცნება და მისი ძირითადი სახეობები

ძალადობა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების ყოფის შემადგენელ ნაწილს. მის მრავალფეროვან გამოვლინებას გამუდმებით ვაწყდებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება და კიდევ უფრო მეტი იღებს სხეულის დაზიანებას როგორც საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის, ისე პიროვნებათაშორისი და ძალადობის კოლექტიური ფორმების რეალიზების შედეგად. ძალადობა სიკვდილიანობის ერთერთი ძირითადი მიზეზთაგანია 15-დან 44 წლამდე ასაკის მოსახლეობას შორის.(280) რთულია, ზუსტად შეაფასო ძალადობრივი ქმედებებით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი, თუმცა, ნათელია, რომ ის მილიარდობით ამერიკულ დოლარს შეადგენს, რომელიც ნაწილდება ჯანდაცვის საჭიროებებზე, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებასა და განუხორციელებელ კაპიტალდაბანდებებზე; გასათვალისწინებელია, აგრეთვე, დაკარგული სამუშაო დღეების გამო ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალიც.(323, 17)

ტრადიციულად ანთროპოლოგები ძალადობას განიხილავდნენ, როგორც პრიმიტიული, არაცივილიზებული საზოგადოების ერთერთ მახასიათებელს ან, როგორც დევიანტური, ასოციალური ქცევის ფორმას.

მეცნიერები ისწრაფვოდნენ გამოევლინათ ძალადობის, როგორც საზოგადოებრივი კულტურის ნაწილის არსებობისა და გამოვლენის თავისებური წესები და კანონები. კლასიკურ ანთროპოლოგიაში ძალადობა ხშირად განიხილება, როგორც განსაზღვრული სოციალური ფუნქცია (145,13). (11). სწორედ ამგვარი ფუნქციური მიდგომის ფარგლებში მოიაზრება ძალადობა და ბრძოლა შემაკავშირებელი ფუნქციის მატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ისინი დანაწევრებასა და დაყოფაზე არიან ორიენტირებული.

ძალადობა ხშირად ინტერპრეტირდება, როგორც თავისებური ობიექტური ფორმა ადამიანის სოციალური ყოფისა, რომელიც საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს და ჩაახშოს. (155) ამგვარი მიდგომა საფუძვლად უდევს ზიგმუნდ ფროიდის (12) ფსიქოანალიზს, ემილ დიურკჰეიმის (105). (106), სოციოლოგიას, მარსელ მოსის (124) ანთროპოლოგიას. ძალადობის სოციალური მოცემულობა სახელმწიფოს, როგორც ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლისტის, კონცეფციის ერთერთ საფუძველს შეადგენს.

კიდევ უფრო ესენციალისტურ შეხედულებას იზიარებენ ძალადობაზე სოციო-ბიოლოგიის მიმდევრები, რომლებიც მას ადამიანის გენეტიკურ ბუნებას უკავშირებენ. მაგალითად, ცხოველთა სამყაროში აგრესიის ეტიოლოგიური შესწავლის საფუძველზე ზოგიერთი ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანსაც გააჩნია შინაგანი აგრესიის ერთგვარი მემკვიდრეობა და სწორედ მისი ეს თვისება უდევს საფუძვლად იარაღის განვითარებასა და ომების ორგანიზებას; თუმცა, ადამიანისთვის უცხოა აგრესიის ბიოლოგიურად უკონტროლო მექანიზმები, რაც სხვა ცხოველური ორგანიზმებისთვისაა დამახასიათებელი. ლორენცი აღნიშნავს, რომ, როდესაც ადამიანმა განვითარების გზაზე მიაღწია იარაღის, ტანსაცმლის გამოყენების, სოციალური ორგანიზაციის სტადიას, თავი დააღწია შიმშილის, ველური ცხოველების თავდასხმისა და გაყინვის საფრთხეს და როდესაც ეს საფრთხეები აღარ წარმოადგენდნენ ძირითად ფაქტორებს ბუნებრივი გადარჩევის პროცესში, მაშინ თანდაყოლილ აგრესიაზე დაფუძნებული სელექცია უკანა პლანზე გადავიდა, რის შემდეგაც ბუნებრივ გადარჩევაზე გავლენის მქონე ფაქტორად მტრულ მეზობლურ ტომებს შორის ომი იქცა.(189)

ამგვარი მიდგომა თითქმის კატეგორიულად უარყო თანამედროვე მეცნიერებამ, თუმცა სოციო-ბიოლოგიური აზრი უფრო რაფინირებული სახით იქნა შემონახული. სწორედ სოციობიოლოგიური მოსაზრებების გათვალისწინებით შესრულდა ეთნოგრაფიული კინო-კლასიკა ანომამას თემის შესახებ, რომელმაც გაცხარებული დისკუსია გამოიწვია მეცნიერებს შორის. განსაკუთრებული დაპირისპირების საგნად იქცა ამერიკელი ანთროპოლოგის, ნ. შენონის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მკვლელ მამაკაცებს ჰყავდათ უფრო მეტი ქალი და ბავშვი (ვიდრე არამკვლელებს), რეპროდუქციის ფაქტორი გადამწყვეტია თემური ძალადობის არსში წვდომისთვის.(108) მ. სალინზმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მსგავსი მიდგომა არ ხსნის ძალადობისა და რეპროდუქციის ფაქტორის თანაკავშირის მექანიზმს, ასევე არაფერს იძლევა ძალადობის სპეციფიკური ფორმების გაგების კუთხით.(140).

თანამედროვე მეცნიერება ფაქტობრივად უარს ამბობს ადამიანთა მხრიდან ძალადობის მიზეზები ახსნას ბიოლოგიურ-მემკვიდრეობითი ფაქტორებით, განსაკუთრებით, თუ საუბარია ძალადობის კოლექტიურ ფორმებზე, როგორც ადამიანური ბუნების თავისებურ ზოგად მახასიათებელზე. ერთერთი ავტორის თანახმად, ისტორია და შედარებითი ანთროპოლოგია გვიჩვენებს, რომ ადამიანები ომობენ არა განსაზღვრული ინსტიქტის დასაკმაყოფილებლად, არამედ საკუთარი ინტერესების კონფლიქტის გამო სხვათა ინტერესებთან; აღნიშნული ინტერესების არსი, ფასეულობა და ხასიათი კი კულტურული ფაქტორებით განისაზღვრება.(190)

ძალადობის ანთროპოლოგიურ ინტერპრეტაციაში იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი - ე.წ. ეკოლოგიური მიდგომა, რომლის მიხედვითაც ადამიანთა კოლექტივის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების ნაირსახეობა და მათი ხელმისაწვდომობა. ასე მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა ანთროპოლოგმა რ. რაპაპორტმა ახალი გვინეის შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ დემოგრაფიული ზეწოლა იწვევს კონფლიქტებს, რომელთაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის გადანაწილება სასიცოცხლოდ ხელსაყრელ ტერიტორიებზე, თუმცა, მხოლოდ რესურსების ან სხვა ბუნებრივი ფაქტორების გამო დაპირისპირებით ამ მეტად იდეოლოგიზებული და მანიპულირებადი კონფლიქტების ახსნა შეუძლებელია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მათში მონაწილე რიგითი მოძალადეების ქმედებების მოქნილობასა და დემონსტრირებად სისასტიკეს.(70, 55)

ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობდა სოციობიოლოგიური და ეკოლოგიური მიდგომების მომხრეთა შორის, განსაკუთრებით ამაზონის თემებს შორის მიმდინარე ომების ახსნასთან დაკავშირებით, თუმცა, რაიმე სახის კონსენსუსის მიღწევა ამ კუთხით ვერ მოხერხდა. აღნიშნული დებატების უფრო ნაყოფიერ შედეგად მოგვევლინა ნაშრომები მშვიდობიან საზოგადოებათა ეთნოგრაფიის შესახებ.

კოლექტიური ძალადობა და, უპირველეს ყოვლისა, ომები აქტიურად შეისწავლებოდა სახელმწიფოებრიობის ადრეული ფორმებისა და ზოგადად, ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბების კონტექსტში. აღიარებულ იქნა სამეცნიერო დასკვნა იმის შესახებ, რომ ძალადობა წარმოადგენდა ერთგვარ მამოძრავებელ ძალას (კატალიზატორს) ადრეული და უფრო გვიანდელი ისტორიული ეპოქის სახელმწიფოების განვითარებისთვის.

შედარებით რთულია ვაღიაროთ, რომ ძალადობა უზრუნველყოფს სახელმწიფოთა სტაბილურობას თანამედროვე მსოფლიოში, საკამათოა ისიც, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ის მასობრივი განადგურების იარაღის ეპოქაში.

ზოგადი დასკვნების რიგს უნდა მივაკუთვნოთ დებულებები იმის შესახებ, რომ ძალადობა თავისი პირველადი ბუნებით ატარებს უფრო კოლექტივისტურ ხასიათს და არა პიროვნულ-ინდივიდუალურს, რომ ის სოციალური და არა ასოციალური ან ანტისოციალური მოვლენაა და კონსტრუირდება და ინტერპრეტირდება არსებული კულტურის შესაბამისად. უახლესი მიდგომების საფუძველზე საშუალება მოგვეცა ძალადობისთვის უფრო კომპლექსურად შეგვეხედა და განგვემარტა მისი ძირითადი პარამეტრები (145, 111).

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ძალადობის ცნების კრიტერიუმებისა და ნორმების ჩამოყალიბებაზე არსებით გავლენას ახდენს არსებული კულტურული გარემო. საზოგადოებრივი განვითარებისა და ტრადიციების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანასა და ხალხებში ძალადობის შეფასებისადმი მიდგომებიც განსხვავებულია. ანუ, ის, რაც ერთ კულტურაში უპირობოდ ძალადობად იწოდება, სხვაში მეტ-ნაკლებად მისაღებ და მისასალმებელ ნორმად აღიქმება.

მეორე, რაც აღნიშვნის ღირსია, გახლავთ ის, რომ ძალადობა ძირითადად ორი სახით ვლინდება. ერთი განიხილება, როგორც ბიოლოგიური ძალადობა ფიზიკური ზიანის მიყენებითა და ლეტალური გამოსავლით; მეორე - სიმბოლური ხასიათისაა. ასე მაგალითად, სოციოლოგების

აზრით, ნებისმიერი პედაგოგიური ზემოქმედება ობიექტურად სიმბოლურ ძალადობას წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც, სხვისი ნების თავს მოხვევას აქვს ადგილი (96, 17).

თუმცაღა, მთლიანობაში ძალადობის თეორია არასაკმარისადაა დამუშავებული, რასაც, თავის მხრივ, ნაკლებად პროდუქტიულ დებატებამდე მივყავართ ომებისა და კონფლიქტების თეორიების განხილვის დროსაც. (6) როგორც საიმონ ჰარისონი აღნიშნავს სტატიაში „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ენციკლოპედია“, „ომის ადეკვატური თეორია ძალადობის თეორიული არსის განსაზღვრასთან დაკავშირებული უფრო მსხვილი პრობლემის გადაჭრის მოლოდინშია, რაც სუსტადაა დამუშავებული ანთროპოლოგიაში“ (51).

ძალადობის ამომწურავი ანალიზი უნდა დაიწყოს მისი მრავალფეროვანი ფორმების განსაზღვრით, რაც შესაძლებელს გახდის, მოვახდინოთ აღნიშნული მოვლენის მეცნიერული გაზომვა. ძალადობა ინტერდისციპლინარული ცნებაა და მისი განმარტების მრავალი ვარიანტი არსებობს. ერთერთი მათგანი ძალადობას განსაზღვრავს, როგორც ძალის გამოყენებას (ან მისი გამოყენების მუქარას) განსაზღვრული სოციალური სუბიექტების ან მათი საკუთრების მიმართ, დაშინებისა და გარკვეული ქმედებების განხორციელების იძულების მიზნით (103, 203). აღნიშნული ზოგადთეორიული განმარტება მსგავსია სამართლებრივ ლიტერატურაში მოწოდებული სხვა განმარტებისა, რომლის თანახმადაც, ძალადობა ერთი ადამიანის ფიზიკური (ცემა, სხეულის დაზიანება) ან ფსიქიკური (მუქარა) ზემოქმედებაა მეორეზე (175, 22).

რადიკალურ თეორიებში ძალადობა განიმარტება, როგორც განსაზღვრული კლასის (სოციალური ჯგუფის) მიერ სხვა კლასების (ჯგუფების) მიმართ იძულების ნაირგვარი ფორმის გამოყენება ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის მოპოვება-შენარჩუნებისა თუ სხვადასხვა პრივილეგიის დაუფლების მიზნით. გრეჰემი და გური ძალადობას განსაზღვრავენ, როგორც ადამიანისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებაზე ან მისი საკუთრების დაზიანებაზე მიმართულ ქმედებას (181).

განმარტებათა მრავალფეროვნების და არასრულყოფილების მიუხედავად, მათში უდავოდ იკვეთება საერთო ნიშნები. კერძოდ:

- ძალადობა ყოველთვის გულისხმობს ძალის, მუქარის გამოყენებას, ანუ ის ვლინდება ქმედებაში და ატარებს ღია ხასიათს;

- ჩვეულებრივ, გააჩნია მიზანი. გაცნობიერებული მიზნის არსებობა ძალადობის აუცილებელი ატრიბუტია;
- ეს არის „ვინმეს იძულება რაიმეზე“, კონკრეტული სუბიექტის ზემოქმედება კონკრეტულ ობიექტზე;
- შეიძლება გამოვლინდეს ორი ფორმით - ფიზიკური და მორალური ძალადობით (141, 11-12).

ძალადობის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს სხვადასხვა საგანი, მატერიალური და არამატერიალური პირობები, განხორციელების სფეროები: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სულიერი, ეკოლოგიური, პირადული.

სუბიექტურს მიეკუთვნება ძალადობის ფსიქოლოგიური მხარე.

წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა ხშირად მარტივად და სწრაფად შეიძლება, მხარეებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მაგრამ აღქმის განსხვავებული ფსიქიკური პროცესის გამო საკითხის გადაჭრა ზოგჯერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ხდება. სუბიექტური შემადგენლობა მჟღავნდება იმაში, რომ ძალადობა აღმოცენდება და გამართლებულია სხვის (მტრის) მიმართ, საკუთარი მისამართით კი ის ნეგატიურად აღიქმება, როგორც დაუშვებელი მოვლენა ან დანაშაული. შესაბამისად, ლოგიკურია აღინიშნოს კავშირი ძალადობის ეთნონაციონალურ, ისტორიულ, სოციო-კულტურულ მახასიათებლებსა და საზოგადოებისა თუ ინდივიდის ქცევით დომინანტს შორის. ფასეულობათა საბაზო სისტემა განსაზღვრავს ძალადობრივი აქტის ხასიათს, მისი ამათუიმ ფორმის აღქმას, თუმცაღა ძალადობის შედეგად ის თავად შეიძლება შეიცვალოს.

ძალადობა უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი განვითარების კანონებთან დაკავშირებული სოციალური მოვლენა, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ერთერთი ფორმათაგანი. ამ ურთიერთქმედებაში, მინიმუმ, ორი მხარე მონაწილეობს და შეუთავსებადი, ერთმანეთის გამომრიცხავი მიზნების მიღწევას ისახავს მიზნად. ძალადობა სოციალურ სფეროში სახელმწიფოების, ხალხების, ეთნოსების, სოციალური ჯგუფების, პიროვნებების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების უკიდურეს გამოხატვას გულისხმობს. ის სოციალური, პიროვნებათაშორისი წინააღმდეგობების გადაწყვეტის ერთერთი საშუალებაა. ძალადობის ფორმების შინაარსი დამოკიდებულია ე.წ. კულტურული დომინანტის, სოციალური ურთიერთობების მიღწეულ დონეზე. სოციუმის განვითარების ხასიათი განსაზღვრავს ძალადობის დონესა და შესაძლებლობებს. თუ საზოგადოებაში ბატონობს დემოკრატიის

პრონციპები და გამართულად ფუნქციონირებს შესაბამისი ინსტიტუტები, ძალადობის ფორმები შედარებით „რბილია“.

ძალადობის შესწავლისას პრინციპულად მნიშვნელოვანი ასპექტია მისი ობიექტი, როგორიცაა:

- სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ზნეობრივი და დაზარალებულის სხვა მახასიათებლები, რომელთა ცოდნა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ, თუ რა პიროვნული, სოციალური თუ სხვა მიზეზების გამო იქცა ის ძალადობის მსხვერპლად;
- მსხვერპლის ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში, სიტუაციებში, რომლებიც წინ უსწრებდნენ ან თან ახლდნენ ამგვარ ქცევას;
- ურთიერთობები დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, ხანგრძლივი თუ მყისიერად აღმოცენებული, რომლებიც ხშირად წინ უძღვის კრიმინალურ ძალადობას;
- მსხვერპლის ქცევა დანაშაულის შემდეგ, რაც მნიშვნელოვანია არამარტო გამოძიებისა და დამნაშავეთა გამოაშკარავებისთვის, არამედ ახალი სამართალდარღვევების პრევენციისთვის.(78)

ძალადობის ობიექტთან დაკავშირებული საბაზო ცნებებია ვიქტიმურობა და ვიკტიმიზაცია. ვიქტიმურობა, ანუ ვიქტიმოგენობა, ადამიანის მიერ შეძენილი სოციალური, ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნებია, რომლებიც მის მსხვერპლად ქცევას უწყობენ ხელს. ვიკტიმიზაცია ვიქტიმურობის შეძენის პროცესია.

პოზიტივისტური, ანუ ინტერაქციური ვიქტიმოლოგიის ერთერთი ფუძემდებელთანი ბ. მენდელსონი თავის კლასიკურ ნაშრომში „ვიქტიმოლოგიის დოქტრინის წარმოშობა“ ვიქტიმურობას „დანაშაულობის“ ცნების ანალოგად მიიჩნევს: „თუ დანაშაულობა დამნაშავედ ყოფნის ფაქტი, თავისებურება და მდგომარეობაა, ვიქტიმურობა - მსხვერპლად ყოფნის მდგომარეობა, თავისებურება და ფაქტია (65, 239-244).

ძალადობა და მისი ცალკეული აქტი ემსახურება საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ დონეებზე ამა თუ იმ ჯგუფთან კუთვნილების გაცნობიერებას. ძალადობა აღმოცენდება სამი ძირითადი გზით:

- როგორც იდეალური მოდელი ძალადობრივი ქმედებისა უკვე არსებული ობიექტის მიმართ;
- როგორც იდეალური მოდელი ქმედებისა და ძალადობის ობიექტის მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვრისა;

- როგორც გაუცნობიერებელი, რეფლექტორული ქმედება (194, 29).

ძალადობის აღმოცენების ეს გზები მჭიდრო კაშირშია ადამიანის მოთხოვნილებებთან, მათ შორის, ძალადობის ჩადენის მოთხოვნილებასთან. ძალადობა წარმოგვიდგება, როგორც პიროვნების თვითგამორკვევის ერთგვარი მექანიზმი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების თვითრეგულაციის, მისი ხასიათის ცვლილების (მავანთა პოზიციის გამყარება და სხვათა პოზიციის შესუსტება, მსოფლიო პოლიტიკური რუქის შეცვლა და ა.შ.) საშუალება. ძალადობა ხელს უწყობს სოციალური სისტემის თვითორგანიზაციას, მის გარდაქმნას, ახალი ფასეულობებისა და სტრუქტურის აღმოცენებას. ავტორები გამოყოფენ ძალადობის შემდეგ ფუნქციებს:

- კომპენსატორულს, როდესაც ერთი მხარე ნაკლოვანების კომპენსირებას მეორის ხარჯზე ახდენს;
- საზოგადოებას მიანიშნებს არსებულ წინააღმდეგობებზე, სოციალური სისტემის სუსტ წერტილებზე, მისი განვითარების დონეზე;
- არეგულირებს წინააღმდეგობებს სოციალურ და ინდივიდუალურ დონეებზე.

იმდენად რამდენადაც, ძალადობას სოციალურად განსაზღვრული, მიზანმიმართული ხასიათი აქვს, ძალადობა ძალადობისთვის (მაზოხიზმი, სადიზმი, მანიაკალური ქმედებები) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფსიქიკური განწყობით განსაზღვრული დევიანტური ქცევა, რომელიც არ არის კავშირში სოციალურ შემადგენელთან.

ძალადობა რთული ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური მოვლენაა და მისი სისტემური განხილვა მოცემული მოვლენის შესწავლის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპია. ძალადობა აღმოცენდება მაშინ, როცა არ ხდება ინტერესების, მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობების თანხვედრა, როდესაც მოლოდინის ასრულება და სურვილის განხორციელება ვერ მიიღწევა „ჩვეულებრივი“ გზით. ძალადობა, ერთგვარად, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალ შესაძლებლობებს იძლევა და ხელს უწყობს შინაგანი დაძაბულობის მოხსნას, რომელიც მაშინ აღმოცენდება, როდესაც არ ხდება სურვილისა და შესაძლებლობის თანხვედრა.

არსებობს მოსაზრება, რომ ძალადობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც:

- სოციალური ტექნოლოგია;

- წინააღმდეგობის დაძლევის საშუალება;
- ქცევის საშუალება სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში;
- ძალადობის ლიკვიდაციის, ბლოკირების საშუალება (ანუ ძალადობა ძალადობის პასუხად) (86).

ძალადობა, როგორც რეალური ფენომენი სოციალური ურთიერთობების არსის ერთერთი შემადგენელია მისი ორგანიზაციის ყველა დონეზე. სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ, სხვა ცხოვრებისეული სიტუაციებისაგან განსხვავებით, საზოგადოებისა და ინდივიდის მიერ ძალადობა უკიდურესად ემოციურად აღიქმება, ზოგს აშინებს, სხვებს შთააგონებს.(279, 67)

იმის მიუხედავად, ძალადობა აგრესიის თუ თავდაცვის აქტია, ის ყოველთვის შეიცავს აგრესიის ელემენტს. ე. ფრომი გამოყოფს ბიოლოგიურად ადაპტირებულ აგრესიას, რომლის მიზანია სიცოცხლის შენარჩუნება. ეს ეგრეთ წოდებული კეთილთვისებიანი აგრესიაა, განსხვავებით ავთვისებიანისგან, რომელსაც მსგავსი მიზანი არ აქვს. ფრომი გამოყოფს ასევე აგრესიას წინასწარი განზრახვის გარეშე (ზიანის შემთხვევით მიყენება), ე.წ. „სათამაშო აგრესიას“ (სასწავლო წვრთნები, რომელთაც არ აქვთ გამანადგურებელი მიზნები), თვითდამკვიდრების აგრესიას (შეტევა მიზნის მისაღწევად), თავდაცვით აგრესიას (როგორც სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე მიმართული რეაქცია), აგრესიას, როგორც თავისუფლების მოთხოვნის გამოხატვას, კონფორმისტულ და ინსტრუმენტულ აგრესიას (ლტოლვა იმის მიმართ, რაც გსურს). აგრესიის ყველა სახეობას მეცნიერი საზოგადოებაში ადამიანის ქცევის მისაღებ ფორმებად თვლის (145, 65).

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ძალადობას განმარტავს, როგორც ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგანზრახვით გამოყენებას, როგორც რეალურად, ისე მუქარის სახით, მიმართულს საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგი სხეულის დაზიანება, სიკვდილი, ფსიქიკური ტრავმა, ნორმალური განვითარებიდან გადახრა, ასევე სხვადასხვა სახის ზიანი ან მათი დადგომის მაღალი ალბათობაა (323).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძალადობა კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან:

- არსებობს საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე;

- წარმოადგენს სოციალური წინააღმდეგობების გადაჭრის ფორმას და შესაბამისად, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ფაქტორს;
- გააჩნია ტრანსფორმაციული გავლენა სოციალურ სისტემაზე და გარემოზე;
- ვლინდება სოციალური ორგანიზაციის ყველა დონეზე - ინდივიდიდან მსოფლიო საზოგადოებამდე.

მასშტაბის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ:

- ძალადობის ცალკეული ობიექტები (ინდივიდი, ჯგუფი და ა.შ.)
- ძალადობა ტერიტორიული გავრცელების მიხედვით - რეგიონული ძალადობა, გლობალური ძალადობა და სხვა.

დონის მიხედვით შეიძლება არსებობდეს ძალადობა

- ინდივიდის მიმართ;
- საკუთარი თავის მიმართ (თვითდასახიჩრება, სუიციდი);
- ადამიანებს (ინდივიდებს) შორის;
- საზოგადოებას, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის;
- კაცობრიობასა და გარემოს შორის;
- ჯგუფის, ეთნოსის, ნაციის, ხალხის, სახელმწიფოს მიმართ;
- ხალხთა ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

- რბილი ძალადობა (სავალდებულო);
- მკაცრი ძალადობა (მოქმედების, თავისუფლების შეზღუდვა და სხვ.)
- სასტიკი ძალადობა (სიცოცხლის ხელყოფა, წამება, ომი, ტერორიზმი).

ძალადობა, ასევე, შეიძლება იყოს:

- ფიზიკური;
- სულიერი;
- პოლიტიკური;
- ეკონომიკური;
- გაცნობიერებული;

- გაუცნობიერებელი;
- ინტერპერსონალური;
- ინდივიდუალური;
- ჯგუფური;
- ჯგუფთაშორისი (348, 33).

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ზოგიერთი სახეობა საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც აუცილებელი სოციალური ქმედება (მაგალითად, იდეოლოგიური ან საკულტო ძალადობა).

ძალადობა, როგორც პროცესი, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება, რაც არ არის დამოკიდებული ძალადობის დროზე, ადგილსა თუ ფორმაზე. გამოყოფენ ოთხ ეტაპს:

1. ძალადობაზე მოთხოვნილების, ანუ ობიექტური საფუძვლების, პირობებისა და ცხოვრებისეული სიტუაციის მომწიფების ეტაპი;
2. პოტენციური საფუძვლებიდან ძალადობის რეალურ მზადებაზე გადასვლის ეტაპი;
3. ძალადობრივი ქმედების ეტაპი;
4. ძალადობის დასრულების ეტაპი თავისი სოციალური და ინდივიდუალური შედეგებით.

ლიტერატურაში ძალადობა განხილულია ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო მიდგომა გულისხმობს ძალადობის გამოვლინებას ნებისმიერი ფორმითა და ნაირსახეობით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ არსთან მიმართებით. ვიწრო გაგებით, ძალადობა, ჩვეულებრივ, დაიყვანება ადამიანთა მიერ ერთმანეთისთვის ფიზიკური და ეკონომიკური ზიანის მიყენებამდე (სხეულის დაზიანება, მკვლელობა, ყაჩაღობა, წამება). ჩვენი აზრით, ის, რასაც ”ვიწრო გაგებით ძალადობას” უწოდებენ, კონკრეტული ძალადობრივი ქმედებებია, რომლებიც ერთობლივად ძალადობის შინაარსობრივ მხარეს შეადგენენ (329).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ძალადობის ცნება შეიცავს ძალადობის აქტის წინასწარგანზრახულობასა და მის ფაქტობრივ ჩადენას, დამოუკიდებლად მისი შედეგისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადობად არ ჩაითვლება წინასწარგანუზრახველი უბედური შემთხვევები, მაგალითად სხეულის დაძიანებები ავტო-სატრანსპორტო შემთხვევების გამო, ან დამწვრობები (323).

განმარტებაში „ძალაუფლების გამოყენების“ ჩართვა აფართოვებს ძალადობრივი აქტის არსს მასში იმ ქმედებების ჩართვით, რომელთა წყარო ადამიანზე ძალაუფლების ქონაა; ასეთია მუქარა და დაშინება. გარდა ამისა, „ძალაუფლების გამოყენება“ ნიშნავს ზრუნვის განუხორციელებლობას, დახმარების აღმოუჩენლობას ან უყურადღებობას, რაც ასევე ძალადობრივი აქტების რიცხვსაა მიკუთვნებული. ამგვარად, „ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების გამოყენება“ გულისხმობს ზრუნვაზე უარის თქმას, სასტიკი მოპყრობის ნებისმიერ სახეობას (ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ხასიათისა), ასევე მკვლელობას, საკუთარი სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფას“. მსგავსი განმარტება მოიცავს ძალადობის შედეგების ფართო წრეს, მათ შორის, ფსიქოლოგიურ ზიანს, ჯანმრთელობის დაზიანებასა და განვითარების დარღვევას. ყოველივე ეს უფრო და უფრო მეტად აირეკლავს მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ძალადობად აუცილებელია ჩაითვალოს არამარტო სხეულისთვის დაზიანების მიყენება ან მოკვდინება, არამედ სხვა ქმედებებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ცალკეული პირის ჯანმრთელობას, ოჯახებს, საზოგადოებას, ჯანდაცვის სისტემებს მთელ მსოფლიოში. ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ ძალადობის ზოგიერთი ფორმის გამოყენებას შეიძლება თან სდევდეს ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები ისე, რომ არ გამოიწვიოს სხეულის დაზიანება, ინვალიდობა ან სიკვდილი. ძალადობის შედეგები შეიძლება იყოს არამხოლოდ ხილული და ცხადი, არამედ ფარულიც და ზიანის მიყენებიდან მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდეს. შესაბამისად, მხედველობაში მხოლოდ სხეულის დაზიანებისა და ლეტალური გამოსავლის მიღება, ავიწროვებს ძალადობის აქტის ზემოქმედების არსს ცალკეულ პირზე, პირთა ჯგუფზე ან მთლიანად საზოგადოებაზე.(199)

ძალადობა უკავშირდება ქცევის თავისუფლების მიზანმიმართულ შეზღუდვას, სხვის დამორჩილებას, ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების უფლებების დარღვევასა და მათთვის ზიანის მიყენებას. შესაბამისად, ძალადობის განმარტებისთვის გვერდს ვერ ავუვლით ”იძულების” ცნებას. ასე მაგალითად, ა. ა. ჰუსეინოვი ძალადობას აღწერს, როგორც ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის იძულებას, ასევე „მათთვის ქონებრივი ან სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის მიყენებას თავიანთი ნება-სურვილის წინააღმდეგ“. ძალადობის მიზანია, მოძალადის ნება-სურვილს დაუმორჩილოს პირი/პირთა ჯგუფი. შესაბამისად, ძალადობა განიმარტება, როგორც თავისუფალი ნების უზურპაცია, ერთ-ერთი საშუალებათაგანი, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ადამიანის ბატონობას მეორეზე. მეცნიერის აზრით, ძალადობის

მექანიზმი, ტექნოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედების მეშვეობით ადამიანი აიძულო ჩაიდინოს ან პირიქით - არ ჩაიდინოს ესა თუ ის ქმედება. ძალადობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმაა, რომლის მსვლელობისას ცალკეული ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი სიცოცხლისათვის სახიფათო იძულების წესით საკუთარი გავლენის ქვეშ აქცევს სხვას/სხვებს, მათ შესაძლებლობებს, საწარმოო ძალებს, საკუთრებას (173, 77).

ამგვარად, ტერმინმა "ძალადობამ" ფართო განვითარება ჰპოვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, რამაც ერთგვარად გაართულა მისი, როგორც სისხლისსამართლებრივი კატეგორიის შემდგომი გაგება. ძალადობას განმარტავენ, როგორც საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ორგანიზაციის ელემენტს.

ძალადობის ზემოთ აღნიშნული თავისებურებები შეიძლება ჩავთვალოთ მის კრიტერიუმებად, თუ ის შეგნებულად ატარებს დესტრუქციულ ხასიათს, რაც ფიქსირდება კიდეც ყველა განხილულ განმარტებაში.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ მეცნიერთა იმ ჯგუფის მოსაზრებები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ძალადობა შეიძლება პოზიტიურიც იყოს. ასე მაგალითად, ნიცშე ასაბუთებს ძალადობის აუცილებლობას, უფრო მეტიც, მის სარგებლიანობას საზოგადოებისათვის. ასეთად შეიძლება მოვიაზროთ, მაგალითად, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში ან საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობა სიზარმაცის, ნიჰილიზმის ან სხვა ფსიქოლოგიური მანკიერებების დასაძლევად. მეცნიერის აზრით, თავად ცხოვრება მოქმედებს თავის გამოვლინებებში ძალადობრივი გზებით და სხვაგვარად უბრალოდ შეუძლებელია (143, 556).

ინგლისელი სოციოლოგი დ. მარკი წერს: "ძალადობისა და აღმშენებლობის ცნებები უფრო მჭიდრო და პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია" (32, 77). რუსი მკვლევარი ვ.ვ. დენისოვი მიუთითებს, რომ, მსგავსად სოციალური მოვლენების უმრავლესობისა, ძალადობის ფენომენიც არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა არაერთ ასპექტში. მისთვის, მაგალითად, ერთდროულად ნიშანდობლივია ფუნქციონალური და დისფუნქციონალური ტენდენციები, შესაძლებლობა იმისა, რომ დაისახოს სასარგებლო მიზნები და მიღწეულ იქნეს დადებითი შედეგები (105, 87).

ზემოთ აღწერილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, კანონზომიერად ისმის კითხვა: მაინც რაში მდგომარეობს ძალადობის დადებითი როლი?

თუ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების ერთობლიობას განვიხილავთ, მივალთ დასკვნამდე, რომ მავანის ნების დათრგუნვა, მისთვის რაიმეს იძულება შეიძლება კეთილი მიზნებითაც იყოს ნაკარნახევი. ამის მაგალითად გამოდგება მშობლის ძალისხმევა აიძულოს შვილი, მოამზადოს გაკვეთილები, იმკურნალოს ნარკომანიის გამო და სხვ. წარმოდგენილი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია იმისთვის, რომ ძალადობა ვაღიაროთ არაერთგვაროვან ფენომენად, თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტებით. თუმცა, ერთდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები ძალადობას განიხილავენ საყოფაცხოვრებო და არა სამართლებრივ ჩარჩოში, ერთ სიბრტყეში აქცევენ რა ძალადობასა და არამართლსაწინააღმდეგო იძულებას საკუთარ თავის მიმართაც კი (174, 89).

ძალადობის ფენომენის ახსნაში ჩვენ მიერ შეტანილი დამატება არ შეიძლება, არ აისახოს საბოლოო განმარტებაზე. თუმცა, არსებობს კიდევ რამდენიმე ნიუანსი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ძალადობის დეფინიციის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე.

”ძალადობის” ცნების ერთერთი რთული ასპექტთაგანია მისი წინასწარგანზრახულობა. აქ უნდა გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი. ჯერ ერთი, ძალის გამოყენების განზრახვა აუცილებლად არ ნიშნავს ზიანის მიყენების მიზნის არსებობას. სინამდვილეში ჩაფიქრებული ქმედება შეიძლება არც ითვალისწინებდეს მოცემული შედეგის დადგომას. ადამიანის მიერ შეგნებულად ჩადენილი კონკრეტული აქტი, რომელიც ობიექტური ნიშნებით საშიში ან დანაშაულებრივიც კია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ზოგჯერ ქმედების სუბიექტის მიერ ასეთად არც აღიქმება. მაგალითად, მშობელმა შეიძლება მკვეთრი მოძრაობით აიტაცოს ჩვილი დაწყნარების მიზნით და ამით ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას. ცხადია, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ძალის გამოყენების ფაქტი, თუმცა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების განზრახვა მშობელს არ ჰქონია. (174).(166)

მეორე მომენტი, რომელიც წინასწარგანზრახვასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ, მდგომარეობს სხეულის დაზიანების მიყენებასა და ძალადობის გამოყენების განზრახვას შორის განსხვავებაში. უოლტერსისა და პარკის თანახმად, ძალადობა შეიძლება არსებული კულტურით იყოს განპირობებული. ზოგჯერ ადამიანები შეგნებულად აყენებენ ფიზიკურ ტრავმას სხვა ადამიანებს, მაგრამ მათი კულტურული ნორმებით ეს არ აღიქმება ძალადობად.

მაგალითად, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში კულტივირდება ქალებისთვის სასქესო ორგანოების მოჭრა, რაც კულტურული წეს-ჩვეულებით განპირობებული ძალადობაა (212).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ძალადობის განსაზღვრისას ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ზოგიერთი ქმედება, მაგალითად, ცოლის ან ბავშვის ცემა გარკვეულ სოციალურ გარემოში სავსებით მისაღებ საქციელად ითვლება, თუმცა შრომის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნული ქმედებები ადამიანის ჯანმრთელობისათვის ნეგატიური შედეგების გამომწვევ ძალადობის აქტებად მიიჩნევა.

ძალადობის განმარტება მოიცავს სხვა ასპექტებსაც, რომლებიც მასში პირდაპირ არ აისახება. მაგალითად, ძალადობის საერთაშორისო კრიმინალიზაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა აქტი საჯაროდ განხორციელდა თუ ფარულად, ვინმეს ქმედების საპასუხოდ იქნა ჩადენილი, თუ მოძალადის ინიციატივით, დანაშაულად ითვლება აღნიშნული ქმედება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით თუ არა და ა.შ.

1.2. აგრესია და ძალადობა, შედარებითი ანალიზი

ძალადობის ფენომენის უკეთ ახსნისთვის მიზანშეწონილია გავაანალიზოთ ისეთი ცნება, როგორიცაა აგრესია. აგრესიას მეცნიერების სხვადასხვა დარგი შეისწავლის. განვიხილოთ არსებული დეფინიციები.

ერთ-ერთი ფსიქოლოგიური განმარტება აგრესიას ახასიათებს, როგორც „შეტევას, მოძრაობას წინ - თვითგადარჩენისთვის, საბოლოო მიზანსა და ნებისმიერ არასტაბილურ გარემოებას შორის არსებული წინააღმდგობის გადალახვას“ (192, 164-175) ამ განმარტების თანახმად, აგრესია განიხილება, როგორც იძულებითი აუცილებლობა და დადებითი ფაქტი - მოძრაობა წინ.

სხვა ავტორები თვლიან, რომ ადამიანის აგრესია შეიძლება იყოს ნებისმიერი აქტი დესტრუქციული შედეგებით, თვითმკვლელობის ჩათვლით. (192, 167) ამ შემთხვევაში აგრესია

განმარტებულია თანმდევი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით და პირველი განსაზღვრების საპირისპირო ხასიათს ატარებს.

უფრო სრულყოფილია შემდეგი განმარტება: „აგრესია ეს არის მოტივირებული დესტრუქციული ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცხოვრების წესებსა და ნორმებს, აზიანებს თავდასხმის ობიექტს (სულიერსა თუ უსულოს), ფიზიკურ ზიანს აყენებს ადამიანებს ან ფსიქოლოგიურ დისკომფორტს იწვევს მათში“ (18, 34).

შედარებისთვის მოვიყვანთ სოციოლოგიურ ლიტერატურაში მოძიებულ განმარტებებსაც:

”აგრესია სხვა არაფერია, თუ არა იძულებითი გარემოებებით განპირობებული ინდივიდუუმის დაცვითი რეაქცია საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და მისი გამოხატვის შესაძლებლობის ქონისთვის.” (256) აქ შეიძლება აღმოვაჩინოთ ანალოგია პირველ განსაზღვრებასთან, რომელიც აგრესიის აქტს განმარტავს, როგორც იძულებით აუცილებლობას.

სხვა განმარტების მიხედვით, ”აგრესია ეს არის ქცევა, ქმედება, რომელიც მიმართულია სხვა პირის ან ობიექტისთვის მორალური და/ან ფიზიკური (სრულ განადგურებამდეც კი) ზიანის მიყენებაზე” (192, 170). წინადებარე განსაზღვრება შეიძლება მივაკუთვნოთ დეფინიციათა რიგს, რომლებშიც აგრესია განხილულია მისი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, პრინციპული განსხვავება აგრესიის ინტერპრეტაციის კუთხით ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში არ არსებობს. ზემოთ მოყვანილი განმარტებების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ აგრესიის დეფინიციათა შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

- დეფინიციები, რომლებიც აგრესიას განიხილავენ, როგორც ინდივიდის იძულებით რეაქციას არახელსაყრელ ზემოქმედებაზე (კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაზე);
- განმარტებები, რომლებიც ეფუძნება აგრესიის ნეგატიურ შედეგებს საზოგადოებისთვის.

პირველ შემთხვევაში აგრესიის წყაროდ გვევლინება გარე მაპროვოცირებელი ფაქტორები, ხოლო, მეორე შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია აგრესიის ნეგატიურ შედეგებზე და თავად მის სუბიექტზე.

დეფინიციათა ორივე ჯგუფი აირეკლავს გამოსაკვლევი მოვლენის ამა თუ იმ მხარეს, თუმცა, შინაარსობრივად არცერთი მათგანია ამომწურავი. ამავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავების მიუხედავად, მათ საერთოც აქვთ. კერძოდ,

- აგრესია განიხილება, როგორც აქტი, ქმედება;
- აგრესიის შემთხვევაში ქმედება გაცნობიერებულ ხასიათს ატარებს.

საყურადღებოა, რომ, ყველა განმარტების მიხედვით, აგრესია უკვე განხორციელებულ, შემდგარ აქტად მოიაზრება. მისი ფარული, გაუმჟღავნებელი ან გაუცნობიერებელი ფორმები ჩამოთვლილ დეფინიციებში არ არის ასახული. ამასთან დაკავშირებით გასარკვევია, როგორ გავხადოთ აგრესიის ფარული ფორმები ემპირიული დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომი. ქცევის ასეთ ფორმებს შეიძლება მივცეთ აგრესიული ქმედებისათვის ინდივიდის მზადყოფნის კვალიფიკაცია, რომლის მეშვეობითაც ხდება ინდივიდის მიდრეკილების დემონსტრირება აგრესიული ქმედებებისადმი.

ფარული აგრესია შეიძლება ვლინდებოდეს კონკრეტული სუბიექტის შეხედულებებსა და განსჯაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგრესია შეიძლება გამოიხატოს:

- ქცევით აქტებში;
- აგრესიული ქცევის შედეგებში;
- აგრესიული ქცევისადმი მიდრეკილებაში;
- შეხედულებებში, განსჯაში, ამა თუ იმ აგრესიული აქტის როლის დადებითად თუ უარყოფითად შეფასებაში (75, 361).

მკაფიო დიფერენციაციისთვის აუცილებელია აგრესიის გამოყოფა მომიჯნავე ცნებებისგან. ცალკეულ შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც აგრესიის, ისე ძალადობის გამოვლენასთან, სხვა შემთხვევაში სახეზეა აგრესიისა და თავდაცვის ერთობლიობა, მესამე შემთხვევაში ძალადობა და აგრესია ცალ-ცალკე ფიგურირებს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა შეიძლება მიზნად ისახავდეს კეთილშობილური და აღმზრდელობითი შედეგის დადგომას, მაშინ როდესაც, აგრესია ყოველთვის უარყოფითი, დესტრუქციული კონტექსტის შემცველია. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ძირითადი განსხვავება ძალადობასა და აგრესიას შორის, თუმცა, არამკაფიოა, თუ სად ხდება ამ ცნებების ურთიერთგადაკვეთა ან ურთიერთჩანაცვლება.

მიგვაჩნია, რომ მოცემული მოვლენის აღწერისას მნიშვნელოვანია აგრესიის ბუნებისა და აგრესიული ქცევის შესახებ საკითხის წინ წამოწევა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს გამოსაკვლევი ფენომენის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთას; შესაბამისად, საჭიროა,

დავუბრუნდეთ იმ პრობლემის განხილვას, რომელსაც ძალადობისა და აგრესიის სპეციფიკის აღწერისას შევეხეთ.(72)

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად აგრესიის განმარტება პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ძალადობის დეფინიციისგან. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი:

”ძალადობა ეს არის მუქარის ან ძალის გამოყენება განსაზღვრული სოციალური სუბიექტების ან მათი საკუთრების მიმართ, ამ სუბიექტების დაშინებისა და მათთვის განსაზღვრული ქმედების ჩადენის იძულების მიზნით” (62).

აგრესია კი „მოტივირებული დესტრუქციული ქცევაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცხოვრების წესებსა და ნორმებს, აზიანებს თავდასხმის ობიექტს (სულიერსა თუ უსულოს), ფიზიკურ ზიანს აყენებს ადამიანებს ან ფსიქოლოგიურ დისკომფორტს იწვევს მათში“ (193, 175).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ძალადობა და აგრესია ორივე განიმარტება, როგორც ფიზიკური ზიანის ან ფსიქოლოგიური დისკომფორტის გამომწვევი აქტი, ანუ, ფართო გაგებით, ისინი შეიძლება სინონიმებად განვიხილოთ. თუმცა, საკითხის გაანალიზებისას ცხადი ხდება, რომ ძალადობისთვის ნიშანდობლივია კონკრეტული მიზნის არსებობა, განსხვავებით აგრესიისგან, რომელიც შეიძლება სპონტანურ ხასიათს ატარებდეს და მიზანი არც გააჩნდეს.

 გარდა ამისა, როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, ძალადობა არაერთგვაროვანი მოვლენაა და შეიძლება ჰქონდეს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ხასიათი, მაშინ როდესაც, აგრესია ყოველთვის დესტრუქციულია, გარემოებებისგან დამოუკიდებლად.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩნდება კანონზომიერი შეკითხვა, აქვთ თუ არა აღნიშნულ ცნებებს ერთმანეთის მიმართ რაიმე იერარქია. ანუ შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ძალადობა აგრესიის შემადგენელი ნაწილია ან პირიქით. მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია განვიხილოთ, შეიძლება თუ არა არსებობდეს ძალადობა აგრესიის გარეშე ან აგრესია - ძალადობის გარეშე.

თუ ძალადობა მიზნად დადებითი შედეგის მიღწევას ისახავს, ძალადობის სუბიექტი კი იმ რწმენით მოქმედებს, რომ სწორად და კანონიერად იქცევა, ის არ შეიცავს აგრესიას, ხოლო, თუ ძალადობრივი აქტის მიზანი დესტრუქციული ხასიათის შედეგის დადგომაა და ძალადობის

სუბიექტი საკუთარი ქმედების დამანგრეველ ბუნებას აცნობიერებს, ძალადობრივ აქტში აგრესია წარმოჩნდება.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრესია გაიგივებულია ძალადობასთან მაშინ, როდესაც იკვეთება ქმედების ნეგატიური მიზანი. აგრესია მთლიანად დესტრუქციული და დამანგრეველი ხასიათისაა, რაც არ შეიძლება ვთქვათ ძალადობის შესახებ, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქნეს კეთილშობილური მოტივებით და ახლდეს დადებითი შედეგები. ამ თვალსაზრისით, ძალადობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს იძულებითი ხასიათის ნებისმიერი ქმედება ძალადობის ობიექტის ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ ძალადობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე აგრესია.

1.3 ძალადობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის ტიპოლოგია

ძალადობის ტიპოლოგია ფართო და მრავალფეროვანია. მისი კლასიფიკაცია შეიძლება მიყენებული ზიანის სახეობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ.), ზემოქმედების ფორმის (მკვლელობა, ტერორი, გაუპატიურება და ა.შ.), კონფლიქტური ურთიერთქმედების სუბიექტების (პიროვნებათაშორისი, ჯგუფური და სხვა) მიხედვით. (41)

თუმცა, საკითხის შესწავლისათვის უფრო მოსახერხებელია დავეყრდნოთ ჯ. გალტუნგის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, რომელშიც წარმოჩენილია ძალადობის ორი ძირითადი სახეობა: პირდაპირი და სტრუქტურული (42, 305).

პირდაპირი ძალადობა გულისხმობს სუბიექტის უშუალო ზემოქმედებას ობიექტზე (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, დაკავება და ა.შ.).

სტრუქტურული ძალადობა გულისხმობს განსაზღვრული გარემოს (სტრუქტურის) ჩამოყალიბებას, რომლის პირობებშიც ხელი ეწყობა ადამიანის მოთხოვნილებათა

უგულვებელყოფასა და მისი ინტერესების შელახვას (მაგალითად, ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლუატაცია).(5) გალტუნგი აღნიშნავს, რომ სტრუქტურული ძალადობა თანამედროვე საზოგადოებაში არანაკლებაა გავრცელებული, ვიდრე ტრადიციული ფიზიკური ძალადობა. მისი თქმით, სტრუქტურული ძალადობა ბუნებრივი ფენომენია და განპირობებულია სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებით, რაც სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურაზე აისახება. სტრუქტურულ ძალადობაში იგულისხმება სოციალური უსამართლობა გამოხატული რესურსების არათანაბარ განაწილებასა და არათანაბარი ცხოვრებისეული შანსის ქონაში. სტრუქტურული ძალადობის კატეგორიაში ხვდებიან მხოლოდ ის მოვლენები, რომელთა თავიდან აცილება ობიექტურად შესაძლებელი იყო. როგორც წესი, სტრუქტურული ძალადობა, არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია.

საგულისხმოა, რომ არცერთი საპირისპირო მხარე სტრუქტურულ ძალადობას ძალადობად არ აღიქვამს. სიკეთეების არათანაბარი განაწილება, ჩვეულებრივ, ფასდება, როგორც სტიქიური საბაზრო ძალების თამაში; ცხოვრებისეული შანსების რეალიზაციაში უთანასწორობა აიხსნება ბუნებრივ შესაძლებლობებში არსებული განსხვავებით, ხოლო ცნობიერებით მანიპულირება ინიღბება სიტყვის თავისუფლებით.

ხშირად, სტრუქტურული ძალადობა პირდაპირი ძალადობის პროვოცირებას ახდენს.

გალტუნგმა გამოიკვლია, აგრეთვე, ე.წ. ”კულტურული ძალადობის”(cultural violence) ფენომენი, რომლის ქვეშაც ის გულისხმობდა ”არსებული კულტურის ნებისმიერ ასპექტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალადობის ლეგალიზაციისთვის პირდაპირი თუ სტრუქტურული ფორმით” (42, 185).

გალტუნგის მიერ მოწოდებული ძალადობის ტიპოლოგიის ცხრილი ასეთია:

	გადარჩენის მოთხოვნილება	**კეთილდღეობის მოთხოვნილება**	**იდენტიფიკაციის მოთხოვნილება**	**თავისუფლების მოთხოვნილება**
პირდაპირი ძალადობა	მკვლელობა	სხეულის დაზიანება, ბლოკადა, სანქციები, სიღატაკე	დესოციალიზაცია, რესოციალიზაცია, ადამიანებისადმი, როგორც მეორე-ხარისხოვანი პიროვნებაზე მოპყრობა	რეპრესიები, დაკავება, გაძევება
სტრუქტურული ძალადობა	A - ტიპის ექსპლუატაცია	B - ტიპის ექსპლუატაცია	ცნობიერებაში დანერგვა, ინფორმაციის შეზღუდვა	მარგინალიზაცია, გამიჯვნა

გალტუნგმა პირდაპირი და სტრუქტურული ძალადობის კომბინირებით მოთხოვნილებათა ოთხ კლასთან (გადარჩენა, კეთილდღეობა, იდენტიფიკაცია, თავისუფლება), ძალადობის 8 ტიპი მიიღო

A ტიპის ექსპლუატაცია გულისხმობს ინდივიდის ძირითადი მოთხოვნილებების იმ დონემდე უგულვებელყოფას, როცა მისი ბიოლოგიური გადარჩენის საკითხი დგება. B ტიპის ექსპლუატაცია გულისხმობს ექსპლუატირებული ადამიანის ღატაკ მდგომარეობაში ყოლას. დესოციალიზაცია ნიშნავს ადამიანის გამოდევნას საკუთარი კულტურიდან, რესოციალიზაცია - იძულებით ინტეგრაციას უცხო კულტურასთან (42, 186). (43)

ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ თავის 1996 წლის რეზოლუციაში შეიმუშავა ძალადობის ტიპოლოგია, რომელიც ძალადობის სახეობებს შორის განსხვავებასა და კავშირს ასახავს. დღეისათვის ძალადობის რამდენიმე ტიპოლოგია არსებობს, მაგრამ ყოვლისმომცველი არცერთი მათგანია (215).

საერთაშორისო დოკუმენტებში წარმოდგენილი ტიპოლოგიის მიხედვით, ძალადობა სამ ფართე კატეგორიადაა დაყოფილი. ესენია:

- საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა;
- პიროვნებათაშორისი ძალადობა;
- კოლექტიური ძალადობა (214).

ანუ, განირჩევა ძალადობა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ძალადობა, რომელიც ხორციელდება სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ და ძალადობა, რომელსაც ახდენს უფრო მსხვილი ჯგუფი, მაგალითად, სახელმწიფო, ორგანიზებული პოლიტიკური ჯგუფები, შეიარაღებული და ტერორისტული ორგანიზაციები. (39)

ყოველი კატეგორია შემდეგ იყოფა ქვეჯგუფებად, რომლებიც ძალადობის უფრო კონკრეტულ სახეობებს აერთიანებენ.

1.3.1. საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა

საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფაში ერთიანდება სუიციდური ქცევა და საკუთარი თავისადმი სასტიკი მოპყრობა. პირველში გაერთიანებულია სუიციდური აზრები, თვითმკვლელობის მცდელობა (ზოგიერთ ქვეყანაში მას "პარასუიციდს" უწოდებენ) და საკუთრივ სუიციდი. განსხვავებით სუიციდური ქცევისგან, საკუთარი თავისადმი სასტიკი მოპყრობა უშუალოდ დაზიანებების მიყენებას გულისხმობს.

თვითმკვლელობა პირობითად ორ კლასად შეიძლება დავყოთ: ჭეშმარიტ და დემონსტრაციულ სუიციდად. ამ უკანასკნელს სხვაგვარად პარასუიციდს ან ფსევდოსუიციდს უწოდებენ (106, 99). როგორც წესი, ფსევდოსუიციდი ჩაიდინება აფექტის მდგომარეობაში და წარმოადგენს არა იმდენად თავის მოკვლის მცდელობას, რამდენადაც "შველის შეძახილს", საკუთარ თავსა და პრობლემებზე გარშემომყოფთა ყურადღების მიპყრობის მცდელობას. ასეთ ქმედებებს აგრეთვე "სუიციდის დემონსტრაციულ მცდელობას" უწოდებენ (45, 121).

ფსევდოსუიციდისაგან განსხვავებით, ჭეშმარიტი სუიციდი, როგორც წესი, კარგად დაგეგმილი ქმედებაა, რომლის მიზანია საკუთარი სიცოცხლის ნებისმიერ ფასად მოსპობა, განურჩევლად ნათესავებისა თუ ახლობლების აზრისა და რეაქციისა. ზოგიერთ შემთხვევაში, საკუთარი სიცოცხლის სხვისი დახმარებით ხელყოფა ასევე თვითმკვლელობად მიიჩნევა, განსაკუთრებით, თუ თვითმკვლელს ფიზიკურად არ შეეძლო აქტის განხორციელება. სხვა ადამიანების დახმარებით თვითმკვლელობის ჩადენის მაგალითად გამოდგება ე.წ. პოლიციური თვითმკვლელობა.

საქციელი, რომელსაც თან არ სდევს დაუყოვნებლივ სიკვდილი, მაგრამ საშიშია სიცოცხლისათვის და/ან ამცირებს მის ხანგრძლივობას (ლოთობა, მოწევა, სამედიცინო დახმარებაზე უარი სერიოზულად დაავადებული ადამიანის მხრიდან, ქუჩის მოძრაობის წესების ან უსაფრთხოების ტექნიკის გამოყენების მიზანმიმართული უგულვებელყოფა, ექსტრემალური სპორტით დაკავება სათანადო ტრენირებისა და ეკიპირების გარეშე, უსაფრთხოებაზე უარის თქმა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას) და ჩაიდინება პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს საფრთხეს, თუმცა განურჩევლად ეკიდება შესაძლო რისკებს, თვითდამანგრეველი ქცევის სახელწოდებითაა ცნობილი. ზოგიერთი მკვლევარი მას თვითმკვლელობების მესამე (ფარული სუიციდის) ჯგუფში აერთიანებს.(38)

თავის მოკვლის წარუმატებელი მცდელობა განიხილება, როგორც თვითმკვლელობის მცდელობა. მცდელობას სერიოზულს უწოდებენ, თუ მას დიდი ალბათობით შეეძლო გამოეწვია

სიკვდილი. გამოყენებული ხერხის სახეობის მიხედვით სუიციდის მცდელობამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ადამიანის ჯანმრთელობას. ხელმოცარული თვითმკვლელები მიდრეკილი არიან ბოლომდე მიიყვანონ თავისი ჩანაფიქრი.

სუიციდს შეიძლება გააჩნდეს დამაბრკოლებელი, ე.წ. ანტისუიციდარული ფაქტორები, რომლებიც აუფასურებენ თვთმკვლელობას, როგორც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას და ერთგვარ ანტისუიციდარულ ბარიერს ქმნიან. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს თვითმკვლელობის უაზრობის გაცნობიერება, ახლობლებისთვის სულიერი ტკივილის მიყენების რიდი, ეჭვი თვითმკვლელობის არჩეული ხერხის საიმედოობაზე, რელიგიური და სოციალური ტაბუ, დაუმთავრებელი ან არარეალიზებული შემოქმედებითი გეგმები და ა.შ. (25)

1.3.2. პიროვნებათაშორისი ძალადობა

პიროვნებათაშორისი ძალადობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი პირის აგრესიული ქცევა მეორე პირის მიმართ. ის შეიძლება ორ ქვეკატეგორიად დავყოთ:

1. ძალადობა ოჯახში და/ან ძალადობა პარტნიორის მიმართ, ანუ ძალადობა, რომელსაც იდენს ოჯახის ნებისმიერი წევრი მეორე წევრის ან ერთი პარტნიორი მეორე პარტნიორის მიმართ. როგორც წესი, თუმცა, არაყოველთვის, ეს საცხოვრებლის კედლებს შიგნით ხდება;
2. ძალადობა სოციალურ კოლექტივში (ჯგუფში). აღნიშნული ქვეკატეგორიის შემთხვევაში მოძალადე არ არის ნათესაობრივ კავშირში მსხვერპლთან. ისინი შეიძლება იცნობდნენ ერთმანეთს ან არა. როგორც წესი, მსგავსი ძალადობა საცხოვრებლის კედლებს გარეთ ხორციელდება.(56)

პირველ ქვეკატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ძალადობის ისეთი სახეობები, როგორიცაა სასტიკი მოპყრობა ბავშვების, მშობლების, პარტნიორისადმი. მეორე ქვეკატეგორია მოიცავს ძალადობას სკოლებში, დაწესებულებებში (სამუშაო ადგილებზე), ჯარში, ციხეებში და ა.შ.

ოჯახური ძალადობის პრევენციის მიზნით მსოფლიო პრაქტიკაში რესტორატიულ და დამსჯელობით მეთოდების გამოყენებას მიმართავენ. რესტორატიული - მიმართულია კონფლიქტის დარეგულირებასა და ოჯახის შენარჩუნებაზე. ამის მაგალითია ე.წ. ამხანაგური

სასამართლოების გამართვა, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების იძულებით პროგრამებში ჩართვა. დამსჯელობითი მეთოდები ორიენტირებულია ძალადობის ციკლის დარღვევაზე (ინგლ. *breaking the cycle of violence*) და გულისხმობს კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობის გაწყვეტას (169, 105). დამსჯელობითი მიდგომა დომინირებს განვითარებული საკანონმდებლო ბაზის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში და ეფუძნება სამართლებრივი ნორმებით დადგენილ პასუხისმგებლობას ოჯახური ძალადობისთვის.

1.3.3. კოლექტიური ძალადობა

კოლექტიური ძალადობის სხვადასხვა ფორმა საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევს. ძალადობრივი კონფლიქტები ერებსა და ჯგუფებს შორის, სახელმწიფო და ჯგუფობრივი ტერორიზმი, საკუთარი საცხოვრებლიდან გაძევებული ადამიანების მიგრაცია, დანაშაულებრივი დაჯგუფებების ომები და მასობრივი ხულიგნობა - ეს ყველაფერი ყოველდღიურად ხდება მთელ მსოფლიოში და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას, რაც გამოიხატება სიკვდილიანობაში, სხვადასხვა სახის დაავადების განვითარებაში, შრომისუნარიანობის დაკარგვაში, სულიერ ტანჯვაში.

განარჩევენ კოლექტიური ძალადობის რამდენიმე ფორმას. ესენია:

- სახელმწიფოთა შორის ან მათ შიგნით მიმდინარე ომები, ტერორიზმი და სხვა პოლიტიკური ძალადობრივი კონფლიქტები;
- სახელმწიფო ძალადობა, რაც შეიძლება გამოიხატოს გენოციდში, რეპრესიებში, წამებაში, ადამიანების გატაცებასა და მათი უფლებების სხვა სახით დარღვევაში;
- ორგანიზებული ძალადობრივი დანაშაულები, როგორიცაა, მაგალითად, ბანდიტიზმი და ბანდიტური ომები (342).

კოლექტიური ძალადობა შეიძლება იყოს: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური. კოლექტიური ძალადობა ჩაიდინება პირთა დიდი ჯგუფის ან სახელმწიფოთა მიერ. სოციალური ძალადობა გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფების მიერ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს, ტერორისტულ აქტებსა და ბანდიტური დაჯგუფებების დანაშაულებს.

პოლიტიკური ძალადობა აერთიანებს ომებს, შეიარაღებულ კონფლიქტებს, სახელმწიფო ძალადობას და სხვა აქტებს, რომლებშიც მონაწილეობენ ადამიანთა დიდი ჯგუფები. ეკონომიკურ ძალადობად მოიაზრება ასევე ადამიანთა დიდი დაჯგუფების მიერ წარმოებული თავდასხმები მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით. მსგავსი თავდასხმების მიზეზი შეიძლება იყოს სამეურნეო საქმიანობის მოშლა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების წვდომის შეზღუდვა, ეკონომიკის ფრაგმენტაცია და სხვა (ცხადია, რომ დიდი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების მოტივი ასევე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა).

ძალადობრივი აქტი შეიძლება იყოს:

- ფიზიკური;
- სქესობრივი;
- ფსიქოლოგიური;
- ასევე გამოიხატებოდეს ზრუნვაზე უარში (323, 19).

ყველა ეს ფორმა ნიშანდობლივია ზემოთ აღწერილი კატეგორიებისა და ქვეკატეგორიებისათვის (საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის გამოკლებით). მაგალითად, ბავშვის წინააღმდეგ მიმართული და საცხოვრებლის შიგნით განხორციელებული ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ასევე, ბავშვზე შეიძლება არ ზრუნავდნენ. საზოგადოებრივი მასშტაბით ძალადობა შეიძლება გამოიხატებოდეს ახალგაზრდა ჯგუფებს შორის ჩხუბში, სექსუალურ ძალადობაში სამუშაო ადგილზე, ასევე მოხუცებულთა თავშესაფრებში ხნიერი ადამიანების მიმართ ზრუნვის არ არსებობაში. პოლიტიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს საომარი მოქმედებებისას და ატარებდეს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სქესობრივ ხასიათსაც (100, 22).

მოცემული ტიპოლოგია შორსაა სრულყოფილებისგან და მას ყველა არც აღიარებს, თუმცა, მაინც სასარგებლოა ძალადობის რთული მოდელების არსში წვდომისთვის. აღნიშნული ტიპოლოგია საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ ძალადობის სხვა ტიპოლოგიებისთვის ნიშანდობლივ შეზღუდვებს, თუმცაღა, სხვადასხვა სახეობის ძალადობის გამმიჯნავი საზღვრები თეორიასა და პრაქტიკაში ჯერ კიდევ არასაკმარისად ნათელია.

ძალადობის მსხვერპლი მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანი ხდება (323). სტატისტიკურად, თითო ძალადობრივ სიკვდილზე მოდის ჰოსპიტალიზაციის

ათეულობით შემთხვევა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ასობით გასვლა შემთხვევის ადგილზე და ათასობით ვიზიტი ექიმთან (60, 77). გარდა ამისა, ძალადობას ხშირად თან ახლავს უვადო სავალალო შედეგები დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შეფერხება და ა. შ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური პოზიციის თანახმად, ძალადობა ნაწილობრივ განპირობებულია აგრესიისადმი ადამიანის წინასწარგანწყობის ბიოლოგიური და პიროვნული ფაქტორებით. მათი ურთიერთქმედებით ოჯახურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სხვა გარე ფაქტორებთან იქმნება სიტუაცია, რომელშიც ძალადობა აღმოცენდება (94, 29).

1.4. ძალადობის დეტერმინაციის საკითხი კრიმინოლოგიაში

ძალადობის მრავალწახნაგოვანი ბუნების უკეთ გასაგებად, აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგომა. არსებობს აპრობირებული მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ბავშვების, მოხუცების, პარტნიორის მიმართ, ასევე, ახალგაზრდულ წრეში ძალადობის კვლევისათვის. მკვლევარები აანალიზებენ კავშირს ინდივიდუალურ და კონტექსტუალურ ფაქტორებს შორის და ძალადობას განიხილავენ, როგორც ადამიანის ქცევაზე მრავალი ფაქტორის ზემოქმედების პროდუქტს (44, 89), (143, 31). ეს ფაქტორებია:

1. პიროვნულ-ბიოლოგიური;

2. პიროვნულ-სოციალური (ორთიერთობები);

3. სოციალური გარემო (საზოგადოება);

4. საზოგადოებრივი განვითარება (სახელმწიფო).

პიროვნულ-ბიოლოგიური ფატორები. სისტემური მიდგომის პირველი დონე მიმართულია ადამიანის ქცევაზე გავლენის მქონე ბიოლოგიური ფაქტორების გამოვლენაზე. აქვე მოიაზრება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა იმპულსურობა, განათლების დაბალი დონე, ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, აგრესიული ქცევა და სისასტიკე, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ დონეზე ყურადღება მახვილდება ისეთ პიროვნულ

ნიშნებზე, რომლებიც ზრდიან პირის მსხვერპლად (ვიქტიმოგენური ფაქტორები) ან დამნაშავედ ქცევის (კრიმინოგენული ფაქტორები) ალბათობას.

პიროვნულ-სოციალური ფატორები. მეორე დონეზე იკვლევენ, თუ რამდენად იზრდება ძალადობის აქტის ჩადენის ან მსხვერპლადქცევის რისკი სოციალური კავშირებითა და ურთიერთობებით, მაგალითად, თანატოლებს, პარტნიორებს, ოჯახის წევრებს შორის. მუდმივმა კონტაქტმა (ერთ ბინაში ცხოვრებამ) შეიძლება გაზარდოს ძალადობრივი ქმედებების რაოდენობა პარტნიორის მიმართ ან ხელი შეუწყოს ბავშვების მიმართ ცუდად მოპყრობას. მუდმივ კავშირში ყოფნის პირობებში სავსებით მოსალოდნელია, რომ მსხვერპლი არაერთჯერადად იქნება სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი.

რაც შეეხება ძალადობას ახალგაზრდებს შორის, კვლევა გვიჩვენებს, რომ ისინი დიდი ალბათობით იდენენ ძალადობრივ ქმედებებს, თუ ეს აღიარებას მოუტანს თანატოლთა შორის. თანატოლებს, პარტნიორებს და ოჯახის წევრებს შეუძლიათ მოცემული ჯგუფის წევრების ქცევის ნორმების ფორმირება და მათთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება.(81)

სოციალური გარემო (საზოგადოება). მესამე დონე შეისწავლის ადამიანის სოციალურ კავშირებს, მის გარემოცვას (სკოლა, სამსახური, საცხოვრებელი ადგილი). ხდება სოციალური გარემოს იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომელთა ზეგავლენითაც ადამიანი ძალადობის სუბიექტად ან მის მსხვეპლად იქცევა. მოსახლეობის მაღალი სიმკვრივე, ჰეტეროგენობა, გაზრდილი მობილობა ძალადობაზე გავლენის მქონე მახასიათებლებია. საზოგადოება, რომლისთვისაც ნიშანდობლივია უმუშევრობის მაღალი დონე, ნარკოტიკებით ვაჭრობა და დიდი სოციალური იზოლაცია (როდესაც ადამიანები არ იცნობენ საკუთარ მეზობლებს, მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში), განწირულია იცხოვროს ძალადობის გარემოში. კვლევამ გვიჩვენა, რომ ძალადობის რისკი ზოგიერთ საზოგადოებაში, მაგალითად, ღარიბ ან საცხოვრებლად უვარგის რაიონებში, იქ სადაც ცოტაა დაწესებულებები ან არადამაკმაყოფილებელია მათი მუშაობა, ასევე მაღალია (85, 58).

საზოგადოებრივი განვითარება (სახელმწიფო). მეოთხე დონე იკვლევს ძალადობის მაპროვოცირებელ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფაქტორებს. ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ზღუდავენ აკრძალვებს ძალადობაზე, ხელსაყრელ კლიმატს ქმნიან მისი გამოვლენისთვის, ხელს უწყობენ უთანასწორობის ფორმირებას საზოგადოების სეგმენტებს შორის, აღვივებენ

დაძაბულობას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფსა და ქვეყნებს შორის. უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- კულტურული ნორმები, რომელთა გავლენითაც ხდება ძალადობის (როგორც ყველაზე ეფექტური და მისაღები ხერხის) წახალისება კონფლიქტების გადაჭრისათვის;
- თვითმკვლელობის მიჩნევა ინდივიდუალურ არჩევნად და არა ძალადობის აქტად, რომლის აღკვეთაც სავალდებულოა.
- ნორმები, რომლებიც მშობლის უფლებებს ბავშვების კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს;
- ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ მამაკაცის ძალაუფლებას ქალებსა და ბავშვებზე;
- ნორმები, რომლებიც უშვებენ პოლიციის მიერ მოქალაქეების მიმართ ძალადობის გამოყენებას;
- ნორმები, რომლებიც მხარს უჭერენ პოლიტიკურ კონფლიქტებს (63, 101).

მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს ასევე განათლების, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების სფეროში ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის მაღალ დონეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის.

სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს ძალადობის მრავალი მიზეზი, ასევე რისკის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ოჯახის, საზოგადოების შიგნით, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეებში. თუ მოცემულ მოდელს ადამიანის განვითარების პროცესის მიმართ გამოვიყენებთ, შესაძლებელი გახდება დავინახოთ, როგორ ზემოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი ძალადობის აღმოცენებაზე ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ძალადობის გავრცელების ხელშემწყობი ვიქტიმოგენური ფაქტორები. ზოგიერთი რისკ-ფაქტორი დამახასიათებელია ძალადობის მხოლოდ ერთი სახეობისთვის, თუმცა არსებობს სხვადასხვა სახეობისთვის ნიშანდობლივი რისკ-ფაქტორებიც. საზოგადოებაში გაბატონებული კულტურული ნორმები, სიღარიბე, სოციალური იზოლაცია, ალკოჰოლისა და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, ცაცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა არ შეიძლება განხილულ იქნეს ძალადობის მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობის რისკ-ფაქტორებად. ასევე არაიშვიათია, როდესაც ინდივიდი ერთდროულად ექვემდებარება ძალადობის რამდენიმე სახეობას. მაგალითად, ქალები, რომელთაც პარტნიორები ფიზიკურად უსწორდებიან, ერთდროულად სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ იმყოფებიან.

არაიშვიათია მჭიდრო კავშირი არამარტო რისკ-ფაქტორებს, არამედ ძალადობის სხვადასხვა სახეობას შორისაც (46). კვლევები გვიჩვენებს, რომ ბავშვი, რომელზეც მშობლიურ სახლში ძალადობდნენ, არაიშვიათად ზრდასრულ ასაკშიც ძალადობის სუბიექტად იქცევა; როდესაც მშობლები უარს ამბობენ საკუთარ შვილებზე და არ ზრუნავენ მათზე, ამით, დიდი ალბათობით, აგრესიისა და სისასტიკისკენ უბიძგებენ ზრდასრულ ასაკში. დადგენილ იქნა ასევე კავშირი სუიციდარულ ქცევასა და ზოგიერთი სახეობის ძალადობას შორის, როგორიცაა ბავშვებისა და მოხუცების მიმართ სასტიკი მოპყრობა, ძალადობა პარტნიორზე (გაუპატიურების ჩათვლით) და სხვა.

ბევრ ქვეყანაში, სადაც შეიარაღებულ კონფლიტებს ჰქონდა ადგილი, პიროვნებათაშორისი ძალადობის სიხშირე საომარი ქმედებების დასრულების შემდეგაც მაღალი რჩება, ძალადობის მისაღებ სოციალურ მოვლენად აღქმისა და ნაწილობრივ იარაღის ხელმისაწვდომობის გამო (139).

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება გამოვავლინოთ ძალადობის განვითარების კანონზომიერებები კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, რომელთა თანახმად:

- ძალადობა ობიექტურად განპირობებული და ისტორიულად კანონზომიერი სოციალური მოვლენაა;
- მისი შესწავლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სოციალური და ადამიანური ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალადობის დეტერმინანტებს წარმოადგენენ;
- პირველადი ბუნებით ძალადობა ატარებს უფრო კოლექტიურ და არა პიროვნულ ხასიათს;
- დაუშვებელია უარი ვთქვათ ძალადობრივი ქმედებების ცალმხრივ ანალიზზე კონკრეტულ-ისტორიული გარემოებების კონტექსტში იმ მიზნების გათვალისწინებით, რომელთა რეალიზაციისთვისაც იქნენ ისინი გამოყენებული;
- აუცილებელია, ვაღიაროთ ძალადობის არაერთმნიშვნელოვანი როლი ისტორიულ პროცესში, მისი ორგვარი ფუნქცია - როგორც დამანგრეველი, ისე აღმშენებლური;
- ძალადობის კონსტრუქცია და ინტერპრეტირება ხდება ყოფით-კულტურული გარემოს მიხედვით (23) (26).

თავი 2. წამების, როგორც ძალადობის ხერხის კრიმინოგენული თავისებურება

წამებას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა კაცობრიობის ისტორიაში. აღნიშნული პრობლემა არაერთი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების (ისტორიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და სხვ.) კვლევის ობიექტია. იურიდიული მეცნიერებების ჩარჩოებში ის შეისწავლება არამარტო სისხლის სამართლის, არამედ კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის კუთხითაც. თითოეულ იურიდიულ მეცნიერებაში პრობლემის ანალიზი გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მიხედვით, წამება ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიად მოიაზრება. ამავდროულად, აუცილებელია კომპლექსური დისციპლინათაშორისი კვლევების წარმოება ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

წამების მსხვერპლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გზავნილში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა 2008 წლის 26 ივნისს აღნიშნა, რომ წამება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საერთაშორისო დანაშაულია და მისი არსებობა ადამიანთა ცნობიერებაში არსებულ გადახრებზე მიუთითებს. ”მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი ცალსახად კრძალავს წამების გამოყენებას ნებისმიერ ვითარებაში, მისი მიღებიდან 60 წლის შემდეგ პრობლემა არ წყვეტს არსებობას, რაც გამანადგურებლად აისახება მილიონობით დაზარალებულისა და მათი ოჯახების ცხოვრებაზე” (321). გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა საზოგადოებას, ყველა ზომა იქნას მიღებული წამების მსხვერპლის დაცვისათვის, აგრეთვე, გატარდეს ღონისძიებები მათ წინააღმდეგაც, ვინც წამებას იყენებს.

წამების აკრძალვა ადრეული და თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია. წამების ამკრძალავი უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო კონვენციების მიღების მიუხედავად, აღნიშნული ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ამა თუ იმ ფორმით ის კვლავ რჩება გავრცელებულ მოვლენად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. უფრო მეტიც, არსებობს სახელმწიფოები, რომლებშიც წამებას ფართო მასშტაბით და სისტემატურად მიმართავენ.

წამება, სისასტიკე და ძალადობა არამარტო ზნეობრივ-სოციალური, არამედ კრიმინოლოგიური პრობლემაცაა, თუმცა, მისი კომპლექსურად გადაჭრის მცდელობას დღემდე არ ჰქონია ადგილი. საკმარისი არაა მხოლოდ წინადადებების წამოყენება წამების ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში წამების გამო დასჯის და მისი პრევენციის საკითხები რეგულირდება შემდეგი ძირითადი სამართლებრივი აქტებით:

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით (1948წ.);

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (1966წ.);

წამების წინააღმდეგ კონვენციით (1984წ.) და მისი დამატებითი ოქმით (2002წ.);

ომის მსხვერპლის დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციით (1949წ.) და მისი დამატებითი ოქმებით (1977წ.)

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის აკრძალვის კონცეფციას თავისი ისტორიული, თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები აქვს როგორც ცალკე აღებულ ქვეყანაში, ისე მსოფლიო მასშტაბით. განვითარების პროცესში სახელმწიფოებმა გაიარეს გზა წამებისა და სხვა სახის სასტიკი მოპყრობის აუცილებლობის აღიარებიდან მათ სამართლებრივ აკრძალვამდე და მსგავსი ქმედებებისგან დაცვის მექანიზმების შექმნამდე. შესაბამის საერთაშორისო, რეგიონულ, ნაციონალურ აქტებსა და სამართალგამოყენებით პრაქტიკაში ამ მიზნით გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა ”წამება”, ”სასტიკი მოპყრობა” (ან დასჯა), ”არაადამიანურ მოპყრობა” (ან დასჯა), ”ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობა” (ან დასჯა), ”სამედიცინო ან სამეცნიერო ცდები”, ”ძალადობა”.

2.1. წამების ცნება და სახეობები

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში წამება განიხილება, როგორც ტანჯვის (ფიზიკური ან/და ფსიქიკური) მიზანმიმართული მიყენება ინფორმაციის მიღების ან დასჯის მიზნით.

2.1.1 ფიზიკური წამება

ფართო გაგებით, წამება ითვლება ძალადობის ნაირსახეობად, რომელიც ადამიანს ტანჯვასა და ტკივილს აყენებს გარემოებებისა და მიზნებისგან, ასევე იმისგან დამოუკიდებლად, ლეტალურია თუ არა გამოსავალი. (193)

ვიწრო გაგებით, წამებაში იგულისხმება ჩვეულებრივი ფიზიკური ძალადობა, ტანჯვის მიყენება დაკითხვის პროცესში.

”წამების” საერთაშორისო განსაზღვრება მოცემულია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციის პირველ მუხლში, რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის 39/46 რეზოლუციით. მასში ნათქვამია, რომ: ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, „რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია” (302).

მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციამ წამება განმარტა, როგორც „საკუთარი ინიციატივით ან ზემდგომი ავტორიტარული სტრუქტურების დავალებით მოქმედი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ სხვა პირთა მიმართ წინასწარგანზრახვით ჩადენილი სისტემატური სასტიკი ქმედებები, მათთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების ან საჭირო ჩვენებების მიღების მიზნით“ (ტოკიოს დეკლარაცია, 1975წ) (216).

აღნიშნულ განმარტებებში წარმოჩენილია წამების შემდეგი მახასიათებლები:

1. *წინასწარგანზრახულობა.* წამება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, მსხვერპლს მიეყენება წინასწარგანზრახვით.
2. *სისტემატურობა და სისასტიკე.* ტანჯვა შეიძლება მიეყენებოდეს სისტემატურად, გამოირჩეოდეს სისასტიკით, იყოს წინასწარ დაგეგმილი ან სპონტანური.
3. *ხელმძღვანელი პირის ბრძანებით ან მის გარეშე.* განმარტებაში მკაფიოდაა მითითებული, რომ, მაშინაც კი, თუ ადამიანი სხვისი დავალებით იყენებს წამებას, ეს არ ამართლებს მის ქმედებას. შესაბამისად, დასჯადია, როგორც ბრძანების გამცემის, ისე მისი შემსრულებლის ქმედება.

4. *მიზანი.* წამების ყველა შესაძლო ან იდენტიფიცირებულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს მიზანი. ეს შეიძლება იყოს: ინფორმაციის მიღება, დანაშაულის იძულებით აღიარება, დასჯა, ცრუ წერილობითი განცხადების ხელმოწერა და სხვ. წამება, ასევე, მიზნად შეიძლება ისახავდეს კონკრეტული ადამიანის პიროვნულ განადგურებას, თუ ის სახელმწიფო ძალადობის წინააღმდეგ ადამიანების მობილიზებას შეეცდება. დიქტატორულ სახელმწიფოებში წამებას ტერორის გავრცელებისთვისაც მიმართავენ.
5. *ფსიქიკური და ფიზიკური ტანჯვა.* განმარტებაში ხაზგასმულია, რომ ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა მის მიმართ წამების გამოყენებაზე მიუთითებს. ფიზიკური კვალის არქონა არ ნიშნავს წამების ფაქტის არარსებობას. წამების თანმდევ შედეგად შეიძლება "უმნიშვნელო" ტანჯვაც იქნეს მიჩნეული (188, 199).

ჩვენ გვთავაზობთ მოცემული ცნების განსხვავებულ განმარტებას. კერძოდ, წამება სისხლისსამართლებრივად დასჯადი საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებრივი ქმედებაა, ჩადენილი სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი დავალებით, მხარდაჭერით ან/და უსიტყვო თანხმობით ფიზიკური პირის (პირთა ჯგუფის) მიერ, რაც გამოიხატება ადამიანისთვის განზრახ ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის მიყენებაში ხანგრძლივი სასტიკი ცემით ან/და სხვა ძალადობრივი ქმედებებით იმ მიზნით, რომ მიიღონ მისგან ან მესამე პირისგან ნებისმიერი სახის ინფომაცია, აიძულონ დანაშაულის ან რაიმე ფაქტის აღიარება, რაიმე ქმედების ჩადენა ან პირიქით, მის ჩადენაზე უარის თქმა, დააშინონ ის ან დასაჯონ იმ ქმედებების გამო, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ის ან მესამე პირია ბრალდებული.(190)

წამება წინასწარგანზრახული და მეტად მწვავე სახეობაა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯისა. მისი განმარტება აგებულია სამართლებრივი ქცევის იურიდიულ კონსტრუციაზე დაყრდნობით და შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ წამების ზუსტად განსაზღვრა არ არის მარტივი. დეფინიციის ფორმულირება აუცილებლად იქნება ან ფრიად ფართო, ან მნიშვნელოვნად ვიწრო. საგულისხმოა იმის გაცნობიერება, რომ არ არსებობს მკაფიო საზღვარი წამებასა და დასჯას შორის. განსხვავება მათ შორის ბევრადაა დამოკიდებული მსხვერპლის ინდივიდუალურ

რეაქციაზე, მისთვის მიყენებულ ფიზიკურ თუ სულიერ ტანჯვაზე. ამიტომ აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული, თუ რა გარემოებებში გულისხმობს წამება დასჯას.

ცივილიზაციის ჩასახვიდან დღემდე სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა გაემართლებინა წამების გამოყენება, სასჯელის კატეგორიად წარმოედგინა ის და უარეყო თავად წამების ფაქტი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიმართავდნენ ე.წ. ფიზიკურ დასჯას, რომელიც თავისი შინაარსით ფაქტობრივად წამებას წარმოადგენდა.

XX საუკუნის დასაწყიში, იურიდიული განმარტების თანახმად, წამება განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული სისასტიკის გამოვლენის ფორმა ან ტანჯვის მიყენების საშუალება, რომელსაც ახორციელებენ ამისათვის უფლებამოსილი ან სახელმწიფო სასამართლო ორგანოების მიერ დანიშნული ოფიციალური პირები. მსგავსი ფორმა საუკუნეების მანძილზე სავსებით მართებულად მიიჩნეოდა; დაშვებული და გამართლებული იყო მისი გამოყენება ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის აღიარების ან მოწმისაგან ჩვენების მიღების მიზნით. (177)

ბევრ ქვეყანაში, სადაც არ იყო დაშვებული ბრალდებულის ან მოწმის დაკითხვა წამების გამოყენებით, თავად წამების პრაქტიკის არსებობა იჩქმალებოდა. ძიების პროცესში სისასტიკის დაშვებული ფორმების წამებისაგან გამიჯვნის ფონზე ძალიან მარტივდებოდა წამების ფაქტების უარყოფა მაშინაც, როდესაც დამნაშავეებს დასჯის ან ციხეში დისციპლინის დაცვის მოტივით აყენებდნენ ყველაზე ბოროტ, ბარბაროსულ და კოშმარულ ტანჯვას.

იგივე შეეხება სიკვდილით დასჯასაც: კანონიერი მოკვდინება ხშირ შემთხვევაში არ კლასიფიცირდებოდა, როგორც ფიზიკური წამება, თუმცა წამების ნიშნები სახეზე იყო, როცა სიკვდილს წინ მისი გამომწვევი ქმედებით მიყენებული ტანჯვა და ტკივილი უძღვოდა. ნებისმიერი პროცედურა, რომელიც ადამიანს ტკივილს აყენებს, განურჩევლად გარემოებებისა და მიზნებისა, ასევე იმისა, თან სდევს თუ არა მას სიკვდილი, უდავოდ წამებად უნდა იქნეს მიჩნეული. დასჯის მიზნები, დამოუკიდებლად მათი ბუნებისა და მნიშვნელოვნებისა, არ ამართლებენ არც ადამიანის წამებას და მისთვის არც სხვა სახელის დარქმევის მცდელობას.

საყურადღებოა, რომ წამების იურიდიული განმარტების აღიარება ერთდროულად იმ თვალსაზრისის აღიარებაცაა, რომ მას მხოლოდ სახელმწიფო იყენებს განსაზღვრული მიზნებით. თუ სისასტიკის აქტს, რომელსაც სახელმწიფო იყენებს, როგორც წამების ერთ-ერთ ფორმას, სჩადის ცალკეული პირი ან მოქალაქეთა ჯგუფი სახელმწიფო სანქციის გარეშე, მაშინ მისი ეს

ქმედება არალეგიტიმური და კრიმინალური ძალადობის გამომხატველი იქნება. ცხადია, რომ მსგავსი ინტერპრეტაცია უვარგისია ლოგიკის თვალსაზრისით და ვერავითარ კრიტიკას უძლებს. ძალადობის მსხვერპლისთვის სულერთია, რა ტერმინით განისაზღვრება განცდილი ტანჯვა და ტკივილი და ისიც, თუ ვინ აყენებს მას - კერძო პირი თუ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი. ცხადია, რომ მსხვერპლი, თუ მიყენებული ტანჯვისა და სისასტიკის ხარისხი საკმარისად მაღალია, წამებას ექვემდებარება. (116)

წამების გარდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში ლაპარაკია სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯაზე, რაც შეფასებითი ცნებაა და მისი კონკრეტიზაცია სამართალგამოყენების პროცესში ხდება. აღნიშნული ცნების განმარტებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო და რეგიონული ორგანოების სამართალგამოყენებით და ცალკეული ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ფართოდ გამოიყენებს ტერმინ ”სასტიკ მოპყრობას”, რათა მოიცვას საერთაშორისო სამართლით აკრძალული ფიზიკური, მორალური ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები პირადი ღირსების წინააღმდეგ მიმართული არაადამიანური, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დანაშაულის ჩათვლით.

იურიდიული თვალსაზრისით, წამებისა და სასტიკი მოპყრობის სხვა სახეობების ურთიერთგანმასხვავებელი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მიყენებული ტკივილისა და ტანჯვის დონე. გარდა ამისა, წამებას მიმართავენ რაიმე მიზნით, მაგალითად, ინფორმაციის მიღების ან დასჯისათვის.

ტკივილის მიყენების და სასტიკი მოპყრობის სხვადასხვა ფორმის აღსანიშნავად განსხვავებული ტერმინების გამოყენებას საფუძვლად უდევს შემდეგი თავისებურებები:

- წამების შემთხვევაში: კონკრეტული მიზნის არსებობა და ძლიერი ტკივილისა თუ ტანჯვის წინასწარგანზრახვით მიყენება;
- არაადამიანური ან სასტიკი მოპყრობისას არ არსებობს კონკრეტული მიზანი, მაგრამ სახეზეა ტკივილისა და ტანჯვის მნიშვნელოვანი დონე;
- პირადი ღირსების წინააღმდეგ დანაშაული ასევე არ გულისხმობს კონკრეტული მიზნის არსებობას, მაგრამ მნიშვნელოვანი ხარისხითაა გამოხატული ღირსების შელახვა, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანება (19, 67).

სასტიკი მოპყრობის მეთოდები შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, მაგრამ ორივე მათგანს შეიძლება თან ახლდეს ფსიქიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები.

ტერმინი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა განმაზოგადებელი და ძირითადი განმსაზღვრელია ქმედებისა, რომლის ჩადენაც აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო და სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.1.2 .ფსიქოლოგიური წამება

ფიზიკურის გარდა, არსებობს ფსიქოლოგიური წამების მეთოდებიც. მათ გამოიყენებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთადაც. ფსიქოლოგიური მეთოდებით ფიზიკურის ჩანაცვლება არ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამებაზე უარის თქმას. უბრალოდ, ფიზიკურმა წამებამ (მაგალითად წისქვილის ბორბლისა (crank) და სხვათა გამოყენებით) მნიშვნელოვნად დაუთმო ადგილი სხვა, უფრო დახვეწილ და მოქნილ მეთოდებს. თავის მხრივ, ციხის გამასწორებელი სისტემის რეფორმირებამ, მისი ევოლუციის კვალდაკვალ, ახალი ტიპის პატიმრის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (49, 211).

დღევანდელი ადამიანი, ნორმალური ვითარების პირობებში, ზოგადად, ნაკლებად სასტიკი და მეტად ჰუმანურია, ვიდრე მისი 50 და 100 წლის წინანდელი პროტოტიპი. ეს მოვლენა საზოგადოების წესიერი წევრების მსგავსად, დამნაშავეებზეც სამართლიანად უნდა აისახებოდეს. ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დამნაშავე მეტი ფსიქოლოგიური სიმტკიცით გამოირჩევა, ვიდრე კანონდამჯერი მოქალაქე, იმთავითვე მცდარია და განპირობებულია სენსაციური ჟურნალისტური რეპორტაჟების, კრიმინალური რომანებისა და კინემატოგრაფის გავლენით. დამნაშავეთა უმრავლესობა, როგორც ამას სინგ სინგის ციხის (Sing-Sing Prison) ერთ-ერთი მთავარი ექიმი ამოს სკვაიერი მიუთითებდა, საკუთარი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობებით არ განსხვავდება საშუალო რესპექტაბელური მოქალაქისგან.(239)

პატიმრობით მიყენებული სულიერი ტანჯვა, რომელიც დამანგრევლად ხელყოფს ადამიანის ინიციატივას, ნებისყოფას, თვითმყოფადობას, ამბიციურობას, შეიძლება აუტანელი გახდეს ნებისმიერი პიროვნებისთვის.

ზოგიერთ ადამინზე ფსიქიკური იზოლაცია უფრო მძიმედ აისახება, ვიდრე ფიზიკური. იმის მტკიცება, რომ თანამედროვე ციხე დასასვენებელ სახლს ან სანატორიუმს ჰგავს, სადაც წყალობა და სიკეთე სუფევს, ისევე მცდარია, როგორც მნახველთა შთაბეჭდილებები, რომლებიც საინსპექციო ვიზიტით იმყოფებოდნენ „სანიმუშო“ ციხეებში. როგორი კეთილმოწყობილიც არ უნდა იყოს, ციხე ციხედ რჩება. ყველაზე თანამედროვე და „ადამიანური“ ციხის უფროსს ან კომენდანტს შეუძლია პატიმარს სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციოს. (30)

წამების ფსიქიკურ მეთოდებს მიეკუთვნება სიკვდილით დასჯის ინსცენირება, წამებაზე დასწრება, წამებაში მონაწილეობის იძულება, იზოლაცია. სქესობრივი ხასიათის წამება მოიცავს სიტყვიერ შურაცხყოფას, დამცირებას, გახდას, გაუპატიურებას, მათ შორის, ცხოველების ან სხვადასხვა საგნის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ წამების ფსიქიკური შედეგები (განმეორებითი კოშმარული სიზმრები, საშინელების, სირცხვილის, დანაშაულის განცდა) ხშირად ფიზიკურზე მძიმედ გადაიტანება, მწვავედ აისახება ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, გარშემომყოფებთან ურთიერთობებზე და არ აძლევს ადამიანს ნორმალური ცხოვრების საშუალებას (229).

2.1.3. უკანონო, საიდუმლო და შენიღბული წამება

სახელმწიფოს მიერ ციხეებში და ძიების პროცესში წამების აკრძალვა არ წარმოადგენს მისი გამოუყენებლობის გარანტიას. ამგვარი აკრძალვა არ ნიშნავს, რომ თავად სახელმწიფო არასოდეს ისარგებლებს მსგავსი მეთოდებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს ან კერძო პირის მხრიდან სხვისი წამება დაუშვებელი იყო, თუმცა, ფიზიკურად დასჯას, მათ შორის, გაწკეპვლას მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ კრძალავდა (322, 77). ფიზიკური დასჯის გამოყენება 2003 წლამდე დაკანონებული იყო, როგორც აღზრდისა და გამოსწორების ერთერთი მეთოდი და არ კვალიფიცირდებოდა წამების ფორმად (თუმცა, სინამდვილეში ასეთს წარმოადგენდა).

ამერიკის შეერთებულ შტატებში წამება მრავალი ათწლეულია აკრძალულია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში, თუმცა, ფიზიკური სასჯელი 1868 წლიდან არაერთ შტატში გამოიყენებოდა. პოლიცია კი, მართალია, არასაჯაროდ, მაგრამ დღესაც ფართოდ მიმართავს წამებას აღიარებითი ჩვენების „დასატყუებლად“ ე.წ. „მესამე ხარისხის“ დაკითხვის წარმოებისას, რაც მიზნის მიღწევისთვის წამების გამოყენებას გულისხმობს (50, 211).

აშშ-ის მთავრობამ, ამერიკელმა საზოგადოებამ და მოსამართლეებმა იციან „მესამე ხარისხის“ დაკითხვების წარმოების შესახებ, თუმცა, არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს მსგავსი პრაქტიკის აღმოსაფხვრისათვის, რომელიც ისევე არაკანონიერია, როგორც თავად დასაკითხი პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

2.1.4. ფიზიკური დასჯა, როგორც წამების დაკანონებული სახეობა

ფიზიკური დასჯა სასჯელის ერთ-ერთი უძველესი ზომაა (მსგავსად სიკვდილით დასჯისა) და ადამიანის დასახიჩრებას ან მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებას გულისხმობს.

- დასახიჩრება ადამიანისთვის სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა ან მისი დაზიანებაა (დაბრმავება, ენის ამოჭრა, ხელის, ფეხის ან თითების მოკვეთა, ყურების, ცხვირის ან ტუჩების მოჭრა, კასტრაცია).
- ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა მიიღწევა ცემით (წკეპლით, მათრახით, ჯოხით, როზგით. ფიზიკური დასჯის მაგალითია აგრეთვე მშობლების მიერ შვილების ცემა (28, 198).

ფიზიკური დასჯის შესახებ ჯერ კიდევ ხამურაბის კანონებიდან იყო ცნობილი. მას ფართოდ გამოიყენებდნენ რომის იმპერიაში. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმართავდნენ ფიზიკური დასჯის მეთოდებს ფეოდალიზმის დროს, თუმცა, არც უფრო გვიანდელი ეპოქაა ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. დასჯის მოცემული სახეობა ასახულია ინგლისის კანონმდებლობაში მაწანწალებისა და მათხოვრების (29) შესახებ, ასევე, გერმანიის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კოდექსში ("კაროლინა"). (334).

ერთერთი პირველი, ვინც ფიზიკური დასჯის უზნეობასა და არაეფექტურობაზე ალაპარაკდა, ინგლისელი ფილოსოფოსი იერემია ბენთამი (1748-1832) იყო. მან ყურადღება გაამახვილა იმ

ფაქტზე, რომ კანონში ამა თუ იმ დანაშაულისთვის დარტყმათა მკაფიოდ ფიქსირებული რაოდენობის მიუხედავად, სასჯელის რეალური სიმძიმე მთლიანად ჯალათის მონდომებაზე იყო დამოკიდებული, რომლის მოსყიდვაც სავსებით შესაძლებელი გახლდათ, რის გამოც მსჯავრდებული მიიღებდა არა ჩადენილი დანაშაულისთვის დადგენილ, არამედ სიმბოლურ სასჯელს (22, 42).

მე-18 საუკუნის ბოლოდან ევროპის ქვეყნებმა, განმანათლებლობის იდეების ზეგავლენით, ერთმანეთის მიყოლებით გააუქმეს დასჯის აღნიშნული სახეობა. პირველად ეს მოხდა საფრანგეთში, სისხლის სამართლის კოდექსში 1791 წელს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. პრუსიასა და შვეიცარიაში ფიზიკური დასჯა არსებობდა 1848 წლამდე, ავსტრიაში - 1868 წლამდე, დიდი ბრიტანეთის ჯარში მას 1881 წლამდე გამოიყენებდნენ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიზიკურ დასჯას ნიშნავდნენ 1948წლამდე, ციხეებში (ციხის თანამშრომლებზე თავდასხმისათვის სასამართლოსვე გადაწყვეტილებით) - 1967 წლამდე. (ფაქტობრივად, 1962 წლამდე) (40).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, დელავერში ფიზიკური სასჯელი (წკეპლის 20-ჯერ დაკვრა) სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანასკნელად 1952 წელს დაენიშნა მამაკაცს, რომელმაც ცოლი სცემა. აღნიშნულ შტატში წკეპლით დასჯა ოფიციალურად მხოლოდ 1972 წელს გააუქმდა (28, 212), (66).

უძველესი დროიდან იყო გავრცელებული, აგრეთვე, ბავშვების ფიზიკური დასჯა, რასაც ძირითადად მშობლები, აღმზრდელები და მასწავლებლები მიმართავდნენ. ბავშვი განიხილებოდა, როგორც მშობლის საკუთრება, რომელსაც ნებისმიერი საშუალებით შეეძლო დაესაჯა შვილი ან ეს უფლება სხვისთვის გადაეცა.

ფიზიკური დასჯის, როგორც აღზრდის მეთოდის უარყოფა მხოლოდ XVIII საუკუნიდან დაიწყო, რაც სწავლების ხასიათის შეცვლას უკავშირდებოდა. კერძოდ, მაშინდელი განათლების მესვეურებმა თანდათანობით უარი თქვეს ზუთხვაზე, როგორც სწავლის არაეფექტურ და სასტიკ მეთოდზე და ბავშვის სწავლით დაინტერესებას შეეცადნენ.

მსოფლიოში ფიზიკურად დასჯა პირველად რეჩი პოსპოლიტაში (პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანებაში) აკრძალეს 1783 წელს (98), (101, 32). ქვეყნებს შორის ამ კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა. საფრანგეთში XIX საუკუნეში აღზრდა გაცილებით ლიბერალური იყო,

ვიდრე დიდ ბრიტანეთში, (19, 65) სადაც ფიზიკურად დასჯა საჯარო სკოლებში მხოლოდ 1987 წელს აიკრძალა, კერძო სკოლებში კი მას 1999 წლამდე მიმართავდნენ, შოტლანდიაში ეს 2000 წელს, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში 2003 წელს მოხდა.(35)

თანამედროვე პერიოდში უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ ფიზიკური დასჯის ნებისმიერი ფორმის გამოყენება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა (1948) და საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), რომლებიც კრძალავენ წამებას, სასტიკ, არაადამიანურ და ადამიანის ღირსების შემლახავ სასჯელს.

ამავდროულად, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნების ორი ჯგუფი, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ინარჩუნებენ სასჯელის მოცემულ სახეობას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ის ქვეყნებია, სადაც სისხლის სამართლის წყაროს მუსულმანური სამართალი წარმოადგენს: ავღანეთი, ბახრეინი, ირანი, იემენი, ლიბია, მავრიტანია, მალაიზია, ნიგერიის ჩრდილო შტატები, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ომანი, საუდის არაბეთი, სუდანი, პაკისტანი და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენებენ არამარტო ტკივილის გამომწვევ სასჯელს (მაგალითად, გაწკეპვლას), არამედ მიმართავენ სხეულის სხვადასხვა ფორმით დასახიჩრებასაც. (324)

მუსლიმური ქვეყნების გარდა, ფიზიკური სასჯელი კვლავინდებურად დაშვებულია მრავალი ქვეყნის, ძირითადად ინგლისის ყოფილი კოლონიების (ზიმბაბვე, ნიგერია, სინგაპური, ტანზანია, ტონგა, შრი-ლანკა და სხვ.) სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სადაც ძირითადად გაწკეპვლას მიმართავენ.

აღნიშნულ ქვეყნებში ფიზიკური დასჯა ოფიციალურადაა დაშვებული სკოლებსა და ციხეებში. სინგაპურის სკოლებში ცემისათვის გამოიყენება ლერწმის მსუბუქი ხელჯოხი (rattan cane). ფიზიკურად სჯიან მხოლოდ ვაჟებს. დისციპლინის დაცვის მიზნით ამას მთლიანად უჭერს მხარს ხელისუფლება. დასჯა ფორმალური ცერემონიის ხასიათს ატარებს და სისრულეში მოჰყავთ სკოლის ხელმძღვანელობის (და არა კლასის მასწავლებლის) შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. საშუალო სკოლებში და შემდგომ გიმნაზიებში მოსწავლეებს დარტყმებს აყენებენ დუნდულებზე ტანსაცმლის გაუხდელად. განათლების სამინისტრომ დაუშვა მაქსიმუმ 6 დარტყმა ერთი გადაცდომისთვის. ზოგჯერ ცერემონია სხვა მოსწავლეების თვალწინ ტარდება (92).

თანამედროვე პერიოდში ფიზიკურ სასჯელს იყენებდნენ ამერიკის ზოგიერთი შტატის სკოლებშიც. ასე მაგალითად, „ინგრეჰემი რაიტის წინააღმდეგ“ (1977) საქმესთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სკოლებში ფიზიკური დასჯით არ ირღვევა ფედერალური კონსტიტუცია. ე.წ. „პადლინგი“ (ინგლ. *paddle* - ნიჩაბი) სამხრეთის არაერთ შტატში გამოიყენება. (358) ცალკეულ შტატს უფლება აქვს აკრძალოს სასჯელის აღნიშნული სახეობა და ოცდაათი შტატის სახელმწიფო სკოლებში ის მართლაც აკრძალულია. მათგან ორ შტატში (ნიუ-ჯერსი, აიოვა) ის კერძო სკოლებშიც იკრძალება. 20 შტატი, სადაც ფიზიკური სასჯელის გამოყენება დაშვებულია, ძირითადად განლაგებულია ქვეყნის სამხრეთში. მას კლებადი მასშტაბით იყენებენ ასევე ალაბამის, არკანზასის, ჯორჯიის, ლუიზიანის, მისისიპის, ოკლაჰამის, ტენესისა და ტეხასის საჯარო სკოლებში (57, 21).

2.2. წამების ისტორიული ანალიზი ანტიკური პერიოდიდან თანამედროვეობამდე

წამებას უძველესი დროიდან მიმართავენ დასჯის, დაშინებისა და აღიარების მიღების მიზნით. ძველ ეგვიპტეში, ასირიაში, ძველ საბერძნეთში, ძველ რომსა და სხვა ანტიკურ სახელმწიფოებში ფართოდ გამოიყენებოდა წამების მრავალფეროვანი ხერხები. ასე მაგალითად, ძველი საბერძნეთიდან მოღწეული ”ტანტალის ტანჯვა” წყურვილით, შიმშილითა და სხეულის სტატიკური მდებარეობის შენარჩუნებით წამებას გულისხმობდა (102, 324).

ხშირად რთული იყო წამებისა და დასჯის ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნა. არაიშვიათად მსხვერპლი კვდებოდა იმის გამო, რომ ვერ უძლებდა ჯალათების მიერ მიყენებულ ტანჯვას.

ფიზიკური წამების ყველა სახეობა პირობითად შეიძლება რამოდენიმე ტიპად დავყოთ.

პირველი ტიპი უძველესთაგანია და მას დასჯის მიზნით იყენებდნენ, რაც ადრეულ წერილობით წყაროებშია აღწერილი. ხამურაბის კოდექსი, ეგვიპტის ფარაონები, სოლომონი გვთავაზობდნენ დანაშაულისა და მისი თანმდევი სასჯელის გათანაბრებას. მაგალითად, თუ დამნაშავე დააბრმავებდა მსხვერპლს, მას სასჯელად ასევე დაბრმავება ელოდა, თუ დაასახიჩრებდა, დამნაშავესაც ასახიჩრებდნენ, ქურდობისთვის კვეთდნენ ხელს, გაქცევისთვის - ფეხს და ა.შ.

გახურებული რკინით დამნაშავის დადაღვა ფართოდ იყო გავრცელებული მეოცე საუკუნის დასაწყისამდე.

ხშირად წამება შეგნებულად გრძელდებოდა სიკვდილის დადგომამდე, რაც რომის იმპერატორების, აღმოსავლეთის მბრძანებლების, რუსი მეფეებისა და ხანების ”გართობის” საგანს წარმოადგენდა. კალიგულა ადამიანებს მხეცებს მიუქსევდა და ცოცხლად ხერხავდა, აღმოსავლეთის ხალიფები ძელზე სვამდნენ, აბრმავებდნენ, გველებიან ორმოში აგდებდნენ, წამლავდნენ. რუსეთის მეფე, ივანე მრისხანე, მსხვერპლს ძაღლებს უქსევდა, მდუღარეს ასხამდა, კანს აძრობდა, ყინავდა, წყალში ახრჩობდა, ნაწილებად ჭრიდა, სახსრებს ამოუგდებდა (123, 76). რუმინეთის მმართველი ვალახინ ვლად ცეპეში, რომელსაც საკუთარმა მამამ (თურქეთის გაძლიერებულ ექსპანსიასთან საბრძოლველად შექმნილი დრაკონის რელიგიურ-რაინდული ორდენის კომანდორმა) დრაკულა, ანუ დრაკონთან ზიარებული უწოდა, სასტიკად უსწორდებოდა თურქ ტყვეებსა და მოწინააღმდეგესთან კავშირში ეჭვმიტანილებს. თანამედროვეები მას სხვა ზედმეტსახელითაც (”ვლად ძელზემსმელი”) მოიხსენიებდნენ. ცნობილია, რომ, როდესაც თურქი სულთნის ჯარმა რუმინელი დიდებულის ციხეს ალყა შემოარტყა, დრაკულამ ბრძანა თავები მოეკვეთათ მოკლული თურქებისთვის, შუბებზე წამოეცვათ და კედლებზე აღემართათ (254, 13).

წამების მეორე ტიპი ასევე უძველეს პერიოდში აღმოცენდა. ადამიანები ზოგჯერ ნებაყოფლობით, უფრო ხშირად კი ნათესავების, თანათემელების, შამანების ან სოციალური ტრადიციების მოთხოვნით წამებით გამოცდას ექვემდებარებოდნენ. ეს ხდებოდა სოციალური სტატუსის ამაღლების, ცხოვრების ახალ (ზრდასრულ) ეტაპზე გადასვლის მიზეზით ან მოხუცებულობისა და უძლურებისგან სიკვდილით თავის დახსნის მიზნით.

სახიჩრობის გამომწვევ პროცედურებს ძირითადად ქალები და ბავშვები ექვემდებარებოდნენ. ჩინელ ქალებს ტერფებს უხვევდნენ ”ლოტოსის ფეხების” ფორმირებისთვის. სიმახინჯე მათ ზოგჯერ სიარულის საშუალებასაც უსპობდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ქალებს სპეციალური რკინის რგოლების გამოყენებით კისრებს უგრძელებდნენ მანამ, სანამ მათ გარეშე საკუთარი კისრის მართვის უნარს არ დაკარგავდნენ. ზოგიერთ ტომში უფროს ქალიშვილს უმახინჯებდნენ სარძევე ჯირკვლებსა და სასქესო ორგანოებს, რათა არ გათხოვილიყო და მშობლიური კერა არ დაეტოვებინა. აფრიკაში ჩვილებს თავზე სპეციალურ ფიცრებს ამაგრებდნენ თავს კვადრატული ფორმა რომ მიეღო და ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე

გამორჩეული ყოფილიყო სხვებისგან. ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეების ევროპაში დიდი წარმატებით სარგებლობდნენ მახინჯები და ჯუჯები. ხშირად ეს სიმახინჯე ხელოვნურად მიიღწეოდა (187).

ინდივიდუალური ნებაყოფლობითი წამების გავრცელებულ სახეობას წარმოადგენდა ტატუ და მისი ნაირსახეობა, რამაც თითქმის სახეუცვლელად მოაღწია დღევანდელ დღემდე. სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილის ტატუთი დაფარვისთვის ადამიანმა საკმაოდ ძლიერი და ხანგრძლივი ტკივილი უნდა გადაიტანოს. პრიმიტიული ტომები ტატუირებას იყენებდნენ იდენტიფიკაციის, ადამიანის ცხოვრების თავისებური ჟამთაღრიცხვისთვის. ზოგიერთი ჯგუფი თანამედროვე ადამიანებისა (კრიმინალური საზოგადოებები, იაპონური იაკუძა, არაფორმალური ახალგაზრდული გაერთიანებები და რელიგიური სექტები) ტატუირებას იმავე მიზნებით მიმართავენ, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ტატუს გამოიყენებენ საკუთარი სხეულის მოსართავად. ზოგჯერ (მაგალითად, საბჭოთა კავშირის ციხეებსა და ბანაკებში) ტატუ მიუთითებდა პატიმრის სტატუსზე. საიდენტიფიკაციო ტატუირება ციხეებში იძულებითაც უკეთდებოდათ, მაგალითად, ჰომოსექსუალისტებს (13, 77).

წამების მესამე ტიპი შედარებით გვიან აღმოცენდა, როდესაც გართულდა ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობები და ინფორმაციის ახალი წყაროების მოძიების საჭიროება გაჩნდა. შესაბამისად, წამების ეს ტიპი მიზნად ინფორმაციის მიღებას ისახავდა მოწინააღმდეგის დისლოკაციისა და საკვების მარაგის შესახებ ცნობებიდან დაწყებული სამეწარმეო და ანტისახელმწიფოებრივი შპიონაჟით დამთავრებული.(32, 21)

თითების მოტეხვით, სახსრების ამოგდებით, გახურებული შანთით დადაღვით, წყლის დალევისა და ძილის აკრძალვით, მეტალის და ელექტროსაგნების, ასევე სხვა მოწყობილობების გამოყენებით მოძალადეები სწრაფად აღწევდნენ სასურველ მიზანს. ინკვიზიციამ და ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მნიშვნელოვან სრულყოფილებას მიაღწიეს აღნიშნულ საქმეში. ინკვიზიციის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და გესტაპოს სარდაფების ხსენებაც კი თანამედროვეებს ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნებისა თუ გამოგონების გუნებაზე აყენებდა (108), (117).

2.2.1 წამება ანტიკურ პერიოდში

წამების ინგლისური სახელი "torture" ლათინური სიტყვისგან ”torquere” წარმოდგება, რაც ”დაკლაკვნას” ნიშნავს. 3000 წელზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში წამება დასჯის დაკანონებული ფორმა იყო, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება და კერძო პირები იყენებდნენ. ისტორიული ქრონიკების მიხედვით, ფარაონი რამზეს II ჩვ.წ.აღ.-მდე 1300 წელს სასტიკად აწამებდა ტყვეებს, რომლებსაც შემდგომ მონებად ყიდდნენ ან სიკვდილით სჯიდნენ (108, 9), (142).

ძველ ეგვიპტეში ისეთი სამართალდარღვევები, როგორიცაა სახელმწიფო ღალატი, ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა, სისხლის აღრევა, რომაული სამართლის მიხედვით, წამების გამოყენებით გამოიძიებოდა. რომში პირველ ქრისტიანებს სახელმწიფოს მტრებად მიიჩნევდნენ და რწმენის უარსაყოფად სასტიკად აწამებდნენ. მოგვიანებით, უკვე ქრისტიანმა იმპერატორებმა გამოსცეს დეკრეტი, რომლის მიხედვითაც მღვდლის შეურაცხყოფისთვის დამნაშავეს ხელ-ფეხს კვეთდნენ და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ჭრილობებს უშანთავდნენ, საეკლესიო წესის დამრღვევთ კი გაშოლტვა ემუქრებოდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მონისა და თავისუფალი ადამიანის მიმართ გამოყენებული სასჯელი სისასტიკით განსხვავდებოდა. ერთი და იგივე დანაშაულისთვის თუ თავისუფალ ადამიანს როზგავდნენ ან ციხეში ამწყვდევდნენ, მონას სიცოცხლეს ასალმებდნენ. რომის მოალაქეებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აწამებდნენ (თუმცა, კანონი ამას არ კრძალავდა). დასჯა საჯარო ხასიათს ატარებდა და მის საყურებლად არაიშვიათად ადამიანთა მასები იყრიდნენ თავს.

წამების იმდროინდელ ნაირსახეობას წარმოადგენდა ე.წ. ”flagellum” - ხარის ტყავის სქელი ზოლებისგან დამზადებული და ტყვიის კაუჭებით დამძიმებული მათრახით ცემა. ცემდნენ, ასევე, ე.წ. პერგამენტის ზოლებიანი მათრახით (scutica) ან ტყავის ქამრით (ferula) (32). აწამებდნენ ”სპილენძის ხარის” ('brazen bull') გამოყენებითაც: ცოცხალ მსჯავრდებულს გამოამწყვდევდნენ ხოლმე ხარის ზომის სპილენძის ღრუიან ქანდაკებაში, რომელსაც კოცონში აგდებდნენ და ადამიანს ცოცხლად წვავდნენ, რითაც წარმოუდგენელ ტანჯვას აყენებდნენ (20). უნდა აღვნიშნოთ გლადიატორების ბრძოლები რომის იმპერიაში, რომელშიც მონაწილება ზოგჯერ სასჯელის ფორმას წარმოადგენდა. (195)

2.2.2. ადრეული ქრისტიანული სამსჯავროები

ქრისტიანობის ფორმირების პერიოდში ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ე.წ. ”ღვთის სამსჯავროს” ('trial by ordeal'), სადაც ადამიანს უდანაშაულობაზე ცდიდნენ (16, 7).

იყენებდნენ გამოცდის ორ ტიპს. პირველის შემთხვევაში ხდებოდა ბრალდებულისა და ბრალმდებლის ერთდროული გამოცდა. მათ ერთმანეთის პირისპირ აყენებდნენ, ხელებს განზე აშლევინებდნენ (ცოცხალი ჯვრის მსგავსად) და ვინც მეტ ხანს გაძლებდა ასეთ პოზაში, ის ითვლებოდა მართლად.

მეორე ტიპის გამოცდას მხოლოდ ბრალდებულს უწყობდნენ. ენაზე ადებდნენ ნაკურთხ კვერს (საღვთისმსახურო ლიტურგიულ პურს) და თუ გამოსაცდელი ვერ გადაყლაპავდა მას, დამნაშავედ მიიჩნეოდა.

ატარებდნენ განსაკუთრებით სასტიკ გამოცდებსაც: გახურებული რკინის ხელში აღება, ხელის მდუღარეში ჩადება, გავარვარებულ ნახშირზე ან რკინის საფეხურებზე სიარული. მსგავსი გამოცდები ეფუძნებოდა რწმენას, რომ ღმერთი დაიცავდა უდანაშაულოს და ის არანაირ ტრამვას მიიღებდა.

1215 წელს პაპმა ინოკენტი III-მ რომის კონკლავზე აკრძალა ”ღვთის სამსჯავროები".

ინკვიზიცა და წამება. რომის კონკლავის მიერ ”ღვთის სამსჯავროს” აკრძალვის შემდეგ, მისი ადგილი ინკვიზიციამ (inquisition) დაიკავა. მის პირველსაწყის ანალოგად ითვლება IX საუკუნეში ფრანკების იმპერატორის შარლემანის (Charlemagne) მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემა, რომლის დროსაც იმპერატორის მიერ უფლებამოსილი ჩინოვნიკები ყველა დანაშაულს იძიებდნენ per inquisitionem (52, 18).

დასაწყისში ინკვიზიცია მხოლოდ ერეტიკოსებს ებრძოდა და ერთადერთი სასჯელი მოკვდინება გახლდათ. გამოძიებას ადგილობრივი ეპისკოპოსები ატარებდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეპისკოპოსებს არ გააჩნდათ პაპის კანონების საკმარისი ცოდნა და მათ ძალაუფლებასაც საზღვარი გააჩნდა. ამგვარმა ვითარებამ ინკვიზიციის შექმნა განაპირობა.

ინკვიზიტორები უფრო ხშირად იყვნენ დომინიკანური ორდენის წევრები, იშვიათად - ფრანცისკანელი ბერები. მოგვიანებით ზოგიერთი მათგანი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1252 წელს, ინკვიზიტორ პეტრე ვერონელის მკვლელობის შემდეგ, რომის პაპმა ინოკენტი IV-მ მიიღო დოკუმენტი «Ad extirpanda» (ბუკვალურად, ”აღმოფხვრისათვის”), რომლითაც განაჩენის სისრულეში მოყვანის მაქსიმალური ვადის (5 დღე) რეგლამენტირება მოხდა. ესპანეთში განაჩენი სისრულეში დაუყოვნებლივ მოჰყავდათ. ეს ჩვეულებრივ დღესასწაულებზე ხდებოდა ხოლმე, რათა ხალხი სანახაობით ”დამტკბარიყო”.(24, 32)

წამებას მიმართავდნენ, როდესაც ეჭვმიტანილი უარს ამბობდა ეპასუხა შეკითხვებზე, როდესაც მსხვერპლი ერეტიკოსის რეპუტაციით სარგებლობდა და მაშინაც, როდესაც მოწმის ჩვენება იყო მისაღები. მიიჩნეოდა, რომ განსასჯელის ბრალეულობის დადგენა მხოლოდ წამების პალატებში იყო შესაძლებელი. თავიდან პატიმარი უბრალოდ მიჰყავდათ იქ, ათვალიერებინებდნენ წამების იარაღებს, უხსნიდნენ თითოეული მათგანის დანიშნულებას და აყურებინებდნენ სხვა ბრალდებულთა ტანჯვას.

თავდაპირველად წამებას მიმართავდნენ, როგორც უკიდურეს ღონისძიებას. შემდეგ მას რეგულარულად გამოიყენებდნენ არამარტო ბრალდებულების, არამედ მოწმეების მიმართაც. მაშინაც კი, როდესაც ბრალდებული თავიდანვე აღიარებდა დანაშაულს, მას მაინც უნდა გაემეორებინა აღიარება წამების პროცესში, ვინაიდან მიიჩნეოდა, რომ შესაძლებელი იყო დანაშაული წამების შიშით ეღიარებინა და ”ჩვენებაც” არასანდო, ხოლო ბრალი კი არასრული აღმოჩენილიყო (52).

1307 წელს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV-ის ბრძანებით აწამეს რაინდი-ტამპლიერები, რომლებიც მამათმავლობაში გამოტყდნენ. შემდეგ თვით ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრი აიძულეს გაემეორებინა საკუთარი ჩვენება პარიზის უნივერსიტეტის პროფესორთა შეკრებაზე (80, 98).

ოფიციალურად წამება მხოლოდ 1816 წელს აიკრძალა რომის პაპის პიი VII-ს მიერ.

სხვადასხვა ქვეყანაში წამების განსხვავებულ მეთოდებს მიმართავდნენ. ზოგიერთი მათგანი კანონით იკრძალებოდა, თუმცა ჯალათთა უმრავლესობა თავს არ იზღუდავდა ”წამების კანონებით” (torturers code of conduct manual). გამოიყენებდნენ წყლისა და ქვიშის ნარევის

ნესტოებში ჩასხმას, კანის აცლას, მოგვიანებით ძელზე დაჭიმვას (rack) ან მომჭერებით წამებას (thumbscrews).

მიმართავდნენ, ასევე, ძილის აკრძალვას. პარალელურად მსხვერპლს აწვდიდნენ სპეციალურ საკვებს, რაც უძლიერეს წყურვილს იწვევდა. უძილობით და მტანჯველი წყურვილით გატანჯული ადამიანი აღიარებდა ხოლმე ყველაფერს, რაშიც მას ადანაშაულებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ უძილობით წამება დღემდე გამოიყენება ზოგიერთი რეჟიმის მიერ.

1486 წელს ლათინურ ენაზე გამოიცა "Malleus Maleficarum" (”ჯადოქრების ჩაქუჩი"), რომელშიც ჯადოქრების არსებობას ამტკიცებდნენ და რომელიც ყოვლისმომცველ ენციკლოპედიად და იურიდიულ სახელმძღვანელოდ იქცა. აღნიშნული ცნობარი მიზნად ჯადოქრების დევნას, წამებასა და ფიზიკურ განადგურებას ისახავდა. ორი საუკუნის მანძილზე ეს წიგნი სიყალბისა და შიშის გამეფებას ემსახურებოდა (112).

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ესპანური ინკვიზიცია, რომელიც სრული ავტონომიით სარგებლობდა და პრაქტიკულად რომის პაპსაც არ ემორჩილებოდა.

ადამიანები თვითწამებასაც ეწეოდნენ. კერძოდ, ფლაგელიანტები (Flagellants) - რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც XIII საუკუნეში უხვად მომრავლდნენ ცენტრალურ ევროპაში, თავად იმათრახებდნენ თავს წკეპლით ან მათრახით (118, 149). (119)

2.2.3 წამების ფენომენი თანამედროვე მსოფლიოში XX-XXI საუკუნეებში

XX საუკუნეში წამება კვლავ ფართოდ გავრცელდა ზოგიერთ ქვეყანაში.

2.2.3.1 წამება ნაცისტურ გერმანიაში

ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, დაიწყო ახალი ფაშისტური იდეოლოგიის გამყარება ოფიციალური კანონმდებლობით. სისხლის სამართლის კანონი მუდმივად

იცვლებოდა სიკვდილით დასჯადი შემადგენლობების გაფართოვების, რეპრესიების გაძლიერების მიმართულებით, განსაკუთრებით რასობრივი, პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით. (128)

ნაცისტების მიერ ორგანიზებული საკონცენტრაციო ბანაკები "სიკვდილის ფაბრიკებად" იქცნენ. იყო დღეები, როდესაც ოსვენციმში 10-12 ათასი კაცი ნადგურდებოდა. მათ ხვრეტდნენ, მომწამვლელი აირით ხუთავდნენ ან სხვა საშუალებებით კლავდნენ (128).

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაცისტები იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ რომში აპრობირებულ მეთოდს, როდესაც დამპყრობლები საკუთარ ხელშეუხებლობას მძევლების სიცოცხლით უზრუნველყოფდნენ. მაგალითად, 1941 წლის 21 ოქტომბერს იუგოსლაველი პარტიზანების შეტევის გამო ფაშისტებმა კრაგუევიცას 2300 მცხოვრები დასაჯეს სიკვდილით (201). 1942 წლის 27 მაისს მოკლულ იქნა ბოჰემიისა და მორავიის დაცვის რაზმების (SS) შეფი რეინხარდ გეიდრიხი. ამის პასუხად, ჰიტლერის პირადი ბრძანებით, ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგობის ასეულობით მონაწილე დახვრიტეს და ორი დასახლებული პუნქტი ლიდიცე და ლეჟაკი გაანადგურეს, სადაც სრულად ამოწყვიტეს მოსახლეობა.

ფაშისტურ ბანაკებსა და ციხეებში ადამიანების მასობრივი განადგურებისა და წამებისთვის ნაცისტები იყენებდნენ როგორც ველურ შუასაუკუნეობრივ, ისე უახლეს მეთოდებს, როგორიცაა:

- ცოცხლად მოხარშვა. 1943 წელს ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკში ნაცისტებმა წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი ორი გაკოჭილი გოგონა ჩააგდეს წყლით ავსებულ კასრებში და მათ ირგვლივ ცეცხლი გააჩაღეს.
- ნაწილებად გახლეჩა. თუ საფრანგეთში მეფის მკვლელებს ცხენების გამოყენებით ნაწილებად ხლეჩდნენ, ფაშისტები, იგივე მიზნით, ტანკებს იყენებდნენ;
- ყინვაში ცივი წყლის გადავლება. სწორედ ამ მეთოდით დასაჯეს სიკვდილით საბჭოთა გენერალი კარბიშევი;
- გილიოტინირება. მიუხედავად იმისა, რომ გილიოტინა მთელ ევროპაში წარსულს ჩაბარდა, გერმანიაში ის ხელახლა აღორძინდა. 1933-დან 1945 წლამდე გერმანიასა და ავსტრიაში 40 ათასამდე ადამიანს მოჰკვეთეს თავი (92, 57).

განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებდნენ გილიოტინას ბერლინის პლეტცენზეს ციხეში. აქ თავი მოჰკვეთეს ჩეხ მწერალს იულიუს ფუჩიკს, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირს, რუს თავადის ქალს ვერა ობოლენსკაიას, იატაკქვეშელ მუსა ჯალილსა და სხვებს.

ცალკეული ადამიანის დასჯის გარდა, ფაშისტებმა ნამდვილი სიკვდილის ფაბრიკები აამოქმედეს და დაუსრულებლად ხვეწდნენ სიკვდილით დასჯის მასობრივ ხერხებს.

ინვალიდებისა და სულით ავადმყოფების მოკვდინებისთვის მათ ევთანაზიის (აქცია ტირგარტენშტრასე 4”) მთელი პროგრამა შეიმუშავეს. საკმარისი იყო ადამიანს 5 წელზე მეტხანს ეავადმყოფა, რომ სიკვდილის პროგრამის მსხვერპლი გამხდარიყო. მკვლელობის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ფაშისტები გაზის კამერებს მიიჩნევდნენ და ფართოდაც იყენებდნენ. მხოლოდ ერთ დღეში (1943 წლის 25 ოქტომბერს) ოსვენციმის გაზის კამერაში მათ ორი ათასამდე ბერძენი ქალი მოკლეს (71).

2.2.3.2. წამება ჩინეთში

რევოლუციას, რომელიც ჩინეთში 1966-1976 წწ. კომუნისტური პარტიის ლიდერის მაო ძე დუნის ორგანიზებით მოხდა, ხუნვეიბინების ბანდების ტერორი ახლდა თან. ხუნვეიბინები (ან ”წითელგვარდიელები”) გახლდნენ ახალგაზრდული რაზმები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ 1966-1967 წლებში მაოიზმის მტრებთან საბრძოლველად. მათ უნდა გამოევლინათ და აღეკვეთათ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა არსებულ იდეოლოგიას.(194, 89) ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს ადამიანთა მასობრივ წამებას, მკვლელობასა და ხალხის დაშინების სხვადასხვა ხერხს იყენებდა. წითელრაზმელებს უფლება ჰქონდათ ქუჩაში ნებისმიერი ადამიანისთვის მოეთხოვათ მაოს ციტატების კრებულის წარმოდგენა. იმ დროისთვის ის თავისუფალ გაყიდვაში არსებული ერთადერთი წიგნი იყო.

ხუნვეიბინები თავად წყვეტდნენ, ვინ ჩაეთვალათ დამნაშავედ და მაოს მტრად. უფრო ხშირად ასეთები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, კულტურული მოღვაწეები, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. ”წითელი რაზმების” მიერ მოწყობილ სახალხო

პროცესიებზე მასხარების თავსაბურებით მორთულ და თავჩაქინდრულ ”დამნაშავეებს” აიძულებდნენ ძაღლებივით ეყეფათ ან სხვა დამამცირებელი ქმედებები ჩაედინათ. ციხეებში რეჟიმის მტრებს აწამებდნენ, კლავდნენ, ნემსებით ჩხვლეტდნენ, აიძულებდნენ გავარვარებული მზის ქვეშ მოხრილ მდგომარეობაში საათობით დგომას. ბევრი მათგანი ვერ უძლებდა ტანჯვას, კვდებოდა ან სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდა.(241)

კულტურული რევოლუციის მსხვერპლთა რაოდენობა მილიონობით მოკლულს, თვითმკვლელობამდე მიყვანილსა და რეპრესირებულს შეადგენდა (320).

ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ამაზრზენ მოვლენებს ჰქონდა ადგილი გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიურ რაიონში. ჩჟენგის წიგნში აღწერილია 100-მდე კანიბალიზმის შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იანი წლების ბოლოსთვის. მწერალი აღწერს ე.წ. ”ადამიანის ხორცის ბანკეტებს”, რომლებზედაც ზოგიერთი პარტიული ლიდერი მიმდევრებს უბიძგებდა კლასობრივი მტრების დახოცვისა და მათი ზოგიერთი ორგანოს (გულის, ღვიძლის და სხვ.) შეჭმისკენ. ჩჟენგი ამტკიცებს, რომ შეძლო შეეგროვებინა ზემოაღნიშნულის უტყუარი მტკიცებულებები, ჩაიწერა ინტერვიუები დაზარალებულთა ნათესავებთან, მოვლენათა უშუალო მონაწილეებთან.

ასევე, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ 10 მილიონამდე სტუდენტისა და ინტელიგენციის წარმომადგენლის გადასახლების შესახებ სოფლის ტიპის დასახლებებში.

კულტურული რევოლუციის შედეგები საშინელია:

- დამანგრეველი ზემოქმედება ქვეყნის ცხოვრებაზე;
- დიდი ადამიანური მსხვერპლი (ზოგიერთი მონაცემის მიხედვით 100 მილიონამდე);
- მაოიზმის იდეოლოგიით შთაგონებული კლასობრივი ომები და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცეული მკვლელობები;
- დანგრეული უძველესი არქიტექტურული ნაგებობები (მათ შორის, არაერთი ტიბეტური ტაძარი და ჩინეთის დიდი კედლის ზოგიერთი მონაკვეთი) (49, 343).

წამებასა და ადამიანის უფლებების დარღვევას ჩინეთში თანამედროვე პერიოდშიც აქვს ადგილი. 2010 წელს საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც მოყვანილია ადამიანის წამებისა და ცემის ათობით შემთხვევა ჩინეთის

ტერიტორიაზე. წამებას ფართოდ იყენებენ ციხეებში, მას ხშირად მიმართავენ პოლიციის თანამშრომლებიც. (284)

2.2.3.3. წამება ამერიკის შეერთებულ შტატებში

XXI საუკუნის დასაწყისში წამების ფაქტები დაფიქსირდა ამერიკაშიც, რომლებიც საიდუმლო, არაოფიციალური ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე ჩაიდინებოდა.

წამების ჩადენისათვის (შედეგებისგან დამოუკიდებლად) ამერიკის შეერთებულ შტატებში დამნაშავეს 29 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, თუმცა, აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებზე.

2001 წლის შემდეგ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო დაკითხვის მკაცრმა მეთოდებმა, რომელთაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები იყენებდნენ აშშ საიდუმლო ციხეებში ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი უცხოელების მიმართ. განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციას ამერიკელების მიერ აბუ-გრეიბის (ერაყი) ციხეში პატიმრების წამების შესახებ.

ზოგიერთი პატიმრის ჩვენების თანახმად, ამერიკელი ჯარისკაცები მათ აუპატიურებდნენ, მხედრებივით ასხდებოდნენ ზურგზე და არბენინებდნენ, აიძულებდნეს საკვების ციხის ტუალეტიდან ამოღებას. პატიმრები ყვებოდნენ, რომ მათ დაოთხილს ატარებდნენ და ძაღლებივით აყეფებდნენ, ხოლო თუ უარს იტყოდნენ ყეფაზე, შეუბრალებლად სცემდნენ სახეში. ამის შემდეგ საკნებში შეაგდებდნენ, ლეიბებს ართმევდნენ, იატაკზე წყალს ღვრიდნენ და ასეთ პირობებში აიძულებდნენ ძილს. დამატებით, ყოველივე ამის ფოტოგრაფირებას ახდენდნენ. ერთერთი პატიმარი ყვებოდა, რომ ამერიკელმა ის აიძულა დამდგარიყო სამარცხვინო პოზაში, ზურგზე ქალი დაახატა, ხელში საკუთარი სათესლე პარკი დააჭერინა და ისე გააუპატიურა (33). (61).

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების 12 სამხედრო მოსამსახურეს, რომელთაც აბუ-გრეიბის ციხეში მომხდარ ინციდენტებში მონაწილეობის ბრალი დაუდასტურდათ, სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ. მსგავსი ინციდენტების თავიდან

ასაცილებლად 2005 წელს აშშ-ში მიიღეს სპეციალური კანონი დაკავებულის მიმართ მოპყრობის შესახებ (315, 17), თუმცა ცნობილია, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს რჩება უფლება გამოიყენოს სიკვდილით დასჯის ინსცენირება დახრჩობის ან წამების სხვა ხერხის გამოყენებით. 2007 წლის დეკემბერში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ აღიარა, რომ გაანადგურა ეჭვმიტანილთა დაკითხვის ვიდეოჩანაწერები. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაშინდელი დირექტორი მაიკლ ჰაიდენი საკუთარი უშიშროების სამსახურზევე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ გამოყენებული მეთოდები ლეგალური იყო. სააგენტომ გაანადგურა მტკიცებულებები, რომლებსაც მისი თანამშრომლების კომპრომეტირება შეეძლო. ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის კავშირმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათი განადგურება იქცა მასშტაბური და ხანგრძლივი პროცესის ნაწილად წამებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო ცალკეული მოქალაქისათვის კრიმინალური პასუხისმგებლობის აცილების გზაზე (165, 09).

2008 წლის თებერვალში მაიკლ ხაიდენმა აღიარა, რომ მისი თანამშრომლები დაკითხვაზე იყენებდნენ მეთოდს, რომელიც გულისხმობდა ეჭვმიტანილის წყალში ჩაძირვას დახრჩობის ეფექტის მიღწევისთვის. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აღნიშნულს არ მიიჩნევდა წამებად და მას განსაზღვრავდა, როგორც ”დაკითხვის უფრო მკაცრ მეთოდს” (353). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა წამოაყენა წინადადება, ინფორმაციის მიღების მიზნით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ აღნიშნული მეთოდის გამოყენების აკრძალვის თაობაზე, თუმცა, ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ასეთი კანონის მიღებას ვეტოს დაადებდა (196). (33) მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2009 წლის 22 იანვარს ხელი მოაწერა ბრძანებულებას დაკითხვის აკრძალვის შესახებ წამების გამოყენებით (207). ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაში 2009 წელს დაიწყო დისკუსია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმ თანამშრომლების შესაძლებელ მიცემაზე, რომელთა სანქცირებითაც ხდებოდა ე.წ. ”დაკითხვის უფრო მკაცრი მეთოდების” (waterboarding) გამოყენება (161). (168, 5).

2.2.3.4. წამება საბჭოთა კავშირში

როგორც წესი, წამება საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ რეპრესიებთან იყო დაკავშირებული. თავისი არსებობის მანძილზე სახელმწიფო გამოიყენებდა პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევი დასჯისა და უფლებების შეზღუდვის სხვადასხვა მეთოდს ცალკეული პირის ან პირთა კატეგორიის მიმართ. პოლიტიკური რეპრესიები გულისხმობდა სიკვდილით დასჯას, თავისუფლების აღკვეთას, ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში იძულებით მოთავსებასა და მკურნალობას, ქვეყნიდან გაძევებას, მოქალაქეობის ჩამორთმევას, ადამიანებისა და მათი ჯგუფების გამოსახლებას საცხოვრებელი ადგილებიდან, გადასახლებაში გაგზავნას, თავისუფლების შეზღუდვის პირობებში იძულებით შრომას, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სხვადასხვა სახით აღკვეთასა თუ შეზღუდვას მათ მიმართ, ვისაც სახელმწიფოსა და პოლიტიკური წყობილებისთვის საშიშ პირებად მიიჩნევდნენ კლასობრივი, სოციალური, ნაციონალური, რელიგიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით, რაც სასამართლოების, სასამართლოს უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე ან ადმინისტრაციული წესით, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ადმინისტრაციული უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ ხორციელდებოდა (27, 37).

ისტორიკოსების შეფასებით, პოლიტიკური და სისხლის სამართლის დანაშაულების გამო 1923-1953 წლებში მსჯავრი 40 მილიონზე მეტ ადამიანს დაედო (179, 190). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული და მიახლოებითია, მაინც სრულად აირეკლავს რეპრესიული სახელმწიფო პოლიტიკის მასშტაბებს. თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობას გამოვაკლებთ 14 წელზე უმცროს და 60 წელზე უფროს პირთა რიცხვს (ანუ ადამიანებს კრიმინალური საქმიანობის შეზღუდული უნარით), აღმოჩნდება, რომ 1923-დან 1953 წლამდე მსჯავრდებულ იქნა საზოგადოების ყოველი მესამე ქმედუნარიანი წევრი.(149)

მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე საერთო სასამართლოებმა განაჩენი 39,1მლნ. ადამიანს გამოუტანეს. ამავდროულად სხვადასხვა წელს პატიმრობა მიუსაჯეს ბრალდებულთა 37-დან 65-მდე პროცენტს (თუ არ ჩავთვლით შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ რეპრესირებულებს, უზენაესი, სამხარეო და საოლქო სასამართლოების სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების, ასევე ბანაკებთან არსებული მუდმივმოქმედი სესიების, სამხედრო ტრიბუნალების მიერ მსჯავრდებულებს, დეპორტირებულ ხალხებსა და სხვ.).(129)

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ”1920-1953 წლებში რეპრესირებულმა საბჭოთა მოქალაქეებმა, რომელთაც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით აღეკვეთათ ან მნიშვნელოვნად შეეზღუდათ თავისუფლება (ბანაკებში, სპეციალურ დასახლებებში მოთავსებით) 25-30 მლნ. ადამიანი შეადგინა. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლის მიხედვით გასამართლებულები, დეპორტირებულების ჩათვლით (115, 28).

პატიმართა მიმართ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გამოიყენებდნენ წამების სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა:

1. ცემა (მათ შორის ფეხებითაც და მოკვდინებამდე);
2. მჭიდროდ დაბმა (კიდურების დაბუჟებამდე, ნაწოლების გაჩენამდე). განსაკუთრებულ შემთხვევებში აბამდნენ ისე, რომ სხეულზე სისხლნაჟღენთები ჩნდებოდა. ამგვარ მდგომარეობაში მსხვერპლი, შეეძლოთ, მთელი კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ.
3. სულფაზინის ინექციები (რომელიც ყველგან აკრძალული იყო, გარდა საბჭოთა კავშირისა). კეთდებოდა ერთი ან ერთდროულად ორი (ოთხიც კი) ინექცია ხელში, ფეხში, ბეჭქვეშ, რაც იწვევდა გაუსაძლის ტკივილს 2-3 დღის განმავლობაში.
4. ბორმანქანით ბურღვა (მსხვერპლს სავარძელზე აბამდნენ, ჯანმრთელ კბილს მანამ უბურღავდნენ, სანამ ბურღი ყბის ძვალში არ შეიჭრებოდა, შემდეგ კი კვალის დასაფარად ბჟენს აკეთებდნენ).
5. აიროვანი ჟანგბადის შეყვანა კანქვეშ (ფეხში ან ბეჭქვეშ) მსხვილი ნემსის გამოყენებით.
6. ამინაზინის ინექციები, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან მტკივნეული იყო, ღვიძლის ციროზულ გადაგვარებას იწვევდა. პრეპარატის ზემოქმედების შედეგად, ადამიანს ძილის დაუძლეველი სურვილი უჩნდებოდა. ამის საშუალებას კი არ აძლევდნენ. მედიკამენტი, ასევე, გამანადგურებლად მოქმედებდა მეხსიერებაზე და ადამიანი სრულ ამნეზიამდეც მიჰყავდათ ხოლმე.
7. ინსულინური შოკი ცნობიერების დაკარგვით (რაც აზიანებდა ტვინის ნაწილებს, აქვეითებდა ინტელექტს და ადამიანებს მეხსიერებას უკარგავდა).
8. ელექტროშოკი (ელექტროდენით წამება, რომელიც შეუქცევადად ანადგურებდა თავის ტვინს) (132, 123).

2.2.4. წამების, როგორც დანაშაულობის ნაირსახეობის გენეზისი საქართველოში

შუა საუკუნეების საქართველოში დამნაშავეთა წამება და დასახიჩრება დაშვებული იყო მოქმედი კანონის თანახმად. ამ კუთხით საინტერესია ვახტანგ VI-ს კანონთა კრებულში ასახული უდანაშაულობის მტკიცებულებები. "ვახტანგის კანონებში" განხილულია უდანაშაულობის დადგენის 6 ხერხი სასამართლო გარჩევის პროცესში: 1.ფიცის დადება; 2. გახურებული რკინით დაშანთვა; 3. დამდუღრვა; 4. ორთაბრძოლა; 5.მოწმეების ჩვენება; 6.ცოდვის აღება. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება ჰქონდა და კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით გამოიყენებოდა.

წამების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა უდანაშაულობის დადგენა გახურებული რკინისა და მდუღარეს გამოყენებით. როგორც კოდექსის მე-8 პუნქტში წერია, ბრალდებულს ეძლეოდა დრო ლოცვისათვის, შემდეგ საჯარო ადგილას ქვაბში წყალს ადუღებდნენ, რომელშიც რკინის ჯვარს ათავსებდნენ. წყლის ადუღების შემდეგ ბრალდებული ხელს ჰყოფდა მდუღარეში და ჯვარს იღებდა. ამის მერე ხელზე აცვამდნენ ტომსიკას და სამი დღის შემდეგ ხსნიდნენ. დამწვრობის არარსებობის შემთხვევაში დამნაშავეს ამართლებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალს წაუყენებდნენ.(136)

რკინით გამოცდის დროს ბრალდებულს ხელზე ადებდნენ ქაღალდის ფურცელს, შემდეგ კი გახურებულ რკინას. სამი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, განსასჯელი რკინას აგდებდა. დამწვრობის განვითარების შემთხვევაში მას ბრალი უმტკიცდებოდა და პირიქით (136, 44). მსგავსი ცდები ტარდებოდა მრავალ ქრისტიანულ ქვეყანაში და ეფუძნებოდა რწმენას, რომ უფალი დაიცავს უდანაშაულოს და მისთვის ზიანის მიყენებას არ დაუშვებს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველო არაერთხელ გამხდარა ძალადობის სამიზნე. რევოლუციისა და საბჭოთა კავშირთან იძულებითი მიერთების შემდეგ, მოსახლეობაში აღმოცენებული მღელვარება რეპრესიების საბაბი ხდებოდა ხოლმე.

1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მოხდა შეიარაღებული ანტისაბჭოთა აჯანყება, რაც წარუმატებლად დასრულდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები, რომელთაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტია უჭერდა მხარს. წითელი არმიის

მიერ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქვეყანაში მასობრივი რეპრესიები დაიწყო, რის შედეგადაც რამდენიმე ათას ადამიანს მიადგა ზიანი და ბოლშევიკების ხელისუფლება დამყარდა (2).

რეპრესიების მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია. 3000-მდე მებრძოლი შეეწირა აგვისტოს აჯანყების საომარ ქმედებებს, შვიდიდან ათი ათასამდე ადამიანი დახვრიტეს, ხოლო ოცი ათასამდე გადასახლებაში გაუშვეს.

30-იანი წლების შუა პერიოდში საბჭოთა კავშირში მასობრივი რეპრესიები დაიწყო, რომლის ობიექტი საქართველოც გახლდათ. 1934-1938 წწ. სხვადასხვა მიზეზით სტალინმა ფიზიკურად გაანადგურა, ციხეში ჩასხვა ან გადაასახლა ყველა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე. რეპრესიების მსხვერპლად იქცა საქართველოს კომუნისტური პარტიის მრავალი ხელმძღვანელი პირი, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენელი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (სოფლებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში) მიმდინარეობდა დაუნდობელი ძალადობა და სისხლიანი ანგარიშსწორება. რეპრესიებში მოყვნენ ის ადამიანებიც, რომლებიც შორს იყვნენ პოლიტიკისგან. განსაკუთრებით ინტელიგენცია დაზარალდა.

1937 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტისთვის შემუშავდა სპეციალური ინსტრუქციები, რომელთა თანახმად ნებადართული იყო წამების გამოყენება, განსაკუთრებით ხალხის მტრების მიმართ. სტალინმა პირადად მოახდინა აღნიშნულის სანქციონირება და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ამის შესახებ კარგად იცოდა. არსებობს სტალინის 1939 წლის შიფროგრამა, რომლის თანახმადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტს წამების გამოყენების ნება ეძლეოდა (10.01.1939) (236).

1951 წელს სტალინს მოახსენეს მექრთამეობის ფაქტების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პროკურატურის მუშაკებს (უმრავლეს შემთხვევაში მეგრელებს) შორის. ამასთან დაკავშირებით, გამოვიდა სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში "მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფთან" მიმართებით (ბარამიას ხელმძღვანელობით), რასაც მეორე დღესვე მოჰყვა ბერიას წარდგინებით დანიშნულ-არჩეული უმაღლესი საპროკურორო და პარტიული მოღვაწეების დაპატიმრება. შემდგომში "მეგრულ საქმესთან" დაკავშირებით, კიდევ 500-მდე ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის, საქართველოს კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის 7 წევრი (თერთმეტიდან), საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების 427 თანამშრომელი (208).

გამოძიების უკანონო მეთოდების გამოყენებით შსს-ის მაშინდელი მინისტრი და მისი ქვეშევრდომები პატიმრებს აიძულებდნენ "ეღიარებინათ", რომ, თითქოს, უცხოეთის სადაზვერვო სამსახურების დავალებით ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ცდილობდნენ ხელმძღვანელი პოსტების ხელში ჩაგდებას და საქართველოს საბჭოთა კავშირისთვის ჩამოშორებას.

სტალინის სიკვდილის შემდეგ პატიმართა წამებისა და სიკვდილით დასჯის ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მოქალაქეებზე უკანონო ზემოქმედების მეთოდები არსებითად დაიხვეწა. 70-80-იან წლებში გავრცელდა პოლიტიკურად არასაიმედოდ მიჩნეული პირების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებით მოთავსება. მაგალითად გამოდგება მამა გაბრიელის (გოდერძი ურგებაძის) ბედი, რომელიც დაიბადა თბილისში, კომუნისტის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა, დედა (შემდგომში მონაზონი ანა) გარდაიცვალა 2000 წლის 26 აპრილს. 1950 წელს ჯარიდან დაბრუნების შემდეგ გოდერძიმ საკუთარ ეზოში ოთხგუმბათიანი ეკლესია ააგო, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე დაანგრიეს, თუმცა, გოდერძი ჯიუტად აღადგენდა მას (ეკლესია დღემდე დგას თბილისში).

1955 წელს გოდერძი ურგებაძე ბერად აღიკვეცა გაბრიელის სახელით. 1965 წლის 1 მაისის დემონსტრაციაზე მან ლენინის უზარმაზარი პორტრეტი დაწვა, რის გამოც ანტისაბჭოური მოღვაწეობის საბაბით დააპატიმრეს. დაკითხვაზე საკუთარი საქციელის მიზეზი მან შემდეგნაირად ახსნა: "არ შეიძლება ადამიანის გაღმერთება. ლენინის პორტრეტის ნაცვლად იქ ქრისტეს ჯვარცმა უნდა დაეკიდათ". ხანგრძლივი წამების შემდეგ მამა გაბრიელი ციხიდან გაათავისუფლეს (183, 17).

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კანონიერმა ქურდებმა.

როგორც წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა კანონიერი ქურდებისგან ფაქტობრივად კრიმინალური პოლიტბიურო შექმნეს, მიუხედავად იმისა, რომ „ქურდული გაგება" ხელისუფლებასთან თანამშრომლობას კრძალავდა. (13,45)

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ე.წ. "შრომით ბანაკებში" (1954 წლის შემდეგ "შრომით-გამასწორებელ კოლონიებში") ქურდები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, აკონტროლებდნენ პატიმრებს და თვალყურს ადევნებდნენ გრაფიკის მიხედვით სამუშაოების შესრულებას. კანონიერი ქურდები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, კერძოდ, უგულვებელყოფდნენ შრომით ვალდებულებებს, სანაცვლოდ კი სხვა პატიმრებს აიძულებდნენ, შეესრულებინათ ადმინისტრაციის მოთხოვნები და 12-14 საათი ეშრომათ არაადამიანურ პირობებში. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კანონიერი ქურდები მათ სცემდნენ ან კლავდნენ კიდეც (13,127).

ქართველმა ქურდებმა, რომლებიც საბჭოთა ქურდების 31,6 პროცენტს შეადგენდნენ, 1970-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიმყარეს პოზიციები. (13,177)

„კანონიერი ქურდების“ სამეთვალყურეო ფუნქციას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა სამუშაო გეგმის შესრულებისთვის, ვინაიდან მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანაკის ადმინისტრაციას ხშირად მავნებლობაში ადანაშაულებდნენ და ხელმძღვანელ პირებს აპატიმრებდნენ ხოლმე.

ქურდის დანიშნულების მნიშვნელოვან ასპექტს, ასევე, კავშირის მექანიზმის განვითარების ხელშეწყობა და მომსახურება წარმოადგენდა. ერთერთი ვალდებულებათაგანი მდგომარეობდა კრიმინალური იდეოლოგიის გავრცელებასა და დანაშაულებრივი ცხოვრების რომანტიზაციაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და ახლადმსჯავრდებულებს შორის. საბჭოთა კავშირში სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუარესებამ და ქურდების მიერ „დახატული“ ცხოვრების მიმზიდველობამ ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილს კრიმინალური მომავლის არჩევისკენ უბიძგა. ქურდი პასუხისმგებელი იყო „ქურდული კანონის“ დაცვაზე ქვემდგომთა შორის. სანქციები მისი დარღვევის გამო მკაფიოდ იყო დადგენილი. „კანონიერი ქურდის“ შეურაცხყოფა ან მისი ბრძანების შეუსრულებლობა სასტიკად ისჯებოდა.

1985 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამართალდამცველ ორგანოებს დაავალა, „მიეხედათ“ კანონიერი ქურდებისთვის. დავალების მნიშვნელოვნებისთვის ხაზი რომ გაესვა, კომიტეტმა განმარტა, რომ თანამდებობის პირები, რომლებიც ვერ შეასრულებდნენ დავალებას, სამართალდამრღვევებად იქნებოდნენ მიჩნეული და შესაბამისი სასჯელი დაედებოდათ. 1986 წლის შუა პერიოდში ციხეში 52 კანონიერი ქურდი ჩასვეს, თუმცა, მოსამართლეებმა მათ, დაშვებულის ფარგლებში, ყველაზე მსუბუქი სასჯელი

დაუნიშნეს. გაურკვეველია, რა იყო ამის მიზეზი - ახალი პოლიტიკის უსარგებლობის გაცნობიერება, საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა (არ არსებობდა რაიმე კანონი, რომლის საფუძველზეც ადამიანის დასჯა შესაძლებელი იქნებოდა კანონიერი ქურდობის გამო) ან, იქნებ, დანაშაულებრივი სამყაროსა და პარტიულ აპარატში მათი დამცველების მხრიდან ზეწოლა (13, 89).

80-90-იან წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ე.წ. "მაყურებლების" ინსტიტუტი. "მაყურებლები" არსებობდნენ ყველა ზონასა თუ საგამოძიებო იზოლატორში, თითოეულ ჯგუფსა თუ კორპუსში, თითქმის ყველა საკანში. ინიშნებოდნენ მაყურებლები მომარაგებაზე, სასადილოებზე, ე.წ. "ობშიაკზე" და ა.შ. მაყურებელთა ძირითადი ფუნქცია გახლდათ წესრიგის შენარჩუნება. ისინი ფაქტობრივად "ჩრდილოვანი ადმინისტრაციის" როლს ასრულებდნენ: არჩევდნენ და აღკვეთდნენ კონფლიქტებს, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ადმინისტრაციასთან, ანაწილებდნენ ციხეში ლეგალურად თუ არალეგალურად შემოსულ კვების პროდუქტებს, სიგარეტს, ნარკოტიკს, სპირტიან სასმელებს და ა.შ. ფაქტობრივად, მაყურებელი კანონიერი ქურდის ფუნქციას ასრულებდა. ის ინიშნებოდა მაშინაც, თუ ციხეში კანონიერი ქურდი იმყოფებოდა, ოღონდ ამ უკანასკნელს ემორჩილებოდა (13, 188).

სამართალდამცავ სისტემაში წამება გავრცელებული იყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც. წამებას ექვემდებარებოდნენ შინაგან საქმეთა ორგანოებში წინასწარი ძიების დროს ჩვენების მიღების მიზნით, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებებში.

2005 წლამდე სისტემაში არსებული ვითარება რამდენიმე სიტყვით შეიძლება აღიწეროს. გამეფებული ტოტალური კორუფციის ფონზე ციხეებს მართავდნენ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები – ე.წ. „კანონიერი ქურდები“ და მათი ნდობით აღჭურვილი პირები. ისინი ყოველთვიურად იღებდნენ მოსაკრებელს პატიმრებისგან, რასაც შემდეგ ადმინისტრაციასაც უნაწილებდნენ და შედეგად, სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. მათი საკნების კარი არასდროს იკეტებოდა, ისინი თავისუფლად დასეირნობდნენ ციხის მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებდნენ ყველაფერს და აღასრულებდნენ პარალელურ „მართლმსაჯულებას“. ნებისმიერი პირი, ვინც ე.წ. „ქურდულ კანონებს“ არ დაემორჩილებოდა, სისტიკად ისჯებოდა, ხშირად სიკვდილითაც. როგორც წესი, ასეთი მკვლელობები გამოუძიებელი რჩებოდა. სხვა გადატვირთული საკნების ფონზე ქურდებს საკნებში ჰქონდათ

ფუფუნების ყველანაირი საშუალება – ცხელი წყალი, საუკეთესო ტელევიზორი, მაცივარი, ტახტი, ჯაკუზიც კი.(137)

2005 წელს ხელისუფლებამ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი გავლენის შესუსტების მორიგი კამპანია წამოიწყო. გატარდა მკაცრი სადამსჯელო ზომები. გასამართლდა რამდენიმე ათეული ქურდი და მათთან დაკავშირებული პირები, რასაც პატიმრების ცემა და წამება ახლდა თან.

უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლიდან ყოფილმა ხელისუფლებამ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა გამოაცხადა, კანონმდებლობა გაამკაცრა და, პარალელურად, საპატიმრო დაწესებულებებში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სისტემურმა დანაშაულობებმა იჩინეს თავი. 2006-2012წწ საქართველომ, პატიმართა რაოდენობით, ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა. (197)

პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა ძალადობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მძიმე პირობებიც ემატებოდა (კვების, განათების, ვენტილაციის, ჰიგიენის პირობების მუდმივი დარღვევა), რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის გამოვლინებად.

საქართველო წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის მონაწილეა. წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მიუხედავად წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მომჩივანთა სიმრავლისა, არაადეკვატურად მცირეა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური დევნის ან მათი დასჯის ფაქტები, ასევე არ არსებობს საჯარო ინფორმაცია ამგვარი შემთხვევების შესახებ.

საერთაშორისო ამნისტიამ არაერთხელ დააფიქსირა, რომ პატიმართა წამების პრაქტიკა საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას (224). 2007 წლის ოქტომბერში ორგანიზაციებმა Human Rights Watch და Penal Reform International განაცხადეს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გაატაროს პატიმრობის ადგილებში წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღსაკვეთად (224).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ან ომბუდსმენი სასტიკი მოპყრობის შესაძლო

ფაქტის გამოძიებას მოითხოვდნენ, შესაბამისი სამინისტროები (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის) ამტკიცებდნენ, რომ გამოძიების პროცესში სასტიკი მოპყრობის, დისციპლინური დარღვევის ან დანაშაულის არავითარი ნიშანი არ ვლინდებოდა (330, 118).

უფრო მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი იტყობინებოდნენ, რომ მსხვერპლი ხშირად ვერ ახერხებდა მის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტის შეტყობინებას ან იძულებული ხდებოდა უარეყო თავდაპირველი ჩვენება სამართალდამცავთა მხრიდან მასზე ან მის ახლობლებზე შურისძიების შიშით. ომბუდსმენის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პატიმართა შორის დასადგურებული შიშის ატმოსფერო ხელს უშლიდა წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე განცხადებების შესწავლას და მათზე ოპერატიულ რეაგირებას (202).

ანალოგიური მოსაზრება აისახა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ტ. ჰამერბერგის მოხსენებაში, სადაც ნათქვამია, რომ რესპონდენტები, რომელთაც დელეგაციის წევრები გაესაუბრნენ, მიიჩნევდნენ, რომ სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინებას, ჩვეულებრივ, თან არ სდევდა სწრაფი საპასუხო ღონისძიებების გატარება, რაც დაუსჯელობის ატმოსფეროს ბადებდა.

წამების უკანასკნელი 10 წლის ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში არ მეტყველებს სისხლის სამართლის საქმეთა და გახსნილი დანაშაულების მნიშვნელოვან რაოდენობაზე.

		დანაშაული საქართველოს სსკ-ის მიხედვით		
		144.1 სსკ „წამება“	144.2 სსკ „წამების მუქარა“	144.3 სსკ „დამამცირებელი და არადამიანური მოპყრობა“
2005	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	11	0	0
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	0	0	0
2006	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	13	2	8
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	2	1	2
2007	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	40	2	19
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	4	2	11
2008	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	50	0	0
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	0	0	0
2009	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	18	0	0
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	0	0	0

2010	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	30	0	0
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	0	0	0
2011	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	19	0	1
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	1	0	0
2012	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	19	0	95
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	3	0	4
2013	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	6	0	2
	მათ შორის გახსნილი დანაშაული	0	0	0

ეს განპირობებული იყო იმით, რომ, ხშირ შემთხვევაში, პროკურატურა ამგვარ ფაქტებს აკვალიფიცირებდა, როგორც უფლებამოსილების გადამეტებას ან ცემას. (1) ასეთ საქმეებზე გამოძიება თითქმის ყოველთვის ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ხშირ შემთხვევაში, გამოძიების უსასრულო გაჭიანურებით ან საქმის შეწყვეტით სრულდებოდა. რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, გამოძიება თავად პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით წყდებოდა. ამავდროულად, როგორც წესი, დაზარალებული უარყოფდა ხოლმე სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა–განმარტებას და ჩვენებას სამართალდამცავთა სასარგებლოდ იძლეოდა. ზოგ შემთხვევაში, სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნებოდა მომხდარიდან რამდენიმე კვირის ან შეიძლება, რამდენიმე თვის შემდეგაც, მაშინ, როდესაც დაზარალებულს აღარ აღენიშნებოდა დაზიანებები.

2012 წლის შემდგომ ათასობით პატიმრის საჩივრის შესწავლამ ცხადყო, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

2008-2009წწ საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ერთ სულ მოსახლეზე საჩივრების რაოდენობის მიხედვით (266, 155-156).

საქართველოს წინააღმდეგ ენუქიძისა და გირგვლიანის საქმეში 2012 წლის გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა საქართველოს მხრიდან პროცესუალური ვალდებულებების დარღვევა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მკვლელობის არაეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით. სწორედ სტრასბურგის სასამართლომ გამოავლინა სისტემური დანაშაულის სახე და გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ ის შეძრულია იმ ფაქტით, რომ

პრეზიდენტი, პროკურატურა, პოლიცია და სასამართლო მოქმედებდნენ შეთანხმებულად, რათა არ მომხდარიყო ობიექტური გამოძიება. (288).

თავი 3. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის კრიმინოლოგიური დახასიათება

3.1. წამების მიზნები

წამება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ერთერთი გამოვლინებაა და ის სისხლის სამართლის წესით უნდა იდევნებოდეს. სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშებიდან ჩანს, რომ ფიზიკურ სასჯელს ხშირად გამოიყენებენ წინასწარი პატიმრობის ადგილებში, ციხეებში, სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებებსა თუ ჯარის ნაწილებში. შესაბამისად, არსებობს ძლიერი ტკივილის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების, პიროვნების რღვევის, დასახიჩრებისა და სხვა სერიოზული შედეგების დადგომის რისკი, რაც მათი გამომწვევი ქმედებების წამებად კვალიფიცირების საშუალებას იძლევა. მსგავსი მოვლენები დღესაც ხდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია სიღრმისეულად ჩავწვდეთ წამებისა და ფიზიკური დასჯის არსს და ჩავუღრმავდეთ არსებულ განმარტებებს, რათა შევძლოთ პატიმრობაში ან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის წინააღმდეგ (სამედიცინო დაწესებულებებსა და საჯარისო ნაწილებში მყოფთა ჩათვლით) მიმართული ამა თუ იმ ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭება. მსხვერპლად შეიძლება იქცეს როგორც თავისუფალი მოქალაქე, ისე დაკავებული პირი, ახალწვეული ან ჯარისკაცი.

განსაზღვრების თანახმად, მიზნის არსებობა აუცილებელია შესაბამისი ქმედების იურიდიული კვალიფიკაციისთვის. ანუ, თუ არ არსებობს კონკრეტული მიზანი, ძნელია, აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირო, როგორც წამება.

წამება მრავალი მიზნით გამოიყენება. მიზნები შეიძლება იცვლებოდეს შემთხვევის, პოტენციური მსხვერპლის ადგილსამყოფელის, სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის, გეოპოლიტიკური გარემოებებისა და სხვათა მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია წამების ზოგიერთი მიზნის ჩამონათვალი:

1. *ინფორმაციის მიღება:* დაპატიმრების შემდეგ პირი ხშირად ხდება ხოლმე წამების მსხვერპლი იმის გამო, რათა გასცეს ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის, ასევე, ადამიანებთან და ორგანიზაციებთან არსებული კონტაქტების შესახებ. თუ გაცემული

ინფორმაცია არასწორი, არასრული ან არადამაკმაყოფილებელია, პირის წამება, ჩვეულებრივ, მიზნის მიღწევამდე გრძელდება ხოლმე.

2. *აღიარების მიღება*: მსხვერპლი იძულებული ხდება წამების გამო გააკეთოს წერილობითი განცხადება ან მისცეს აღიარებითი ჩვენება ამათუ იმ დანაშაულის (ქმედების) ჩადენის შესახებ. ხშირად, წამებისაგან თავის დასაღწევად, მსხვერპლი მსგავს დეკლარაციებს ხელს აწერს მაშინაც, თუ ის თავისივე საწინააღმდეგო ცილისმწამებლურ განცხადებებს შეიცავს.
3. *აღიარების მიღება სხვათა ბრალდებისა და დასჯის მიზნით:* ზოგჯერ მსხვერპლს აიძულებენ, ხელი მოაწეროს განცხადებას, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ბრალდების ინკრიმინირება სხვა პირისათვის. უფრო ხშირად ცილისმწამებლური განცხადება კეთდება საზოგადოებაში ცნობილი პოლიტიკურად არალოიალური ან მდიდარი ადამიანების წინაღმდეგ.
4. *აგენტ - პროვოკატორად მუშაობის იძულება:* მსხვერპლს აიძულებენ საკუთარი ნაცნობების დაბეზღებას ან მათ მიერ დანაშაულის ჩადენის პროვოცირებას, მაგალითად, ნარკოტიკების ყიდვა-გასაღებას, სხვა სახის სამართალდარღვევების ჩადენას, რითაც მიიღწევა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის გაზრდა, პირთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობისთვის პროცესუალური შეთანხმების გაფორმება, ცრუ ჩვენების მიცემის იძულება და სხვა.
5. *ადამიანების ან მათი ახლობლების დასჯა:* ზოგჯერ მსხვერპლს აწამებენ, რათა სულიერი ტკივილი მიაყენონ მათ ახლობლებს (მშობლებს, მეუღლეებს, ძმებს, დებს, ნათესავებსა და სხვ.
6. *მატერიალური სარგებლის მიღება:* ადამიანებს აიძულებენ სხვას გადაუფორმონ საკუთარი მოძრავი თუ უძრავი ქონება, იურიდიული პირის წილები, გახსნან ანგარიშები საზღვარგარეთის ბანკებში და ა.შ.
7. *შურისძიება:* შურისძიების მიზნით შეიძლება აწამონ არამარტო კონკრეტული პირი, არამედ მისი ოჯახის წევრები, ნათესავები, კოლეგები, მეგობრები ან სხვა პირები მისი გარემოცვიდან. შურისძიება შეკვეთილიც შეიძლება იყოს, როდესაც ჯალათი მსხვერპლს აწამებს უფროსის დავალებით ან გარკვეული საზღაურის საფასურად.
8. *წესრიგის დამყარება დახურული ტიპის დაწესებულებაში:* ადამიანს აწამებენ მისი ან სხვა დაკავებულებისა თუ პატიმრების დაშინების მიზნით. ამგვარი აქტები, ჩვეულებრივ, ატარებს სისტემურ ან სისტემატურ ხასიათს. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება 2012 წელს ქართული ტელევიზიებით ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება, რომელშიც #9 საპატიმროს

ადმინისტრაცია ციხის "ახალ ბინადრებს" ფიზიკურად უსწორდებოდა. პატიმრებს, რომლებიც ჩანაწერში ფიგურირებენ, არ დაურღვევიათ რეჟიმი. მათ სცემდნენ პროფილაქტიკისთვის, დაშინებისა და სრული დამორჩილების მიზნით.

9. *პიროვნების განადგურება:* ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ ლიდერის თვისებებით დაჯილდოვებული ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მასების მობილიზება და მათი გაძღოლა დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი ადამიანები ხშირად ექვემდებარებიან იდენტიფიკაციას, მათ აპატიმრებენ და აწამებენ, რათა გაჩუმება აიძულონ ან ე.წ. „ცოცხალ გვამებად“ აქციონ. წამების შედეგად ადამიანის ნება, გრძნობები, აზრები, შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს. ის კარგავს თვითრწმენას და უიმედობისა და საკუთარი თავის უპატივცემულობის განცდა უჩნდება.

10. *საზოგადოებაში ტერორის გავრცელება:* მსგავსი მოვლენა დამახასიათებელია დიქტატორული რეჟიმებისთვის. ნებისმიერი, ვინც გაბედავს ხმის ამაღლებას არსებული წყობის წინააღმდეგ, შეიძლება წამების მსხვერპლად იქცეს. მას ან ფიზიკურად ანადგურებენ და არც ცდილობენ ამგვარი ფაქტის დამალვას, ან საზოგადოებაში აბრუნებენ წამების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კვალით. მსგავსი ქმედებები შიშს ნერგავს საზოგადოების წევრებს შორის, თრგუნავს მათ სოციალურ აქტივობას და ჩანასახშივე ახშობს „წინააღმდეგობის მოძრაობას“. საქართველოს მთავრობამ არაერთგზის გამოიყენა ძალადობის ჰიპერტროფირებული ფორმები, მათ შორის: 2006 წელს ციხის ბუნტის ჩახშობისას, რის შედეგადაც 7 ადამიანი იქნა მოკლული (341); 2007-2012 წლებში საპროტესტი დემონსტრაციების დაშლისას, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, ასობით დემონსტრანტმა მძიმე ტრავმა მიიღო, ხოლო ათასობით მონაწილე სცემეს.

11. *სისასტიკის გამომუშავება ჯარისკაცებსა და სხვა პირებში,* რომელსაც ძირითადად მიმართავენ ადამიანების მომზადების მიზნით საომარი ქმედებებისთვის, ასევე, გარკვეული ობიექტების ან მნიშვნელოვანი პერსონების დაცვისთვის. აღნიშნული ასპექტი ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ფართოდ გამოიყენება საომარი მზადების დროს როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე სხვა ქვეყნებში (223).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს მოვლენებს სათანადო ყურადღება არ ექცევა, თუმცა, სწორედ სამხედროები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა წვევამდელები ხდებიან სამმაგი მატრავმირებელი ზემოქმედების მსხვერპლნი, როგორიცაა:

- ახლობელ ადამიანებთან განშორება, ცხოვრების, კვების წესის, დღის რეჟიმის შეცვლა, ფიზიკური დატვირთვის მკვეთრი, ზოგჯერ გაუსაძლისი ზრდა, ემოციური დათრგუნვა სახლის მონატრების, ჩვეულ გარემოცვასთან ჩამოცილების, სოციალური სტატუსის შეცვლის გამო.
- სამხედრო მზადებასთან ან მოქმედებებთან დაკავშირებული ყოველდღიური სტრესი, ტყვედ ჩავარდნის შიში და ყველა ის ნეგატივი, რაც სამხედრო სამსახურის გავლას უკავშირდება.
- წესდებით არარეგლამენტებული ურთიერთობები, დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთაც შეძლება ადგილი ჰქონდეს საჯარისო ნაწილებში და სერიოზული ტრავმებით ან ლეტალურადაც კი დასრულდეს.

3.2. წამების და არაადამიანური მოპყრობის ხერხები

3.2.1. წამების ხერხები

წამებისა და ძალადობის ნებისმიერ ფორმას შეიძლება გააჩნდეს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური შედეგები. შესაბამისად, წამების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხერხების განცალკევება მიზანშეუწონელი და ხელოვნურიცაა. მიუხედავად ამისა, სიმარტივისათვის მივმართავთ ძალადობის ფორმების დიფერენცირებას სამ ჯგუფად. ესენია:

- ფიზიკური;
- ფსიქოლოგიური ან/და ე.წ. "თეთრი წამება“
- სქესობრივი ძალადობა (19, 88).

3.2.1.1. ფიზიკური წამების ხერხები

ფიზიკურ ძალადობის ფორმებად მიიჩნევა ისეთი ხერხი, რომლებიც იწვევენ ტკივილს, დისკომფორტს, სხეულის სხვადასხვა ნაწილის ფუნქციის დარღვევას. მსხვერპლის სიკვდილი ხშირად არ წარმოადგენს წამების უშუალო მიზანს. ამიტომ ჯალათი და ზოგჯერ დაწესებულების მედმუშაკები თვალყურს ადევნებენ, რომ წამების ობიექტი არ შემოაკვდეთ და არც ძალადობის კვალი დარჩეს სხეულზე. თუმცა, პრევენციული ზომების მიუხედავად, ფიზიკური წამება ყოველთვის ტოვებს ნაკვალევს, რომლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება შესაძლებელია. სამედიცინო მეცნიერება მუდმივად ვითარდება და დღეისათვის შემუშავებიულია სადიაგნოსტიკო მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა მიღებული ტრავმებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იქნეს აღმოჩენილი ფიზიკური ზემოქმედების კვალი.

გამოყოფენ ფიზიკური წამების ყველაზე გავრცელებულ სახეობებს, რომლებიც იწვევენ:

1. უძლიერეს (მტანჯველ) ტკივილს;
2. ძლიერ შიშს ან სიკვდილსაც კი;
3. სრულ ან უკიდურეს გამოფიტვას;
4. დასახიჩრებას ან ინვალიდობას სიცოცხლის ბოლომდე;
5. ძნელად განკურნებად ან განუკურნებელ ფსიქიკურ ტრავმებს.

1. *ფიზიკური წამება, რომელიც იწვევს უძლიერეს (მტანჯველ) ტკივილს)*

ცემა, რომელიც წამების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, განსაკუთრებით მტანჯველია, თუ ამისათვის გამოიყენებენ თოკს, ჯაჭვს, ქამარს, ფეხებს და სხვ. „უბრალო ცემა“ გულისხმობს დარტყმების მიყენებას სხეულის მგრძნობიარე არეებში თვალსაჩინო გარეგანი და შინაგანი დაზიანებების გამოწვევის გარეშე. ამავდროულად, ხელის გულებით ყურებზე ორმხრივი დარტყმა (წამების მეთოდი სახელწოდებით „ტელეფონი“) ვერ ჩაითვლება „უბრალო ცემად“, ვინაიდან შეიძლება გამოიწვიოს ყურის დაფის აპკის გახეთქვა, ასევე შუა ან/და შიდა ყურის დაზიანება სმენის სიმახვილის დაქვეითებით ან მისი სრული დაკარგვით.

„ფალანგა“ გულისხმობს დარტყმების მიყენებას ხელის მტევნების, ტერფების ან თეძოების არეში ხელკეტის, მილის ნაჭრის ან მსგავსი მოწყობილობის გამოყენებით. შედეგი მყისიერი და გრძელვადიანია, შესაძლებელია მყარი ინვალიდობაც. სიარულის დროს ძლიერი ტკივილი მსხვერპლს ხანგრძლივი პერიოდის გავლის შემდეგაც ახსენებს ტრავმულ წარსულს. წამების

აღნიშნული სახეობა სხვადასხვა წყაროშია აღწერილი, მათ შორის, სტამბულის ოქმშიც (279) და მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ფორმით.

„თითებით წამება“ - ფანქრის ან მსგავსი საგნების თითებს შორის მოთავსება და ხელის მოჭერა, ან ფალანგების მოტეხვა;

ჩამოკიდება - მსხვერპლს კიდებენ ხოლმე ფეხებით, ხელებით ან თმებით. ჩვეულებრივ, ეს შეუღლებულია წამების სხვა მეთოდთან, როგორიცაა ცემა, „ფალანგა“, კვამლით, ქიმიური ნივთიერებებით, სიცივით ან მაღალი ტემპერატურით ზემოქმედება და ა.შ.

სიცივით ზემოქმედება - მსხვერპლი ექვემდებარება დაბალი ტემპერატურით ზემოქმედებას შენობის გარეთ ან საკანში. მას, ასევე, შეიძლება აიძულონ ცივ იატაკზე ძილი.

მაღალი ტემპერატურით ზემოქმედება - შეიძლება გამოიხატებოდეს მზეზე ან ცეცხლთან ხანგრძლივად ყოფნაში, ცხელი სითხეებით ან საგნებით ზემოქმედებაში, ანთებული სიგარეტის ჩაქრობაში სხეულის რომელიმე ნაწილზე და ა.შ.

ძლიერი გაღიზიანებით ზემოქმედება - ამისათვის გამოიყენება ზოგიერთი გამღიზიანებელი. მაგალითად, დაფქვილი წიწაკა, მარილი და სხვ. რომელსაც აფრქვევენ სხეულის მგრძნობიარე ნაწილებზე ან მის დაზიანებულ ზედაპირზე, მაგალითად, ლორწოვანზე, ჭრილობებზე.

ფეხშიშველი სიარულის ან დგომის იძულება მჭრელ, ბასრ და მჩხვლეტავ საგნებზე ან ზედაპირებზე.

სტომატოლოგიური წამება - ჯანმრთელი კბილების ჩატეხვა ან ამოღება არასათანადო ინსტრუმენტებით. მსხვერპლი შეიძლება აიძულონ დაღეჭოს ქვები, მეტალი, ხე.

წამება თმებზე ზემოქმედებით - მსხვერპლი შეიძლება ათრიონ თმებით, გადაპარსონ თავი დამამცირებელი ფორმით, დაუწვან თმა.

ჭრილობების მიყენება

იძულებით პოზაში ყოფნა - ადამიანი შეიძლება აიძულონ, იჯდეს ან იდგეს გარკვეულ პოზაში რამდენიმე საათის ან დღეღამის განმავლობაში და ცემონ პოზის შეცვლის შემთხვევაში. ის შეიძლება, ასევე, გათოკილი ჰყავდეთ.

2. *ფიზიკური წამება, რომელიც იწვევს ძლიერ შიშს ან სიკვდილსაც კი*

- *ელექტროდენით წამება,* როგორც წესი, გამოიყენება სხეულის მგრძნობიარე ნაწილებზე ზემოქმედებისთვის, როგორიცაა სასქესო ორგანოები, ძუძუს დვრილები, ყურები, ზოგჯერ ბუნებრივი ღრუები ან ხვრელები, სადაც რთულია კვალის აღმოჩენა. ზოგჯერ მსხვერპლს აშიშვლებენ და მიაბამენ ხოლმე ლითონის სადენზე, რათა ელექტროდარტყმა მთელ სხეულზე მიიღოს; ელექტროდენის ზემოქმედების გასაძლიერებლად შეიძლება წინასწარ წყალიც შეასხან.
- *მოხრჩობა* ხდება სხვადასხვა მეთოდით. ზემოქმედება ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი სიკვდილამდე მიჰყავთ. ამისათვის მას ერთდროულად უხშობენ ცხვირისა და პირის ღრუს, უკოჭავენ ხელებს, რათა მოძრაობა შეუზღუდონ. ზოგჯერ მსხვერპლს თავს წყალში ან სხვა სითხეში აყოფინებენ. ამგვარ მეთოდს ჰქვია სველი "submarino". მშრალი "submarino"-ს შემთხვევაში თავზე წამოსაცმელად გამოიყენებენ პოლიეთილენის პაკეტს (170, 22).
- *სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის სიმულირება.* აღნიშნულ ხერხს ხშირად მიმართავენ. მსხვერპლს უხვევენ თვალებს ან კედელთან აყენებენ, იარაღს უმიზნებენ, მაგრამ, როგორც წესი, ისვრიან ჰაერში. გარდა ამისა, ემუქრებიან, რომ გადაუვლიან სატრანსპორტო საშუალებით. ადამიანს მართლაც ესმის ძრავის დაქოქვისა და მთელი სისწრაფით დაძრული ავტომობილის გუგუნის ხმა, რომელიც მოულოდნელად მსხვერპლის გვერდზე მუხრუჭდება.

3. *წამების სახეობები, რომლებიც იწვევენ სრულ ან უკიდურეს გამოფიტვას*

- *ფიზიკური გამოფიტვა,* რომლის დროსაც ადამიანს აიძულებენ შეასრულოს ხანგრძლივი და დამღლელი ფიზიკური ვარჯიშები. არსებობს სხვა გამომფიტავი ხერხებიც. მაგალითად, ტვირთით ხელდამძიმებულ მსხვერპლს აიძულებენ ხანგრძლივად იდგეს ერთ ან ორივე ფეხზე იატაკზე დახაზულ წრეში ან კვადრატში. ჩვეულებრივ, მას აყენებენ ხელაწეულს 90-გრადუსიანი კუთხით. მსგავს მეთოდებს ხშირად იყენებდნენ ხოლმე ჯარში.
- *იძულებითი შრომა* - მსხვერპლი იძულებულია ხანგრძლივად იმუშაოს საკვებისა და წყლის მიღების გარეშე, ასევე ცუდი ან ექსტრემალური ამინდის პირობებში.

4. *წამების სახეობები, რომლებიც იწვევენ დასახიჩრებას ან ინვალიდობას სიცოცხლის ბოლომდე*

- *„ტელეფონის“* ხერხი გულისხმობს ყურებზე ან ცალ ყურზე ხელისგულის დარტყმას, რაც შეიძლება შევადაროთ ახლო აფეთქების ეფექტს. ასეთ დარტყმებს ხშირად თან სდევს დაფის აპკის გახეთქვა, შუა და შიდა ყურის დაზიანება, რაც იწვევს სმენის დაკარგვას გარკვეული დროით ან, ზოგჯერ, მთელი სიცოცხლის მანძილზე. ჩვეულებრივი სამედიცინო გამოკვლევისას რთულია აღნიშნული მეთოდის შედეგების კვალის აღმოჩენა. ამისათვის სჭიროა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის კონსულტაცია და აუდიოგრამის ჩატარება.
- *დასახიჩრება:* (თითების, ყურების, ცხვირის და ა.შ. მოკვეთა (ამპუტაცია).
- *დამახინჯება:* ძლიერი მჟავებისა და სხვა აგრესიული ნივთიერებების გამოყენება სახეზე და სხეულის სხვა ნაწილებზე შესასხურებლად.
- *იძულებითი ტატუირება* გულისხმობს პირისთვის, მისი ნების საწინააღმდეგოდ, დამამცირებელი ტატუს გაკეთებას, რომელიც, მაგალითად, მიუთითებს, რომ ის ჰომოსექსუალია, ენისმიმტანია და ა.შ. (24, 36).

3.2.1.2. ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) წამების ხერხები

ფსიქოლოგიური წამების ხერხები შეიძლება იყოს:

1. აღმკვეთი;
2. იძულებითი;
3. მუქარის შემცველი და დამამცირებელი;
4. გარე სამყაროსთან კავშირის შემზღუდველი;
5. სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით მიყენებული (19, 21).

1) აღმკვეთი ხერხების გამოყენება ადამიანში იწვევს დაბნეულობას, დეზორიენტაციას, მარტოობისა და შიშის გრძნობას, ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ დისკომფორტს და ა.შ. მაგალითად, მსხვერპლს ამყოფებენ სიბნელეში ან აუკრავენ თვალებს, უზღუდავენ ან საერთოდ არ აძლევენ საჭმელს, წყალს, გამოსაცვლელ ტანისამოსს, ჰიგიენური მოხმარების საგნებს, უარს ეუბნებიან სამედიცინო მომსახურებაზე, არ აწვდიან ინფორმაციას თავიანთი იურიდიული სტატუსის, ადგილსამყოფელის შესახებ, არ აყურებინებენ ტელევიზორს, არ აწვდიან გაზეთებს,

ამყოფებენ საინფორმაციო ვაკუუმში. იყენებენ სოციალურ აღმკვეთ მეთოდებსაც. მაგალითად, უარს ეუბნებიან ახლობელთან პაემანზე, რელიგიური რიტუალების ჩატარებაზე და ა.შ.

2) იძულების ხერხები: მსხვერპლს აქცევენ რაიმე ამბის მოწმედ ან ჩაადენინებენ ფსიქიკურად დამთრგუნველ ქმედებას. მაგალითად, აიძულებენ ხელი მოაწეროს ცრუ აღიარებით ჩვენებას, დააყენებენ შეუძლებელი არჩევანის წინაშე, როდესაც ადამიანი იძულებულია აირჩიოს ერთ-ერთი იმ ვარიანტებიდან, რომლებსაც თითქმის თანაბარი უარყოფითი შედეგები ახლავს;

3) მუქარა და დამცირება შეიძლება მიმართული იქნეს როგორც მსხვერპლის, ისე მისი ახლობელი ადამიანების წინააღმდეგ;

4) იზოლაციითა და გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვით ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება მიიღწევა არასწორი, ურთიერთსაწინააღმდეგო, დამაბნეველი ცრუ ინფორმაციის მიწოდებით;

5) სამედიცინო ტექნოლოგიები: ფსიქოტროპული, სედაციური, ძილისმომგვრელი, ფსიქომასტიმულირებელი, ჰალუცინოგენური ან ნარკოტიკული ნივთიერებებით ზემოქმედება, ჰიპნოზისა და სხვა საშუალებების გამოყენება.

თეთრი ანუ ”სუფთა” წამება ხორციელდება ხერხებით, რომლებიც არ ტოვებენ ტრავმების ხილულ კვალს, მაგრამ თან ახლავთ უფრო სერიოზული შედეგები, რომლებიც ფსიქიკურად ანადგურებენ მსხვერპლს. მეორე მხრივ, აღნიშნული მეთოდები არ გამორიცხავენ ფიზიკური წამების ან დასჯის შესაძლებლობას (142, 219).

თეთრი წამების სხვადასხვა ხერხი იწვევს სერიოზულ ფსიქოსომატურ აშლილობას ან სულაც მსხვერპლის სიკვდილს, ქმნის ფსიქონევროლოგიურ დისბალანსს, თუნდაც წამების თავდაპირველ მიზანს მხოლოდ აღიარებითი ჩვენების მიღება შეადგენდეს.

თეთრი წამების ყველაზე გავრცელებული ხერხებია:

- ცალკე საკანში ტუსაღობა სენსორული და სოციალური შეზღუდვებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაციები, კოგნიტური, ნეიროვეგეტატიური და სხვა დარღვევები;
- ძილის, შუქის, ჰაერის მიწოდების შეზღუდვა ან აღკვეთა;
- ეგზეკუციის ან დახვრეტის მოდელირება ან მათი სიმულირება;
- აღმგზნები ან სასტიკი ზემოქმედება სასქესო ორგანოებზე;

- დამამცირებელი ქმედებების, სხეულის სრული გაშიშვლების იძულება;
- ინსულინის შეყვანა ჰიპოგლიკემიური შოკის გამოწვევის მიზნით;
- ელექტროდენის გამოყენება კრუნჩხვებისა და შოკის გამოწვევის მიზნით;
- გაუწყლოება ან შიმშილი წყლისა და საჭმლის ერთდროული დემონსტრირებით;
- გამაყრუებელი ხმაურით ზემოქმედება. მაგალითად, მსხვერპლს თავს ათავსებინებენ ლითონის კარადაში ან სეიფში, რომელზეც ჩაქუჩით ან სხვა საგნებით აკაკუნებენ.

სქესობრივი წამება შეიძლება მივაკუთვნოთ ფიზიკური წამების ჯგუფს, მაგრამ საჭიროა მისი ცალკე გამოყოფა რიგი თავისებურებისა და მსხვერპლისათვის სერიოზული შედეგების გათვალისწინებით. სექსუალური წამების მეთოდები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ:

- სხვადასხვა საგნის გამოყენებით;
- საგნების გამოყენების გარეშე;
- ცხოველების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფიზიკური, ფსიქიკური თუ სექსუალური ხასიათის ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთდროულად.

3.2.2 არაადამიანური მოპყრობის მეთოდები

წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციის (The World Organisation Against Torture) ექსპერტების მონაცემებით, დღემდე არ არსებობს მკაფიო საზღვარი სასტიკ მოპყრობასა და წამებას შორის. საერთაშორისო და ნაციონალურ კანონმდებლობებში ეს თავისებური "რუხი ზონაა", რომელიც, პატიმართა მიმართ არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევაში ლავირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ბევრი სპეციალური სამსახური სავსებით ოფიციალურად გამოიყენებს დაკითხვის "მკაცრ" მეთოდებს, მიიჩნევს რა, რომ სხვა მეთოდებით შეუძლებელია ინფორმაციის მიღება დაკავებულისგან (277.). ამავდროულად მრავალი თანამედროვე ექსპერტი თვლის, რომ წამებით მიღებული ჩვენება არასარწმუნოა, ვინაიდან დასაკითხი პირი ტანჯვისგან თავდაღწევის მიზნით ხშირად იმას ამბობს, რასაც მისგან მოითხოვენ.

წამებასა და სასტიკ მოპყრობას შორის განსხვავება სულ უფრო ხშირად ხდება განსჯის საგანი სასამართლო პროცესებსა და ტრიბუნალებზე. უკანასკნელი დროის მანძილზე დაგროვილი პრეცედენტული სამართალი გვეხმარება განვსაზღვროთ, თუ პატიმრობის როგორი პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობის რომელი ფორმებია დაუშვებელი. მაგალითად, ფიზიკური პირობები, რომელშიც პატიმარი იმყოფება, შეიძლება იყოს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი. აღნიშნული დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის მიერ 1969 წელს ისეთი შემხვევის განხილვის დროს, როცა ერთდროულად ფართის სივიწროვე, იზოლირებული პატიმრობა, სეირნობისა და ფიზიკური ვარჯიშების აკრძალვა, არასაკმარისი განათება და პოლიციაში ხანგრძლივად დაყოვნება არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს. ამჯერად მიიჩნევა, რომ ხანგრძლივი ყოფნა ანტისანიტარულ პირობებში თავისთავად ღირსების შემლახველ მოპყრობას წარმოადგენს.

პირის დაბრუნება ქვეყანაში, სადაც მას წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ემუქრება, თავისთავად შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი მოპყრობის მაგალითად. ეს ასეა მაშინაც, როდესაც საფრთხე მომდინარეობს კერძო და არა სახელმწიფო სტრუქტურებიდან იმ ქვეყნებში, სადაც კანონს სათანადოდ სცემენ პატივს. თუ ერთი ქვეყნისგან მეორე ითხოვს პიროვნების საკუთარი იურისდიქციის ქვეშ გადაცემას, პირველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მეორე ქვეყანა ასრულებს საერთაშორისო სამართლით დადგენილ ვალდებულებებს წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან მიმართებით. იგივე შეეხებათ პირებს, რომლებიც უცხო ქვეყანაში თავშესაფარს ეძებენ. წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ არავინ, დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდებულიც კი არ უნდა დაბრუნდეს ქვეყანაში, სადაც არსებობს მისი წამების საფრთხე. აღნიშნული დებულება არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ქმედებათა სიმძიმის წარმოსახვითი შკალა, რომლის უმაღლესი ნიშნული წამებას შეესაბამება, ხოლო უდაბლესი - ღირსების შემლახველ მოპყრობას. მოცემული შკალის ყველა წერტილი უკანონო ქმედების შესატყვისია, რომლითაც ირღვევა საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულებები. ექსპერტებსა და მართლმსაჯულების ორგანოებს ადგილებზე ზოგჯერ უჭირთ წამების გარჩევა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უცნობია საქმის ყველა არსებული გარემოება ან იმით, რომ

შეუძლებელია ზღვარის გავლება საპატიმროში ღირსების შემლახავი პირობების საერთოდ არსებობასა და მათი ხელოვნურად შექმნის ფაქტს შორის. თუ მკაფიო განსხვავების დადგენა შეუძლებელია, არსებული გამოვლინებების მთელი რიგი შემდგომში შეიძლება შეფასდეს, როგორც სასტიკი მოპყრობა (346).

"მოპყრობა" და "დასჯა" ურთიერთგანსხვავდება მათი პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით. სასამართლო (მათ შორის, საერთაშორისო) პრაქტიკა "დასჯასთან" მიმართებით უმნიშვნელოა. საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემულ საქმეთა უმრავლესობაში საუბარი იყო პატიმართა მიმართ სასტიკ მოპყრობაზე, მაგრამ არსებობს Tyrer v The United Kingdom (1978 წ.) მსგავს საქმეთა რიგი, სადაც ნათლადაა საუბარი დასჯაზე,(306) თუმცა, გასარკვევი რჩება, წამებით, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობით დასაჯეს პირი. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება განისაზღვრება მიყენებული ტანჯვის სისასტიკით (იხ.საქმე Ireland v. the United Kingdom (1978 წ.) (298). გარდა ამისა, თუ წამების კვალიფიკაცია მოითხოვს მიზნის არსებობას, სასტიკი მოპყრობის სხვა სახეობებთან მიმართებით ამის აუცილებლობა არ არის. ხშირად სასამართლო ადგენს, რომ პირი დაექვემდებარა როგორც არაადამიანურ, ისე ღირსების შემლახველ მოპყრობას, თუმცა, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში ისინი ერთმანეთისგან გამიჯნულია. კერძოდ "არაადამიანურად" ითვლება მოპყრობა, თუ მას გამოიყენებენ წინასწარგანზრახვით მრავალი საათის განმავლობაში უწყვეტად, რაც იწვევს სხეულის დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ტანჯვას. სასამართლო ღირსების შემლახველად მიიჩნევს მოპყრობას, რომელსაც შეეძლო მსხვერპლში გამოეწვია შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების განცდა, საკმარისი იმისათვის, რომ დაემცირებინა ან გაეთელა მისი ადამიანური ღირსება. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა მოპყრობის კონკრეტული სახეობა "ღირსების შემლახველი" (მე-3 მუხლის განმარტების შესაბამისად), სასამართლო ითვალისწინებს, იწვევს თუ არა ის ადამიანის დამცირებას და ნეგატიურად (მე-3 მუხლის მოთხოვნებთან შეუთავსებლად) ზემოქმედებს თუ არა მსხვერპლზე. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, რომელიმე ამგვარი მიზნის არარსებობით დელიქტის ფაქტის ცალსახად გამორიცხვა არ შეიძლება.

განვიხილოთ კონკრეტული საქმეები სასამართლო პრაქტიკიდან, რათა ვაჩვენოთ რა შემთხვევაში ადგენს სასამართლო არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის ფაქტის არსებობას.

არაადამიანური მოპყრობის მაგალითები

დისერტაციაში გაანალიზებულია არაადამიანური მოპყრობის მაგალითები, რომლებიც სისტემატიზირებულია გაიდლაინი იურისტებისათვის INTERIGHTS მიხედვით და მოიცავს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებს (314)

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენება უკანასკნელ წლებში საქართველოში არსებული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. რამდენიმე ათეულ შემთხვევაში გამოსავალი ლეტალური იყო. გადაჭარბებული ძალა გამოიყენებოდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მონაწილეთა მიმართ (2007, 2008 და 2011წლებში), (339) ადამიანთა დაპატიმრების დროს; ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ თავის ანგარიშში დააფიქსირა პოლიციის მხრიდან დაკავებულთა მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე განცხადებების არსებობა. შემთხვევათა უმრავლესობაში საუბარია ცემაზე (ძირითადად, ხელითა და ფეხით დარტყმების მიყენებაზე) დაკავების მომენტში, მაგრამ არსებობს განცხადებები ძალადობის შესახებ დაკითხვის პროცესშიც.

საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ პოლიციის მხრიდან ძალის გადაჭარბებით გამოყენების ფაქტების (მათ შორის, ლეტალურად დასრულებულის) გამოძიება, კვლავინდებურად პრობლემად რჩება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლიციის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის არაადეკვატურად გამოყენებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ომბუდსმენმა არაერთხელ მიმართა პროკურატურას ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის გამოძიების ინიცირების მიზნით. რამდენიმე საქმეზე (2007 წლის 7 ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისი) მანიფესტაციაში მონაწილე მოქალაქეთა მასობრივი დარბევის და მათ მიმართ ძალადობის ფაქტების გამო უკვე დადგა სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი.(339)

2007 და 2009 წლებში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ პოლიციამ გამოიყენა იარაღი, რომელიც არ იყო ნებადართული კანონით. თავდაპირველი კატეგორიული უარყოფის შემდეგ,

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა, რომ 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის და პლასტიკური ტყვიები. დაშავდა რამდენიმე ადამიანი, თუმცა, მაშინ ზემოთ ნახსენები აკრძალული იარაღის გამოყენების გამო არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. 2009 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით დაშვებულ იქნა ლეტალური იარაღის (პლასტიკური ტყვიების) გამოყენება დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ. რამდენიმე საქმე ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზეა. (165). მრავალი საქმე კვლავაც შეუსწავლელია. აღნიშნული ეჭვს ბადებს, რომ გამოძიება ფორმალური ხასიათისაა და ჭეშმარიტების დასადგენად არ ტარდება ყველა აუცილებელია საგამოძიებო ღონისძიება (339).

2007 და 2009 წლებში პოლიციამ გამოიყენა იარაღი, რომელიც არ იყო ნებადართული კანონით. თანმიმდევრული კატეგორიული უარყოფის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა, რომ 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის და პლასტიკური ტყვიები. როგორც იტყობინებოდნენ, შსს გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ პოლიცია კანონის მიხედვით მოქმედებდა და ზემოთ ნახსენები აკრძალული იარაღის გამოყენების გამო არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. 2009 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით დაშვებულ იქნა ლეტალური იარაღის გამოყენება დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ. ძიების ამჟამინდელი პოზიციის თანახმად, აღნიშნულის გამო, დღის წესრიგში აღარ დგას გამოძიების გაგრძელების აუცილებლობის საკითხი. (165).

2011 წლის 26 მაისს მთავრობის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციის დაშლის დროს დაიღუპა 2 ადამიანი, 37-მა მიიღო ტრავმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დააპატიმრეს 90 ადამიანი, რომელთაც ადმინისტრაციული წესით აღეკვეთათ თავისუფლება ორი თვის ვადით (250).

ძალადობრივი დაკავება/დაპატიმრება. დაკავების ან დაპატიმრების *დროს და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.* ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში , ფიზიკური ძალადობა შეიძლება არც გაუთანაბრდეს წამებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იმის საფუძველზე, რომ მოპყრობა არაადამიანურ ხასიათს ატარებდა. ამგვარ მოპყრობას ძირითადად ადგილი აქვს პატიმრების მიმართ. მაგალითად, პოლიციელების მიერ ცემა არაადამიანურ მოპყრობად ითვლება. Ireland v. The United Kingdom (1978წ.) საქმის

მასალების მიხედვით, ზოგიერთი დაკავებული ჩიოდა, რომ უშიშროების ძალების თანამშრომლები მათ ფეხებით და მუშტებით სცემდნენ. სამედიცინო დასკვნით დადასტურდა პატიმრობის დროს მიყენებული სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების არსებობა (248). სასამართლომ დაასკვნა, რომ ცემამ მსხვერპლს ძლიერი ტანჯვა და დროდადრო სერიოზული ფიზიკური ტრავმა მიაყენა. შესაბამისად, დაადგინა, რომ მოცემული შემთხვევა არაადამიანური მოპყრობის კატეგორიას მიეკუთვნება.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სხვა საქმეებიც: Tomasi v. France (1992), Hulki Gunes v Turkey (2003), R.L. and M.-J.D. v. France (2004) და Barbu Anghelescu v. Romania (2004).

ქართულ სინამდვილეში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის თვალნათელი მაგალითია ინფორმაცია, რომელიც 2012 წლის სექტემბერში მასმედიის სხვადასხვა საშუალებით გავრცელდა. კერძოდ, ეთერში იქნა გაშვებული თბილისის სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში გაკეთებული ფარული ვიდეოჩანაწერები, სადაც აშკარად ჩანს პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ციხის თანამშრომლები, არამედ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებიც. ქართულმა ტელეარხებმა პირველი ფარული ჩანაწერი 2012 წლის 18 სექტემბერს საღამოს საათებში გაავრცელეს. ვიდეომასალა გადაღებული იყო Nმე-8 დაწესებულებაში და მასზე ასახული გახლდათ ამავე დაწესებულების საკარანტინე ნაწილში არსებული მდგომარეობა, სადაც დაწესებულების ხელმძღვანელი პირები და რიგითი თანამშრომლები სცემდნენ პატიმრებს მათი კარანტინში ყოფნის და საკარანტინე ნაწილიდან საკანში გადაყვანის დროს (ე.წ. "კარანტინის დაშლის" პროცესი).(337)

მოცემული ფაქტი არაადამიანური მოპყრობის კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან ცემამ ტანჯვა და დამცირება მიაყენა მსხვერპლს. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის აღნიშნული ქმედებები იმ მანკიერი პრაქტიკის შედეგი გახლდათ, რომელიც დამცირებითა და კოლექტიური ცემით მიზნად ისახავდა პატიმრის უსიტყვო მორჩილებას.

არასათანადო/არასაკმარისი სამედიცინო დახმარება. რიგ შემთხვევაში, არაადამიანურ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევის შესაბამისად ადგილი აქვს, თუ პიროვნებას არ აღმოუჩენენ ან აღმოუჩენენ არასაკმარის სამედიცინო დახმარებას. ასე მაგალითად, Mouisel v. France (2002 წ.) (313) საქმის მასალების მიხედვით, თავისუფლებააღკვეთილ მომჩივანს პროგრესირებადი

ლეიკემია განუვითარდა. დასკვნაში ექიმებმა ჩაწერეს, რომ ავადმყოფს სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროებოდა. საფრანგეთის ხელისუფალმა არ გაატარა აღნიშნული შეტყობინების საპასუხო ღონისძიებები. სასამართლოს დადგენილების თანახმად, მომჩივანი საავადმყოფოში რომ მოეთავსებინათ და დაცვა მიეჩინათ, მე-3 მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა. სასამართლოზე დაფიქსირდა, რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ არ უზრუნველყო შესაბამისი სამედიცინო დახმარებით მომჩივანი, რომლის მიმართაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და ის არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად აღიარეს.

Tekin v. Turkey (1998) (309) საქმის მასალებით ირკვევა, რომ მომჩივანი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ ერთი თირკმელი, საწოლის, საბნის, საკვებისა და სასმლის გარეშე ოთხი დღით მოათავსეს ცივ საკანში ჰაერის უარყოფითი ტემპერატურით. რამდენიმე დღის განმავლობაში პატიმარს წამოწოლის საშუალება არ ჰქონია. სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი მოპყრობა არაადამიანური და ღირსების შემლახველია.(286) სასამართლო გარჩევის საგნად იქცა, ასევე, ანალოგიური საქმეები Gorodnichev v. Russia (2007) (288), Mechenkov v. Russia (2008) (287).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში არაერთი საჩივარი იყო გაგზავნილი არასაკმარისი სამედიცინო მომსახურების შესახებ საქართველოდან. სახალხო დამცველის ოფისის მიერ წარმოებული მონიტორინგის 2007–12 წწ შედეგებით, პენიტენციური სისტემა საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით ყველაზე მძიმე პრობლემად რჩებოდა. სახეზე იყო პატიმართა სიკვდილიანობის ზრდა, თავისუფლების აღკვეთის რიგი დაწესებულების გადატვირთულობა, არაჰიგიენური გარემო და მოძველებული ტექნიკური საშუალებები, რითაც არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობები იქმნებოდა. ადგილი ჰქონდა, ასევე, სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სისტემურ გამოვლინებას და მათ არაადეკვატურ გამოძიებას; ჯანმრთელობის დაცვის მოუქნელი სისტემა და პირობები პატიმართა შორის სხვადასხვა დაავადების განვითარებასა და გავრცელებას უწყობდა ხელს.

2009 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის სამოქალაქო და პენიტენციური სისტემის არათანაბარი განვითარება არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე განსხვავებული დონისაა სამედიცინო დახმარება სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონში განლაგებულ საპატიმრო ადგილებში. ციხის ადმინისტრაცია უძლურია უზრუნველყოს პატიმრების სრულფასოვანი სასწრაფო სამედიცინო დახმარება. სახალხო დამცველის მოხსენებაში აღინიშნა, რომ 1 წლის

განმავლობაში მრავალი ციხის ექიმი დაითხოვეს სამსახურიდან პატიმრებისთვის ადეკვატური მომსახურების აღმოუჩენლობის გამო, სიკვდილიანობის ძირითად მიზეზად კი ტუბერკულოზი დასახელდა (241). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის მოხსენებაში დაფიქსირებულია, რომ საქართველოს ბევრ ციხეში არასაკმარისია სამედიცინო უზრუნველყოფა, მათ შორის მედიკამენტებით და დანადგარებით (244). ხაზგასმულია, აგრეთვე, რომ პრობლემატურად რჩება პატიმრებისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. ციხის ჯანდაცვის არსებული სისტემა უძლურია ადეკვატური მკურნალობით უზრუნველყოს პატიმრები (230). დაწვრილებითაა აღწერილი სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მძიმე, ზოგ შემთხვევაში კი საშინელი სამედიცინო პირობები, რომლებიც საშიშია პატიმართა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

მოხსენების თანახმად, სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ციხეებში განსხვავებულია. ექიმთა რაოდენობა ზოგიერთ დაწესებულებაში საკმარისია, თუმცა დამაკმაყოფილებელზე ბევრად ნაკლებია სხვებში. რიგ რაიონში პაციენტები კვალიფიციური და ადეკვატური სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებიან კონკრეტული პროფილის ექიმის არარსებობის ან იმის გამო, რომ ხელმისაწვდომი ექიმები გადატვირთული არიან პაციენტებით.

მონიტორინგის ჯგუფმა ვერ აღმოაჩიანა ვერც ერთი შემთხვევა იმისა, რომ ციხის ადმინისტრაციას დაეკმაყოფილებინოს პატიმრის თხოვნა სამედიცინო, ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ექიმის მიერ. ფსიქიატრიული ექსპერტიზა ან საერთოდ არ ჩატარებულა, ან ჩატარდა დაგვიანებით. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო მტკიცებულებების მიღება, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პატიმრისათვის.

ასევე, შეშფოთება იქნა გამოთქმული ციხეში მომუშავე სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის ხარისხთან, ფსიქოტროპული პრეპარატების არაკონტროლირებად გამოყენებასთან, საექიმო საიდუმლოს დაცვის, პატიმრების მიმართ მოპყრობის, ფსიქიკური დარღვევების, სერიოზული და განუკურნებელი დაავადებების მქონე პირთა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. ციხეებში სათანადო სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს

ხელისუფლებისგან მოითხოვდა კონკრეტული ზომების მიღებას C ჰეპატიტის გავრცელების აღკვეთის, მისი ადრეული დიაგნოსტიკისა და ეფექტური მკურნალობის მიზნით. (230)

სამედიცინო ჩარევა მტკიცებულებების მიღების მიზნით. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა საქმეები, რომლებშიც მომჩივანი პირები, მათი მტკიცებით, ექვემდებარებოდნენ გარკვეული სახის სამედიცინო ჩარევას, რითაც ირღვეოდა ამ პირების ფიზიკური ხელშეუხებლობა და კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლო ყოველთვის არ იღებდა მომჩივნის სასარგებლო გადაწყვეტილებას, აღნიშნავდა რა, რომ სამედიცინო ინტერვენცია გამყარებული უნდა ყოფილიყო ობიექტური მოცემულობებით ე წ. "სისასტიკის მინიმალური დონის" სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არსობრივად არ კრძალავს იძულებით სამედიცინო ჩარევას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხელს უწყობს დანაშაულის გამოძიებას (იხ. X. და Y v. Netherlands (1978 წ.). იძულებითი სამედიცინო ჩარევა, ასევე, სავალდებულოა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის დროს (260). აღნიშნულის გათვალისწინებით, მტკიცებულებების მიღების მიზნით, პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის ნებისმიერი სახით დარღვევა ყველაზე გულმოდგინე გარჩევის საგნად უნდა იქცეს.

2013–2014 წლებში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმის შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა გარდაცვალების რაოდენობამ შემცირება დაიწყო. 2014 წელს მასშტაბურად ამოქმედდა C ჰეპატიტის პროექტი. 2013 იყო პირველი წელი, როდესაც სახალხო დამცველს არ დაუფიქსირებია წამების არც ერთი შემთვევა საპატიმრო დაწესებულებებში. 2014 წელს, სამედიცინო რეფორმების გატარების შედეგად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დახურულად გამოაცხადა საქართველოდან ჯანდაცვის თემაზე გამოგზავნილი საჩივრების განხილვა .

ბავშვების დაკავება

ეს მეტად საყურადღებო თემაა. ბავშვის დაკავებისთვის ფრიად სერიოზული საფუძვლების არსებობაა საჭირო. უფრო მეტად, ვიდრე სხვა შემთხვევებში, ეს უნდა იყოს ultimum remedium. გარდა ამისა, აუცილებელია განსაკუთრებული პირობების შექმნა არასრულწლოვანთა ყველა, მათ შორის, საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით.

ბავშვების მოთავსება უფროსებთან ერთად არაადამიანური მოპყრობის გამოვლინებაა.

სულიერი ტანჯვის მიყენება

მოპყრობა, რომელიც იწვევს სულიერ ტანჯვას, გარკვეულ გარემოებებში შეიძლება არაადამიანურ მოპყრობას გაუთანაბრდეს. საინტერესოა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დამოკიდებულება ტერორისტების დაკითხვის ე.წ. "ხუთი მეთოდის" მიმართ. ტერორიზმში ეჭვმიტანილებს, რომლებიც რამდენიმე საათით დააკავეს, აიძულებდნენ მდგარიყვნენ განზე გაშლილი ხელ-ფეხით ან თავზემოთ აწეული ხელებით, არ აძლევდნენ საკვებს და ძილის საშუალებას, ზემოქმედებდნენ მუდმივი ხმაურით, თავსა და სახეს შავი ჩაჩით უფარავდნენ.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული "ხუთი მეთოდის" შეუღლებული, წინასწარგანზრახვით და მრავალი საათის განმავლობაში ზედიზედ გამოყენებით, ეჭვმიტანილებს, თუ სხეულის დაზიანება არა, ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა მიადგათ, ასევე, ფსიქიკის მწვავე აშლილობა განუვითარდათ, რის გამოც მოცემული შემთხვევა, მე-3 მუხლის თანახმად, არაადამიანური მოპყრობის კატეგორიას მიაკუთვნეს (270).

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედებდა ინსტრუქცია, რომლის მიხედვით, საკნებში პატიმრებს მხოლოდ ჩურჩულით საუბრის ნებართვა ეძლეოდათ. ინსტრუქციის დარღვევისათვის მათ სჯიდნენ. მსგავსი შეზღუდვები, რომლებიც პატიმრებში ნევროზულობას და ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს, შეიძლება არაადამიანურ მოპყრობად მივიჩნიოთ.

არაადამიანურ მოპყრობად განიხილება, ასევე, წამების გამოყენების მუქარა, თუ ის უშუალოა და საკმარისად რეალური. მუქარა რომ არაადამიანურ მოპყრობასთან იქნეს გათანაბრებული, აუცილებელია იმის ჩვენება, რომ მან გამოიწვია იმ დონის ტანჯვა, რომელიც, ჩვეულებრივ, არაადამიანურ მოპყრობასთან ასოცირდება.

საქმეში Campbell and Cosans v. The United Kingdom (1982 წ.) პატიმრის მიმართ წამების მუქარა არაადამიანურ მოპყრობად განიხილება, თუ ის რეალური, უშუალო და ძლიერი სულიერი ტანჯვის გამომწვევია (300).

საინტერესოა შემთხვევები, როდესაც დაკავებულის იძულებით გაქრობის გამო, დგება პასუხისმგებლობა მისი ოჯახის წევრებისათვის მიყენებული შიშის, შეშფოთებისა და

მტანჯველი განცდების გამო. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ, მაშინ როდესაც, სახელმწიფო პასუხს აგებს დაკავებულის, პატიმრის გაქრობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, მან პასუხი უნდა აგოს იმ სულიერი ტანჯვისთვისაც, რომელიც დაკარგულის ოჯახის წევრებს მიადგათ. ამისათვის მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო თავისი ოჯახის წევრის გაქრობისა და ხელისუფლის უუნარობის გამო, გაერკვია მისი ადგილსამყოფელი. ასე მაგალითად, Kurt v. Turkey (1998) საქმის მასალებით, მომჩივანი გახლდათ დედა ახალგაზრდა მამაკაცისა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში დაკავების შემდეგ გაქრა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ის იყო მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი იმ ტანჯვის გამო, რომელიც გადაიტანა შვილის დაკარგვის გამო. სასამართლოზე ითქვა, რომ დედამ ნახა, როგორ დააკავეს თავისი ვაჟი და არაერთხელ შეეცადა გაერკვია მისი შემდგომი ბედი, თუმცა, ხელისუფალთა სრულ უმოქმედობას გადააწყდა. შედეგად, მომჩივანი მიჩნეულ იქნა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად (301).

სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის არსობრივია ოჯახური კავშირების ფსიქოლოგიური ფენომენი. აღნიშნულ კონტექსტში განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება მშობლებსა და შვილებს შორის კავშირს, მოწმეობის ხარისხს, დაკარგული პირის შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის აქტიურობას და ხელისუფლების რეაქციას მისი პოვნის მოთხოვნაზე. სასამართლო ხაზგასმით აფიქსირებს, რომ მსგავსი დარღვევის არსი არა იმდენად ოჯახის წევრის გაქრობის ფაქტია, რამდენადაც ხელისუფლების პოზიცია და მისი რეაგირება, როდესაც კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მის ყურამდე აღწევს.

სხვა მაგალითები:

არაადამიანურ მოპყრობას ადგილი შეიძლება არაპატიმრის მიმართაც ჰქონდეს. მაგალითად, D. V. The United Kingdom (1997) საქმის (296) მიხედვით, სასიკვდილოდ ავადმყოფი ადამიანის გასახლება ქვეყანაში, რომელშიც ის ვერ მიიღებდა სათანადო სამედიცინო მომსახურებას, სასამართლოს მიერ განისაზღვრა, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

სამედიცინო მომსახურების შესახებ საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის 2006-2007 წლების ანგარიშში, რომლის თანახმადაც, ციხეებში სამედიცინო მომსახურება ან არ არსებობს, ან ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ან მისი ხარისხი ვერანაირ კრიტიკას უძლებს (333, 94).

ლეგალური და არალეგალური მიგრანტების დეპორტაცია

აღნიშნულის მაგალითად გამოდგება ჩვენთვის მტკივნეული ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა პეტერბურგში, ივანოვოში, კალუგაში, მოსკოვში, კრასნოდარში. დეპორტაცია ძირითადად შეეხო საქართველოს მოქალაქეებს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის გაცივების პერიოდში. ადამიანებს ქუჩაში იჭერდნენ, ავტობუსებში სვამდნენ და სასამართლოში მიჰყავდათ, სადაც მიიღებოდა გადაწყვეტილება მათი დეპორტაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დეპორტირებული ქართველი რუსეთის მოქალაქე გახლდათ. უფლებადამცველების მტკიცებით, აღნიშნული კამპანიის მსვლელობისას მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტებში ორი ადამიანი გარდაიცვალა. 2006 წლის ნოემბრამდე რუსეთიდან გააძევეს 2680-მდე საქართველოს მოქალაქე. (225) 2007 წლის 26 მარტს საქართველომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა, რომელშიც განმცხადებელმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, 5, 8, 13, 18 მუხლების, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის #1 ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლის, ადამიანის უფლებათა კონვენციის #4 ოქმის მე-4 მუხლის, ადამიანის უფლების ევროპული კონვენციის #7 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის გამო. საქმესთან დაკავშირებით პირველი მოსმენა 2009 წლის 16 აპრილს გაიმართა (225).

სტრასბურგში აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის საჩივრები (სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ფრიად იშვიათია (სულ 15 შემთხვევა 50 წლის განმავლობაში) (226). სტრასბურგის სასამართლომ ორ ასეთი საჩივარი განიხილა და ორივე საქართველოდან რუსეთის წინააღმდეგ. მეორე საჩივარი უკავშირდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევას 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის დროს.

ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა

სასამართლო განსაზღვრავს, რომ მოპყრობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ღირსების შემლახველად, თუ ის მსხვერპლში იწვევს შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების განცდას, ამცირებს მას და შეუძლია გატეხოს მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა (276).

ისევე როგორც სასტიკი მოპყრობის სხვა სახეობები, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას უნდა გააჩნდეს სისასტიკის ისეთი დონე, რომლის საფუძველზეც მე-3 მუხლის დარღვევა დაფიქსირდება. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა კონკრეტული სახეობის მოპყრობა ღირსების

შემლახველი, სასამართლო ითვალისწინებს, იყო თუ არა ამგვარი მოპყრობის მიზანი მსხვერპლის დამცირება და შეურაცხყოფა, ხოლო შედეგი - მე-3 მუხლთან შეუთავსებელი ნეგატიური ზემოქმედება მსხვერპლზე. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მსხვერპლის დამცირებისა და შეურაცხყოფის მიზნის არარსებობა ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დარღვევას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე დასჯილ პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ ამგვარი მოპყრობა ლახავს მის ღირსებას, თუ დამცირების დონე აჭარბებს ნებისმიერ სასჯელს. . მე-3 მუხლის თანახმად, ღირსების შემლახავი შეიძლება იყოს არა იმდენად გამოტანილი განაჩენი, არამედ ის, თუ როგორ ხდება მისი აღსრულება. ამავდროულად საკმარისია, რომ მსხვერპლი საკუთარ თვალში განიცდიდეს დამცირებას. ასე მაგალითად, Tyrer v. The United Kingdom (1978) საქმის (206) მასალებით ირკვევა, რომ არასრულწლოვანი მომჩივანის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებით გამოიყენეს ფიზიკური დასჯა. სასჯელი აღასრულა პოლიციელმა, რომელიც მომჩივანს გაშიშვლებულ დუნდულოებზე დარტყმას აყენებდა, ორი სხვა პოლიციელი კი აკავებდა არასრულწლოვანს. ეს მოხდა განაჩენის გამოტანიდან თითქმის 2 თვის შემდეგ.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სასჯელის აღსრულება მის ღირსებას ლახავდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ფიზიკური დასჯა სასამართლოს გადაწყვეტილებით გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებას მეორეზე. გარდა ამისა, ეს ინსტიტუციური ძალადობაა, ანუ მასში მონაწილეობენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის დასჯას თან არ ახლდა მძიმე და ხანგრძლივი შედეგები, სასჯელის აღსრულების მანერამ ხელყო ის, რასაც იცავს მე-3 მუხლი, კერძოდ, ადამიანის ღირსება და ფიზიკური ხელშეუხებლობა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინაც კი, როდესაც დაკავებული პირის/პატიმრის მიმართ გამოიყენება დაკითხვის დაშვებული მეთოდები, თუ ციხეში ყოფნის პირობები არაადამიანური ან ღირსების შემლახველია.

სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ტანჯვამ და დამცირებამ უნდა მიაღწიოს განსაკუთრებულ დონეს და ნებისმიერ შემთხვევაში განსხვავდებოდეს ტანჯვისა და

დამცირებისგან, რომელიც ისედაც ნიშანდობლივია თავისუფლების კანონიერი აღკვეთისათვის. კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის პატიმრობის პირობების თავსებადობა მისი ადამიანური ღირსების პატივისცემასთან, სასჯელის აღსრულების მეთოდმა არ უნდა მიაყენოს მას ისეთი ინტენსივობის ტანჯვა, რომელიც აჭარბებს თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული ტანჯვის გარდაუვალ დონეს, ციხეში ყოფნის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, აუცილებელია, ადეკვატურად იქნეს დაცული მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სავალდებულო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გზით (იხ. საქმე Kudla v. Poland (2000) (295) საპატიმროს პირობების შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მათი კუმულაციური ეფექტი, ისევე როგორც, მომჩივანის მიერ დაფიქსირებული კონკრეტული ფაქტები.

საკნების გადატვირთულობა და დასაძინებელი ადგილების არასაკმარისი რაოდენობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მოპყრობა, რომლითაც ირღვევა მე-3 მუხლი. ცუდი გათბობა, არასათანადო სანიტარული პირობები, უხარისხო კვება, არასაკმარისი დასვენება, გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა ასევე შეიძლება განხილული იყოს, როგორც ღირსების შემლახველი მოპყრობა. მაგალითად, Kalashnikov v. Russia (2002 წ.) საქმის (298) მასალების მიხედვით, მომჩივანი 4 წლისა და 10 თვის განმავლობაში იმყოფებოდა 8-კაციან საკანში. სასამართლო დაეჭვდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა მსგავსი პირობები მისაღებ სტანდარტებს. წამების, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობისა და დასჯის ევროპულმა კომიტეტმა სასურველ სტანდარტად დაადგინა 7 კვადრატული მეტრი ფართობი თითო პატიმარზე. ანუ 8 პატიმარი არანაკლებ 56 კვ. მეტრ ფართობზე უნდა განეთავსებინათ. მომჩივანის ციხეში ყოფნის დროს საკანში პატიმართა რაოდენობა 18-დან 24-მდე მერყეობდა და თითო საძინებელ ადგილს ორი ან სამი მსჯავრდებული იყენებდა. ფართობი, რომელიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თითო პატიმარზე მოდიოდა 0,9-1,9 კვ. მეტრი გახლდათ. სასამართლოს აზრით, საკანი მუდმივად ნორმაზე მეტად იყო გადავსებული, რაც უკვე თავისთავად ბადებდა მე-3 მუხლის დარღვევის აღიარების საჭიროებას. სასამართლომ დაადგინა, რომ პირობები, რომლებშიც მომჩივანი პატიმრობის დროს იმყოფებოდა, კერძოდ, საკნის დაუშვებელი გადავსება, ანტისანიტარული გარემო, ცუდი ვენტილაცია, უხარისხო კვება და მათი ზემოქმედების მავნე შედეგები პატიმრობის ხანგრძლივი პერიოდის თანდართვით, საკმარისია ტანჯვის ისეთი ხარისხის გამოწვევისთვის, რომელიც აღემატება ზოგადად თავისუფლების აღკვეთით გამოწვეულ განცდებს (275).

საქმეში Dougoz v. Greece (2001) მომჩივანი რამდენიმე თვის განმავლობაში ჰყავდათ ბინძურ საკანში, რომელშიც ხშირად 10 კაცი ერთდროულად იმყოფებოდა, არ იყო საწოლები, ლეიბები, საბნები, თეთრეული. სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი პირობები უთანაბრდებოდა ღირსების შემლახველ მოპყრობას და არღვევდა მე-3 მუხლს.

საქართველოში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა აღინიშნებოდა 2006-2009 წლებში არასრულწლოვანთა კოლონიაში. სახალხო დამცველის დასკვნით, არსებობდა
რამდენიმე პრობლემა, კერძოდ, ციხე იყო გადატვირთული; შენობაში, რომელიც გათვლილი იყო 40 ადამიანზე, მუდმივად იმყოფებოდა 200 მსჯავრდებული. მოუწესრიგებელი იყო საპირფარეშოები და სააბაზანო. იქ არსებული პირობები არცერთ ასპექტში არ აკმაყოფილებდა ციხის სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია ევროსაბჭოს მიერ და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის. ზემოთ აღნიშნული დარღვევები გამოვლინდა ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების დროს, რომელიც ჩატარდა 2009 წლის 10 თებერვალს (289, 326).

კონვოირების პირობები. ციხიდან სასამართლოს შენობამდე კონვოირება ასევე შეიძლება წარმოებდეს დამამცირებელ და არაადამიანურ პირობებში. საერთაშორისო სასამართლო ამ კუთხითაც წამების, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობისა და დასჯის ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობს და განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ციხის ტრანსპორტის სახეობა, მისი გადავსების ხარისხი, ტრანსპორტირების რაოდენობა და დრო, კვება და ფიზიკური ვარჯიშის დაშვება გადაყვანისას. აღნიშნული პირობების სავალალობა, იმ ფსიქოლოგიური სტრესის გათვალისწინებით, რაც სასამართლო პროცესს უძღვის წინ და განსასჯელის ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას საჭიროებს, საკმარისია სასამართლოს დადგენილებისთვის, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი.

ხელბორკილის გამოყენება

სასამართლოს უწევდა ისეთი განცხადებების განხილვაც, რომლებშიც პატიმრისათვის ხელბორკილის დადება და მისი იზოლატორში მოთავსება არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად შეფასების მოთხოვნა იყო დაფიქსირებული.

საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა ამ თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია; როგორც წესი, ყოველთვის მოიყვანება კონკრეტული საქმის გარემოებები.

Raninen v. Finland (1997) საქმის (304) მასალების მიხედვით, მომჩივანს ხელბორკილი ციხიდან სამხედრო ნაწილში ტრანსპორტირებისას დაადეს. მგზავრობა დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა. ოფიცერი, რომელმაც ხელბორკილი დაადო, დარწმუნებული იყო, რომ ბრძანებას ასრულებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელბორკილის გამოყენებით არ ირღვევა მე-3 მუხლი პირის კანონიერი დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში. მსგავს გარემოებაში მნიშვნელოვანია დადგინდეს იმ ვარაუდის საფუძვლიანობა, რომ ადამიანმა შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს სამართალდამცავებს დაპატიმრებისას, გაიქცეს, ზიანი ან ტრავმა მიაყენოს მათ ან გაანადგუროს სამხილები. განსახილველ საქმეში ზომა გამოყენებულ იქნა არაკანონიერი დაპატიმრების კონტექსტში და მომჩივანი გარკვეული დროის განმავლობაში საჯაროდ ატარებდა ხელბორკილს. თუმცა, მან ვერ შეძლო წარმოედგინა იმის მტკიცებულებები, რომ ამგვარ მოპყრობას თან ახლდა ფიზიკური ზიანი ან ამან მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე იმოქმედა მძიმედ. მომჩივანმა ასევე ვერ დაამტკიცა, რომ ბორკილები დამცირების ან შეურაცხყოფის მიზნით დაადეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ ის არ ცნო ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლად.

უფრო გვიანდელი საქმის Avci and Others v. Turkey (2006 წ.) (288) მასალების მიხედვით, საჩივრის ავტორმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. თავდაპირველად ისინი ციხის საავადმყოფოში მოხვდნენ, შემდეგ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც მიუხედავად იმისა, რომ კომაში და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფებოდნენ, ქვემო
კიდურებით ჯაჭვით მიაბეს საწოლის ფეხს. შესაბამისად, სასამართლო არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მომჩივნებს გაქცევა შეეძლოთ, მითუმეტეს, რომ კართან დაცვაც მორიგეობდა. აღნიშნულის გამო სასამართლომ ჯაჭვის დადება უსაფრთხოების არათანაზომიერ ზომად მიიჩნია და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

Kucheruk v. Ukraine (2007) საქმის (227) მასალების მიხედვით, მომჩივანი გახლდათ ქრონიკული შიზოფრენიით დაავადებული პირი, რომლის საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებაც შესაძლებლად მიიჩნიეს. სამი თვის შემდეგ, დაკავებულის დასამშვიდებლად მედპერსონალმა გამოიძახა სამი მცველი, რომლებმაც ავადმყოფს სახით კედლისკენ დადგომა და ხელების ზურგსუკან დაწყობა უბრძანეს. ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა ბრძანებას, რის გამოც მცველებმა ის ხელკეტებით სცემეს, იატაკზე დააგდეს და ხელბორკილი დაადეს. მიუხედავდ

იმისა, რომ დაკავებული ნაცემი იყო, ციხის დირექტორმა შესაძლებლად ჩათვალა მისი ცალკე მოთავსება. 9 დღის განმავლობაში ის ჩაკეტილ საკანში ყოველდღიურად 23 საათს ატარებდა და შვიდი დღე-ღამე უწყვეტად ედო ხელბორკილი. ციხის ექიმის განცხადების თანახმად, მომჩივანი გამუდმებით ცდილობდა ხელების გათავისუფლებას: თავს ურტყამდა კედელს, იატაკზე გორავდა, ცდილობდა ფეხები გაეტარებინა ბორკილდადებულ ხელებს შორის. სასამართლომ მიიჩნია, რომ 7 დღე-ღამის განმავლობაში ფსიქიკურად დაავადებული პირისთვის ხელბორკილის დადება რაიმე სახის სამედიცინო დასაბუთების არ არსებობის პირობებში განხილულული უნდა ყოფილიყო, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

დაკავებული პირისთვის თვალების ახვევა და რამოდენიმე დღის განმავლობაში ხედვის შესაძლებლობის მოსპობა სასტიკი მოპყრობის სხვა მეთოდების ერთდროულ გამოყენებასთან ერთად, ადამიანზე ძლიერ ფსიქიკურ და ფიზიკურ ზეგავლენას ახდენს, რაც შეიძლება გაუთანაბრდეს მის მიმართ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ამგვარი მოპყრობის შედეგებს სასამართლო განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ გარემოებას ყოველ საქმეში.

არასათანადო/არასაკმარისი სამედიცინო დახმარება. სახელმწიფო ხელისუფლებას აკისრია თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულება.

სათანადო სამედიცინო მკურნალობის აღმოუჩენლობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

Hutardo v. Switzerland (1994 წ.) (310) საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანი ექიმთან სამედიცინო დახმარების მოთხოვნიდან მხოლოდ 6 დღის, დაპატიმრებიდან კი დაახლოებით 8 დღის შემდეგ დაუშვეს. რენტგენოგრაფიულმა გამოკვლევამ ნეკნის მოტეხილობა გამოააშკარავა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღიარა მე-3 მუხლის დარღვევა იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მომჩივანი დაკავებიდან 8 დღის განმავლობაში არ დაუშვეს ექიმთან.

Khudobin v. Russia (2006 წ.) (311) საქმის მასალებით ირკვევა, რომ, მომჩივანი გახლდათ შიდსით დაავადებული პირი, რომელსაც ერთდროულად ფსიქიკური დარღვევები აღენიშნებოდა. ეს ზრდიდა სხვა დაავადებების თანდართვის რისკს, რაც პატიმარს შიშის გრძნობას უძლიერებდა. ამგვარ ვითარებაში კვალიფიციური და დროული სამედიცინო დახმარების არ არსებობა, ასევე,

ხელისუფლების უარი დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, ავადმყოფში ბადებდა დაუცველობისა და საკუთარი ძალების რწმენის არქონის ძლიერ განცდას; დამატებით, მომჩივანის ფიზიკური ტანჯვის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიმართ ღირსების შემლახველ მოპყრობას ჰქონდა ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ციხეებში არსებობდა ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება. სახალხო დამცველის რწმუნებულებს, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის დროს, არაერთხელ აღმოუჩენიათ ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებული, ფსიქიკური აშლილობის მქონე და შიდსით დაავადებული მსჯავრდებულები, რომლებიც ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად იყვნენ მოთავსებული (337, 480).

ფსიქიკურად დაავადებულის მკურნალობა

ფსიქიკური აშლილობების მქონე პატიმართათვის ფსიქიატრიული მკურნალობის არ ჩატარება ან არასათანადო ჩატარება შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევად იქნეს მიჩნეული. სასამართლო ყოველთვის იღებს მხედველობაში მათ დაუცველობას და უუნარობას, ზოგიერთ შემთხვევაში, მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საკუთარი ჩივილი ან გამოთქვან მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მათზე კონკრეტული მკურნალობა.

Herczegfalvy v. Austria (1992) (312) საქმის მასალების მიხედვით, ფსიქიკურად დაავადებული მომჩივანი გამოირჩეოდა აგრესიულობით და ხშირად ესხმოდა თავს ციხის დაცვის თანამშრომლებს. საჩივარში დაფიქსირებული იყო, რომ მას იძულებით აძლევდნენ ხოლმე საჭმელს და დამამშვიდებლებს, ათავსებდნენ იზოლატორში და დიდხანს აბამდნენ ხელბორკილით საწოლზე. სასამართლოზე აღნიშნა, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებისთვის დამახასიათებელი უმწეობის გათვალისწინებით, აუცილებელია მე-3 მუხლის დაცვის ზედმიწევნით კონტროლი.

2013 წლის 21 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით, განხორციელდა მონიტორინგი, რომლის მიზანი იყო წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით (UN CAT) სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი სასჯელაღსრულების სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. პრევენციის

ეროვნული მექანიზმის მუშაობა, აღნიშნული კუთხით, პირველად განხორციელდა საქართველოში. ეს ანგარიში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (UNCRPD) რატიფიცირების ფონზე. (338) გაირკვა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ცალკე პალატა არ არსებობდა და ისინი სასჯელს სხვა კატეგორიის პატიმრებთან ერთად იხდიდნენ (261).

ინვალიდების პატიმრობა

ინვალიდი პატიმრებისთვის ადეკვატური პირობების არშექმნა ასევე შეიძლება გაუთანაბრდეს მოპყრობას, რომლითაც ირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი.

Price v. The United Kingdom (2001) (313) საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანი, რომელსაც ბავშვობიდან წაერთვა ქვემო კიდურები და ერთდროულად თირკმლის დაავადება აღენიშნებოდა, სამოქალაქო პროცესზე სასამართლოს შეურაცხყოფის გამო ციხეში მოათავსეს. როდესაც ციხეში მიჰყავდათ, მან უფლება ითხოვა, თან წაეღო დამტენი მოწყობილობა საინვალიდო ეტლისთვის, რაზედაც უარი ეთქვა. მომჩივანს პერიოდულად აღენიშნებოდა ძლიერი გაცივება (რაც მძიმდებოდა მისი გადაადგილების უუნარობით), ვერ იძინებდა შესაფერისი საწოლის არქონის გამო, განიცდიდა ძლიერ დამცირებას, როდესაც საპირფარეშოთი სარგებლობის დროს ციხის თანამშრომელი-მამაკაცები ეხმარებოდნენ და იტანჯებოდა პირადი ჰიგიენის დაცვის შეუძლებლობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ინვალიდის პატიმრობა ისეთ პირობებში, როდესაც მას სცივა, აქვს ნაწოლების და წყლულების განვითარების რისკი მეტად მაგარი და მოუხერხებელი საწოლით სარგებლობის გამო, მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე არ შეუძლია საპირფარეშოთი სარგებლობა და პირადი ჰიგიენის დაცვა, უთანაბრდება ღირსების შემლახველ მოპყრობას. მართალია, თავად აღწერილი პირობები არ წარმოშობს შეზღუდულ შესაძლებლობებს, მაგრამ მათი ინტერაქცია მოურგებელ გარემოსთან - რეაბილიტაციის სერვისის უქონლობასთან - თანდათანობით აყალიბებს შეზღუდვებს.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრის წვდომა საჩივრის მექანიზმზე, ასევე, შეზღუდული იყო, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ის ფიზიკურად ვერ ახერხებდა საჩივრის დაწერას და ყუთში მოთავსებას. საპირფარეშო და

პირსაბანი არ აკმაყოფილებდა ისეთ პირობებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმარს (ეტლის მომხმარებელს) შეძლებოდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და პირადი ჰიგიენის დაცვა პატივისა და ღირსების შეულახავად.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული ხელობისა და კონკრეტული პროფესიის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არცერთი პირი არ იყო ჩაბმული. ციხის საგანმანათლებლო/სახელობო პროგრამებით არ იყო გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები (340).

პატიმრის პირადი ჩხრეკა

პატიმრის პირადი ჩხრეკა, რომელიც მის სრულ გაშიშვლებას მოითხოვს, დასაბუთებული უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნებით და ჩატარდეს ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული ადამიანური ღირსების ხელყოფა. შეურაცხმყოფელი შენიშვნები, ჩხრეკაზე საწინააღმდეგო სქესის თანამშრომლის დასწრება, შეიძლება მე-3 მუხლის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს.

სასამართლო ადგენს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრული გაშიშვლებით ჩხრეკის რეგულარული გამოყენება მკაფიო მითითებისა და საჭიროების გარეშე და მისი ჩატარება უსაფრთხოების სხვა მკაცრი ღონისძიებების გამოყენებით, არღვევს მე-3 მუხლის მოთხოვნებს. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების დროს სასამართლო ეყრდნობა წამების და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ევროპის კომიტეტის მოხსენებებს.

დისკრიმინაცია

რასობრივ და სქესობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია ასევე შეიძლება გაუთანაბრდეს ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას. East African Asians v. The United Kingdom (1973) (305) საქმის მასალებით ირკვევა, რომ იმიგრაციული კანონმდებლობა აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრებ გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე აზიის მკვიდრთ სამეფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლებას ართმევს, რითაც ილახება მათი უფლებები რასობრივი კუთვნილების საფუძველზე. აღნიშნული კანონი მაშინ მიიღეს, როდესაც "აფრიკანიზაციის" პოლიტიკა აღმოსავლეთ აფრიკაში აზიელებს არსებობის საშუალებას უსპობდა. კომისიამ

განაცხადა, რომ რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს, ხოლო ამავე ნიშნის მიხედვით ადამიანების ღიად დაყოფა და გარკვეულ გარემოებებში ცალკე ჯგუფის მიმართ მიკერძოებული მოპყრობა "ადამიანის ღირსების საჯაროდ შელახვის განსაკუთრებულ ფორმად" შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, ღირსების შემლახველ მოპყრობას წარმოადგენდეს. საქმის განსაკუთრებული გარემოებების გამო კომისიამ დაადგინა მე-3 მუხლის ნორმების დარღვევის ფაქტი.

საქმეში Abdulaziz (რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), სასამართლო იზიარებდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფოები არ უნდა ატარებდნენ ღიად რასისტული ხასიათის იმიგრაციულ პოლიტიკას, თუმცა, პრეფერენციის რეჟიმი საკუთარი ქვეყნის ან მეგობარი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ არ წარმოადგენს რასობრივ დისკრიმინაციას. ამის მიუხედავად, სასამართლო აგრძელებს მსგავსი კანონების მიღების განხილვას, რათა ნათელყოს, შეიძლება თუ არა მათი მიჩნევა ღირსების შემლახველად. ცალკეული რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლის დამცირების ან შეურაცხყოფის განზრახვა რასიზმის დამადასტურებელია და სავსებით შესაძლებელია, რომ მიჩნეულ იქნეს მე-3 მუხლის დარღვევად.

Abdulaziz, Cabales and Balkandali v. The United Kingdom 1985 (304) საქმის მასალების მიხედვით, მომჩივნებს, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ გაერთიანებულ სამეფოში, იმიგრაციული კანონების მოქმედების გამო, საშუალება არ მიეცათ შეერთებოდნენ საკუთარ ქმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კანონის მიღება გადამწყვეტი ფაქტორი გახდა მე-3 მუხლის ნორმებთან მათი შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. მან დაასკვნა, რომ განსხვავებული მოპყრობა, რომლის გამოც საჩივარი იქნა შემოტანილი, არ მიუთითებს მომჩივნის პიროვნებისადმი უპატივცემულობასა და მის მიმართ ნეგატიურ განწყობაზე, ასევე, არ ისახავს და არ ისახავდა მიზნად დაემცირებინა ან შეურაცხეყო ისინი. კანონის მიღება მიზნად ისახავდა მხოლოდ სამუშაო ძალის შიდა ბაზრის დაცვასა და ერებს შორის კეთილი ურთიერთობების გამყარებას. იმ საქმეების განხილვის დროს, რომლებიც არ შეიცავენ იმიგრაციული პოლიტიკის უხერხულ საკითხებს, სასამართლო აღიარებს, რომ დისკრიმინაცია შეიძლება მივიჩნიოთ მე-3 მუხლის დარღვევად.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის მიღების შემდეგ, სამართალდამცავი სისტემა კრიმინალური ავტორიტეტების და მათთან დაკავშირებული პირების მიმართ იყენებდა ზემოქმედების სხვადასხვა უკანონო, ძალადობრივ

ფორმას, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც წამება ან არაადამიანური მოპყრობა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის ამგვარი მოპყრობა ხშირად გამოიყენებოდა აღიარებითი ჩვენების მისაღებად.

3.3. კრიმინალური ძალადობის (კერძოდ, წამების) მსხვერპლის დახასიათება

3.3.1 ვიკტიმიზაციის ზოგადი მიმოხილვა

დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლის გამოკვლევა ვიქტიმოლოგიის პრეროგატივაა და მჭიდროდ უკავშირდება ჰანს ფონ ჰენტინგისა (1888-1974) და ბენჟამინ მენდელსონის (1900-1998) სახელებს. 1941 წელს გაჩნდა გერმანელი კრიმინოლოგის ჰანს ფონ ჰენტინგის სტატია ”შენიშვნები დამნაშავისა და მსხვერპლის ინტერაქციაზე”. სტატიაში მან კონტრასტულ ასპექტში წარმოაჩინა დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობები (დამნაშავე, მსხვერპლი), რომელთაც მანამდე განიხილავდნენ, როგორც მექანიკურ და სტატიკურ ცნებებს. მეცნიერის აზრით, დანაშაულის მსხვერპლი არ შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ჩვეულებრივი პასიური ობიექტი, იმდენად რამდენადაც, იგი კრიმინალიზაციის პროცესის აქტიური სუბიექტია. (48, 303-309)

1948 წელს ჰენტინგმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „დამნაშავე და მისი მსხვერპლი. დანაშაულობის სოციობიოლოგია“, რომელშიც ჩამოაყალიბა და განავითარა ვიქტიმოლოგიისთვის პრინციპული დებულებები.

ჰენტინგი გამოყოფს ვიქტიმოლოგიის ძირითადი ცნებების სამ კატეგორიას. ესენია:

1. მოძალადე-მსხვერპლი
2. ლატენტური მსხვერპლი;
3. ურთიერთობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის.

დამნაშავესა და დაზარალებულს იგი განიხილავს, როგორც პარტნიორებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. რიგ შემთხვევაში, მსხვერპლი დამნაშავის ფორმირებას, აღზრდას და მის

ჩამოყალიბებას ახდენს. ჰენტიგი წერდა: „დამნაშავისა და მსხვერპლის უსიტყვო ურთიერთგაგება კრიმინოლოგიის ფუძემდებლური ფაქტია. რა თქმა უნდა, არანაირი შეთანხმების გაფორმებას ასეთ დროს ადგილი არ აქვს, მაგრამ სახეზეა მიზეზობრიობის ელემენტების ურთიერთქმედება, ინტერაქცია და გაცვლა“ (48, 222).

მონოგრაფიაში განხილულია სხვადასხვა ტიპური სიტუაცია და ურთიერთობა, რომლებსაც განაპირობებს მსხვერპლის პიროვნება და ქცევა. არსებობს მსხვერპლის განსხვავებული ტიპები, რომელთაგან ზოგიერთი განსაკუთრებით მიმზიდველია დამნაშავისთვის წინააღმდეგობის გაწევის ნაკლები შესაძლებლობით (მოხუცები, ქალები, ბავშვები, ლოთები). არსებობს მსხვერპლის ე.წ. „განიარაღებული“ და „დაცული“ ჯგუფები. „განიარაღებული მსხვერპლის“ ჯგუფში მოიაზრებიან ადამიანები არასუფთა სინდისით, რომელთაც თავად აქვთ ჩადენილი დანაშაული და არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ გამოძალვასა და შანტაჟს სხვათა მხრიდან. „დაცული მსხვერპლის“ ჯგუფს შეადგენენ მდიდარი, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარის მქონე მოქალაქეები. გამოყოფენ ასევე მსხვერპლს ე.წ. მძიმე მემკვიდრეობით, დამნაშავედ ჩამოყალიბების მიდრეკილებით და ა.შ.

ჰენტინგთან ერთად, მსხვერპლის პრობლემა ახლებურად წარმოაჩინა ვიქტიმოლოგიის დამფუძნებელმა და აღნიშნული სახელწოდების ავტორმა ბ. მენდელსონმა. მის ნაშრომებში მოწოდებულია ვიქტიმოლოგიის მრავალი ფუძემდებლური დებულება, განხილულია მსხვერპლის ცნება და გამოყოფილია მისი ხუთი ჯგუფი:

- მსხვერპლი ბრალის გარეშე (ე.წ. „იდეალური მსხვერპლი“);
- მსხვერპლი მცირე ბრალეულობით;
- დამნაშავესთან თანაბარი ბრალეულობის მქონე მსხვერპლი;
- მსხვერპლი, რომლის ბრალეულობა აღემატება დამნაშავისას;
- მსხვერპლი სრული ბრალეულობით.(64)

ასევე, შემოტანილია ე.წ. „კრიმინალური წყვილის“ ცნება (დამნაშავისა და მსხვერპლის დისჰარმონიული ან, პირიქით, ჰარმონიული ერთობა, როგორსაც, მაგალითად, ადგილი აქვს კრიმინალური აბორტის შემთხვევაში ლეტალური გამოსავლით). ვხვდებით ისეთ ცნებებს, როგორიცაა „მსხვერპლადქცევის კანდიდატი“, „მოხალისე მსხვერპლი“, „მსხვერპლი-პროვოკატორი“, „მსხვერპლი-აგრესორი“, „მსხვერპლადყოფნის ინდექსი“ და ა.შ.

ჰენტინგის ზოგიერთმა იდეამ და დებულებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა შვეიცარიელი მეცნიერის ჰენრი ელენბერგერის ნამუშევრებში. მან უფრო დეტალურად გააანალიზა „დამნაშავე-მსხვერპლის“ ცნება. განიხილა სხვადასხვა შემთხვევა, როდესაც სუბიექტი, სიტუაციის მიხედვით, შეიძლება გახდეს დამნაშავე ან, პირიქით, მსხვერპლი; თანმიმდევრულად - ჯერ დამნაშავე და შემდეგ მსხვერპლი (ან პირიქით); ერთდროულად - მსხვერპლიც და დამნაშავეც. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ე.წ. „დაბადებით მსხვერპლისა“ და პათოლოგიური მდგომარეობების განხილვას, რომლებიც ვიქტიმოლოგიური სიტუაციების აღმოცენებას განაპირობებენ.

ელენბერგერი თავის ნაშრომებში წინ წამოსწევს სოციალური იზოლაციის საკითხს, როგორც ვიკტიმიზაციის ეფექტურ ფაქტორს, იმდენად რამდენადაც, იზოლირებულ ადამიანს სხვა ადამიანებთან მიმართებით ის ე.წ. „ხედვის ილუზიას“ უვითარებს და გაუაზრებელ ქმედებებამდე მიჰყავს (37, 134).

ვიქტიმოლოგიის მოძღვრების შექმნის იდეას მხარი დაუჭირა ამერიკელმა სოციოლოგმა ფ. ვერტხამმა. მისი თქმით, ძალადობა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში არა განსაკუთრებული და არაბუნებრივი, არამედ ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოვლენაა. ის ჩაიდინება ისეთი მასშტაბებით და საშუალებებით, რომლის წარმოდგენა ადრე არ შეეძლო ყველაზე მდიდარ ადამიანურ ფანტაზიას. თანამედროვე ამერიკელები იმყოფებიან ძალადობის იმდენად ძლიერი პროპაგანდის ქვეშ, რომელსაც დღემდე არ განიცდიდა არცერთი ცივილიზებული ერის არცერთი თაობა (137).

ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი, ცენტრალური ცნებაა მსხვერპლი, ლათინურად — *victima*, ინგლისურად — *victim*, ფრანგულად — *victime*, საიდანაც წარმოდგება კიდეც მოძღვრების სახელწოდება.

ვიქტიმოლოგიის, როგორც მსხვერპლის შესახებ ზოგადი თეორიის შესწავლის საგანი სხვადასხვა მიზეზით (მათ შორის, სტიქიური უბედურებით, ეკოლოგიური, ტექნო-კატასტროფებით და ა.შ.) დაზარალებული ადამიანია. თუმცა, ტერმინი „მსხვერპლი“ ზოგადია და ის არ აკონკრეტებს ზიანის მიყენების მექანიზმს. მსხვერპლია პირიც, რომელსაც მიაყენეს ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი დანაშაულის ჩადენის შედეგად, თუმცა, ის ასეთად იქცა სავსებით განსხვავებულ სამართლებრივ ველში. კრიმინალური (კრიმინოლოგიური) ვიქტიმოლოგიისთვის საჭიროა აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მოწოდებული ტერმინი, მისთვის სწორედ კრიმინალური ძალადობის მსხვერპლია ცენტრალური ფიგურა.

ამგვარი დიფერენციაცია აუცილებელია. მასზე უარის თქმით ხდება ნებისმიერი ცხოველმყოფელობის გამოვლინების მსხვერპლის გაიგივება ძალადობრივი დანაშაულობის მსხვერპლთან.

კრიმინოლოგიურ კონტექსში კრიმინალური ძალადობის მსხვერპლი უშუალოდ დანაშაულით დაზარალებული პირია, რაც კრიმინალურ (კრიმინოლოგიურ) ვიქტიმოლოგიაში ორივე ტერმინის თანაბარმნიშვნელოვნებას ამართლებს. ამავდროულად, ლოგიკურია, რომ კრიმინალურად განპირობებული და უფრო მეტიც - სისხლისსამართლებრივ ველში რეალიზებული ქმედების მსხვერპლის აღნიშვნისას უპირატესობა მივანიჭოთ ტერმინ „დაზარალებულით" ოპერირებას. გამომდინარე აქედან, დაზარალებულის პროცესუალური ცნება წარმოადგენს ობიექტური (შინაარსი) და სუბიექტური (ფორმა) კრიტერიუმების ერთობლიობას. (111)

ძალადობის, მათ შორის, წამების მსხვერპლის ცნება ვიქტიმოლოგიაში ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმს, რომელიც აირეკლავს ისეთ რეალურ ფაქტს, როგორიცაა დანაშაულით მიყენებული ზიანის არსებობა. თუ დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი არ აღიარეს დაზარალებულად, დამოუკიდებლად ამისა, ის მაინც ასეთად რჩება. წარმოადგენს რა ფორმალურ აქტს, პროცესუალური გადაწყვეტილება ვერ „გააუქმებს" ზიანის მიყენების ფაქტს.

ამგვარად, მსხვერპლისა და დაზარალებულის ვიქტიმოლოგიური და სისხლისსამართლებრივ-პროცესუალური ცნებები არ ემთხვევა ერთმანეთს. შინაარსის მიხედვით ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას.

მაინც, რას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი, რომლის მიმართაც გამოიყენეს წამების მეთოდები? ვიქტიმოლოგიური თვალსაზრისით ეს არის ფიზიკური პირი, ადამიანი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულით მიაყენეს ფიზიკური, მორალური ან მატერიალური ზიანი. სწორედ ფიზიკური პირები წარმოადგენენ ვიქტიმოლოგიის შესწავლის ძირითად საგანს.

თუმცა, წამების მსხვერპლი, შესაბამისი კონვენციის თანახმად, შეიძლება იყოს:

1. პატიმარი ან დაკავებული;
2. სპეციალური დახურული სამედიცინო დაწესებულების პაციენტი;
3. სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (125, 32).

წამებით დაზარალებული ფიზიკური პირის ცნების არსი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკავშირდება მის სტატუსს (უფლებების, მოვალეობებისა და სოციალური როლების ერთობლიობას),

პოზიციას (ქცევას დაზარალებულსა და დამნაშავეს, დაზარალებულსა და სხვა პირებს (თანადაზარალებულების ჩათვლით) შორის ურთიერთობებიდან გამომდინარე) და როლს კრიმინოგენულ-კრიმინალურ მექანიზმში. ეს როლი შეძლება იყოს აქტიური ან პასიური, გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი, გადამწყვეტი ან მეორეხარისხოვანი. შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლიც შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური, აცნობიერებდეს ან ვერ აცნობიერებდეს საკუთარი ქცევის არსსა და შედეგებს, ახლო კავშირში იყოს ზიანის მიმყენებელთან ან საერთოდ არ იცნობდეს მას, შეეძლოს ან არა წინააღმდეგობის გაწევა და ა.შ.

წამების ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ასევე შეიძლება იყოს პოტენციური (რომლისთვისაც ზიანი ჯერ არ მიუყენებიათ), რეალური (რომელსაც უკვე მიაყენეს ზიანი) და ლატენტური (ანუ რეალური მსხვერპლი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ოფიციალური აღრიცხვის მიღმა დარჩა). ვიქტიმოლოგიისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლატენტური მსხვერპლი, ანუ დაზარალებული, რომელიც მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის გახმაურებას გაურბის.(123)

ნებისმიერ დაზარალებულს, დანაშაულის ნებისმიერ მსხვერპლს, პოტენციურსა თუ რეალურს, გააჩნია გარკვეული თვისებები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად დაუცველს ხდიან მას. თუმცა, წამების მსხვერპლის შესაძლებლობები, სხვა სახის დანაშაულით დაზარალებულისგან განსხვავებით, ხშირად ძლიერ შეზღუდულია ხოლმე. ნათელია, რომ შეზღუდული თავისუფლების პირობებში აღმოცენებული სპეციფიური მდგომარეობა მეტად უწყობს ხელს მოცემული პირისთვის ფიზიკური, მორალური თუ მატერიალური ზიანის მიყენებას.

უდავოა, რომ პატიმრის, დახურული კლინიკის პაციენტის ან ვადიანი სამხედრო მოსამსახურის დაუცველობა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან გაცილებით მაღალია, ვიდრე დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანისა. მაღალი ხარისხის დაუცველობას მოცემულ შემთხვევაში განაპირობებს პირის მიერ განსაზღვრული სოციალური როლის შესრულება. პიროვნულ დაუცველობას რთული სტრუქტურა აქვს. მისდამი მიდრეკილება (რასაც სუბიექტური და ობიექტური თვისებები განაპირობებენ) აქტუალიზდება კონკრეტული სიტუაციით და ზიანის მიყენების წანამძღვრებად გადაიქცევა. მოჭარბებულ მიდრეკლებას ყოველთვის არ სდევს თან ვიქტიმურობის უფრო მეტად რეალიზება. ამ კუთხით ბევრს წყვეტს სიტუაცია, რომლის დროსაც მიდრეკილება იქცევა წანამძღვრად, როგორც კონკრეტული სიტუაციის ელემენტი. თვისება, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, ვიქტიმოლოგიაში „ინდივიდუალური ვიქტიმურობის“ სახელწოდებითაა ცნობილი (115, 21). (15)

3.3.2 ინდივიდუალური ვიკტიმიზაცია

ტერმინი „ვიქტიმურობა“ გულისხმობს: ვიქტიმურობის სტრუქტურული ელემენტების, მისი, როგორც პირის ობიექტურ თავისებურებად და მდგომარეობად შეფასების, პოტენციური და რეალიზებული ვიქტიმურობის თანაფარდობისა და დამოკიდებულების, ვიქტიმურობის პოტენციური აღმოცენების მომენტის არსებობას (55, 17). (34)

განვიხილოთ წამების მსხვერპლის ინდივიდუალური ვიქტიმურობა მისი ობიექტური შემადგენლობის პოზიციიდან, რაც აღნიშნული ფენომენის გაგებისა და მისი ჩვენეული განსაზღვრის შემოთავაზების საშუალებას მოგვცემს.

მეცნიერულად ინდივიდუალური ვიქტიმურობა განისაზღვრება, როგორც „კონკრეტული ადამიანის სოციალური, ფსიქოლოგიური, ბიოფიზიკური ან მათი ერთობლიობით განპირობებული თავისებურება, რომელიც გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ხელს უწყობს ისეთი პირობების ფორმირებას, რომლის დროსაც ამ ადამიანისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით ზიანის მიყენების შესაძლებლობა ჩნდება (125). ანუ, სხვა სიტყვებით, კონკრეტული ინდივიდის ვიქტიმურობა მისი პოტენციური უნარია გახდეს დანაშაულის მსხვერპლი საკუთარი პიროვნული თვისებების გარე ფაქტორებთან უარყოფითი ურთიერთქმედების შედეგად. დანაშაულით ხდება მხოლოდ მოცემული თვისებების რეალიზება, მოცემული შესაძლებლობის ობიექტივირება. ასეთ შემთხვევაში ვიქტიმურობა უკავშირდება მხოლოდ ინდივიდის სუბიექტურ თვისებებს, გარე ფაქტორებს კი ვიქტიმურობის პოტენციის რეალიზატორის როლი რჩებათ.

ინდივიდუალური ვიქტიმურობის პიროვნული კომპონენტი - ეს არის ინდივიდის შესაძლებლობა მსხვერპლად იქცეს მისთვის დამახასიათებელი გარკვეული სუბიექტური თვისებების გამო. პირობითად რომ ვთქვათ, ეს არის პირის ვიქტიმური ვარგისიანობა.

დაუცველობის გაზრდილი ხარისხი, რომელსაც საფუძვლად ვიქტიმურობის პიროვნული კომპონენტი უდევს, არსებულ ვიქტიმურ მიდრეკილებებს, ანუ ინდივიდის სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ბიოფიზიკურ თავისებურებებს ეყრდნობა.

ნებისმიერი ინდივიდი პოტენციურად ვიქტიმურია, იმყოფება რა განსაზღვრულ ცხოვრებისეულ გარემოში და ჩართულია მრავალფეროვან სოციალურ ურთიერთობებში,

რომლის დროსაც შეიძლება ძალადობის მსხვერპლი გახდეს. ადამიანი, უბრალოდ, შეუძლებელია, რომ პოტენციურად არავიქტიმური იყოს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის განწირულია მსხვერპლად ქცევისთვის.

ვიქტიმური მიდრეკილება, ანუ სპეციფიკური პიროვნული თვისებები შედარებითია. ისინი ობიექტურად არსებობენ, როგორც მხოლოდ სისტემური ელემენტები. თუ კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც ის რეალიზდება, მხოლოდ კერძო შემთხვევაა ცალკეული ფაქტის დონეზე, ვიქტიმური პოტენციის თვისებებს მას სძენს ის საზოგადოება, რომელშიც ძალადობა და წამება არსებობს. ამ თვალსაზრისით, წამების მსხვერპლის ინდივიდუალური ვიქტიმურობა საზოგადოებისა და სამართალდმცავი სისტემის მდგომარეობით განპირობებული პირის დაუცველობაა; ვიქტიმურობის სუბიექტური თვისებები ობიექტივირდება, როგორც ელემენტები სისტემისა „ადამიანი-გარემო“ (116, 29).

ცხადია, ვიქტიმურობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, შეძლებდა თუ არა წამების მსხვერპლი, ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე, საფრთხის თავიდან აცილებას. მაშინ მოგვიწევდა გვეღიარებინა, რომ პატიმრობაში მყოფი და თავისუფლებაშეზღუდული პირების მხრიდან წამებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულის ტოლია (113, 21).

ამავდროულად, ვიქტიმურობა, როგორც დაუცველობის მდგომარეობა, ფარდობითია, იმდენად რამდენადაც, ყოველთვის რეალიზდება ამისათვის საკმარის სიტუაციაში. ერთნაირი პიროვნული თვისებებისა და ქცევის ანალოგიური ხასიათის შემთხვევაში, სიტუაცაზე დამოკიდებულებით, შეიძლება მივიღოთ განსხვავებული შედეგები.

ინდივიდუალური ვიქტიმური მიდრეკილების განმსაზღვრელი პიროვნული თვისებებისა და მათი გამოხატვის ხარისხის მიხედვით, გამოვყოფთ მსხვერპლის რამდენიმე ტიპს:

1. უნივერსალური - ადამიანები მკვეთრად გამოხატული პიროვნული თვისებებით, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების პოტენციურ დაუცველობას და მას წამების ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად აქცევენ. მსგავსი ვიქტიმური მიდრეკილებები უკავშირდება მათ პროფესიულ საქმიანობას. მოცემული ტიპის მსხვერპლისთვის შეიძლება ნიშანდობლივი იყოს როგორც აქტიური ვიქტიმური ქცევა, ისე პასიური.

2. ამორჩევითი. მათ მიაკუთვნებენ პირებს, რომლებიც მიდრეკილი არიან, გახდნენ გარკვეული სახეობის დანაშაულის მსხვერპლი. ვიქტიმური მიდრეკილება შეიძლება განპირობებულ იქნეს ქცევის ტიპობრივი ფორმისა და კონფლიქტური სიტუაციის ხასიათის ერთობლიობით.
3. სიტუაციური. ამ ტიპის დაზარალებულები ხასიათდებიან საშუალო პოტენციური ვიქტიმურობით და მსხვერპლი ხდებიან ხოლმე სიტუაციური ფაქტორების თანხვედრის გამო, რომელთა გადალახვა მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.
4. სიტუაციური შემთხვევით-ვიქტიმური. ამ ტიპის მსხვერპლი ასეთად იქცევა გარემოებათა შემთხვევითი თანხვედრის გამო (135, 67). ვიქტიმურობა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია მის პროფესიულ საქმიანობასთან.

ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ტიპის მსხვერპლისთვისაა დამახასიათებელი პოტენციური „უჩინარი“ ვიქტიმურობა, საიდანაც სათავეს იღებს ინდივიდუალური ვიქტიმურობის ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრი.

3.4. წამების, აგრესიისა და ძალადობის შედეგები

წამების შედეგები შეიძლება იყოს: ფიზიკური, ფსიქიკური/ფსიქოლოგიური, სოციალური (188).

ფიზიკური შედეგები მოიცავს ზედაპირულ და ღრმა დაზიანებებს, სისხლჩაქცევებს, ჰემატომებს, ნაწიბურებს, ქალა-ტვინის ტრავმებს, ორგანულ დისფუნქციებს, ინფექციებს, სხეულის ნაწილების დასახჩრებას, სახის დამახინჯებას, სასქესო ორგანოების ტრავმას, ვენერიულ დაავადებებს, ფსიქო-სომატურ პათოლოგიებსა და ა. შ.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანი, რომელმაც წამება გადაიტანა, სერიოზულ ფსიქიკურ ტრავმას იღებს, რაც ხშირად გადადის ნერვულ და ფსიქიკურ აშლილობაში. ამის მიზეზი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: თითოეული ადამიანისათვის საკუთარი სხეული საკრალური ტერიტორიაა, რომელსაც, ნებართვის გარეშე, არავის აქვს უფლება, რომ შეეხოს. წამებით ხდება იმის დემონსტრაცია, რომ ამგვარი წარმოდგენა ცრუა - ფაქტობრივად ადამიანი განიცდის თავისი ყველაზე სიღრმისეული წარმოდგენების რღვევას ცხოვრებაზე. წამების მიყენების

პროცესში ადამიანს სძაგს თავისი სხეული, ვინაიდან სწორედ მის გამო იტანჯება. ხშირად სიძულვილის სინდრომიც უჩნდება საკუთარი სხეულის მიმართ და მას დაბინძურებულ, შებილწულ ტერიტორიად აღიქვამს. ფსიქოლოგი ბ. პატსალიდესი (Beatrice Patsalides), წამების ფენომენის მკვლევარი, ავტორი წიგნისა "სიტყვით გამოუთქმელის ეთიკა" (Ethics of the unspeakable) თვლის, რომ წამების მსხვერპლი თანდათანობით კარგავს რეალობის, საზღვრის შეგრძნებას წარსულსა და აწმყოს, შინაგანსა და გარეგანს შორის. ის დიდხანს ვერ უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას და თავს უცხოპლანეტელად აღიქვამს, რომელსაც არ ძალუძს გაუგოს ადამიანებს, რომელთაც არ გადაუტანიათ ის, რაც მან გადაიტანა (234).

ფსიქოლოგი შირლი სპიტცი (Shirley Spitz), კვლევის "წამების ფსიქოლოგიის" ("The Psychology of Torture") ავტორი, მივიდა დასკვნამდე, რომ წამების შემდეგ ადამიანი ჰალუცინაციების სამყაროში იძირება (84). ჯალათი მას არარეალურ არსებად ან საგნად წარმოუდგება. ის მისთვის არა ადამიანი, არამედ ტკივილისა და დამცირების წყაროა. წამების მსხვერპლი აღარ ენდობა ადამიანებს და დიდხანს არ ექვემდებარება საზოგადოებრივი ინსტიტუტების გავლენას. სპიტცი აღნიშნულ პროცესს ადარებს ადამიანის მწერად გადაქცევას ფრანც კაფკას რომანში "მეტამორფოზა" (237).

წამების შედეგად განვითარებული ფსიქიკური დაზიანებებიდან ყველაზე ხშირია: პოსტტრავმული სტრესი, განგაში, დეპრესია, ძილის დარღვევა, ქრონიკული ტკივილი (თავის, კუნთების, ძვლების, სახსრების), დისმნეზია მეხსიერების (დარღვევა), მეხსიერების დაკარგვა (ამნეზია), ნერვულ-ფსიქიკური და სექსუალური დარღვევები, შფოთვა, სასოწარკვეთა უიმედობა საკუთარი შესაძლებლობებისა და გეგმების რეალიზაციის შეუძლებლობის გამო და სხვ.

სოციალური შედეგებიდან უფრო მნიშვნელოვანია:

- სოციალური სტიგმები: მსხვერპლი შეიძლება გამოცხადდეს მოღალატედ, დამნაშავედ, ნაციონალისტად, ექსტრემისტად, „ხალხის მტრად“ და ა.შ. ამგვარ სტიგმებს შეუძლიათ ხანმოკლე ან ხანგრძლივი ზეგავლენა იქონიონ მსხვერპლსა და მის ოჯახზე;
- სირთულეები კოლექტივში და სამუშაო ადგილზე. მსხვერპლი შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან ან გაუჭირდეს სამუშაო ადგილის პოვნა. ბუნებრივია, რომ მასთან ერთად ოჯახის წევრებსაც შეექმნებათ პრობლემები უსახსრობისა და უფულობის გამო;
- ქონების კონფისკაციის შედეგად გამოწვეული სიღარიბე და სოციალური პრობლემები განსაკუთრებით პოლიტიკური და სხვა სახის რეპრესიების შედეგად;

- ყოველდღიური საქმიანობის რღვევა: წამების მსხვერპლი და მისი ოჯახის წევრები შეიძლება წააწყდნენ ნეგატიურ მოვლენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- საზოგადოებამ, სადაც ისინი ცხოვრობენ, შეიძლება ზურგი შეაქციოს მათ და კრიტიკის ობიექტად აქციოს (180).

შესაბამისად, არა მხოლოდ ნაიარევი, ფიზიკური ტკივილი ან ინვალიდობა ახსენებს მსხვერპლს გადატანილ წამებას, არამედ სოციალური შედეგებიც.

ამგვარად, წამების მსხვერპლი ერთგვარ მანკიერ წრეში ექცევა, რომლის დროსაც მატრავმირებელი მოვლენები ხელახლა შეიძლება განმეორდეს და ღრმა განცდები და შფოთვა გამოიწვიოს.

წამების შედეგებზე, არაადამიანურ მოპყრობასა და მატრავმირებელ მოვლენებზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორებისა. ესენია:

1) მიზნები. როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, წამების მიზნები მრავალფეროვანია, დამოკიდებულია მიზეზებზე, კონტექსტზე და იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე. თუ წამება გამოიყენება ინფორმაციის მიღების მიზნით, შედეგები შეიძლება ნაკლებად სერიოზული იყოს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩაფიქრებულია მსხვერპლის პიროვნული განადგურება.
2) წამების მახასიათებლები. იქ სადაც გამოიყენებენ ფიზიკურ წამებას, ავტომატურად დგინდება ფსიქიკური წამების ელემენტების არსებობაც. ამგვარად, მათი დაყოფა პრაქტიკულად შეძლებელია და მაინც, მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური წამება უფრო გამანადგურებელია, ვიდრე ფიზიკური. გარდა ამისა სექსუალური წამება, განსაკუთრებით ქალებისათვის ფსიქიკურ წამებაზე მეტად დამანგრეველია.
3) მსხვერპლის მახასიათებლები:
   - ასაკი - წამებას შეიძლება ჰქონდეს უფრო ძლიერი ზემოქმედება ბავშვებზე, მოზარდებზე, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებზე.
   - სქესი - ფიზიკურ,ფსიქიკურ და სოციალურ ასპექტში ქალები უფრო დელიკატური და მგრძნობიარენი არიან, ვიდრე მამაკაცები. ამიტომ წამების შედეგები ქალებში უფრო აშკარაა.

- პიროვნული - წამების ზემოქმედება შედარებით ნაკლებად მძაფრია სტრესის ფორმებთან ადაპტირებული ზრდასრული ადამიანისთვის, ვიდრე ბავშვის ან მოზარდისთვის, რომელთაც ადაპტაციის ასაკობრივი პრობლემები აქვთ.
- ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძლება მსხვერპლს დაეხმაროს უკეთესად გაუმკლავდეს წამების დესტრუქციულ ზემოქმედებას.
- სოციალური წარსული - უზრუნველყოფილი სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის, რომელიც სიყვარულისა და სრული გაგების გარემოში ცხოვრობდა, წამების შედეგები გაცილებით დამანგრეველია. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ გამოსავალი შეიძლება უფრო მსუბუქი იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც თავად ჰქონდათ დანაშაულებრივი საქმიანობის გამოცდილება, ცხოვრობდნენ არახელსაყრელ პირობებში და გაურკვევლობაში (174).

4) გარემოს მახასიათებლები:
   - ოჯახი - თუ ოჯახის წევრებს ესმით თავიანთი ახლობლის მდგომარეობა და ტანჯვა, მსხვერპლს უფრო იოლად გადააქვს მატრავმირებელი მოვლენების შედეგები.
   - სოციალური გარემო - თუ საზოგადოება მსხვერპლს ტერორისტად, მოღალატედ ან მკვლელად მიიჩნევს, წამებისა და ტრავმის შედეგები მისთვის შეიძლება დამძიმდეს.
   - სოციუმის საპასუხო რეაქცია - როდესაც მსხვერპლი იმედგაცრუებულია იმით, რაც მის გარშემო ხდება და თავს პრობლემების წყაროდ აღიქვამს, რასაც წამების ზემოთ ჩამოთვლილი შედეგები ემატება, სიტუაცია დაზარალებულისთვის გაცილებით რთულდება. მაგრამ თუ მას სასურველ სტუმრად და იმ პირად მიიღებენ, რომელიც წინ აღუდგა პრობლემებს და სოციუმის ინტერესებისთვის იბრძოდა, ეს კეთილისმყოფელად აისახება მის მდგომარეობაზე.
5) მკურნალობა და რეაბილიტაცია ხელს უწყობს წამების შედეგების მინიმიზაციას, განსაკუთრებით, თუ სწრაფად ხდება მსხვერპლისა და მისი ოჯახის გამოვლინება და რეაბილიტაციის პროგრამებში ჩასმა. მკურნალობისა და მოვლის, ასევე, სოციალურ-ფსიქოლოგიური პროგრამები უნდა დაიწყოს ერთდროულად და მათ კარგად გაწვრთნილი მულტიდისციპლინარული გუნდი უნდა ატარებდეს (175).

3.5. წამების პრობლემა საქართველოში სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით (2007-2012 წლებში)[1]

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის პრობლემის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის ემპირიულ დონეზე შესწავლის მიზნით, ორგანიზებულ იქნა მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მიხედვით.

საზოგადოებას ერთობ მტკივნეული და ცალსახად ნეგატიური რეაქცია ჰქონდა პატიმრების წამებასა და მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე, რასაც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ჰქონდა ადგილი და რაც 2012 წლის შემოდგომაზე გასაჯაროვდა.

მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა მოხდა სპეციალურად შემუშავებული ანკეტის მიხედვით, რათა ემპირიულ დონეზე ყოფილიყო შესწავლილი საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ფაქტებზე. საქართველოში ადრეც ჩატარებულა სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებიც ვიკტიმიზაციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევას უკავშირდებოდა (153), (154).

საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად მომზადდა ორი კითხვარი (ანკეტა):

1 კითხვარი A. - მოსახლეობის რეპრეზენტატული გამოკითხვა თემაზე *„წამება, როგორც ნეგატიური სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა“*

2. კითხვარი B - წამების მსხვერპლი ყოფილი პატიმრების გამოკითხვა

3. 5.1. წამების, როგორც სოციალური პრობლემის შეფასება მოსახლეობის მიერ

A კითხვარის გამოყენებით, ავტორის მიერ გამოკითხულ იქნა 300 რესპონდენტი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მდედრობითი სქესის 156-მა და მამრობითი სქესის 144-მა წარმომადგენელმა. გამოიკვეთა 6 ასაკობრივი ჯგუფი (იხ. ცხრილი# 1.)

[1] ანკეტის ნიმუში იხილეთ დანართში #1

ცხრილი #1. რესპონდენტების რაოდენობა ასაკის მიხედვით		
7.	16-18 წლის	42
8.	19-24 წლის	49
9.	24-29 წლის	51
10.	30-49 წლის	54
11.	50-64 წლის	54
12.	65 და მეტი წლის	50

წამება, როგორც ნეგატიური სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა

რესპონდენტებს დაუსვეს შემდეგი სახის შეკითხვები: ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში არ არსებობს წამებისგან დაცვის რეალური გარანტიები. რესპონდენტთა 72%-მა აღნიშნულ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა, 15%-მა აღნიშნა, რომ ასეთი გარანტიები არსებობს, 13%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა. ყველაზე პესიმისტურად იყვნენ განწობილი 24-29 და 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები, ყველაზე ოპტიმისტურად - 65 და მეტი წლის პირები (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში არ არსებობს წამებისგან დაცვის რეალური გარანტიები.		
1.	ვეთანხმები	72%
2.	არ ვეთანხმები	15%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	13%

შემდეგ შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #3.) - ეთანხმებით თუ არა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან წამებისგან დაცვის გარანტიები გაიზარდა, დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 64-მა პროცენტმა, 12%-ის აზრით, ამგვარი გარანტიები შემცირდა, ხოლო 24-მა პროცენტმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი 19-24 და 24-29 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები.

წინა ორ შეკითხვაზე გაცემული პასუხები, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, რესპონდენტთა დაახლოებით 2/3 თვლის, რომ ქვეყანაში არ არსებობს წამებისგან დაცვის

მკაფიო გარანტიები, მეორე მხრივ კი, გამოკითხულთა 60-ზე მეტი პროცენტის აზრით, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აღნიშნული გარანტიები გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი წინააღმდეგობრიობა მოჩვენებითია, ვინაიდან 1-ლ შემთხვევაში შეფასდა პატიმართა მდგომარეობა მთლიანად 2013 წლის განმავლობაში და მაღალი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე პერიოდის შეფასება, როდესაც პატიმრები აბსოლუტურად უუფლებონი იყვნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო პოზიტიურად აფასებს ახალი ხელისუფლების მიღწევებს, რითაც მას პერსპექტივაზე გათვლილ „ნდობის კრედიტს“ ანიჭებს.

ცხრილი #3. ეთანხმებით თუ არა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან წამებისგან დაცვის გარანტიები გაიზარდა		
4.	გაიზარდა	64%
5.	შემცირდა	12%
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	24%

შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #4.), თუ რამდენად ხშირად გამოიყენებოდა წამება 2013 წელს, რესპონდენტთა 12-მა პროცენტმა უპასუხა, რომ - სისტემატურად, 10%-მა ჩათვალა, რომ - ეპიზოდურად, 50%-მა აღნიშნა, რომ წამება საერთოდ არ გამოიყენება, ხოლო 28%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

ცხრილი #4. თვლით თუ არა, რომ 2013 წლის მონაცემებით საქართველოში წამება		
5.	არ გამოიყენება	50%
6.	გამოიყენება ეპიზოდურად	10%
7.	გამოიყენება სისტემატურად	12%
8.	მიჭირს პასუხის გაცემა	28%

თუმცა, მაღალი ოპტიმიზმის მიუხედავათ (იხ. ცხრილი #5) რესპონდენტების 62% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ძალადობისგან მოქალაქეთა რეალური დაცვისათვის ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება, 15% აღნიშნულს საჭიროდ არ მიიჩნევს, 23% -ს კი არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

ცხრილი #5. ეთანხმებით თუ არა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ძალადობისგან მოქალაქეთა რეალური დაცვისათვის ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება:		
4.	ვეთანხმები	62%
5.	არ ვეთანხმები	15%
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	23%

ამავდროულად, რესპონდენტები აცნობიერებენ (ცხრილი #6), რომ წამების წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღებამ სამართალდამცავ ორგანოებს შეიძლება ხელი შეუშალოს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაში. ამ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხულთა 35%, არ ეთანხმება 44%, ხოლო 26%-ს არ აქვს პასუხი.

გამოკითხვის შედეგები მეტყველებენ, რომ მიუხედავად სამართალდამცავების მუშაობის ეფექტიანობის შესაძლო შემცირებისა, რესპონდენტებისთვის ძირითადად მიუღებელია ადამიანის უფლებების დარღვევა და დამნაშავის წამება აღიარების მიღების ან სხვა დანაშაულის გახსნის მიზნით.

ცხრილი #6. წამების წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაში:		
4.	ვეთანხმები	35%
5.	არ ვეთანხმები	44%
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	26%

შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #7) „თვლით თუ არა, რომ თქვენ, თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შეიძლება დასჭირდეთ წამებისაგან რეალური დაცვა?“, მხოლოდ 21% -მა განაცხადა, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, 29%-ს ეს ნაკლებად შესაძლებლად მიაჩნია, 31% გამორიცხავს მსგავს შესაძლებლობას, ხოლო 19-მა პროცენტმა შეკითხვას არ უპასუხა.

ცხრილი #7. „თვლით თუ არა, რომ თქვენ, თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შეიძლება დასჭირდეთ წამებისაგან რეალური დაცვა?		
4.	ეს გამორიცხულია	31%
5.	ნაკლებად შესაძლებელია	29%

6.	სავსებით შესაძლებელია	21%
7.	მიჭირს პასუხის გაცემა	19%

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამების პრობლემის გაშუქების ინტენსივობასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 8):

ცხრილი #8. თვლით თუ არა, რომ 2012წ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამების პრობლემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შუქდება:		
5.	ძალიან ხშირად	44%
6.	საჭირო მოცულობით	31%
7.	არასათანადოდ	14%
8.	მიჭირს პასუხის გაცემა	11%

ანუ, შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად შუქდება წამების პრობლემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გამოკითხულთა 44%-მა უპასუხა, რომ - ძალიან ხშირად, 35%-მა აღნიშნა, რომ - საკმარისად. 14%-ის აზრით - არასათანადოდ, 11-მა პროცენტმა კი შეკითხვას პასუხი არ გასცა. შეიძლება აღინიშნოს, რომ მიღებული მონაცემები მეტყველებს მედიის თავისუფლებაზე და, ზოგადად, დემოკრატიზაციის მაღალ დონეზე ქვეყანაში.

უნდა ითქვას, რომ პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში წამების ცნება ან სახელმწიფო სტრუქტურების ზოგიერთი ქმედება წინასწარგანზრახვით ან მის გარეშე მახინჯდება. ასე, მაგალითად, 2010 წლის აპრილში კენედის ჰარვარდის სკოლის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ისეთმა მედიაცენტრებმა, როგორიც „ნიუ იორკ თაიმსი“ და „ლოს ანჟელეს თაიმსია“, შეწყვიტეს ტერმინ „წამების“ გამოყენება მსხვერპლის თავის წყალში ჩაძირვასთან დაკავშირებით (waterboarding), რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავდა 2008-2010წლებში.(165)

პარალელურად, გაირკვა, რომ პრესა იგივე ქმედებას თვალდაუხამხამებლად უწოდებდა წამებას, თუ მას სხვა ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიმართავდნენ. აღნიშნული კვლევა ანალოგიური გახლდათ კომპანია მანუფაკტურინგ კონსენტის (*Manufacturing*

Consent The Political Economy of the Mass Media) მიერ ჩატარებული კვლევისა ტერმინ „გენოციდის“ გამოყენებასთან დაკავშირებით, იმისდამიხედვით, მეგობრული თუ მტრული სახელმწიფოების ქმედებას ასახავდა ის.

საინტერესოდ მიგვაჩნია პასუხი შეკითხვაზე „უნდა შეიცვალოს თუ არა პასუხისგების სიმძიმე წამების მიყენების გამო?“ (იხ. ცხრილი #9). მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება სისხლისსამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დეკრიმინალიზაციის პოლიტიკას ატარებს, რესპონდენტთა 35% თვლის, რომ პასუხისაგების სიმძიმე ზოგადად უნდა გამკაცრდეს, 27%-ის აზრით, სასჯელი ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გამკაცრდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი შემსუბუქდეს, 10% მიიჩნევს, რომ იგივე უნდა დარჩეს,

16%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 12%-ია შემცირების მომხრე. შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტები წამებას (მათ შორის, პატიმრებისას) სრულიად მიუღებელ მოვლენად თვლიან და მათი 62% სასჯელის კიდევ უფრო მეტად გამკაცრებას ემხრობა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სასჯელის მაქსიმალურ გამკაცრებას მხარს უჭერენ უფროსი (50-64 წლამდე) და 65 წელზე მეტი ასაკის მქონე პირთა ჯგუფების წარმომადგენლები, თუმცა, ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფშიც (24-29 წლამდე) მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრე 55%-ზე მეტი რესპონდენტია. გენდერულ ჭრილში მკაცრი მიდგომების მომხრეთა რაოდენობა პრაქტიკულად თანაბარია: 54% მამაკაცი და 46%-ქალბატონი.

ცხრილი #9. უნდა შეიცვალოს თუ არა პასუხისგების სიმძიმე წამების მიყენების გამო?		
6.	ზოგადად უნდა გამკაცრდეს	35%
7.	ზოგიერთ შემთხვევაში გამკაცრდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი შემსუბუქდეს	27%
8.	დარჩეს, როგორცაა	10%
9.	ზოგადად შემსუბუქდეს	12%
10.	მიჭირს პასუხის გაცემა	16%

კითხვაზე “თვლით თუ არა რომ საზოგადოების პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ასოციალური და კრიმინალური პირებისაგან მის გასათავისუფლებლად” (იხ. ცხრილი#10), რესპონდენტთა 56% პასუხობს, რომ საჭიროა; 25%-ის აზრით - არ არის საჭირო, 19% -ს კი პასუხის გაცემა უჭირს. მკაცრი ზომების მომხრეთა შორის გამოირჩევინ უფროსი ასოკობრივი ჯგუფების (30-49 და 50-64) წარმომადგენლები, მეტად ლიბერალურები არიან ახალგაზრდები. გენდერულ ჭრილში ქმედითი ღონისძიებების გატარების მომხრეთა შორის მამაკაცი 59%-ია; ქალბატონი - 41%.

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა პასუხებმა გამოავლინეს საზოგადოების კონსერვატული განწყობები, რომლებიც „მკაცრი ხელის“ პოლიტიკასა და მკაცრი სასჯელების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.

ცხრილი #10. თვლით თუ არა რომ ჩვენი საზოგადოების პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ასოციალური და კრიმინალური პირებისაგან მის გასათავისუფლებლად:		
4.	საჭიროა	56%
5.	არ არის საჭირო	25%
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	19%

ანკეტირების ერთ-ერთი მიზანი პრობლემებში საზოგადოების ჩართულობის კვლევა იყო. გამოკითხვამ აჩვენა, რომ (იხ. ცხრილი#11) რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (46%) უკანასკნელი 5 წლის (2012 წლის ჩათვლით) განმავლობაში პოლიციასთან ურთიერთობა არ ჰქონია. მათ შორის, ვისაც ჰქონდა ეს ურთიერთობა, ლოგიკურია, რომ ყველაზე მეტი არიან ის გამოკითხულები (21%), რომლებსაც საპატრულო პოლიციამ დოკუმენტები შეუმოწმა ან გზებზე გააკონტროლა. ამ კუთხით გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ საგზაო-სატრანსპორტო დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქსირდება ავტომატურად (ვიდეოკონტროლის კამერებით), ამიტომ პოლიციასთან პირდაპირი კონტაქტების რაოდენობა შემცირებულია და ეს ტენდენცია გრძელდება. გამოკითხულთა 11% გაჩხრიკეს ან დააკავეს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მაჩვენებელი სულ 4.5 მილიონია 14 წლამდე ასაკის პირების ჩათვლით. გამოკითხულთა 5% გასამართლებულია, ხოლო 3%-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით თავისუფლება აღეკვეთა. გამოკითხულთა 5-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ჰქონდა დაზარალებულის ან მოწმის სტატუსი სისხლის სამართლის საქმეში. ზემოთ მოყვანილი მონაცემები შეიძლება არ ემთხვეოდეს აბსოლუტურ მაჩვენებლებს,

მაგრამ მიუთითებენ განსაზღვრულ ტენდენციებზე.

ცხრილი #11. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) გქონიათ თუ არა შეხება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან? კერძოდ:		რაოდენობა	%
9.	როგორც დაზარალებულს ან მოწმეს სისხლის სამართლის საქმეში	14	5%
10.	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	11	4%
11.	შეგიმოწმეს დოკუმენტები ან პატრულის მხრიდან თქვენ მიმართ გზებზე კონტროლი განხორციელდა	65	21%
12.	გაგჩხრიკეს ან დაგაკავეს	35	11%
13.	გაგასამართლეს	13	5%
14.	აღგეკვეთათ თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით	8	3%
15.	სხვა	12	4%
16.	არ გქონდათ შეხება	140	46%

თვალსაჩინოებისთვის ასევე იხ.: გრაფიკი #1



კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ (იხ. ცხრილი #12) რესპონდენტთა უმრავლესობას არ ჰქონია რაიმე კონფლიქტი სამართალდამცავ ორგანოებთან. მათ შორის, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა პოლიციასთან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, 19%-ს ჰქონდა ერთჯერადი კონფლიქტი, 5%-ს - არაერთჯერადი, 4%-ს - მრავალჯერადი, ხოლო 16-მა პროცენტმა უარი თქვა

პასუხის გაცემაზე. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციასთან კონფლიქტი საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია და უფრო ხშირად ცხელი პოლემიკის და პასიური დაუმორჩილებლობის ხასიათს ატარებს.

ცხრილი #12. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად გქონიათ კონფლიქტური სიტუაცია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან?		
6.	არცერთხელ	56%
7.	ერთხელ	19%
8.	რამოდენიმეჯერ	5%
9.	ხშირად	4%
10.	ვერ გიპასუხებთ	16%

კითხვაზე "გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წაწყდომიხართ თუ არა რეალურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას" (იხ. ცხრილი #13), რესპონდენტების 46-მა პროცენტმა განაცხადა, რომ არ წაწყდომია ძალადობასა და ძალადობის მუქარას პოლიციის მხრიდან, 25-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ წაწყდომია ერთჯერადად, ხოლო 13-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ხშირად ჰქონია კონფლიქტი მათთან. პასუხის გაცემისგან თავი გამოკითხულთა 16-მა პროცენტმა შეიკავა. მოსახლეობასთან პოლიციის კონფლიქტის მაღალი დონის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად სერიოზული იყო სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობა საქართველოში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში და რამდენად პოლიტიზირებული იყო პოლიცია, რომელიც ხშირად იძულებული იყო უჩვეულო ფუქციები შეესრულებინა. სწორედ ამიტომ, 2007-2012 წლებში მოსახლეობა პოლიციას აღიქვამდა არა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ და დანაშაულის აღმკვეთ, არამედ, როგორც რეპრესიულ ორგანოს.

ცხრილი #13. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წაწყდომიხართ თუ არა რეალურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას?		
6.	არცერთხელ	46%
7.	ერთხელ	25%
8.	ხშირად	13%
9.	ვერ გიპასუხებთ	16%

შეკითხვაზე, თუ, რამდენად ხშირად ატარებდა პოლიციის მხრიდან ძალადობა უკანონო ან გაუმართლებელ ხასიათს (იხ. ცხრილი #14), რესპონდენტების 51%-მა მიუთითა, რომ - ერთხელ

მაინც, 8%-მა განაცხადა, რომ - რამოდენიმეჯერ, 29%-მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას და მხოლოდ 12%-მა აღიარა, რომ ასეთ გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია.

ცხრილი #14. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად ატარებდა ეს ძალადობა უკანონო ან გაუმართლებლად სასტიკ ხასიათს?		
6.	არცერთხელ	12%
7.	ერთხელ	51%
8.	რამოდენიმეჯერ	8%
9.	ვერ გიპასუხებთ	29%

შეკითხვაზე "გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) თქვენზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით რამდენად ხშირად იქნა გამოყენებული წამება მესამე პირის (ნათესავის, მეგობრის, კოლეგის) მიმართ?" (იხ. ცხრილი #15) რესპონდენტთა 16 %-მა უპასუხა, რომ მათზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, მესამე პირი (ნათესავი, მეგობარი, კოლეგა) უწამებიათ. რაოდენობის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მიანიშნებს იმაზე, რომ თავისი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს რეპრესიული აპარატი ან ამ აპარატის კერძო წარმომადგენლები, არ ერიდებოდნენ სრულიად უდანაშაულო პირების მიმართ არაადამიანულ მოპყრობას. ასეთ ფაქტებს, როგორც წესი, ადგილი აქვს ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, სადაც სამართალდამცავი სისტემა რეპრესიული მანქანის ნაწილია.

ცხრილი #15. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) თქვენზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით რამდენად ხშირად იქნა გამოყენებული წამება მესამე პირის (ნათესავის, მეგობრის, კოლეგის) მიმართ?		
6.	არცერთხელ	55%
7.	ერთხელ	16%
8.	რამოდენიმეჯერ	-
9.	ხშირად	-
10.	არ მაქვს პასუხი	29%

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ხშირად აკეთებდა განცხადებას სამართალდამცავი ორგანოების მაღალ რეიტინგსა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მათ მაღალ ეთიკურ დონეზე, გამოკითხვამ აჩვენა (იხ. ცხრილი #16), რომ გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით), რესპონდენტთა 34% სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან წაწყდომია უწმაწურობასა და შეურაცხყოფას და 38% - უყურადღებობას და მათი განცხადებებისა თუ ჩივილის უხეშ იგნორირებას. ზემოთ აღნიშნული ქმედებები, სულ ცოტა, გულგრილობის ან/და ძალაუფლების გადამეტების გამოხატულებაა, რაც, დაუსჯელობის

შემთხვევაში, ხელს შეუწყობს კრიმინალურ ძალადობას/წამებას მოქალაქეების მიმართ ან მათი უფლებების აბუჩად აგდებას.

ცხრილი #16. წამების გარდა, გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით), რამდენად ხშირად წაწყდომიხართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შემდეგ ქმედებებს?	არცერთ ხელ	ერთხელ	რამოდენიმე-ჯერ ან სისტემა ტურად	არ მაქვს პასუხი
უწმაწურობას, შეურაცხყოფას	51%	32%	2%	15%
უყურადღებობას და თქვენი განცხადებებისა თუ ჩივილის უხეშ იგნორირებას	42%	35%	3%	10%

6.5.2 წამების, როგორც სოციალური პრობლემის შეფასება ყოფილი პატიმრების მიერ

კვლევის მსვლელობისას გამოკითხულ იქნა 2012 წლის ოქტომბრამდე პატიმრობაში მყოფი 100 პირი, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. პენიტენციურ დაწესებულებებში სისტემური დანაშაულობების, მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად არათანაზომადი სასჯელების გამოყენების გამო, 2012 წელს მიღებული იქნა ამნისტიის კანონი და პატიმრობაში მყოფ პირთა დაახლოებით 60% ვადამდე იქნა გათავისუფლებული, რესპონდენტთა ნაწილმა კი პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიიღო.

პატიმართა წამებისათვის გამოყენებულ მეთოდებს შორის შეიძლება გამოვყოთ პირდაპირი ძალადობა, რომელსაც, როგორც წესი, უფრო ხშირად ვხვდებით და საბჭოთა ციხეებისა და ბანაკების ტრადიციის გადმონაშთს წარმოადგენს. გამოკითხვის შედეგების თანახმად (იხ. ცხრილი #17), რესპონდენტთა 29% (ჯამში) მიუთითებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს მოხრჩობა, 79% ადასტურებს ცემას, დენით წამებას - 17%, ჩამოკიდებას - 12%, წყალში ჩაძირვას - 8%, დამწვრობის მიყენებას - 5% და ა.შ. პირდაპირი ძალადობის გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა პატიმართათვის აუტანელი პირობების შექმნა, რისი შენიღბვაც იოლი იყო საპატიმროს შინაგანაწესის დამრღვევი პატიმრების დასჯისათვის კანონით დაშვებული ზომებით. ამისათვის მათ ამყოფებდნენ ცივ შენობებში ან ანტისანიტარულ პირობებში, მიმართავდნენ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით, ძლიერი შუქით; ამყოფებდნენ იძულებით პოზაში, რისთვისაც მიმართავდნენ დაჭიმვას, ხელბორკილით დაბმას და მსგ., ემუქრებოდნენ იარაღით (11%).

ცხრილი #17. რამდენად ხშირად გამოუყენებიათ თქვენ მიმართ ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით)?		არასდროს	ერთხელ	ბევრჯერ
1.	წამება მოხრჩობით	71%	25%	4%
2.	წამება აღკვეთით (ძილის, წყლის მიწოდების, საჭმლის მიწოდების, ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების და მსგ.)	39%	45%	16%
3.	იძულებითი პოზაში ყოფნით (დაჭიმვით,ხელბორკილით დაბმით და მსგ.)	67%	21%	12%
4.	დაკიდებით, ხელების გადაგრეხვით, ჰაერში სროლით.	88%	8%	4%
5.	იარაღის დემონსტრირებით, მათ შორის დახვრეტის იმიტაციით	89%	11%	-
6.	ელექტროდენით	83%	12%	5%
7.	ცემით	21%	54%	25%
8.	წყალში ჩაძირვით	92%	8%	-
9.	ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებით: შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით, ძლიერი შუქით	46%	38%	16%
10.	ცივ შენობებში ან ანტისანიტარულ პირობებში ყოფნით	11%	44%	40%
11.	სხვა პირების (თანასაკნელების) გამოყენებით თქვენზე ძალადობის განხორციელების მიზნით.	56%	29%	15%
12.	დამწვრობის მიყენებით ცხელი საგნებით, მდუღარეთი, სიგარეტის ნამწვით	95%	5%	-
13.	სხვა (დააზუსტეთ)	79%	14%	7%

როგორც კვლევამ აჩვენა (იხ. ცდრილი #18), გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ფიზიკური ძალადობის გარდა ექვემდებარებოდა ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომლის ატანაც ციხის პირობებში განსაკუთრებით მძიმეა, ვინაიდან პატიმრები ისედაც სტრესულ სიტუაციაში იმყოფებიან საკუთარი დაუცველობის გამო, ერთი მხრივ, სახელმწიფო სამართალდამცავი სისტემის წინაშე, მეორე მხრივ, კი სხვა პატიმრების მხრიდან ნეგატიური ზემოქმედების გამო, რომლებიც არაიშვიათად ასრულებდნენ ადმინისტრაციის ბრძანებას კონკრეტულ პირზე ზეწოლის განხორციელების თაობაზე.

ცხრილი #18. ფიზიკური ძალადობის გარდა, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განუხორციელებიათ თუ არა თქვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მუქარის გამოყენებით თქვენი ახლობლის ან პირადად თქვენ მიმართ?		
6.	არცერთხელ	39%
7.	ერთხელ	44%
8.	რამოდენიმეჯერ	2%

9.	არ მაქვს პასუხი	15%

საინტერესოდ გვეჩვენება ფიზიკური ძალადობის/ წამების მიზეზების ანალიზი (იხ. ცხრილი #19.) რესპონდენტთა 56%-თვის უფრო ხშირად აღნიშნული მიზეზია: ბრალის აღიარება, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმა, გამოკითხულთა 54%-თვის - გამოძალვა, ფულის ან ქონების ძალით წართმევა, 36%-მა კი ვერ შეძლო დაესახელებინა რაიმე მოტივი, რამაც ის ძალადობის მსხვერპლად აქცია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 25%-მა პირდაპირ მიუთითა, რომ ძალადობის მიზეზი საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულება იყო.

ცხრილი #19. რა მიზნით გამოიყენებოდა ფიზიკური ძალადობა თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა და რა სიხშირით?	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
9. ბრალის აღიარების, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმის მიზნით	28%	56%	6%
10. პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური აუტანლობის გამო	45%	30%	25%
11. შურისძიების მიზნით	53%	35%	12%
12. გამოძალვის, ფულის ან ქონების ძალით წართმევის მოტივით	33%	54%	13%
13. დაცინვისთვის	59%	29%	12%
14. საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულების მიზნით	67%	25%	8%
15. მოტივი თქვენთვის ამოუხსნელია	55%	36%	9%

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. 2012 წლის ოქტომბრამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმრების მიმართ ძალადობა (მათი წამება) ფართოდ იყო გავრცელებული;
2. პატიმართა უმრავლესობა ძალადობისა/წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა;

3. 2012-2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაუმჯობესდა.

თავი 4. საკანონმდებლო მიდგომები ძალადობისა და წამების აღკვეთის პრობლემისადმი

4.1. წამების შეზღუდვის ინსტიტუტის ჩამოყალიბების და განვითარების თავისებურება

ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წამებისა და ძალადობის პრობლემაზე, ჩ. ბეკარია იყო. მისმა ტრაქტატმა „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ (97) დიდი რეზონანსი იქონია ევროპაში. მან არსობრივი ზეგავლენა მოახდინა მაშინდელი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეების შეხედულებებზე და ხელი შეუწყო მართლმსაჯულებასა და სისხლის სამართალში პირველი ლიბერალური რეფორმების გატარებას ავსტრიაში, პრუსიაში, შვეციაში, ტოსკანაში, რაც გამოიხატა წამების აკრძალვაში, სიკვდილით დასჯის შეკვეცაში, კანონიერების პრინციპის განმტკიცებაში. თავის ნაშრომში ბეკარიამ გამოხატა განმანათლებლობის ეპოქის ჰუმანური შეხედულებები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე და მკვეთრად გააკრიტიკა ფეოდალური ინკვიზიციური პროცესი, განსაკუთრებით კი წამება, როგორც მისი განუყოფელი ატრიბუტი.

თავის წიგნში ბეკარიამ არამარტო გამოააშკარავა, არამედ დაამტკიცა ფეოდალური მართლმსაჯულების სისასტიკის, უსამართლობისა და თვითნებობის არარაციონალობა, დამაჯერებლად ამხილა მაშინდელი ევროპის სახელმწიფოების კანონმდებლობის წინააღმდეგობრიობა, არასისტემურობა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელისა და სასამართლო პროცედურების მარეგულირებელ კანონებს. ნაშრომს წითელ ზოლად გასდევდა ფეოდალური სასამართლო წესის ამოძირკვის მოწოდება, რომლის თანახმად უტყუარ მტკიცებულებად ცხადდებოდა ბრალდებულის წამებით მიღებული აღიარებითი ჩვენება. ამავდროულად, ბეკარია მიუთითებდა ფეოდალური სამართალწარმოების სასტიკ და უსამართლო ფორმების არაეფექტურობაზე, თვლიდა რა, რომ წამებით „აღიარების ამოგლეჯვა“ უდანაშაულო ადამიანისგან გაცილებით იოლია, ვიდრე გამოცდილი დამნაშავისგან. ფეოდალური მართლმსაჯულების საპირწონედ ბეკარიამ შემოგვთავაზა პრონციპები, რომლებსაც უნდა დაყრდნობოდა ჰუმანური, სამართლიანი და

ამავდროულად რაციონალური და ეფექტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ თავად არისტოკრატთა ფენის წარმომადგენელი იყო და მარკიზის ტიტულს ატარებდა, ის აუცილებლად მიიჩნევდა კანონის მიმართ ყველა მოქალაქის თანასწორობას, უპირველეს ყოვლისა, პრივილეგიების გაუქმებას თავადაზნაურობისა და სასულიერო პირებისათვის. ბეკარია ამტკიცებდა, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს დანაშაულებრივი ქმედებების წრე და დამნაშავეს მხოლოდ კანონით დადგენილი სასჯელი უნდა დაედოს. ამავდროულად, სასჯელი თანაზომიერი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, ხოლო ქმედებების რაოდენობა, რომელთაც თან სისხლისსამართლებრივი რეპრესიები ახლავს, „გონივრულ მინიმუმამდე“ უნდა იქნეს დაყვანილი (უპირველეს ყოვლისა, ჯადოქრობისთვის დასჯის გაუქმების ხარჯზე). ადამიანი უნდა დაისაჯოს მხოლოდ ქმედების და არა სიტყვის ან აზრის გამო. სასჯელის სიმძიმე უნდა განისაზღვროს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შესაბამისად. ბეკარია მოუწოდებდა სასჯელის თანდათანობით შერბილებისკენ, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დანაშაული არ უნდა დარჩენილიყო დაუსჯელი. თავის წიგნში ავტორმა წარმოაჩინა სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლო არგუმენტები, რომელთაც დღემდე იყენებენ. საუკუნეების გამოცდილება გვიჩვენებს, სასჯელის აღნიშნული ფორმა ხელს არ უწყობს დანაშაულობის შემცირებას, ადამიანებში კი სისასტიკეს ნერგავს.

XVI თავში ბეკარია ეხება წამების პრობლემას. მისი აზრით, „სასტიკი წამება, რომელიც ბრალდებულის მიმართ გამოიყენება, ხალხთა უმრავლესობისთვის წეს-ჩვეულებებითაა ნაკარნახევი. წამებას გარკვეული მიზნებით მიმართავენ, როგორიცაა დამნაშავის იძულება, აღიაროს დანაშაული, ახსნას წინააღმდეგობები საკუთარ ჩვენებებში, დაასახელოს თანამზრახველები; მას იყენებენ, ასევე, ერთგვარი მეტაფიზიკური და ძნელადასახსნელი განწმენდისათვის, და ბოლოს, ბრალდებულს აწამებენ სხვა დანაშაულებისთვის, რომლებიც მას შეეძლო ჩაედინა, მაგრამ, რომელთა ინკრიმინირება არ ხერხდება.“ (97)

ბეკარია პრინციპულად მიუთითებს, რომ არ შეიძლება ვინმეს დამნაშავე ეწოდოს, სანამ სასამართლო არ გამოიტანს შესაბამის განაჩენს. საზოგადოებას ასევე არ შეუძლია უარი თქვას მის დაცვაზე, სანამ არ მიიღება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მან დაარღვია პირობები, რომლებიც მისი დაცვის გარანტორი უნდა ყოფილიყო. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავე უნდა დაისაჯოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, წამება ზედმეტია, ვინაიდან მისი

აღიარების საჭიროება აღარ არსებობს. თუ არაა მყარი რწმენა იმისა, რომ დანაშაული ნამდვილადაა ჩადენილი, წამების გამოყენება არ შეიძლება უდანაშაულოს მიმართ, როგორადაც ადამიანი ითვლება მისთვის ბრალის დამტკიცებამდე. გარდა ამისა, ყველა ნორმის დარღვევა იქნებოდა ადამიანისგან იმის მოთხოვნა, რომ ის ერთდროულად ბრალდებულიც იყოს და საკუთარი თავის ბრალმდებელიც. არ შეიძლება, ჭეშმარიტების დადგენა მიიღწეოდეს ფიზიკური ტკივილის მიყენების გზით. ამგვარი მიდგომა უებარი საშუალებაა ფიზიკურად ძლიერ ბოროტმოქმედთა გამართლებისა და სუსტთა მსჯავრდებისათვის. „ამგვარია ამ ე.წ. ჭეშმარიტების კრიტერიუმის საბედისწერო ნაკლოვანებები, რომლებიც კანიბალებს შეეფერებათ და რომელსაც რომაელები, ზოგიერთი თვალსაზრისით თავად ბარბაროსები, მხოლოდ მონების მიმართ თუ გამოიყენებდნენ“. (97)

ბეკარია იყო ერთერთი პირველთაგანი ევროპაში, ვინც სიკვდილით დასჯისა და სხვა სასტიკი სასჯელების გაუქმებას უჭერდა მხარს. დანაშაულობის მიზეზებზე ბეკარიას მოსაზრებები მოგვიანებით ერთერთი საფუძველთაგანი იყო ახალი მეცნიერების - კრიმინოლოგიის ფორმირებისთვის.

1786 წელს ბეკარიას იდეები საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის პირველ თანამედროვე კოდექსს, რომელიც ტოსკანაში იქნა გამოცემული დიდი ჰერცოგის Leopold von Baden მიერ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში სიკვდილით დასჯა პირველად ამ კოდექსით იქნა გაუქმებული.(97)

რუსეთში ბეკარიას იდეების რეალიზება სცადა ეკატერინე II-ემ, რომელმაც მიიწვია კიდეც იგი ახალი კანონთა კრებულის შესადგენად, თუმცა, სტუმრობა არ შედგა. (242)

წიგნის გამოსვლიდან 200 წლის შემდეგაც ბეკარიას კლასიკურ ნაშრომს არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და მისი გამოცემა მსოფლიოს მრავალ ენაზე დღესაც გრძელდება. ის არამხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ისტორიის ღირებული დამხმარე სახელმძღვანელოა, არამედ მოწოდებაცაა ჰუმანური და სამართლიანი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარებისკენ.

ბეკარიას ფუნდამენტური სამართლებრივი იდეების განხილვას დაუბრუნდა მიშელ ფუკო ნაშრომში „ზედამხედველობა და სასჯელი“. მისი მთავარი იდეები შეიძლება დაჯგუფდეს ნაშრომის ოთხი ნაწილის შესაბამისად: წამება, სასჯელი, დისციპლინა და ციხე. ფუკო იწყებს სასჯელის ორი კონტრასტული ფორმის აღწერით: 1) მე-18 საუკუნის შუა წლებში მონარქის

მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული რობერ-ფრანსუა დამიენის ძალადობრივი სასჯელითა და ქაოტური საჯარო წამებით, 2) მე-19 საუკუნის დასაწყისში მეტრეს გამასწორებელი კოლონიის პატიმრებისთვის მკვეთრად რეგლამენტებული დღის რეჟიმით. მოყვანილი მაგალითები წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რამდენად ღრმა ცვლილებები მოხდა ასწლეულზე უფრო ნაკლებ დროში დასავლურ პენიტენციურ სისტემაში, სადაც გაქრა საჯაროდ დასჯა წამების გამოყენებით (315).

ფუკო ცდილობს აუხსნას მკითხველს, რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილებები და როგორ შეიცვალა დასავლეთის კულტურა ასე რადიკალურად. ავტორი მეცნიერულ ცოდნას უკავშირებს ციხის განვითარების ტექნოლოგიურ პროგრესს. ის ახდენს ე.წ. „ხელისუფლების მიკროფიზიკის“ განსაზღვრას, რომელსაც უფრო მეტად სტრატეგიულად და ტაქტიკურად მიიჩნევს. ფუკო ცოდნას ძალად მიიჩნევს და ერთდროულად აღიარებს, რომ ყოველთვის არსებობს ჩარჩოები, რომელთა ფარგლებშიც ის გასაგები ხდება (145).

წამებასა და დასჯაზე საუბრისას, ფუკო აღნიშნავს, რომ ის თეატრალურ ხასიათს ატარებს, რომლის თავდაპირველმა მიზნებმა, საბოლოო ჯამში, რამდენადმე გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვია. თავდაპირველ მიზნებად ავტორი მოიაზრებს:

- საიდუმლოს გაცხადებას.
- გამოძიების გავლენის დემონსტრირებას აღიარებაზე. თუ წამებით არ მოხერხდა აღიარების მიღება და გამოძიება შეწყდა, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება.
- მსჯავრდებულის სხეულზე ძალადობის კვალის თვალსაჩინოებას, რათა ყველამ იცოდეს, რომ დანაშაულისათვის დამნაშავეს საკადრისად მიეზღო.
- შურისძიებას მსჯავრდებულის სხეულზე, რომელსაც ხელისუფალი მათ გამო სჯის, ვისაც დანაშაულით მიადგა ზიანი. ფუკო ამტკიცებს, რომ კანონი მიიჩნეოდა „ხელმწიფის სხეულად“, რომლის ხელყოფის საპასუხოდაც დამნაშავის სხეულს უნდა მიყენებოდა ზიანი.

საჯაროდ წამებას ფუკო განიხილავს, როგორც „მართვის განსაზღვრული მექანიზმის“ შედეგს, რომელიც დანაშაულობას საომარ პრიზმაში აღიქვამს. დანაშაულობა და ბუნტი, საკუთარი შინაარსით ემსგავსება ომის გამოცხადებას. ხელისუფალს აფიქრებს არა იმდენად კანონების შესრულების დემონსტრირება, რამდენადაც მტრების გამოვლენა და მათზე თავდასხმის

აუცილებლობა, რისთვისაც არსებობდა კიდეც ძიების რიტუალი და საჯაროდ წამების ცერემონია (145, 55).

საჯაროდ წამებასა და დასჯას, ავტორის აზრით, თან გაუთვალისწინებელი შედეგებიც ახლდა:

- მსჯავრდებული ერთგვარად სიმპათიისა და აღფრთოვანების ობიექტად შეიძლებოდა ქცეულიყო;
- ზოგჯერ გაკიცხვის საგანი არა მსჯავრდებული, არამედ ჯალათი ხდებოდა;
- დასჯის ადგილი მასებსა და ხელისუფალს შორის კონფლიქტის ტერიტორიად შეიძლებოდა, ქცეულიყო. ფუკო აღნიშნავდა, რომ საჯაროდ დასჯას ზოგჯერ მსჯავრდებულის მხარდამჭერი უწესრიგობა მოჰყვებოდა. მართვის არასწორი პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვის ადგილად სწორედ საჯაროდ დასჯის პუნქტი ხდებოდა ხოლმე.

საჯარო წამება და დასჯა მმართველის მიერ საკუთარი ხელისუფლების დემონსტრირების ერთერთი მეთოდი იყო, რაც გამოძიების რიტუალისა და დასჯის ცერემონიის აღსრულებაში გამოიხატებოდა. საშინელება, რომელსაც მმართველის ყოვლისშემძლეობისთვის უნდა გაესვა ხაზი, სინამდვილეში თვალსაჩინოს ხდიდა, რომ მისი ხელისუფლება ხალხის მონაწილეობაზე იყო დამოკიდებული. წამების საჯაროობა ემსახურებოდა, ერთი მხრივ, მოსახლეობაში შიშის დათესვას, მეორე მხრივ კი იმის დემონსტრირებას, რომ სანახაობაში მონაწილეობით ხალხი ამართლებს გამოტანილ განაჩენს. პრობლემები აღმოცენდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავიანთი ქმედებებით ადამიანები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მიმდინარე მოვლენების მიმართ და მხარდაჭერას მსჯავრდებულს უცხადებდნენ (ვერ ფარავდნენ რა აღტაცებას მსხვერპლის გამბედაობის გამო სიკვდილის წინაშე) ან სულაც ფიზიკური ქმედებებით ცდილობდნენ მის გათავისუფლებას. ამგვარად, როგორც ფუკო ამტკიცებდა, საჯაროდ დასჯა, საბოლოო ჯამში, „სხეულის არაეფექტური და ამავდროულად არაეკონომიკური გამოყენების“ საშუალებად იქცა. ის გამოიყენებოდა არარეგულარულად და ქაოტურად და შესაბამისად, მაღალი პოლიტიკური ფასი ჰქონდა. დასჯის რეფორმირება ძირითადად იმ მიმართულებით უნდა წარემართათ, რომ უზრუნველეყოთ საკუთრების მეტი სტაბილურობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

შუა საუკუნეების ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული წამებით მიღებული ჩვენების ნამდვილობის რწმენა. ერეტიკოსებისა და კუდიანების მიმართ, ჩვეულებრივ, მოქმედებდა პრინციპი „კანონის თანახმად, არავის შეეფარდება სასიკვდილო განაჩენი, თუ თავად არ

აღიარებს დანაშაულს“. წამებით მიღებული აღიარების ნამდვილობის რწმენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ წამება, როგორც წესი, წყდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მსხვერპლის ჩვენება ემთხვეოდა იმას, რასაც გამომძიებლები მიიჩნევდნენ სინამდვილედ.

თუმცა, განმანათლებლობის ეპოქაში ეჭვი შეიტანეს წამებით მიღებული აღიარების ჭეშმარიტებაში. სხვადასხვა ქვეყანაში ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. მაგალითად, გერმანიაში განათლების გავრცელებასთან ერთად, აღარ სჯეროდათ, რომ კუდიანები ცოცხზე ამხედრებულები დაფრინავდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ათასობით „კუდიანმა“ წამების ქვეშ თავის წინააღმდეგ მისცა ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ჯიუტი აუღიარებლობა მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. (191)

რუსეთში წამების შედეგებში ეჭვის შეტანა მოჰყვა ჰეტმან მაზეპასთან დაკავშირებულ შემთხვევას. გენერალურმა მოსამართლემ კოჩუბეიმ და პოლკოვნიკმა ისკრამ, პეტრე I-ს აცნობეს, რომ მაზეპა გეგმავს თავისუფლება მოაპოვებინოს უკრაინას, რისთვისაც კარლოს XII-თან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს. პეტრე I-მა არ დაიჯერა ნაამბობი და ამბის მომტანების წამება ბრძანა, რის შედეგადაც ორივემ აღიარა, რომ ცილი დასწამეს მაზეპას და სიკვდილით დაისაჯნენ. მოგვიანებით (მაზეპას ღალატის შემდეგ) გამოცემულ სამხედრო წესდებაში უკვე გაითვალისწინეს წამების გამო საკუთარი თავის ან ახლობლებისთვის ცილისწამების შესაძლებლობა (116, 99).

იაპონიაში, ამ მხრივ, ცნობილი მაგალითია ამერიკელი მფრინავის ტყვედ აყვანის შემთხვევა. ლეიტენანტმა მარკუს მაკ-დილდამ წამების შედეგად აღიარა, რომ ამერიკას ასამდე მზა ატომური ბომბი აქვს და რამდენიმე დღის შემდეგ გეგმავს მათ ჩამოყრას კიოტოსა და ტოკიოში. დაკითხვამდე მას არასოდეს გაუგია რამე ატომური ბომბების შესახებ და ამის თაობაზე გულახდილად უთხრა იაპონელებს, თუმცა, არ დაუჯერეს.(357)

წამებით მიღებული ჩვენებების სანდოობაში ეჭვის შეტანა მისი გამოყენების შეზღუდვის მიზეზი გახდა.

კონტინენტურ ევროპაში წამების შეზღუდვა ფიქსირდება მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლოდან და ეს მოვლენა განმანათლებლობის ჰუმანური იდეების გავრცელებას უკავშირდება, თუმცა, დაკითხვის აღნიშნული ფორმა მე-18 საუკუნის შუა ხანებში საფრანგეთში, პრუსიაში, ავსტრიასა

და შვეიცარიაში გამოიყენებოდა. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ წამება ოფიციალურად მხოლოდ 1816 წელს აკრძალა.

პრუსია გახდა პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელშიც 1754 წელს (ფორმალურად 1805 წელს) გაუქმდა წამების ყველა სახეობა სამართალწარმოების პროცესში. დანიაში წამება აიკრძალა 1770წ. რუსეთში ის ეკატერინე II-ს ბრძანებულებით გაუქმდა 1774 წელს, რაც ოფიციალურად ალექსანდრე I-ის ბრძანებით დამტკიცდა 1801 წელს (346). ავსტრიაში წამება აკრძალეს 1776 წელს, საფრანგეთში - 1780წ. (რაც რევოლუციურმა ნაციონალურმა ასამბლეამ 1789წ. დაამტკიცა), ნიდერლანდებში - 1789 წელს, ავსტრიულ ნიდერლანდებში - 1794წ., ვენეციაში - 1800წ., ბავარიაში - 1806წ., პაპის ოლქში - 1815წ., ნორვეგიაში - 1819წ., ჰანოვერში - 1822წ., პორტუგალიაში 1826წ., საბერძნეთში - 1827წ. ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე გვიან წამება შვეიცარიაში აიკრძალა (1851წ.). ინგლისში ადგილი ჰქონდა წამების ნაწილობრივ, ანუ მისი ზოგიერთი ფორმის აკრძალვას. მაგალითად, (220).1772 წლიდან იქ აღარ იყენებენ peine forte et dur. (146)

დღეისათვის წამება აკრძალულია თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) კონსტიტუციითა და კანონებით.

ზოგიერთ შემთხვევაში წამების გამოყენება აღიარებულია საერთაშორისო დანაშაულად. დღეისათვის ეს ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ზოგიერთ სახელმწიფოში თავად წამების გამოყენების ფაქტისთვის (შედეგებისგან დამოუკიდებლად) დამნაშავეს ემუქრება თავისუფლების ხანგრძლივად აღკვეთა:

- 14 წლით - კანადაში;
- 15 წლით - საფრანგეთში;
- 25 წლით - არგენტინაში;
- 30 წლით - გვატემალაში. (315).

დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, წამების გამოყენება მუდმივი პატიმრობითაც ისჯება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრების წამება იქ მხოლოდ 1971 წელს აიკრძალა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ბრიტანული სპეცსამსახურების სასტიკი მოპყრობის შესახებ ტერორისტული ორგანიზაციის „ირას“ წევრობაში ეჭვმიტანილების მიმართ (131)

ერთერთი ბოლო ქვეყანათაგანი, სადაც წამებას ოფიციალურად იყენებდნენ, იყო ისრაელი. უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 26 სექტემბრის სპეციალური დადგენილებით, წამება ფაქტობრივად დაკანონდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ტერორიზმში იყვნენ ეჭვმიტანილები, რაც მოტივირებული იყო იმით, რომ სხვა გზით მათგან რთული და ხშირად შეუძლებელი იყო ინფორმაციის მიღება, რომელზე დაყრდნობითაც უნდა აღკვეთილიყო მზადების პროცესში მყოფი ტერორისტული აქტები. მაგრამ, მსოფლიო საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური რეაქციის გამო, იმავე უზენაესმა სასამართლომ 1999 წლის სექტემბერში ახალი დადგენილებით აკრძალა წამების გამოყენება. (358)

4.2. საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები წამების წინააღმდეგ

წამების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ტენდეციების უკეთ გაგების მიზნით, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები. კვლევისადმი სისტემურმა მიდგომამ დღის წესრიგში დააყენა მათი სისტემატიზაციის აუცილებლობის საკითხი.

შინაარსის მიხედვით, გამოიყო ზოგადი ხასიათის და სპეციალური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები.

პირველ ჯგუფში გაერთიანდა ძირითადი და არაპირდაპირი დოკუმენტები. სპეციალური სახეობის დოკუმენტების მიღება განაპირობა ზოგიერთი კატეგორიის პირების მიმართ მათი გამოყენების აუცილებლობამ. ესენია: 1. ცალკეული პირის დაცვაზე ორიენტირებული, 2. წამების ამკრძალავი, 3.„პროფესიული“ და ე.წ. პირდაპირი დოკუმენტები. პირველი სამი ჯგუფი ქვეჯგუფებად იყოფა. პირველ ჯგუფში განარჩევენ დოკუმენტებს, რომლებშიც დაცულია: ა) ფიზიკური ნაკლის მქონე პირების, ფსიქიკურად დაავადებულების და გონებრივად ჩამორჩენილების, ბ) მოქალაქეობის არმქონე პირების, გ) დაკავებულებისა და პატიმრობაში მყოფების, დ) ხანდაზმულების უფლებები. მეორე ჯგუფში გამოყოფენ დოკუმენტების ქვეჯგუფებს, რომლებიც: ა) ორიენტირებულია ზოგადად წამების აღკვეთაზე; ბ) ადგენს წამების გამოძიების პრინციპებსა და მექანიზმებს (110, 22).

“პროფესიული” დოკუმენტები მიმართულია წამების აღკვეთაზე ა) იურისტების, პოლიციის, თანამდებობის პირთა და ბ) მედმუშაკთა მხრიდან.

კლასიფიკაციაში არ არის ჩართული საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებების დამცველი ორგანოებისა და შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ითვალისწინებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, ასევე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები.

ზოგადი და სპეციალური პირდაპირი დოკუმენტების თავისებურებაა ის, რომ ისინი დეკლარაციების ან კონვენციების სახით არის წარმოდგენილი. სპეციალური დოკუმენტების ყველა დანარჩენი ჯგუფი, აღნიშნულთან ერთად, მოიცავს: დებულებებს, პრინციპებს, წესებს, რეზოლუციებს, ოქმებს, რეკომენდაციებს, გეგმებს, სტატუტებს, პროგრამებს, კოდექსებს, განცხადებებს.

ანალიზმა, რომელსაც დაექვემდებარა სხვადასხვა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტში ასახული წამების დეფინიცია, საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ ყველაზე სრულყოფილ და დაბალანსებულ განსაზღვრებას შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში მიღებული საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა შესახებ (კონვენციები, დეკლარაციები, რეზოლუციები, პრინციპები, წესები) ითვალისწინებენ სახელმწიფოების მიერ წამების აღმომფხვრელი ღონისძიებების გატარებას.

წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის აღმკვეთი საერთაშორისო ინსტრუმენტების სისტემა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხ.5) (196) ძალიან რთულია. აღმკვეთი ინსტრუმენტები, რომელთაც ქვეყნები დღესდღეობით გამოიყენებენ, მოიცავს: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ ევროპის 1950 წლის კონვენციას (262), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის საერთაშორისო პაქტს (260); გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენციას წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან

ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (263); ასევე ევროპის კონვენციას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის სახეობების აღკვეთის შესახებ (265). ამგვარად, სამართლებრივი ნორმების შექმნის პროცესი პირობითად შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: 1948-დან 1976 წლამდე და 1984 წლიდან დღემდე.

ადამიანის უფლებების 1948 წლის საყოველთაო დეკლარაცია, რა თქმა უნდა, შეიძლება ყველა ქვეყნისთვის აუცილებელი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტის ნიმუში იყოს, თუმცა, ის არ არის შეთანხმება, კონვენცია ან სხვა დოკუმენტი, რომელსაც სავალდებულო იურიდიული ძალა გააჩნია. ამავდროულად, საერთაშორისო საზოგადოებამ „ცივი ომის“ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ვერ შეძლო სავალდებულო დოკუმენტის ტექსტის შედგენა 1966 წლამდე, როდესაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი გაჩნდა. მისი მე-7 მუხლის შექმნის ისტორიიდან ირკვევა, რომ პაქტის ავტორები და დელეგატები, უპირველეს ყოვლისა, ისწრაფვოდნენ აღეკვეთათ მხეცური სისასტიკის განმეორების შესაძლებლობა, რასაც ადგილი ჰქონდა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

მიზეზთა რიგის გამო, 1949 წლის მაისში აღნიშნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ათი სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი ევროპის საბჭო. ეს სახელმწიფოებია: ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, დანია, ნორვეგია და შვეცია. 1949 ის წელია, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში, კომუნისტების გამარჯვებასთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპაზე „რკინის ფარდა“ დაეშვა. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობდნენ საკუთარი უპირატესობის დემონსტრაცია მოეხდინათ ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიდგომის კუთხით, რომლის თანახმად, პრიორიტეტს წარმოადგენდა სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები და მათი დაცვის საშუალებები. კაცობრიობის ისტორიაში პირველად უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სასამართლო ინსტანცია, რომელსაც უფლებამოსილება ექნებოდა განეხილა ინდივიდუალური საჩივრები, ჩაეტარებინა საფუძვლიანი გამოძიება, მათ შორის, იმ ქვეყანაშიც, რომელზეც საჩივარი იქნა შეტანილი და მიეღო შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები, მათ შორის, დაზარალებული მხარისთვის კომპენსაციის გადახდის დაკისრებაც (182).

ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, რომელიც ხელმოსაწერად ღიაა 1950 წლის 4 ნოემბრიდან და ძალაში 1953 წლის 3 სექტემბრიდან შევიდა, მას შემდეგ, რაც 10 სახელმწიფოს

მიერ იქნა რატიფიცირებული, ადგენს, რომ არავის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა. ეს გახლდათ წევრი-სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის უპრეცედენტო შემთხვევა, რაც არღვევდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ძირეულ პრინციპს. დასავლეთის სახელმწიფოებმაც კი არ დაუჭირეს მხარი მსგავს წამოწყებას. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი ინდივიდუალური საჩივრის უფლებას 1966 წლამდე არ აღიარებდა. მისი შიდა კანონების მიხედვით, კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა სასამართლო წესით 2000 წლის 2 ოქტომბრამდე არ ხერხდებოდა (206).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს. საქართველოში ეს 1999 წლის 27 აპრილს მოხდა.

ევროპული კონვენციის სისტემის ყველაზე დიდი მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, ის გახლდათ, რომ მისი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო გახდა და მოპასუხე სახელმწიფო არამარტო თანახმა ხდებოდა გადაეხადა დაკისრებული კომპენსაცია, არამედ საკუთარი კანონმდებლობის გადახედვის მიზნით სპეციალურ ღონისძიებებსაც ატარებდა. მეორე მნიშვნელოვანი მიღწევა, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით კონვენციის გაფართოვებაში გამოიხატა, რის საფუძველზეც შეიქმნა ინდივიდუალური უფლებების დაცვის მძლავრი სისტემა.

საერთაშორისო სტანდარტების შექმნის მეორე პერიოდი დაიწყო 80-იან წლებში, როდესაც ცხადი გახდა, რომ წამების აღკვეთის არსებული მექანიზმები არაეფექტურია და გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ კუთხით გადაიდგა, გახლდათ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით (34/169) მართლწესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის შექმნა და რეკომენდაციით მიმართვა გაეროს წევრი ქვეყნების მთავრობებისადმი, დადებითად გადაწყვიტონ მისი გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში ან დანერგონ პრაქტიკულ საქმიანობაში პრინციპების კრებულის სახით, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ. (296) კოდექსის მე-5 მუხლით იკრძალება აღნიშნული თანამდებობის პირის მიერ წამებისა და

სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის ამა თუ იმ სახეობის ჩადენა, წაქეზება ან სხვა პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური ქმედების მიმართ შემწყნარებლობა თანამდებობით უფროსი პირისგან მიღებული შესაბამისი ბრძანებით, ასევე საომარი მდგომარეობით, შიდაპოლიტიკური არასტაბილობით, ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხის შემცველი ან ნებისმიერი სხვა სახის განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობით .(269)

1982 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ პატიმრებისა და დაკავებული პირების წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯისგან დაცვის მიზნით 37/194 რეზოლუციით დაადგინა სამედიცინო ეთიკის პრინციპები ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების, განსაკუთრებით კი ექიმებისთვის.

პირველი პრინციპის თანახმად, ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით კი ექიმები, ვალდებული არიან დაიცვან პატიმრებისა და დაკავებული პირების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და გაუწიონ მათ იმ დონის და ოდენობის სამედიცინო მომსახურება, როგორსაც თავისუფალ მოქალაქეებს გაუწევდნენ.

მეორე პრინციპის მიხედვით, ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით კი ექიმები, უხეშად არღვევენ სამედიცინო ეთიკას, ასევე ჩადიან დანაშაულს (მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად), თუ აქტიური ან პასიური ქმედებებით აქეზებენ, მონაწილეობენ, ან თანამონაწილეობენ წამებასა და სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯაში.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია, ასევე, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის ეფექტური დოკუმენტირების პრინციპები, რომლებიც ეფუძნება გამოძიებასთან დაკავშირებულ პუნქტებს უკანონო, თვითნებური და სუმარული (ჯამური) სასჯელის ეფექტური პრევენციისა და გამოძიების შესახებ, რომელიც 1989/65 რეზოლუციით მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ და 44/162 (1989) (359) რეზოლუციით დაამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. აღნიშნული პუნქტების თანახმად, წამებასთან მიმართებით გამოძიების იმავე პრინციპებითაა საჭირო მოქმედება, როგორითაც უკანონო დასჯის შემთხვევაში, თუმცა, აუცილებელია რიგი შესწორების შეტანა პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავისი 55/89 (2000) რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს ყურადღება მიექციათ შემუშავებული პრინციპებისთვის და წამების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად მათი გამოყენების რეკომენდაცია მისცა.

ძირითადი დოკუმენტი წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის შესახებ გახლავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის ამავე დასახელების კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წელს და რატიფიცირებულ იქნა 117 სახელმწიფოს მიერ, საქართველოს ჩათვლით (1994წ).

აღნიშნულ კონვენციაში მოცემულია წამების ყველაზე სრულყოფილი განმარტება. მასში ვკითხულობთ: "გაეროს 1984წ. კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია".

აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა ფასდაუდებელია, ვინაიდან მასში პირველადაა წამება სრულყოფილად განმარტებული (მუხლი 1). კონვენცია, ასევე, პირდაპირ ავალებს მონაწილე-სახელმწიფოებს, უზრუნველყონ წამების ყველა აქტის კრიმინალიზაცია თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობების შესაბამისად, თანამონაწილეობისა და დაუმთავრებელი დანაშაულის ჩართვით (მუხლი 4).

აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ:

„1. თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი მისი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით განიხილებოდეს, როგორც დანაშაულები. იგივე შეეხება წამების აქტის ჩადენის მცდელობასა და ნებისმიერი პირის ქმედებას, რომელიც წამებაში თანამონაწილეობას ან მონაწილეობას წარმოადგენს.

2. თითოეული მხარე-სახლემწიფო აწესებს სათანადო სასჯელებს ამგვარი დანაშაულებისთვის, მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით“.

გარდა ამისა, კონვენცია წამების მიმართ ითვალისწინებს aut dedere, aut judicare რეჟიმს, რომლის თანახმადაც, თითოეული მონაწილე-სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია მოცემული დანაშაულის მიმართ, თუ სავარაუდო დამნაშავე მის ტერიტორიაზე იმყოფება და არ გადასცემს მას სხვა, ტერიტორიული იურისდიქციის დამდგენ სახელმწიფოს. გარდა ამისა, მესამე ნაწილის მეოთხე მუხლის თანახმად, კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. ფაქტობრივად, კონვენცია წამებას აღიარებს ისეთ დანაშაულად, რომლის დროსაც, მასში ეჭვმიტანილის გადაუცემლობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უნდა იდევნებოდეს უნივერსალური იურისდიქციის წესით იმ სახელმწიფოს მიერ, რომელშიც იქნა დამნაშავე დაკავებული, თუნდაც ეჭვმიტანილი და დაზარალებული არ იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქეები და არც დანაშაული იყოს ჩადენილი მის ტერიტორიაზე (206). გარდა ამისა მე-16 მუხლში აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვნადაა გაფართოვებული იმ ნაწილში, რომელიც ოფიციალურ პირებს ეხება: აქ საუბარია სასჯელის სხვა აქტებზე, „რომლებიც ტოლფასი არ არის წამებისა, როგორც იგი 1-ლ მუხლშია განსაზღვრული, როდესაც ამგვარი აქტები ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.” (265).

კონვენციის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ შესაბამისი განცხადების გაკეთების შემდეგ, შეუძლიათ აღიარონ კომიტეტის კონპეტენცია განიხილოს წამებასთან დაკავშირებული საჩივრები, როგორც სახელმწიფოების (მუხლი 21), ისე მოქალაქების მხრიდან (მუხლი 2), როდესაც ეს უკანასკნელნი უჩივიან სახელმწიფოს საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. დღეისათვის კომიტეტის მიერ მიღებული ცალკეული პირის შეტყობინება შეეხება გარემოებას, როდესაც, მას სურს თავი დააღწიოს იმ სახელმწიფოსთვის გადაცემას, სადაც წამება ემუქრება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის თანახმად, წამება დანაშაულია ადამიანურობის წინააღმდეგ, თუ ის ჩადენილია ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის პირობებში ნებისმიერ სამოქალაქო პირზე (ნაწილი 2, მუხლი 7) ან ის წარმოადგენს ომის დანაშაულს, როდესაც მიმართულია პირების ან იმ ქონების წინააღმდეგ,

რომელიც დაცულია ჟენევის შესაბამისი კონვენციის დებულებით (სტატუტის ნაწილი 2, მუხლი 8). (360)

1988 წლის 9 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 43/173 რეზოლუციით მიიღო ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას დაქვემდებარებული ყველა პირის დაცვის პრინციპების კრებული (315). კრებულის მე-6 პრინციპის თანახმად, არც ერთი დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არ უნდა დაექვემდებაროს წამებას და სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას და არ არსებობს გარემოება, რომლითაც აღნიშნულის გამართლებაა შესაძლებელი. ტერმინი წამება და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს დაკავებულის ან პატიმრის ფართო დაცვა მის მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების ბოროტად გამოყენებისგან, ასევე ისეთ პირობებში ყოფნისგან, რომლებიც მუდმივად ან დროებით უკარგავენ ბუნებრივ გრძნობათაგან (მხედველობა, სმენა, დროსა და გარემოში ორიენტაცია) რომელიმეს. (243)

1993 წლის 25 ივნისის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო კონფერენციაზე 171 ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) წარმომადგენლებმა მიიღეს ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა. დეკლარაციისა და პროგრამის მიღებისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა-სახელმწიფოებმა საზეიმო პირობა დადეს, პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს და ინდივიდუალურად და ერთობლივად მიიღონ პროგრამები და ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების რეალურ დაცვას. B ნაწილის მე-5 პუნქტში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენცია მიესალმება წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის რატიფიცირებას წევრი-სახელმწიფოების მიერ და დარჩენილ სახელმწიფოებს მისი უსწრაფესი რატიფიკაციისკენ მოუწოდებს (316).

2002 წლის 18 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (296). აღნიშნული ოქმის მიზანი მდგომარეობს დამოუკიდებელი საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეგულარული ვიზიტების სისტემის ამოქმედებაში წამებისა და

სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის მიზნით. (მუხლი 1)

ამისათვის იქმნება წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტი (შემდგომში პრევენციის ქვეკომიტეტი), რომელიც განახორციელებს წინამდებარე ოქმით დადგენილ ფუნქციებს. (მუხლი 2)

აღნიშნული ქვეკომიტეტი საქმიანობას ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფარგლებში და ხელმძღვანელობს მისი მიზნებითა და პრინციპებით, ასევე, გაეროს იმ ნორმებით, რომლებიც თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ მოპყრობას ეხება და კონფიდენციალურობის, მიუკერძოებლობის, განურჩევლობის, უნივერსალობისა და ობიექტურობის პრინციპებს იზიარებს.

ოქმში გაწერილია მონაწილე-სახელმწიფოების თანამშრომლობის პროცედურები, კერძოდ, თითოეული მონაწილე-სახელმწიფო ნაციონალურ დონეზე ქმნის ან ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე ვიზიტორი ორგანოს (შემდგომში, ნაციონალური პრევენციული მექანიზმი) შექმნას წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის მიზნით (მუხლი 3). ოქმში, ასევე, გაწერილია ქვეკომიტეტის ფორმირების მექამიზმი (მუხლი 5).

წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი რატიფიცირებულია 2005 წლის 9 აგვისტოს (266).
2011 წლამდე წამების წინააღმდეგ ქვეკომიტეტის ვიზიტები საქართველოში არ განხორციელებულა. საქართველოში ნაციონალური პრევენციული მექანიზმის სახით სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) ოფისი 2009 წელს შეიქმნა.

ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რატიფიცირება საქართველოში 1999 წლის 12 მაისს მოხდა. ასევე რატიფიცირებულია აღნიშნული კონვენციის მე-4, მე-6, მე-7, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 ოქმები (235). 2015 წელს რატიფიცირებული იქნა კონვენციის მე–16 ოქმიც (235).

აღსანიშნავია ასევე, ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, კერძოდ, ევროპის კონვენცია წამების აღკვეთის შესახებ, რომელიც ევროპის 40 ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული საქართველოს ჩათვლით (2000 წ). ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ პასუხს არ აგებს

კონვენციის დებულებების დარღვევასა და წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის წევრების უსაფრთხოებაზე აფხაზეთის ტერიტორიასა და ცხინვალის რეგიონში მანამ, სანამ არ აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და არ განხორციელდება აღნიშნული ტერიტორიების სრული და ეფექტური კონტროლი კანონიერი ხელისუფლების მიერ (283).

კონვენციის თანახმად, შეიქმნა ექსპერტთა კომიტეტი მეტად სპეციფიკური და უპრეცედენტო უფლებამოსილებით. კერძოდ, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელმაც მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია, ვალდებულია, კომიტეტის წარმომადგენლები ნებისმიერ დროს დაუშვას მისი იურისდიქციის ფარგლებში არსებულ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. კომიტეტი აღჭურვილია უფლებამოსილებით, გააკეთოს კონფიდენციალური ანგარიშები და წარადგინოს რეკომენდაციები. სახელმწიფოს მიერ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია გაასაჯაროს საქმე.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანამდებობა, რომელიც 1985 წელს შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ წამებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად და ასევე იმისათვის, რომ გამოითხოვოს და მიიღოს სანდო ინფორმაცია სახელმწიფოებისგან, სპეციალური დაწესებულებებიდან, სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. დღეისათვის სპეციალური მომხსენებელი ხუან მენდესია. ის მრავალ ქვეყანას ეწვია და ბევრი ანგარიში გამოაქვეყნა. საინტერესოა მისი ანგარიში წამების საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც გაანალიზებულია საქართველოს წინა ხელისუფლების ქმედებები. სპეციალურმა მომხსენებელმა დააფიქსირა, რომ პატიმრებს ეშინიათ იჩივლონ ციხეებში წამების გამო, არ ტარდება დროული და მიუკერძოებელი გამოძიებები და სასამართლომდე აღწევს უმნიშვნელო ოდენობის წამების საქმეები.

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, დასჯის ან აღკვეთის ევროპულ კონვენციას, არის მთელი რიგი ასპექტები, რომლებიც შეშფოთებას იწვევენ. ესენია:

- ციხის პირობებში სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე პატიმართა საჩივრების დროული განხილვა-გამოძიებისთვის ეფექტური მექანიზმების არარსებობა;

- შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ნელი პროცესი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო აქტებთან;
- გადავსებული ციხეები და იქ არსებული ანტისანიტარიული პირობები;
- პოლიციის თანამშრომლების, ციხისა და სამართალდაცვის პროცესში მონაწილე ორგანოების პერსონალის არასაკმარისი მომზადება ბრალდებულებისა და პატიმრების უფლებების, ასევე, კანონის წინაშე თავიანთი ვალდებულებების საკითხებში;
- კონვენციის მე-3 მუხლის დებულებების ეფექტიანი დაცვის ღონისძიებების უკმარისობა და ყველა შესაბამის სიტუაციაში მათი გამოყენების უზრუნველყოფის შეუძლებლობა, დამნაშავის გადაცემის ჩათვლით.
- ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არარსებობა.

4.3. წამებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში

წამების კრიმინალიზაციის პრობლემისადმი განსხვავებული სამართლებრივი მიდგომების შესწავლისათვის, სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი წამების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი. ეს სახელმწიფოებია: თურქეთი, ესპანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, უზბეკეთი.

წამება კომპლექსურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ობიექტები სხვადასხვაგვარია, რომელთაგან უფრო მეტად გავრცელებულია: ღირსება, ფიზიკური, ფსიქიკური ხელშეუხებლობა, ადამიანის ჯანმრთელობა, ჩინოვნიკების კანონიერი საქმიანობა, მოსამსახურე და თანამდებობის პირები და სხვა ობიექტები (ნიშნები, რომლის მიხედვითაც პირი შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციას). ამავდროულად, სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი განსხვავებულ ობიექტებს მოიცავს. ასე მაგალითად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში წამების ობიექტებს შორის სახელდება: ფსიქიკური ერთიანობა (ცნობიერება, მეხსიერება და გადაწყვეტილების მიღების უნარები); უკრაინაში - ადამიანის ნება; თურქეთში - ობიექტური ჭეშმარიტება საქმესთან დაკავშირებით; აშშ-ში - კანონიერების დაცვა (101, 19).

წამების ობიექტური მხარე სახელმწიფოთა უმრავლესობის სისხლის სამართლის კანონმდებლობებში მდგომარეობს ფიზიკური და/ან ფსიქიკური ტანჯვის, და/ან ტკივილის მიყენებაში. აშშ-ის კანონთა კრებულში (3.2; § 2340) აღნიშნულს ემატება მუქარა, ფსიქოტროპული ნივთიერებების დანიშვნა და გამოყენება ან სხვა პროცედურები (361). უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ობიექტური მხარის მიხედვით წამების კვალიფიკაციისათვის, ნორმაში დასახელებულ სხვა ნიშნებთან ერთად, საჭიროა არსებობდეს ზემოქმედების ფაქტი, ტკივილის ან ტანჯვის მიყენების გარეშე (343).

თურქეთის, უზბეკეთის და ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ „წამება“ განისაზღვრება, როგორც ქმედება; ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პირის მიერ საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების აუცილებელ გამოყენებას სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

წამების შედეგები დასახელებულია შვიდი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, აშშ-ის კანონთა კრებულში წამების შედეგები გამყარებულია „ხანგრძლივი ფსიქიკური ზიანით“, ხოლო ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე და რუსეთის ანალოგიური კოდექსის 302-ე მუხლებში წამების შედეგად განსაზღვრულია „ტანჯვის მიყენება“.

თანამონაწილეობის უფრო რთულ „კომბინაციას“ შეიცავს მოლდოვას სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც წამების წინააღმდეგ კონვენციის სუბიექტთა წრისა და თანამონაწილეთა სახეობების შესაბამისია. ამერიკის შეერთებული შტატების კანონთა კრებული, აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსი (240) და ესპანეთის ანალოგიური კოდექსის 176-ე მუხლი წამების სუბიექტად ადგენს ნებისმიერ პირს, ასევე თანამდებობის პირს ან ორივე აღნიშნულ სუბიექტს, იმ აუცილებელი დათქმით (აშშ-ს შემთხვევაში), რომ ისინი კანონს ამოფარებულები მოქმედებდნენ. საერთო სუბიექტს მოიცავს სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ანალოგიური კოდექსების 117-ე და 127-ე მუხლები (შესაბამისად).

სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად, წამება განიმარტება, როგორც ძლიერი ტკივილის, ან სხეულის დაზიანების, ან მორალური ტანჯვის მიყენება, ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის ან მძიმე ზიანის მიყენების გარეშე. წამება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით . თანამდებობის პირის მიერ წამების ჩადენაზე დათქმა დამამძიმებელ გარემოებად არ განიხილება. მნიშვნელოვანია სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე (მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ ძალის

გამოყენება ჩვენების მიღების მიზნით), 308-ე და 309-ე (შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება) მუხლები. თუმცა, მათ საფუძველზე ისჯება თანამდებობის პირთა ვიწრო წრე. წამების, როგორც განსაკუთრებული პრობლემის გამო, არ იდევნებიან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მათ მიერ ჩადენილი არასამართლებრივი ქმედებების შემთხვევაში (მუხხ. 308 და 309) (345) .

აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსში წამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს ეძღვნება 133-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ისჯება ფიზიკური და მორალური ტანჯვის მიყენება სისტემატური ცემის ან სხვა ძალადობრივი ქმედებების შედეგად, თუ აღნიშნულს თან არ ახლავს ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის ან მძიმე ზიანის მიყენება.

ხსენებული დებულება დამამძიმებელი გარემოების სახით შეიცავს წამების ჩადენას სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ან მათი ინიციატივით მსხვერპლისაგან ინფორმაციის ან აღიარების მიღების, ასევე, მისი ან მესამე პირის დასჯის მიზნით რაიმე ქმედების ან უმოქმედობის გამო. ამავდროულად, დისკრიმინაციული განზრახვა დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენს. 133-ე მუხლში არაა გათვალისწინებული წამება ინფორმაციის ან აღიარების მიღების მიზნით არა უშუალოდ მსხვერპლისგან, არამედ მესამე პირისგან.

აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლში გათვალისწინებულია სასჯელი ეჭვმიტანილების, მოწმეების, დაზარალებულების და ექსპერტების იძულებისთვის (ან იძულების ბრძანებისთვის). აღნიშნული მუხლი შეეხება მხოლოდ პროკურორებსა და გამომძიებლებს და წამების გამოყენება მასში დამამძიმებელ გარემოებადაა განხილული. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით (თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უკანონო ძალადობრივ ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნენ წამებად კონვენციის 1-ლი მუხლის და არა სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად. და ბოლოს, კოდექსის 113-ე მუხლით წამება აკრძალულია და განიხილება, როგორც საერთაშორისო დანაშაულის კონტექსტში (344).

უკრაინის სსკ-ის მიხედვით, წამების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან ფიზიკური თუ მორალური ტანჯვის წინასწარ განზრახვით მიყენებაზე წამების, ცემის ან სხვა ძალადობრივი ქმედებების

გამოყენებით იმ მიზნით, რომ მსხვერპლი ან სხვა პირი აიძულოს განახორციელოს საკუთარი ნების საწინააღმდეგო ქმედება, მათ შორის, მიიღოს მისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის ცნობა ან აღიარება, დასაჯოს იგი ან სხვა პირი მისი/მათ მიერ ჩადენილი ქმედებების ან იმ ქმედებების გამო, რომელთა ჩადენაში ის/ისინი ეჭვმიტანილები არიან, ასევე დააშინოს ან მოახდინოს მსხვერპლისა თუ სხვა პირის დისკრიმინაცია.(343)

თურქეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, უკრაინისა და ესპანეთის სისხლის სამართლის კანონები თანამდებობის პირს ადგენენ, როგორც ცალკეული განსხვავების მატარებელ წამების სპეციალურ სუბიექტს. ასე მაგალითად, ყაზახეთის სისხლის სამართლის კოდექსში ვკითხულობთ, რომ: „წამება ფიზიკური ან/და ფსიქიკური ტანჯვის წინასწარ განზრახვით მიყენებაა, ჩადენილი გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის, ან სხვა თანამდებობის პირის მიერ ან მათთვის წინასწარი შეცნობით ან მათი მხრიდან წაქეზებითა თუ ჩუმი თანხმობით იმ მიზნით, რომ მიიღონ წამებულისგან ან მესამე პირისგან რაიმე სახის ცნობა ან აღიარება, დასაჯონ იგი თავის მიერ ჩადენილი ქმედების ან იმ ქმედების გამო, რომლის ჩადენაშიც ის ეჭვმიტანილია, ასევე დააშინონ მსხვერპლი ან მესამე პირი“. კანონმდებლობები, ასევე, ითვალისწინებენ წამებას დისკრიმინაციაზე დაფუძნებული მიზეზებით. (364)

მოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს, რომ წამებას ადგილი აქვს საგამოძიებო ქმედების - დაკითხვის წარმოებისას.

ყირგიზეთისა და რუსეთის (მუხლი 302) სისხლის სამართლის კანონებში ხაზგასმულია ქმედება ან უმოქმედობა თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ წამებასთან მიმართებით, გათვალისწინებულია თუ სხვა პირის რა შესაძლო თანამონაწილეობა შეიძლება ჰქონდეს, რომელიც თანამდებობის პირის (გამომძიებლის, დაკითხვის მწარმოებლის) თანხმობით ან წინასწარი შეცნობით მოქმედებს (362).

ყაზახეთის სისხლის სამართლის პრაქტიკა წამების სახესხვაობებს მოიცავს. სამწუხაროდ, ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს ცალკე სპეციალური ნორმა წამების შესახებ. მის ცალკეულ ელემენტს შეიცავენ შემდეგი მუხლები: „ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენება წინასწარ განზრახვით (103-ე მუხლი), „ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება წინასწარ განზრახვით“ (104-ე მუხლი), „ჯანმრთელობისთვის მსუბუქი ზიანის მიყენება წინასწარ განზრახვით“ (105-ე მუხლი), „ცემა“ (106-ე მუხლი), „ტანჯვის მიყენება“ (107-ე მუხლი). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ყაზახეთის კოდექსის

347-ე მუხლი „ჩვენების მიცემის იძულება“, რომელშიც სისხლისსამართლებრივად დასჯადად მიიჩნევა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმისაგან ჩვენების ან ექსპერტისგან დასკვნის იძულებით მიღება მუქარით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებებით გამომძიებლის ან დაკითხვის მწარმოებელი პირის მხრიდან. (363)

ყველა შესწავლილი სისხლის სამართლის კანონი წამების შემთხვევაში განზრახვას განიხილავს, როგორც ბრალის ფორმას. შედარებით ფართოდ გავრცელებულის (ინფორმაციის მიღება, დაშინება, დასჯა, იძულება) გარდა, თურქეთის კანონმდებლობა განსხვავებულ მიზნებსაც ითვალისწინებს, როგორიცაა, მაგალითად, ჩივილის ან ინფორმაციის მიწოდების აღკვეთა, ამერიკის კანონმდებლობაში მიზეზად სახელდება სასტიკი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის მიყენება, უკრაინაში - მსხვერპლის ან სხვა პირების დისკრიმინაცია და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ნორმების შედარებისას წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოლდოვას კანონმდებლობაში ასახული განსაზღვრება კონვენციის განმარტების შესაბამისია.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში წამება წარმოდგენილია როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ასე მაგალითად, უკრაინის სსკ-ში წამების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან ფიზიკური თუ მორალური ტანჯვის წინასწარ განზრახვით მიყენებაზე წამების, ცემის ან სხვა ძალადობრივი ქმედებების გამოყენებით იმ მიზნით, რომ მსხვერპლი ან სხვა პირი აიძულოს განახორციელოს მისი ნების საწინააღმდეგო ქმედება, მათ შორის, მიიღოს მისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის ცნობა ან აღიარება, დასაჯოს იგი ან სხვა პირი მისი/მათ მიერ ჩადენილი ქმედებების ან იმ ქმედებების გამო, რომელთა ჩადენაში ის/ისინი ეჭვმიტანილები არიან, ასევე დააშინოს ან მოახდინოს მსხვერპლისა თუ სხვა პირის დისკრიმინაცია (316, 321).

4.4. საქართველოს საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებები წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთასთან მიმართებით

საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელმაც მოახდინა წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის რატიფიკაცია, მისი 1-ლი ნაწილის მე-2 მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, იკისროს აღნიშნული კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესრულება: აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ:

- არავითარი განსაკუთრებული გარემოებით (ომის საფრთხით, საომარი თუ საგანგებო მდგომარეობით, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობით,) არ შეიძლება წამების გამართლება (გამომდინარე კონვენციის მე-2 ნაწილის მე- 2 მუხლიდან);

- არ შეიძლება წამების გამართლება ზემდგომი პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან მიღებული შესაბამისი ბრძანების აღსრულებით (მე-3 მუხლის შესაბამისად);

- სახელმწიფოს არ შეუძლია ადამიანის გაგზავნა ქვეყანაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ მას იქ წამება ემუქრება. იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად საფუძვლინია აღნიშნული ვარაუდი, მხედველობაში მიიღება მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევის მუდმივი პრაქტიკის არსებობა (გამომდინარე მე-3 მუხლიდან);

- ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია წამებასთან დაკავშირებულ დანაშაულობათა მიმართ იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო ბოროტმოქმედი იმყოფება მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, და იგი მე-8 მუხლის შესაბამისად არ გადასცემს მას ამ მუხლის I პუნქტში ნახსენებ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს (მუხლი 5);

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, სამოქალაქო, სამხედრო, სახელმწიფო თანამდებობის და სხვა პირების, ასევე სამედიცინო პერსონალის სასწავლო პროგრამებში ჩართვა, თუ ისინი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე,

რამენაირად დაკავშირებული არიან ადამიანის დაკავებასთან, დაკითხვასთან, პატიმრობასთან. მათ აუცილებლად უნდა მიეწოდოთ სასწავლო მასალები და ინფორმაცია წამების აკრძალვის თაობაზე. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მასალა და ინფორმაცია, რომელიც ეხება წამების აკრძალვას, სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის და სხვა პირთა მომზადების პროგრამებში, რომლებსაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ ნებისმიერი ფორმით დაკავებულ თუ დაპატიმრებულ პირებთან (გამომდინარე მე-10 მუხლიდან).

- ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ასეთი აკრძალვა შეაქვს წესებსა ან ინსტრუქციებში, რომლებიც ეხება ნებისმიერი ზემოაღნიშნული პირის მოვალეობებსა და ფუნქციებს (თანახმად, მე-10 მუხლისა)

- „ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლის და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა“ (მუხლი 11).

- ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება შესაბამისი ორგანოების მიერ, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ წამება ჩადენილია მის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე (თანახმად, მე-12 მუხლისა);

- ნებისმიერი პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ ის აწამეს მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უფლებამოსლია საჩივრით მიმართოს მის კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებმაც სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა განიხილონ შესული საჩივარი, ასევე მიიღონ მომჩივნისა და მოწმეების დაცვის ზომები (გამომდინარე მე-13 მუხლიდან);

- ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წამების მსხვერპლი ადეკვატური კომპენსაციის მიღების, საჭიროების შემთხვევაში, უფრო სრული სარეაბილიტაციო ხარჯების ანაზღაურების უფლებით. მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში, კომპენსაციის მიღების უფლება უნდა მიენიჭოთ მის კმაყოფაზე მყოფ პირებს (გამომდინარე მე-14 მუხლიდან);

- მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების შედეგად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება არ იქნეს გამოყენებული მტკიცებად ნებისმიერი სასამართლო გარჩევის დროს, გარდა იმ პირის მიმართ განცხადებისა, რომელსაც ბრალად ედება წამება (მე-15 მუხლის თანახმად);

- მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას საკუთარ იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიებზე თავიდან აიცილონ სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა აქტები, რომლებსაც არ მოიცავს კონვენციის 1-ლ მუხლში აღნიშნული წამების განმარტება.

- „ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა აქტები, რომლებსაც არ მოიცავს I მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება, როცა ასეთ აქტებს სჩადიან სახელმწიფო თანამდებობის ან სხვა ოფიციალური პირები, ან მათი წაქეზებით, ან მათი ნებართვით ან მდუმარე თანხმობით“ (მუხლი 16).

იმ ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის რატიფიკაცია მოახინეს, ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების განხორციელება და წამების აღკვეთის მიზნით ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ღონისძიებების გატარება საქართველოსაც ევალება.

4.5. წამებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრობლემები საქართველოს კანონმდებლობაში

ახლა გავაანალიზოთ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სისხლისსამართლებრივი პრობლემები წამებასთან დაკავშირებით.

წამების აკრძალვა მკაფიოდაა ფორმულირებული საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში, რომლის თანახმადაც:

„1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“ (324).

მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან ჩანს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ფაქტობრივად იმეორებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს. კონსტიტუციასა და საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ჰუმანიზმის პრინციპებთან შესაბამისად, გამყარებულია დებულება იმის შესახებ, რომ, როგორც სასჯელი, ისე სხვა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები არ შეიძლება მიზნად ისახავდეს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^3 მუხლებში არსებობს გარკვეული პრობლემები წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სისხლისსამართლებრივი კვალიფილაციის თვალსაზრისით. აღნიშნული პრობლემები განხილულია წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში და მათი გადაწყვეტის მიზნით შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები, კოდექსში შესატანი ცვლილებები და დამატებები.

4.5.1. წამება და ძალადობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ისტორიული მიმოხილვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავდა ნორმას/ნორმებს, რომლებითაც დგინდებოდა პასუხისმგებლობა წამების და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების გამო. საქმე იმაშია, რომ კომუნისტური წყობილების სახელმწიფოში, იდეოლოგიური მოსაზრებებით, არ დაიშვებოდა ხელისუფლების დისკრედიტაცია, რომლის წარმომადგენლები არ შეიძლებოდა განხილულიყვნენ, როგორც წამების სუბიექტები.

1999 წლის 22 ივლისს დამოუკიდებელ საქართველოში ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მიიღეს. მასში პირველად ჩართეს ნორმა, რომლითაც მოხდა წამების კრიმინალიზაცია, როგორც დანაშაულის ცალკე შემადგენლობისა. კერძოდ, მოცემული კოდექსის მეშვიდე კარის („დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“) XX თავში („დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ“) ჩართულ იქნა 126-ე მუხლი „წამება“. წამებისადმი, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისადმი მიდგომა ანალოგიური იყო რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობებში არსებული მიდგომებისა. საქართველოს სსკ 126-ე მუხლის დისპოზიციაში წამება განისაზღვრებოდა, როგორც

„სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“.

126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ იარსებებდა, თუ ძალადობის შედეგად დაზარალებულის ჯანმრთელობა მხოლოდ მსუბუქად დაზიანდებოდა. მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში პირი პასუხს აგებდა სსკ-ის 117-ე ან 118-ე მუხლების II ნაწილის ,,ე“ პუნქტით (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), 126-ე მუხლზე აპელირების გარეშე.

სსკ 126-ე მუხლის შესაბამისად დანაშაული კვალიფიცირდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არაერთხელ მეორდებოდა, და თანაც, როცა წინა ცემისა და ძალადობისაგან გამოწვეული ტრამვა დაზარალებულს ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა. ცემისა და ძალადობის ცალკეულ ეპიზოდებს შორის ძალიან დიდი შუალედების არსებობის შემთხვევაში ქმედებები სისტემატურად ჩადენილად აღარ მიიჩნეოდა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა ითვლებოდა დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის საშუალებად. (325)

უნდა აღინიშნოს რომ ამ მუხლით შეუძლებელი იყო ძალადობის ერთეული შემთხვევის წამებად დაკვალიფიცირება, იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულს განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა ადგებოდა, მაგალითად, როდესაც ძალადობა ჩადენილი იყო ადამიანის ორგანიზმზე ინტენსიური და ხანგრძლივი ზემოქმედებით, მაგალითად, ადამიანისთვის

ცეცხლის წაკიდებით, მისი ელექტროდენზე მიერთებით, ფრჩხილებში ნემსის ჩარჭობით, გავარვარებული ლითონის შეხებით, თმების მოგლეჯით და სხვ.

აღნიშნული გარემოება სსკ 126-ე მუხლის ხარვეზად მიიჩნეოდა, რის გამოც დღის წესრიგში დადგა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა.

ბუნდოვანი დისპოზიციის გამო მოცემული მუხლით ქ. თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლოებში მსჯავრდების შემთხვევა 2000-2006 წლებში არ აღრიცხულა. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდებოდა მხოლოდ ფიზიკური ტანჯვის ერთეული შემთხვევები, რომელთა კვალიფიკაცია სისტემატურობის ნიშნის არარსებობის გამო ხსენებული მუხლით არ ხდებოდა.

2005 წლამდე, სსკ 126-ე მუხლთან ერთად, წამების კრიმინალიზაციას ითვალისწინებდა სსკ 335-ე მუხლი: „განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება“. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე ითვალისწინებდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით, მათ შორის, სიცოცხლისათვის ან ჯანმთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, დაზარალებულის წამებით, პირის იძულებას განმარტების ან ჩვენების, ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის.

მოცემული მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, დაზარალებულის წამება პირდაპირ იყო მითითებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

ამ მუხლის შესაბამისად, დაზარალებულად ითვლებოდა მსჯავრდებული, მოწმე, დაზარალებული, სპეციალისტი, ექსპერტი.

მაკვალიფიცირებელ ნიშნებად მოიაზრებოდა ძალადობის ან წამების გამოყენება დასაკითხის მიმართ. ძალადობა მოიცავდა ჯანმრთელობისათვის მსუბუქი ზიანის მიყენებასაც.

წამების გამოყენების გარდა, მოცემული მუხლი მოიცავდა ფიზიკური ძალადობის, აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი ზომით შეცვლის, პატიმრობის პირობების გაუარესების, მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის გავრცელების მუქარასაც. დანაშაულის სუბიექტურ მხარეს პირდაპირი განზრახვა წარმოადგენდა. დანაშაულის სუბიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო

როგორც სპეციალური (მაგალითად, გამომძიებელი), ისე ზოგადი - ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებდა იძულებას გამომძიებლის დავალებით ან მისი უსიტყვო თანხმობით)

2006 წლის 28 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის უფრო ღრმა იმპლემენტაციის შესახებ, რის გამოც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ძალადობისა და წამების ფენომენთან დაკავშირებული უფრო სერიოზული ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები, პირველ რიგში, შეეხო 126-ე მუხლს, რომლის სახელწოდებაც „წამება“ „ძალადობით“ შეიცვალა.

2006 წლის 28 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად 126-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“.

შეცვლილი 126-ე მუხლის დისპოზიციის დებულებებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა შეწყვიტა წამებად წოდება ქმედებებისა, რომლებთანაც კავშირშია სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, და მათ ძალადობის კვალიფიკაცია მისცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა არ არის გამართლებული, რადგან სისხლისსამართლებრივი კოდიფიკაციის არსებული ტრადიციის თანახმად, ახალი მუხლის შემოღებისას კანონმდებელი არ იყენებს უკვე არსებული მუხლების ნუმერაციას და შემოაქვს დამატებითი ნომერი. (კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, მიზანშეწონილი იქნებოდა შემდეგი მითითება: გაუქმდეს მუხლი 126 (წამება) და შეიქმნას მუხლი 126^1 (ძალადობა).

თუმცა, „ძალადობის“ (126-ე) მუხლის ახალი რედაქციის პრობლემა მხოლოდ ნუმერაციითა და სისხლის სამართლის კოდექსში მისი ადგილით არ შემოიფარგლება; მიმაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა. მუხლის დასახელებაში ტერმინ „ძალადობის“ გამოყენება, ჩემი აზრით, სისტემური შეცდომაა და შეიძლება გაუგებრობის მიზეზად იქცეს კანონმდებლობის განმარტებისა და დასჯის

ღონისძიების შერჩევის დროს. ეს განპირობებულია იმით, რომ „ძალადობა“ ფართო ტერმინია, გამოიყენება ე.წ. ძალადობრივი დანაშაულების მთელი ჯგუფისთვის და გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლის დისპოზიციაში. კანონმდებელი მას (ისევე, როგორც სხვა ცნებებს), ჩვეულებრივ, იყენებს ფართო ლინგვისტიკური გაგებით და არ დებს მასში სპეციალურ შინაარსს. თუმცა, როდესაც ზოგადი ტერმინი (კონკრეტულ შემთხვევაში „ძალადობა“) შეჰყავთ კოდექსის კონკრეტული მუხლის დასახელებაში, ის სპეციალური, ანუ მუხლის დისპოზიციაში აღწერილი სპეციფიური გარემოებების მიმართ გამოყენებადი ხდება. ამგვარი მიდგომა ნიშნავს, რომ მოცემული ტერმინი აღარ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მუხლებში განსხვავებული ინტერპრეტაციებით, თუმცა, მას მრავალი სხვა მუხლის დისპოზიციაში ვხვდებით, რომ არაფერი ვთქვათ 144^1 - 144^3 მუხლებზე. მაგალითად:

მუხლი 125. «ცემა», ნაწილი 1. „...ცემა ან სხვაგვარი ძალადობა...“;

მუხლი 142^2. ნაწილი 2. „...რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა...“;

მუხლი 225. მასობრივი არეულობა. „...მასობრივი არეულობის ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა...“;

მუხლი 227^1. წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა. ნაწილი 2. „წყლის ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა“;

მუხლი 252. უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა. ნაწილი 1. „... თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ.“;

მუხლი 353. წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ;

მუხლი 365. მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით;

მუხლი 385. უფროსის მიმართ ძალადობა;

ბ. სახელწოდებასთან ერთად, 126-ე მუხლის დისპოზიციაც არ პასუხობს პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიზნებსა და ამოცანებს. სისხლის სამართლის კოდექსში უკვე არის 125-ე მუხლი, რომელიც თითქმის ანალოგიურია 126-ე მუხლისა.

ამ მუხლის ობიექტური მხარეში შედის „ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი».

აღნიშნული მუხლების დისპოზიციებისა და კონკრეტული ტერმინების (ცემისა და ძალადობის) შედარებისას, მოცემული ცნებების განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ „ცემა ძალადობის შემთხვევაში“ სისტემატურ ხასიათს ატარებს და დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს, „ცემა“ კი მხოლოდ ფიზიკური ტკივილის გამომწვევია. უნდა აღინიშნოს, რომ ცემა თავისი ხასიათითა და შედეგებით ”ცემად რჩება”, მითუმეტეს, რომ ხშირად ის სისტემურ ხასიათს ატარებს (მაგალითად, საყოფაცხოვრებო, ოჯახური ძალადობა), ისეთი სუბიექტური ცნება კი, როგორიცაა „ტანჯვა“ (და არა „ტკივილი“) ძნელად ექვემდებარება ობიექტურ შეფასებას დანაშაულის კვალიფიკაციის დროს. (100)

მოცემულ შემთხვევაში მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს ცემის სისტემატურობა, რომელიც არ საჭიროებს ცალკე მუხლის არსებობას და შეიძლება ჩართულ იქნას ბრალის დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე და 126-ე მუხლების გაერთიანება ერთ შემადგენლობად. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს 125-ე მუხლის („ცემა“) ახალი რედაქცია. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩართულია ცემა, რომელმაც ტკივილი გამოიწვია, ხოლო მე-2 ნაწილში - სისტემატური ცემა, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით და ტანჯვის შემცველია.

ამგვარი მიდგომა გაამარტივებს ძალადობრივი დანაშაულის ზოგიერთი ფორმის კვალიფიკაციას, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს არსობრივად ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედებების სისტემურ გაერთიანებას ერთ მუხლში.

აღნიშნული ცვლილებები შესაძლებლობას მოგვცემს, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოვიღოთ 126-ე მუხლი, რომელმაც შესაძლოა, სირთულეები გამოიწვიოს ძალადობრივი დანაშაულის გარკვეული ფორმების კვალიფიკაციისას. ამავდროულად, სისტემურად გაერთიანდება არსობრივად ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედებები კოდექსის საერთო მუხლში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დისერტაციის მე-6 თავში შემოთავაზებულია სსკ 125-ე მუხლის ახალ რედაქციის პროექტი.

4.5.2. წამების საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

წამების წინააღმდეგ კონვენციასთან ნაციონალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 23 ივნისს ახალი მუხლები (144[1] , 144[2], 144[3]) იქნა დამატებული. კანონდებელმა აღნიშნული მუხლები მოაქცია კოდექსის XXIII თავში „დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ“.

წამების ცნება და მაკვალიფიცირებელი ნიშნები სსკ 144[1] მუხლში წარმოდგენილ იქნა სრულიად ახალი რედაქციით, რომელიც მაქსიმალურად დაუახლოვდა წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეფინიციას.

სსკ 144[1] მუხლის 2006 წლის 28 აპრილის, რედაქციით წამება განიხილება, როგორც „პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“.

ობიექტური მხარიდან გამომდინარე,

1. წამების დროს ქმედება წინასწარგანზრახული ხასიათისაა და ხორციელდება ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან ფსიქიკური თუ მორალური ტანჯვის მიყენებით აღიარების მიღების, დასჯის, დაშინების, რაიმეს იძულების ან დისკრიმინაციის მიზნით;
2. წამება წარმოადგენს არამარტო მიზანმიმართულ ქმედებას, არამედ უმოქმედობასაც, როდესაც თანამდებობის პირი ვალდებული იყო გაეცნობიერებინა, რომ ამგვარი

უმოქმედობის შედეგი ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის მიყენება იქნებოდა;

3. წამება მოიცავს ქმედებებს, რომლებმაც გამოიწვიეს არამარტო ფიზიკური ტკივილი, არამედ ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა;
4. წამება მოიცავს, აგრეთვე, ქმედებებს, რომელთა შედეგად ინფორმაციას (აღიარებას, ჩვენებას, სხვ.) იძლევა არამარტო ის პირი, რომლის მიმართაც უშუალოდ იქნა გამოყენებული წამება, არამედ მესამე პირიც. ეს უკანასკნელიც წამების მსხვერპლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მანაც განიცადა მორალური ტანჯვა.
5. წამება შეიძლება გამოიყენონ არამარტო ინფორმაციის მიღების, არამედ პირის დასჯის მიზნითაც, მის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.
6. წამებად უნდა იქნას განხილული ფიზიკური ტკივილისა და ფსიქიკური ტანჯვის გამომწვევი ქმედებაც, რომელიც გამიზნულია იმისთვის, რომ წამების ობიექტმა ან მესამე პირმა ჩაიდინოს რაიმე ქმედება ან უარი თქვას მის ჩადენაზე.
7. წამება შეიძლება გამოიხატებოდეს პირისათვის ფიზიკური ტკივილისა და მორალური ტანჯვის მიყენებაში მისი რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური, სოციალური, ენობრივი, ასაკობრივი თუ სქესობრივი კუთვნილების გამო, ასევე მისი მოღვაწეობის ან გარკვეულ საკითხთან მიმართებით თავისი დამოკიდებულების გამო.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წამებისათვის დამახასიათებელი ნიშნების აღწერისათვის კანონმდებელი იყენებს განუსაზღვრელ ფორმულირებებს. მაგალითად, „ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომლის დროსაც...“ მსგავსი ტერმინების გამოყენება ართულებს დანაშაულის სამართლებრივ კვალიფიკაციას და სასამართლოს უფრო ფართო დისკრეციის საშუალებას აძლევს, რაც ზრდის სუბიექტივიზმის ალბათობას და, საბოლოო ჯამში, აფერხებს მართლმსაჯულების ეფექტურობას. (3, 118)

შინაარსობრივად ტერმინი „მოპყრობა“, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც აქტიური და აგრესიული ქმედება; „პირობების შექმნა“, როგორც წესი, გულისხმობს ცხოვრების ელემენტარული პირობების დაქვეითებას ან მოსპობას, რას შეიძლება გამოიხატებოდეს საკვების, სასმელის ან სხვა ელემენტალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეზღუდვაში.

განმარტებას საჭიროებს, აგრეთვე, წამების ცნების განსაზღვრებაში შემავალი ტერმინები „ქმედების ხასიათი, ინტენსივობა და ხანგრძლივობა ...“ წამებასთან დაკავშირებული ქმედება შეიძლება არ გამოირჩეოდეს განსაკუთრებული ინტენსივობით ან ხანგრძლივობით, მაგრამ დაზარალებულს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა მიაყენოს. ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ქმედების ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა (3, 248) თუმცა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ უწყვეტობა ხანგრძლივობის მახასიათებლად უფრო გამოდგება (სიტყვა ხანგრძლივობის უწყვეტი ბუნებიდან გამომდინარე), ვიდრე ინტენსივობისა, რომლის მახასიათებლადაც, „დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განმეორებადობა“ უფრო ადეკვატური იქნებოდა. ვინაიდან მოცემული დანაშაული მატერიალური ხასიათისაა, დამნაშავის ქმედებას მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი უნდა მოჰყვეს.

ქმედება წამების შემადგენლობაში წარმოდგენილია ორი კომპონენტით: ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის მიყენებით. სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ წამებას მიმართავენ სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის, ყველაზე ხშირად - სამართალდამცავი ორგანოების სამუშაო კაბინეტებში; წამებისთვის გამოიყენებენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მეთოდებს, განსაკუთრებით ცემასა და მუქარას; საშუალო ხანგრძლივობის ზემოქმედებით (15 წუთამდე) მსხვერპლის ჯანმრთელობას ადგება მსუბუქი ზიანი. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ წამების ხანგრძლივობა სუბიექტური ხასიათის მატარებელია, ვინაიდან შემთხვევათა უმრავლესობაში ინფორმაცია მის შესახებ მხოლოდ მსხვერპლის ჩვენებით მიიღება.

შერეული შემადგენლობის დანაშაულებში, რომელთაც წამებაც მიეკუთვნება, მიზეზობრივი კავშირის დადგენა რთულია, შედგება არაიშვიათად დროში განვრცობილი რამდენიმე ეტაპისგან, შედეგებიც შესაძლებელია დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის შემდეგ დადგეს.

მოცემული შემადგენლობით, დამნაშავის ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია დადგინდეს, რომ დანაშაულის მიზანს შეადგენს - დაზარალებულის ან სხვა პირის (მსხვერპლის ნათესავის, ახლობლის) იძულება, ჩაიდინოს რაიმე ქმედება საკუთარი ნების წინააღმდეგ.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება ბრალეულობის წინასწარ განზრახულობით (პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ფორმით) და სპეციალური მიზნის არსებობით - მსხვერპლის იძულებით თავისი ნების წინააღმდეგ ჩაიდინოს რაიმე ქმედება.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვემოთ, ცხრილში მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლების ობიექტური მხარე ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათი კვალიფიკაციის საკითხებს.

სსკ 126 წამება (1999 რედაქციით)	**სსკ 126 ძალადობა (2006 რედაქციით)**	**სსკ 144[1] წამება (2006 რედაქციით)**
სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის **ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია,** მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.	სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის **ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია,** მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.	პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით **იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას** და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

ცხრილიდან ჩანს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის „წამება“ **ობიექტური მხარე (1999 რედაქციით) იდენტურია სსკ 126-ე მუხლის „ძალადობის“ (2006 რედაქციით) ობიექტური მხარისა და ძალიან ჰგავს** სსკ 144[1] მუხლის „წამების“ (2006 რედაქციით) შესაბამის მხარეს, რომლის დეფინიცია მოიცავს ინტენსიურ ნეგატიურ ზემოქმედებას დაზარალებულზე, რომლითაც მას ფიზიკური ტკივილი და/ან ფსიქოლოგიურ ტანჯვა მიეყენება. ისმის ლოგიკური შეკითხვა, როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან „წამება“ და „ძალადობა“, თუ კანონმდებელიც ვერ ჩამოყალიბდა ამ კუთხით. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია, ვინაიდან დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია სერიოზული ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. სსკ 126-ე მუხლით ძალადობის გამო დადგენილი სანქციებით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე, სსკ 144[1] მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი წამებასთან დაკავშირებული სანქციები გაცილებით მკაცრია და დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

ისმის შეკითხვა, რა პრინციპული განსხვავებაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლსა (ძალადობას) და 144[1] (წამების) მუხლის 1-ლ ნაწილს შორის, რომლითაც დადგენილია უფრო მკაცრი სასჯელი ინკრიმინირებული დანაშაულისათვის. აღნიშნული მუხლების დისპოზიციათა ანალიზის საფუძველზე, სხვაობა მათ შორის არ ვლინდება. კერძოდ,

ორივე დანაშაული, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლისა და 144^1მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით:

- იწვევეს დაზარალებულის ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას.
- შეიძლება გააჩნდეს საერთო მოტივაცია, მათ შორის ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.
- დანაშაულის სუბიექტი საერთოა - 14 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი პირი.

ყველაფერი პრინციპულად შეიცვლება და ლოგიკურად დასაბუთებული გახდება, თუ კანონმდებელი დაადგენს, რომ სსკ 144^1 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაშაულის სუბიექტი არა საერთო, არამედ სპეციალურია. ამგვარი მიდგომა სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის მოცემული ნაწილის რეალური ჰარმონიზაციის საშუალებას მოგვცემს წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მესამე მუხლთან, რომელშიც აქცენტი კეთდება სპეციალურ სუბიექტზე, ანუ თანამდებობის პირზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელზე ან ფიზიკურ პირზე, რომელიც მათი დავალებით მოქმედებდა.

მიმაჩნია, რომ კონვენციის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციისათვის სსკ 144^1 მუხლის წამების სუბიექტად უნდა განისაზღვროს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი, ანუ თანამდებობის პირი ან ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება იყოს ორგანიზატორი ან/და ამსრულებელი. იმავდროულად, სხვა არასპეციალური სუბიექტი დამოუკიდებლად ვერ იქნება ხსენებული დანაშაულის ამსრულებელი. ის შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დანაშაულის თანამონაწილე, იმდენად რამდენადაც, წამების განსაზღვრებაში, კონვენციის მიზნებისათვის, პირდაპირაა მითითებული, რომ ტკივილი ან ტანჯვა (წამება) მიეყენება სახელმწიფო თანამდებობის ან სხვა პირის მიერ, რომელიც ოფიციალური უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ან მისი წაქეზებით, უსიტყვო თანხმობით ან მისთვის წინასწარი შეცნობით. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ წამების წინააღმდეგ კონვენცია ძირითად აქცენტს აკეთებს სახელმწიფო სტრუქტურებში მომხდარ წამების ფაქტებზე, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში, პენიტენციურ სისტემაში, ჯარში ან სტრუქტურირებულ გაერთიანებებში, რომელთაც განსაზღვრულ პირობებში (სამხედრო მდგომარეობა, სახელმწიფო გადატრიალება,

ოფიციალური ხელისუფლებისგან უკონტროლო ტერიტორიების არსებობა, სტიქიური უბედურება და ა.შ.) განსაზღვრული ძალაუფლება ან უფლებამოსილება გააჩნიათ. (222)

ასეთ შემთხვევაში სსკ 144[1] მუხლში დასახული მიზანი - ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ლოგიკურ აზრს იძენს. სპეციალური სუბიექტის არსებობა აღნიშნულ მუხლში განსაზღვრავს უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საფრთხეს და, შესაბამისად, საფუძველს ქმნის უფრო მკაცრი სასჯელისთვის, ვიდრე ამავე კოდექსის 126-ე მუხლი („ძალადობა“).

„სპეციალური სუბიექტად“ უნდა მოვიაზროთ ნებისმიერი პირი, რომელსაც დროებით ან მუდმივად ევალება სხვა პირის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი განკარგულებების გაცემა, ასევე, მის მიერ კანონების, ნორმებისა და წესების დაცვის კონტროლი.

ამგვარად, შესაძლებელია წამების კლასიფიკაცია შემდეგ ოთხ კატეგორიად:

- წამება, რომელიც ჩადენილია გამოძიების პროცესში აღიარებისა და ჩვენების მოპოვების მიზნით;
- წამება, რომელსაც გამოიყენებენ პირის დასჯის მიზნით;
- პრევენციული წამება, რომლითაც პირს აიძულებენ ჩაიდინოს ან არ ჩაიდინოს ესა თუ ის ქმედება;
- წამება დისკრიმინაციული მოსაზრებებით პირის რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური, სოციალური, ენობრივი, ასაკობრივი თუ სქესობრივი კუთვნილების გამო, ასევე, მისი საქმიანობის ან გარკვეულ საკითხთან მიმართებით თავისი დამოკიდებულების გამო.

ამგვარი მიდგომა წამების, როგორც საერთაშორისოსამართლებრივი კატეგორიის განმარტებისადმი, საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ გავმიჯნოთ აღნიშნული ნეგატიური ფენომენი საყოფაცხოვრებო, ოჯახური ან ძალადობის სხვა ფორმებისგან. (181)

144[1] მუხლით რეგულირებული დანაშაულის მსხვერპლს, როგორც წესი, ასევე სპეციფიკური კატეგორიის პირები (მოქალაქეები) წარმოადგენენ, რომლებიც გარკვეული გარემოებების გამო,

კანონმდებლობის შესაბამისად, დაექვემდებარნენ გარკვეულ შეზღუდვებს: „დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირები (პატიმრები, ფსიქიატრიული ან სხვა დახურული ტიპის საავადმყოფოების პაციენტები, სამხედრო მოსამსახურეები, ტყვეები და ა.შ.).

მსგავსი მიდგომის გაანალიზებისას, ისმის კანონზომიერი შეკითხვა იმის თაობაზე, რომ, თუ 144[1] მუხლის მიხედვით წამება შეიძლება ჩადენილ იქნეს სპეციალური სუბიექტის მიერ, მაშინ როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს დამნაშავის (საერთო სუბიექტის) მიერ ჩადენილი ძალადობა, მაგალითად, ოჯახის წევრის მიმართ, როდესაც სახეზეა მტანჯველი ტკივილისა და ტანჯვის მიყენება (ანთებული სიგარეტის სხეულზე მიდება, გაწკეპლვა და ა.შ.), იმდენად რამდენადაც, მსგავსი ქმედებები საყოფაცხოვრებო დონეზე საზოგადოებაში წამებად განიხილება. ოჯახური ძალადობის შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები, არამედ სხვა ნორმები, რომლებიც მითითებულია მე-11[1] მუხლში. ობიექტური მსგავსების მიუხედავად, ქმედების წამებად კვალიფიკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტის არსებობის შემთხვევაში, რაც სრულად შეესაბამება წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის დებულებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია მიზანმიმართულად ზღუდავს წამების განსაზღვრების ჩარჩოებს, როგორც საერთაშორისო დანაშაულისას, როდესაც ქმედებები მიმართულია ადამიანის უფლებების მასობრივ, უხეშ და ამაზრზენ დარღვევაზე. კონვენციის განმარტებით მასალებში მითითებულია, რომ ძალადობა, რომელსაც წამების მსგავსი ხასიათი აქვს და აღმოცენდება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, ასევე, ხულიგნური, შურისძიებით ან პირადი მტრობით ნაკარნახევი მოტივებით, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც წამება. ამისათვის კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს სასჯელი მიყენებული ზიანის შესაბამისად - მკვლელობა, სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანებები, მიყენებული განსაკუთრებული სისასტიკით ან ძალადობით.(263)

სხვა სიტყვებით, წამებას, როგორც თანამედროვე სამართალში არსებულ დამოუკიდებელ ცნებას, ყოველთვის გააჩნია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვეციით და სხვა დოკუმენტებით განსაზღვრული საერთაშორისო კონტექსტი. ამავდროულად, კონვენციაში მითითებულია, რომ არანაირი განსაკუთრებული გარემოებები, როგორიც არ უნდა იყონ ისინი - საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა თუ სხვა, არ შეიძლება წამების გამამართლებელ გარემოებად ჩაითვალოს.

ლიტერატურაში აქტუალურია დისკუსია იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მძიმე დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში ან მისი გახსნისთვის, სახელმწიფო სტრუქტურებმა ლეგალურად გამოიყენონ ძალადობა და წამება დამნაშავეებისგან აუცილებელი ჩვენების მიღების მიზნით. ამგვარი დისკუსია განსაკუთრებით ცხარე გახდა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, როდესაც ანტიტერორისტული კამპანიის მსვლელობისას სპეციალური სამსახურები ძალადობას მიმართავდნენ ტერორიზმში ბრალდებულების მიმართ სხვადასხვა ქვეყნის სპეციალურ და საიდუმლო ციხეებში (58, 99). ამ მხრივ, საგულისხმოა, ასევე, მაგნუს გეფგენის საქმე, რომელსაც წამებით დაემუქრნენ იმ მიზნით, რომ გატაცებული ბავშვის ადგილსამყოფელი დაესახელებინა, რის გამოც პოლიციის თანამშრომლები მოგვიანებით პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი. (9, 494) (148, 194-228) უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ტკივილი ან ტანჯვა კანონიერი სანქციების შედეგია, მათგან განუყოფელია ან მათ მიერ შემთხვევითაა გამოწვეული. იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება „კანონიერ სანქციებში“, ადამიანის უფლებათა კომისიის 53-ე სესიაზე სპეციალური მომხსენებლის მოხსენებაში (E/CN.4/1997/7, პუნქტები 3-11) ნათქვამია, რომ ისეთი სასჯელის გამოყენება, როგორიცაა ქვებით ჩაქოლვა, გაწკეპლვა ან სხეულის ნაწილების მოკვეთა, არ შეიძლება კანონიერად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმიტომ, რომ ის, პროცესუალური თვალსაზრისით, კანონიერადაა სანქციონირებული.(302)

სპეციალური მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი განმარტება, რომელიც ემთხვევა ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების პოზიციებს, მხარდაჭერილი იქნა ადამიანის უფლებათა კომისიის 1998/38 რეზოლუციით, რომლითაც მთავრობებს შეახსენეს, რომ ფიზიკურად დასჯა შეიძლება გაუთანაბრდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას ან თავად წამებას (246).

არის სხვა პრობლემაც: ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს კონცეფცია „ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა“ (command responsibility), რომელიც ნებას იძლევა პასუხისგებაში მიეცეს პირი, რომლის მეთაურობისა და ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფება დანაშაულის უშუალო შემსრულებელი. ანუ, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი მექანიზმები თანამდებობის პირის პასუხისგებაში მისაცემად მისი

უმოქმედობის გამო, რაც გამოიხატება წინასწარ შეცნობით ან უსიტყვო თანხმობით წამებაზე თვალის დახუჭვაში შესაბამისი ბრძანების არარსებობის დროს (31, 117). თუმცა არსებობს პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვის ან შეუტყობინებლობისთვის, რომელიც არ ასახავს თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემის სიმკაცრეს და ა. შ.

წამების მაკვალიფიცირებელ ნიშნად, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლისა, უნდა ჩაითვალოს ანგარების გამო ჩადენილი წამება, როდესაც თანამდებობის პირი ან ხელისუფლების წარმომადგენელი დაზარალებულს აიძულებს განახორციელოს ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებული ქმედებები, ბიზნესის ან ქონების ჩუქება სახელმწიფოს ან მესამე პირის სასარგებლოდ საკუთარი ნების წინააღმდეგ. ამგვარი პრაქტიკა ხშირად გამოიყენებოდა საქართველოს საგამოძიებო ორგანოებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად ან პირადი გამდიდრების მიზნით. ამის მაგალითია საქართველოს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მაღალჩინოსნების საქმე, რომლებიც ძალადობის გამოყენებითა და წამებით აიძულებდნენ ნარკოტიკების მოხმარებისა და შენახვისათვის პასუხისგებაში მიცემულ პირებს, მათზე ან მათ ახლობლებზე გადაეფორმებინათ ძვირფასი ავტომობილები ან წილები ბიზნესში.

წამების მაკვალიფიცირებელ ნიშნად ასევე შეიძლება ჩაითვალოს მისი გამოყენება მძიმე დანაშაულის აღიარების ან მესამე პირისთვის მისი დაბრალების მიზნით. ასეთი დანაშაული შეიძლება იყოს ტერორიზმი, განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ტერორიზმი, ადამიანის გატაცება ან სხვა რაიმე ქმედება, რომლის გამოც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამგვარ ფაქტებს ასევე ჰქონდა ადგილი საქართველოს სპეციალური სამსახურების პრაქტიკაში 2003-2012 წლებში. ასე მაგალითად, ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტორეპორტიორებისა და ჯაშუშობასთან დაკავშირებული სხვა საქმეები (229).

სსკ 144[1] მუხლის სწორი კვალიფიკაციისთვის აუცილებელია წამების გამიჯვნა სხვა დანაშაულებისგან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში არ არსებობს მითითებები მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის წამებით მიყენებულ შედეგებზე, ანუ არსობრივად, მათ შეიძლება გამოიწვიონ მძიმე და არამძიმე შედეგიც ჯანმრთელობისთვის. რიგ შემთხვევაში, წამება შეიძლება ატარებდეს სისტემატურ ხასიათს პირისთვის ფიზიკური ტანჯვისა და ტკივილის მიყენებით, ზოგჯერ კი ამგვარმა ქმედებებმა შეიძლება არც შეუქმნას

საფრთხე მსხვერპლის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. როგორც ცნობილია, წამების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სისტემატური ცემა.

ხშირად წამება გამოიხატება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ტანჯვის მიყენებაში.

ნიშანი, რომელიც ასხვავებს წამებას სამართლებრივი კვალიფიკაციის კუთხით ცემის ან სხვა ძალადობრივი დანაშაულებისგან პიროვნების წინააღმდეგ, იმაშიც მდგომარეობს, რომ წამების დროს მხოლოდ ერთი მხარე (რომლის მიმართაც წამება გამოიყენეს) გამოდის დაზარალებული. ცემის ან ძალადობის სხვა ფორმების დროს შეიძლება დაზარალდეს ორივე მხარე - როგორც დამნაშავე, ისე მსხვერპლი. ანუ ამ დროს დანაშაულის მოტივაცია სულ სხვაა, მათ შეუძლიათ ფიზიკური ტკივილი მიაყენონ ერთმანეთს (მაგალითად, ორმხრივი ჩხუბი). განსხვავებულია დანაშაულის მოტივაცია წამების დროს. მის შემთხვევაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილი ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას. ანუ, აღნიშნული ნიშნები ქმნიან ერთობლიობას. მუხლით განსაზღვრული ნიშნებიდან ერთი მათგანის არსებობაც დამამძიმებელ გარემოებად განიხილება, რომელიც ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენების სასარგებლოდ მეტყველებს. წამების შემთხვევაში არ არსებობს მიყენებული ზიანის გრადაცია. ამავდროულად, მითითებული მუხლის დისპოზიციაში შეიძლება გამოიყოს ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ორი ფორმა ან მოხდეს დამატებითი კვალიფიკაციაც:

1. სიცოცხლისათვის საშიში;
2. სიცოცხლისათვის არასაშიში, რომელიც თავისი შედეგებით ასევე საშიშად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ჯანმრთელობისთვის მიყენებული მძიმე ზიანი შეიძლება სიცოცხლისათვის საშიში, სასიკვდილოც კი იყოს. პასუხისმგებლობა დგება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო მსხვერპლისთვის ტანჯვის მიყენების შედეგად, რაც თავის მხრივ, შედეგია დამნაშავის ისეთი ქმედებებისაა, როგორიცაა, მაგალითად, მსხვერპლისთვის ხანგრძლივად საჭმლის და/ან წყლის აღკვეთა, მისი ცივ ან არაშესაფერის სათავსოში მოთავსება, ხანგრძლივად ან არაერთგზის ცემა, ტკივილის არაერთჯერადად მიყენება ბლაგვი ან მჭრელი საგნებით, მტკივნეულ პოზაში (მაგალითად, ხელებით დაკიდებულ მდგომარეობაში) ხანგრძლივად ყოფნის იძულება და ა.შ.

წამების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამიჯვნა ხელოვნურია. მაგალითად, სექსუალური ხასიათის წამება, როგორც წესი, იწვევს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის

სიმპტომების განვითარებას ფიზიკური ძალადობის არარსებობის შემთხვევაშიც. ქვემოთ მოყვანილი წამების მეთოდების ჩამონათვალი იძლევა სასტიკი მოპყრობის ზოგიერთი შესაძლო კატეგორიის დემონსტრირების საშუალებას. აღნიშნული ჩამონათვალი არაა ყოვლისმომცველი და არც მკვლევარებისთვისაა განკუთვნილი. წამების შედეგად მიღებული საერთო სურათი არ გახლავთ ჩამონათვალში მითითებული მეთოდებით სხეულისათვის მიყენებული დაზიანებების უბრალო ერთობლიობა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წამების ჩამდენი პირი ხშირად ახდენს ყურადღების ფოკუსირებას ერთერთ მეთოდზე და კამათობს იმაზე, წარმოადგენს თუ არა ის წამების ფორმას.

წამების მეთოდებს განეკუთვნება (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):

ა) ტრავმის მიყენება ბლაგვი საგნით, მაგალითად, მუშტით-კასტეტით, ფეხით, ელექტროსადენით, ხელკეტით, ასევე სილის გაწვნა, გაწკეპვლა;

ბ) წამება სხეულის დაკიდებით, დაჭიმვით;

გ) დამწვრობის მიყენება ანთებული სიგარეტით, გახურებული ინსტრუმენტებით, მდუღარე სითხით, ტუტეებითა და მჟავებით;

დ) ელექტროშოკი;

ე) ე.წ. „სველი“ და „მშრალი“ ასფიქსია თავის წყალქვეშ ჩაძირვით, მექანიკური ზეწოლით, ქიმიური ნივთიერებებით;

ვ) თითების დაზიანება, მაგალითად, თითებზე ძლიერი დარტყმით;

ზ) შემღწევი ტრავმის (მაგალითად, ნაჩხვლეტი და ცეცხლნასროლი ჭრილობების) მიყენება, ნემსის შერჭობა ფრჩხილქვეშ;

თ) მარილის, მწარე წიწაკის, ბენზინის და სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება (ჭრილობებზე წასმის ან სხეულის ღრუებში შეყვანისთვის);

ი) სქესობრივი ძალადობა სასქესო ორგანოების დაზიანებით, სქესობრივი ხელყოფა სხვადასხვა საგნების გამოყენებით, გაუპატიურება;

კ) თითებისა და კიდურების მოტეხვა ან მათი არაქირურგიული მოკვეთა;

ლ) თითებისა და კიდურების სამედიცინო ამპუტაცია, ორგანოების ქირურგიული ამოღება;

მ) ფარმაკოლოგიური წამება სედაციური, ნეიროლეფსიური ან პარალიზური პრეპარატების ტოქსიკური დოზების გამოყენებით და სხვ.

ნ) თავისუფლების აღკვეთის არასათანადო პირობები, მაგალითად, შეზღუდული ფართი ან გადავსებული კამერა, განცალკევებით მოთავსება, ანტისანიტარული პირობები, არარეგულარული კვება ან უვარგისი საჭმლისა და წყლის მიწოდება, ექსტრემალური ტემპერატურით ზემოქმედება, იძულებით გაშიშვლება და სხვა.

ო) ნორმალური სენსორული სტიმულაციის (მაგალითად, ბგერითი, სინათლით, დროის) აღკვეთა, საკნის განათებით მანიპულირება, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის, ნორმალური ხანგრძლივობის ძილის, საკვების, წყლის, ტუალეტის წვდომის, დაბანის, მოძრაობითი აქტივობის, სამედიცინო დახმარების, სოციალური კონტაქტების, გარე სამყაროსთან კონტაქტის აღკვეთა, იზოლაცია ციხის შიგნით, სხვა პატიმრებთან კონტაქტის დაუშვებლობა, ინფორმაციის გაცვლის შეუძლებლობა;

პ) დამცირება, მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი ქმედების ჩადენის იძულება;

რ) სიკვდილით, ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენებით, წამებით, პატიმრობით მუქარა, სიკვდილით დასჯის იმიტაცია;

ს) ცხოველების (მაგალითად, ძაღლების, კატების, ვირთხების, მორიელების) თავდასხმით მუქარა;

ტ) პიროვნების ნების დათრგუნვა ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, როდესაც მას ამყოფებენ ორაზროვან მდგომარეობაში, აწვდიან ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, აცნობიერებინებენ საკუთარ უმწეობას, იძულებულს ხდიან ჩაიდინოს ღალატი და სხვ.;

უ) აკრძალული ქმედებების ჩადენა;

ფ) ძალადობა ქცევაზე - სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების, ქონების განადგურების, ასევე ღალატის ან ისეთი საქციელის ჩადენის იძულება, რომელიც ეწინააღმდეგება მსხვერპლის რელიგიურ მრწამსს (მაგალთად, მუსულმანისთვის ღორის ხორცის ჭმევა) და სხვ.;

ქ) სხვა პირის წამების აქტზე დასწრების იძულება (248, 45-48).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ „წამება გულისხმობს განზრახ არაადამიანურ მოპყრობას სერიოზული და სასტიკი ტანჯვის მიყენებით“, რომელსაც თან ახლავს სირცხვილის დაღი. წამებას და სხვა აკრძალული მოპყრობისა თუ დასჯის სახეობებს შორის განსხვავება (მე-3 მუხლის ფარგლებში) დამოკიდებულია ზემოქმედების ინტენსივობასა და ხარისხზე, ასევე, მსხვერპლთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ გარემოებებზე. ამიტომ შეუძლებელია კატეგორიულად იმის განცხადება, რომ მოპყრობის განსაზღვრული ტიპი ყოველთვის განეკუთვნება ზემოთ დასახელებულ რომელიმე კატეგორიას (302).

უფრო მეტიც, სასამართლომ მიუთითა, რომ ტანჯვის ხარისხი, რომელიც აუცილებელია წამების კვალიფიკაციისათვის, დროით არ იზღუდება. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი ქმედება, რომელიც წარსულში კვალიფიცირდებოდა, როგორც „არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა“, მომავალში შეიძლება „წამებად“ დაკვალიფიცირდეს, „იმდენად რამდენადაც, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში სულ უფრო და უფრო მაღალი სტანდარტების დაცვის აუცილებლობა ჩნდება, რაც გარდაუვლად გამოიწვევს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ფასეულობების ხელყოფის უფრო მკაცრ შეფასებას“.

უკანასკნელ პერიოდში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კიდევ უფრო გააფართოვა წამებასთან გათანაბრებული სიტუაციების ჩამონათვალი, როდესაც Nevmerzhitsky უკრაინის წინააღმდეგ საქმის (2005წ) განხილვისას, იძულებითი კვების მანერა, რომელსაც შიმშილობაგამოცხადებული პატიმრის მიმართ იყენებდნენ, წამებას გაუთანაბრა (317).

მიუხედავად იმისა, რომ წამებას ხშირად სდევს თან მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის სერიოზული პრობლემები, მათ შორის, სიკვდილიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში არ არსებობს ნეგატიური შედეგების მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით აუცილებელია, სსკ 144[1] მუხლში შეტანილი იქნას შესწორებები და დამატებები. კერძოდ, მის მესამე ნაწილში მაკვალიფიცირებელი ნიშნის სახით უნდა დაემატოს მითითება ისეთ ქმედებაზე „რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“, - დანაშაულის ამგვარი კვალიფიკაცია შესაძლებელია, თუ წამების შედეგია მსხვერპლისთვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება. უნდა აღინიშნოს, რომ

მაკვალიფიცირებელი ნიშნების ანალოგიურ რედაქციას დამდგარი შედეგების მიხედვით ვხვდებით მუხლებში: 143 - „თავისუფლების უკანონო აღკვეთა“, 143^1 – „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, 143^2 – „არასრულწლოვნით ვაჭრობა“; (ტრეფიკინგი), 144 - „მძევლად ხელში ჩაგდება“.

დამდგარი შედეგების მიხედვით მაკვალიფიცირებელი ნიშნების ჩართვა 144^1 მუხლის დისპოზიციაში კანონმდებლის ერთიანი სისტემური მიდგომის მაჩვენებელი იქნება მოცემული ჯგუფის დანაშაულების მიმართ.

ასევე, ვფიქრობთ, 144^1 მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნას ქვეპუნქტი „ა“: „იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებულოი პირის მიერ“. აღნიშნულის აუცილებლობა ნაკარნახევია კონცეპტუალური მიდგომით, რომ „წამების“ მუხლში დამნაშავე შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი.

არ არის იმის აუცილებლობაც, რომ სპეციალურად გამოიყოს მაკვალიფიცირებელი ნიშნები 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის ქვეპუნქტში „ვ“: „იგივე ქმედება, ჩადენილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო“.

დანაშაულის წამებად კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა მიყენებული ძალადობისა და ტანჯვის მოტივაციას, იმდენად რამდენადაც, კონვენცია განიხილავს პასუხისმგებლობას წამების ან არაადამიანური მოპყრობის გამო ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით. შესაბამისად, მითითებული პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს.

სსკ 144^1 მუხლის მნიშვნელოვან მაკვალიფიცირებელ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს დაზარალებულის წინააღმდეგ სპეციალური საწამებელი ინსტრუმენტების ან მედიკამენტების გამოყენება. ამიტომ აუცილებელია მისი ჩართვა შესაბამის მუხლში შემდეგი რედაქციით: „იგივე ქმედება, ჩადენილი მედიკამენტების ან სპეციალური ინსტრუმენტების (ხელსაწყოების) გამოყენებით, რომლებიც განკუთვნილია წამებისათვის.“ ასეთი ინსტრუმენტები შეიძლება იყოს წამებისათვის სპეციალურად დამზადებული ან ადაპტირებული ნივთები და აპარატები, რომლებიც ამძიმებენ ტკივილს, ტანჯვას (დენის გენერატორი, უთო, შოკერი, მათრახი,

სეკატორი, სხვა მჭრელი და მჩხვლეტავი საგნები). მედიკამენტებს მიეკუთვნება ძლიერი ტკივილის, კონვულსიების გამომწვევი და სხვა საშუალებები. ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატის გამოყენებას, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. „სიმართლის შრატი“. დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ მსგავსმა მედიკამენტოზურმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ტანჯვა ან სერიზული ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას.

სსკ 144[1] მუხლის მნიშვნელოვან მაკვალიფიცირებელ გარემოებას უნდა წარმოადგენდეს წამება ანგარებითი მიზნით (მაგალითად, მსხვერპლის მიერ საკუთარი ბიზნესის ან ქონების გადაცემა სახელმწიფოს ან კონკრეტული პირის/პირების სასარგებლოდ.) საქართველოს პროკურატურაში შემოსულია არაერთი საჩივარი იმის თაობაზე, რომ 2003-2012 წლების პერიოდში მოხდა სამართალდამცავი სისტემის გამოყენებით მსჯავრდებულისგან ბიზნესების და ქონების ჩამორთმევა, რაც ხშირად ხორციელდებოდა ძალის და მუქარის გამოყენებით, მაგრამ ოფიციალურად ფორმდებოდა როგორც საჩუქარი.(366)

აგრეთვე, მიზანშეწონილია რომ მოხდეს პასუხისმგებლობის დამძიმება წამების გამო, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (ტერორისტული აქტის განხორციელების, ადამიანის მოტაცების, განზრახ მკვლელობის და სხვ.) აღიარების იძულების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად წამებასთან დაკავშირებული დანაშაული ჩაიდინება სქესობრივი ძალადობის გამოყენებით. ასე, მაგალითად, ცნობილია სექსუალური ძალადობის ფაქტები საქართველოს ციხეებში, ასევე, „ცოცხით გაუპატიურების“ ეპიზოდები. (364)

ამ მხრივ, აღსანიშნავია, აგრეთვე, საქმე Aydin თურქეთის წინააღმდეგ (1997 წ). სასამართლომ დაადგინა, რომ ქალის გაუპატიურება მისი დამკავებლების მიერ უთანაბრდება წამებას. მსგავსი გადაწყვეტილება მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდება საერთაშორისო სისხლის სამართალი სახელმწიფო მოხელეების მიერ გაუპატიურების ფაქტებს. მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ფართომასშტაბიანი ან სისტემური აგრესიული ქმედებების კონტექსტში ჩადენილი გაუპატიურება ამჟამად მიიჩნევა დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ (367). (8)

დამნაშავეები ხშირად იდენენ ან იმიტირებენ გაუკუღმართებულ სქესობრივ ქმედებებს (მაგალითად, სხვადასხვა საგნების გამოყენებით), რაც მიზნად ისახავს არა სქესობრივ დაკმაყოფილებას, არამედ აღიარების მიღებასა და/ან დამცირებას.

საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა წამება სექსუალური ძალადობის გამოყენებით - სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 (წამება) და 137-ე (გაუპატიურება) ან 138-ე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება) მუხლების დანაშაულთა ერთობლიობით, თუ 144^1 -მა მუხლმა უნდა მოიცვას დაზარალებულზე სექსუალური ზემოქმედების მსგავსი ფორმები?

პენიტენციურ პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი პატიმრების მიერ ერთმანეთის მიმართ ჩადენილ სქესობრივ ძალადობას. ასეთ შემთხვევებში, თუ ძალადობა მიზნად ისახავდა სქესობრივ დაკმაყოფილებას, მსხვერპლის დამცირებას, შურისძიებასა და სხვას, საქმე გვაქვს სექსუალურ ძალადობასთან, ხოლო, თუ ამგვარი ქმედება ჩაიდინება ადმინისტრაციის დავალებით ან უსიტყვო თანხმობით, სახეზეა წამების ფაქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სქესობრივი ძალადობის ქვეშ იგულისხმება გაუპატიურების ან სოდომიის ფაქტობრივი ჩადენა. გამოძიების მწარმოებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა, გაშიშვლება, ხელის ხლება, დამამცირებელი მოპყრობა, დარტყმები, ელექტროდენით ზემოქმედება ხშირად არ კვალიფიცირდება ხოლმე, როგორც სქესობრივი ძალადობის აქტი. ყოველი ასეთი აქტი წარმოადგენს პიროვნების ინტიმურ სფეროში ძალადობრივ შეჭრას და უნდა განიხილებოდეს, როგორც სქესობრივი ძალადობის განუყოფელი ელემენტი. ძალიან ხშირად დაზარალებული მალავს ან უარყოფს ამგვარი ძალადობის ფაქტებს (350, 32).

იმ შემთხვევაში, თუ გაუპატიურება მიზნად ისახავს აღიარებითი ან ოპერატიული ჩვენების მიღებას, არ უნდა იყოს აუცილებელი დანაშაულის კვალიფიკაცია მუხლების ერთობლიობით, არამედ უნდა გახდეს საკმარისი სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დისერტაციის მე-6 თავში („დასკვნები და რეკომენდაციები“) შემოთავაზებულია სსკ 144^1 მუხლის ახალი რედაქცია.

კანონმდებელმა 2005 წელს სისხლის სამართლის კოდექსში, 144^1 მუხლთან ერთად, შეიტანა წამებასთან დაკავშირებული ორი ახალი მუხლი. კერძოდ, სსკ 144^2 მუხლი „წამების მუქარა“ და სსკ 144^3 მუხლი „დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა“.

სსკ 144[2] მუხლის ობიექტური შემადგენლობა განმარტებულია როგორც „ამ კანონის 144[1] მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით.

მსხვერპლის მიმართ წამების გამოყენების მუქარა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არაადამიანური მოპყრობა იმ შემთხვევაში, როცა ეს მუქარა ობიექტურად რეალურია. წამების მუქარის აქტმა რომ დანაშაულის ფორმა შეიძინოს, აუცილებელია დამტკიცდეს, რომ ამ ქმედებამ გამოიწვია ისეთი დონის ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელიც, ჩვეულებრივ, არაადამიანურ მოპყრობასთან ასოცირდება. მსხვერპლის მიმართ წამების მუქარა განსაზღვრულ პირობებში შეიძლება განვიხილოთ, როგორც არაადამიანური მოპყრობა. მაგალითად, როდესაც დაკავებულ პირს ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები ემუქრებიან ელექტროშოკის გამოყენებით, ოჯახის წევრებზე შურისძიებით და სხვ. ეს განპირობებულია იმით, რომ შეზღუდული თავისუფლების პირობებში პირს არ შეუძლია ძალადობის აღკვეთა საკუთარი თავის ან ახლობლის მიმართ, მდგომარეობას, რომელშიც იგი იმყოფება, გამოუვლად აღიქვამს და განიცდის ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რომელიც არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიყენებულს უთანაბრდება. თუმცა, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, Campbell and Cosans v United Kingdom (1982წ.) საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად (პარაგრაფი 26), აუცილებელია, რომ წამებით მუქარა მსხვერპლის მიერ აღქმულ იქნას, როგორც რეალური და გარდაუვალი, რასაც თან ახლავს ძლიერი სულიერი ტანჯვა. (308) როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, დაკავებული ადამიანის მიმართ წამებით მუქარა ყოველთვის არ კვალიფიცირდება, როგორც არაადამიანური მოპყრობა. ასე მაგალითად, Tekin v Turkey (1998წ.) საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ანალოგიური საჩივარი ვინაიდან ჩათვალა, რომ მომჩივანის მტკიცება, თითქოს მას წამებით დაემუქრნენ არასაკმარისად დამაჯერებელი იყო იმისათვის, რომ დადგენილიყო წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. (366)

ვინაიდან 144[2] მუხლისათვის 144[1] მუხლი მითითებითი ხასიათის მატარებელია და ამ უკანასკნელის სუბიექტი მხოლოდ თანამდებობის პირია, წამებით მუქარის სუბიექტიც მხოლოდ სპეციალური შეიძლება იყოს. შესაბამისად, 144[2] მუხლის დისპოზიცია

შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ამ კანონის 144[1] მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა განხორციელებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით“. (4, 182-216)

დისერტაციის მე-6 თავში „დასკვნები და რეკომენდაციები“ შემოთავაზებულია სსკ 144[2] მუხლის ახალ რედაქცია დამატებებითა და ცვლილებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლი (144[3]) ეძღვნება დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. მოცემული დანაშაულის შემადგენლობა მჭიდროდ უკავშირდება წამების დანაშაულის შემადგენლობას და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იმპლემენტირებულია წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დებულებების შესაბამისად.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა კოდექსის ერთი მუხლის ჩარჩოებშია მოქცეული, იმდენად რამდენადაც, მათი გამიჯვნა პრაქტიკაში ძალიან რთულია. აღნიშნულისგან განსხვავებით, ქართველი კანონმდებელი წამების წინააღმდეგ კონვენციის დებულებების ერთგული რჩება და არ უშვებს აღნიშნული ცნებების ერთმანეთში აღრევას.

წამებასა და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით ეფუძნება ზემოქმედების ხარისხს. Donald Peers via Greece ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების მასალებში ნათქვამია, რომ წამება ყოველთვისაა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, თავის მხრივ, არაადამიანური მოპყრობა ყოველთვის ლახავს ღირსებას. არაადამიანური მოპყრობის ცნება, მინიმუმ, გულისხმობს ისეთ მოპყრობას, რომლის დროსაც მსხვერპლს შეგნებულად აყენებენ ძლიერ ტანჯვას, მორალურსა თუ ფიზიკურს, რომელთა გამართლება მოცემულ სიტუაციაში არ შეიძლება. სიტყვა „წამება“, ჩვეულებრივ, გამოიყენება არაადამიანური მოპყრობის აღწერისათვის, რომელიც მიზნად ისახავს აღიარების ან ჩვენების მიღებას, დასჯას და არაადამიანური მოპყრობის უფრო სასტიკ ფორმას წარმოადგენს. პირის მიმართ მოპყრობა ან მისი დასჯა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ღირსების შემლახველი, თუ ის

მნიშვნელოვნად ამცირებს მას სხვათა თვალში ან აიძულებს, იმოქმედოს თავისი ნების წინააღმდეგ (361).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ Irland via the United Kingdom საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნა, რომ წამების შემთხვევაში ლაპარაკია წინასწარგანზრახვით არაადამიანურ მოპყრობაზე, რომელსაც თან სდევს ძლიერი და სასტიკი ტანჯვა, განსახილველ შემთხვევაში კი გასაანალიზებელმა ქმედებებმა არ გამოიწვიეს ისეთი ძალის და სისასტიკის ტანჯვა, რომელიც, ჩვეულებრივი გაგებით, სიტყვა „წამების“ ქვეშ იგულისხმება. (368) Tyrer v. the United Kingdom საქმესთან დაკაშირებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „ მიყენებული ტანჯვა უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ დონეს იმისათვის, რომ დასჯა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც არაადამიანური მე-3 მუხლის შესაბამისად (362). ყოველივე აქედან გამომდინარე, მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობასა და დასჯის სახეობებს შორის განსხვავებას ძირითადად განსაზღვრავს მიყენებული ტანჯვის ხარისხი.

144^3 მუხლის დისპოზიციაში წარმოდგენილია ქმედებები, რომლებიც უკავშირდება პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემული დანაშაულის შემადგენლობა მჭიდრო კავშირშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 - 144^2 მუხლებთან, მოცემული დანაშაულის სუბიექტი ასევე სპეციალური უნდა იყოს.

144^3 მუხლის დისპოზიცია შემდეგი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: „პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, თუ ეს ქმედებები განხორციელებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით“.

დისერტაციის მე-6 თავში „დასკვნები და რეკომენდაციები“ შემოთავაზებულია სსკ 144^3 მუხლის ახალი რედაქცია დამატებებითა და ცვლილებებით.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს დანაშაულების კვალიფიკაცია, ერთი მხრივ, სსკ 144[1] მუხლის („წამება“), მეორე მხრივ კი, 332-ე („სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“) და 333-ე (“სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“) მუხლების მიხედვით, რომელთა დისპოზიცია დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს წამებას, მაგრამ მესამე ნაწილში გათვალისწინებულია ქმედებები, ჩადენილი ბ) ძალადობით ან იარაღის გამოყენებით; გ) დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

კერძოდ, როგორ გავმიჯნოთ “წამება” სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან გადამეტების დროს ჩადენილი ძალადობისგან ან დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვისაგან? მითუმეტეს, რომ წამება როგორც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან გადამეტების ფორმა ბევრი ქვეყნის მოქმედ კანონდებლობაშია ასახული. განსხვავება მათ შორის არსებობს.

კერძოდ, სსკ 332-ე მუხლში („სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“) და სსკ 333-ე მუხლში (“სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“) სსკ 144[1]-ე მუხლისგან („წამება“) განსხვავებით:

- სუბიექტური შემადგენლობა არ გულისხმობს დაზარალებულისთვის განზრახ ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას; მას არ მიმართავენ აღიარებითი ან სხვა პირის დამადანაშაულებრივი ჩვენების მიღებისთვის;
- ძალადობის ობიეექტები არ არიან გარკვეული მიზეზების გამო უფლებაშეზღუდული პირები (პატიმრები, ტყვეები, სამხედრო მოსამსახურეები, დახურული კლინიკების ან სპეციალური დაწესებულებების პაციენტები და ა.შ.)

ამდენად, ამ ცვლილებების გათვალისწინება, ვფიქრობ სრულყოფს იმ ხარვეზებს, რაც ახასიათებს დღეს მომქმედ ზემოთ მითითებულ მუხლებს სისხლის სამართლის კოდექსში და მოგვცემს წამების და ძალადობის დანაშაულობების სრულყოფილ დეფინიციას.

თავი 5. წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის ფორმების პრევენცია

დახურულ ინსტიტუციებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებამ, ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შემოსული საჩივრების ანალიზმა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის (2003–12 წწ) კვლევამ, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზმა და 2012 წლის სექტემბერში ტელევიზიებში გასულმა „ციხის კადრებმა“ ცხადყო, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რომელსაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პოლიციის სისტემაში ჰქონდა ადგილი. მასთან ბრძოლისათვის აუცილებელია ეფექტიანი, კომპლექსური პრევენციული სისტემის შემუშავება, რომელიც სისხლისსამართლებრივი პრევენციის საერთო თეორიულ პრინციპებს დაეფუძნება.

5.1. წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობის პრევენციის სისხლისსამართლებრივი ცნება

პრევენციის სისხლისსამართლებრივი ცნება ზოგადად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სახელმწიფოს ზემოქმედება სამართალდამრღვევის ქცევის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, რის შედეგადაც მიიღწევა სამართალდარღვევათა რაოდენობრივი მაჩვენებლების (დანაშაულის დინამიკის) შემცირება და ხარისხობრივი მაჩვენებლების (დანაშაულის სტრუქტურის) შეცვლა (178, 32).

სისხლისსამართლებრივი პრევენციის ელემენტებია:

a) სამართალდარღვევის პრევენციის ზოგადი, სპეციალური და ინდივიდუალური ღონისძიებები ინდივიდის ანტისოციალურ პიროვნებად ჩამოყალიბების სტადიაზე;
b) მზადების ეტაპზე მყოფი სამართალდარღვევის აღკვეთის ღონისძიებები;
c) სამართალდარღვევის აღკვეთის ღონისძიებები მსხვერპლის ხელყოფის სტადიაზე.
d) დანაშაულის პრევენცია უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ უნივერსალურ პრინციპებს:
   - სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან შესაბამისობას;
   - ჰუმანიზმს, მეცნიერულობას, დასაბუთებას, გეგმიურობას, შეტევითობას, დანაშაულის აღმკვეთი სუბიექტების პროფესიონალიზმს.

სისხლისსამართლებრივი პრევენციის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმი წარმოადგენს საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას სამართალდარღვევის მიზეზებისა და მისი ჩადენის ხელშემწყობი პირობების გამოვლენის, აღმოფხვრის, მინიმიზაციის ან ნეიტრალიზაციის გზით. აღნიშნული მექანიზმის სტრუქტურას შეადგენენ შემდეგი კომპონენტები:

- მმართველი სისტემა სახელმწიფოს, მისი ორგანოების, სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქის სახით;
- სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული მოქალაქის დანაშაულებრივი ქცევის განმაპირობებელი მართვადი სისტემა, წარმოდგენილი სოციალურ წინააღმდეგობრიობათა ერთობლიობით;
- საშუალებების, მეთოდებისა და ზომების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მმართველი სისტემის ზემოქმედება მართვად სისტემაზე სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული მოქალაქის კანონიერი ქცევის ფორმირების მიზნით;
- ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებენ მართვის სუბიექტებსა და ობიექტებზე და რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მართვითი ზემოქმედების (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვ.) განხორციელებისას.

სისხლისსამართლებრივი პრევენციის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში განვითარების ადრეულ ეტაპზეა. ეს განაპირობებს რიგი კანონის მიღების აუცილებლობას, რაც სისხლისსამართლებრივი პრევენციის სახელმწიფო-სამართლებრივი მექანიზმების და, კერძოდ,

„დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო სისტემის საფუძვლების სრულყოფის შესახებ“ კანონის დახვეწის საშუალებას მოგვცემდა.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების ეფექტური პრევენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი სტრატეგიისა და ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა.

პრიორიტეტი 1. ადამიანის უფლებების დაცვა, წამების დაუშვებლობა პიროვნების დაკავების, გამოძიებისა და სასამართლო პროცესების წარმოების დროს. მოცემული პრიორიტეტის ჩარჩოებში აუცილებელია ღონისძიებათა კომპლექსის რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს წამების შესახებ საჩივარზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდას, წამების შემთხვევათა ეფექტიან გამოძიებას, დამნაშავეთა დასჯას, წამების ფაქტების გამოძიების დამოუკიდებელი მექანიზმის შემუშავებას, წამების მსხვერპლის რეაბილიტაციასა და მისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას.

სტამბულის ოქმის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და მედმუშაკების სისტემური განათლების საკითხებს. ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს სისტემურ ცვლილებებზე, რაც გულისხმობს წამების ფაქტების დამოუკიდებელი საგამოძიებო ინსტიტუტის შექმნას, დამოუკიდებელ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას, წამების მსხვერპლის რეაბილიტაციასა და სხვ.

პრიორიტეტი 2. ადამიანის უფლებების დაცვა, წამების დაუშვებლობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამ კუთხით ძირითადი მუშაობა უნდა წარიმართოს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატურ მუხლთან ჰარმონიზაციის და ეროვნული პრევენციული მექანიზმის სრულყოფის მიმართულებით. წინასწარი დაკავების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სამხედრო ნაწილებში, ფსიქიატრიულ და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეღწევის შეზღუდვის გათვალისწინებით, აუცილებელია ომბუდსმენის უფლებამოსილების შემდგომი გაფართოვება დასახელებულ ორგანიზაციებში მონიტორინგის წარმოების თვალსაზრისით და სამოქალაქო კონტროლის ინსტიტუტის შექმნა.

პრიორიტეტი 3. ცალკეული რისკის ჯგუფის (ქალები, ბავშვები, წვევამდელები, სამხედრო მოსამსახურეები, ლგბტ) უფლებების დაცვა. დასახელებული ჯგუფების წარმომადგენლები

უფრო ხშირად ხდებიან სასტიკი მოპყრობისა და წამების მსხვერპლნი საკუთარი დაუცველობის ან დისკრიმინაციის გამო. მათი უფლებების დაცვის სტრატეგია საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1–144^3 მუხლებით წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა კრიმინალიზებულია და მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში, საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შესულ საჩივრებში აღნიშნულია, რომ მსგავსი ქმედებები ხშირად ან დაუსჯელი რჩება ან არასწორად კვალიფიცირდება, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სს კოდექსის 144^1–144^3 მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებული დანაშაულისთვის წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა წლების განმავლობაში დაბალი იყო, თუმცა, 2012 წლის სექტემბერში ნათელი გახდა, რომ წამება და არასათანადო მოპყრობა დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. 2013 წლის აგვისტოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის კუთვნილ და სხვა ტერიტორიებზე არაერთი ვიდეოჩანაწერი აღმოაჩინა, რომელიც მსგავს ქმედებათა სისტემურ ხასიათზე მიანიშნებდა, მათ შორის, სასჯელაღსრულების სისტემის გარეთაც. (საქართველო გარდამავალ პერიოდში, თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, 2013 წელი, გვ. 30-32.)

საქართველოს ახალი ხელისუფლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა მასობრივად დარღვევის (მათ შორის, წამების) უტყუარი ფაქტების არსებობამ, მეორე მხრივ კი, სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობამ სერიოზული ძალისხმევა მოითხოვა სამართალდამცავი სისტემის მხრიდან, რომლის თანამშრომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავად ასრულებდნენ უკანონო ბრძანებებს და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მოსაზრებებით ძალადობდნენ პატიმრებზე, სამხედრო მოსამსახურეებსა და სპეციალურ დაწესებულებებში მყოფ პირებზე. არსებული წინააღმდეგობრიობის გადასალახად, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებმა წამებისა და

სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების მეთოდები უნდა გამოიყენონ, როგორიცაა:

1. ფაქტების შესწავლა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ან სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენა მსხვერპლისა და მისი ოჯახის წინაშე;
2. რეციდივის თავიდან აცილების ღონისძიებების განსაზღვრა;
3. სამართლებრივი დევნის ხელშეწყობა, სათანადო შემთხვევაში კი, დისციპლინური სასჯელის დადება პირებისათვის, რომელთა ბრალეულობა ძიების შედეგად დადგინდა; სახელმწიფოს მხრიდან სრული ანაზღაურების აუცილებლობის განსაზღვრა სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ხარჯების ჩათვლით.

ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების ოპერატიული და ეფექტიანი გამოძიება მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით არასაკმარისად ნათელია, მაგრამ არსებობს სხვა მინიშნებები, რომლებიც მსგავსი დანაშაულის ჩადენის სასარგებლოდ მეტყველებენ. გამოძიების მწარმოებელი პირები უნდა იყვნენ კომპეტენტურები, მიუკერძოებლები, დამოუკიდებლები, არ უნდა მუშაობდნენ დაწესებულებაში, რომლის თანამშრომლის მიმართაც წარმოებს საგამოძიებო ღონისძიებები წამების შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, უნდა შეეძლოთ მიუკერძოებელი სამედიცინო და სხვა ექსპერტების ჩართვა ძიების პროცესში. ძიებისთვის გამოყენებული მეთოდები უნდა აკმაყოფილებდნენ ყველაზე მაღალ პროფესიონალურ სტანდარტებს, ხოლო შედეგები - აუცილებელად გასაჯაროვდეს.

საგამოძიებო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, გამოითხოვონ ძიების წარმოებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. გამოძიების მწარმოებელი პირები უნდა ფლობდნენ აუცილებელ საბიუჯეტო და ტექნიკურ საშუალებებს, ასევე იმის უფლებამოსილებას, რომ ჩვენების მისაცემად გამოიძახონ წამებაში ეჭვმიტანილი ნებისმიერი ოფიციალური პირი და მოწმე, მოითხოვონ მტკიცებულებები.

5.2. წამების პრევენციის სუბიექტები და მექანიზმები

წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღკვეთის მიმართულებით საქართველოში სახელმწიფო მონიტორინგის არაერთი მექანზმი ფუნქციონირებს. ესენია:

- ✓ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტრო.
- ✓ მთავარი პროკურატურა. მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებების დაცვის სამმართველო.
- ✓ საქართველოს სასამართლო სისტემა
- ✓ ომბუდსმენი - საქართველოს სახალხო დამცველი
- ✓ სახალხო დამცველის, როგორც ნაციონალური პრევენციული მექანიზმის მანდატი

10.2.1. წამების პრევენციის პრობლემატიკა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის ადამიანის უფლებების განყოფილება (353)

განყოფილება ახორციელებს პენიტენციური დაწესებულებების შიდა მონიტორინგს. მისი ფუნქციაა, გამოავლინოს წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი ზომები. განყოფილების მანდატი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის #8 დადგენილებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ (352). განყოფილების მანდატი ვრცელდება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა ჩადენილი დანაშაული (წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე პროკურატურას უნდა გადაეცეს), თუმცა, განყოფილებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური სანქციების განსაზღვრასთან დაკავშირებით სამინისტროს თანამშრომლების მიმართ. სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში ყოფნა არ აძლევს განყოფილებას დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოდ ჩამოყალიბების საშუალებას.

შესაბამისად, პატიმართა უფლებებზე უფრო მეტად ის უწყებრივი ინტერესების დაცვითაა დაკავებული.

შედეგად, გენერალური ინსპექციის დეპარტამენტმა ვერ იმუშავა, როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ. განყოფილების მანდატი რეალურად თავისუფლების აღკვეთის ადგილების პერსონალის დისციპლინურ სამართალდარღვევებზე ვრცელდებოდა, მაშინ როდესაც, წამება და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები სათანადო ყურადღების გარეშე რჩებოდა.

წამების პრევენციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია:

1. ადამიანის უფლებების განყოფილება გამოვიდეს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის ქვემდებარეობიდან და დაემორჩილოს პირდაპირ მინისტრს, რაც გაზრდის მის სტატუსსა და დამოუკიდებლობას;
2. თანამშრომლებისთვის შემუშავდეს სენსიტიური ინფორმაციის მოპოვების, შენახვის და გავცელების ინსტრუქცია, რაც გაამარტივებს ურთიერთობებს პატიმრებთან და აამაღლებს მათი მხრიდან ნდობას;
3. მოხდეს განყოფილების თანამშრომელთა მომზადება და გადამზადება ადამიანის უფლებათა საკითხებში სპეციალიზებული ტრეინერებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობით.

10.2.2. წამების პრევენციის პრობლემატიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში

2005 წლის იანვარში შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო. 2013 წლის 1 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრის №141 ბრძანებით დამტკიცდა სამმართველოს ახალი დებულება, რომლის მე-3 მუხლითაც განსაზღვრულია მისი ძირითადი ამოცანები: (369)

ა) დროებითი მოთავსების იზოლატორებში კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებულ პირთა დროებითი განთავსების უზრუნველყოფა;

ბ) იზოლატორში მოთავსებული პირების და იზოლატორის პერსონალის უსაფრთხოების, დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის, იზოლატორებში სამართალდარღვევების პრევენციის, აგრეთვე იზოლატორების მუშაობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება;

გ) ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ დაწესებულებებთან საქმიანობის წარმართვა;

დ) სამინისტროში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის ცალკეული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვის მონიტორინგი. (354)

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები ახორციელებენ გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებებს რეგიონული და ადგილობრივი პოლიციის ქვეგანყოფილებებსა და მათ იზოლატორებში (რაც იშვიათ ხასიათს ატარებს). მონიტორინგის მიზანია დაკავებულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. სანქციის დაკისრების საკუთარი უფლებამოსილება სამმართველოს თანამშრომლებს არ აქვთ. ისინი ამზადებენ მხოლოდ მოხსენებას შესაბამის საგამოძიებო ორგანოებში წარსადგენად.

შიდა მონიტორინგის გარდა, სამმართველოს მთავარი მოვალეობაა ადამიანის უფლებების დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შიგნით. მნიშვნელოვანია მისი წვლილი იზოლატორში მომუშავე პოლიციელებისთვის ადამიანის უფლებათა გაცნობის საქმეში. თუმცაღა, სამმართველოს ინტერესების სფეროში ძირითადად დროებითი დაკავების იზოლატორები ექცევა.

წამების პრევენციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მანდატის გაფართოვება, მისი დავალდებულება მეთვალყურეობა აწარმოოს არამარტო დროებითი დაკავების იზოლატორებზე, არამედ გამოავლინოს პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები დაკავების, დაკითხვის, დაპატიმრების, მსჯავრდებულის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის დროს;

2. სახალხო დამცველთან და არასამთავრობო ორგანოებთან თანამშრომლობის გაფართოვება ერთობლივი მონიტორინგის აქციების განხორციელების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
3. განყოფილების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სისტემატურობა ადამიანის უფლებათა საკითხებში სპეციალიზებული ტრეინერებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობით.

10.2.3 წამების პრევენციის პრობლემატიკა მთავარ პროკურატურაში

წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება, დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა საქართველოს მთავარი პროკურატურის პრეროგატივაა.

საქართველოს პროკურატურის შესახებ კანონის მე- 3 მუხლის (პროკურატურის ამოცანები) მიხედვით, პროკურატურა კანონით დადგენილი წესით ახორციელებს: (ა) სისხლისსამართლებრივ დევნას; (გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას (მათ შორის წამების საქმეების); (დ) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას; (ე) ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების ადგილებსა და პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს; (ვ) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე, და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას; (ზ) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას; პროკურატურა უფლებამოსილია მიიღოს საჩივრები მსჯავრდებულებისა და წინასწარ დაკავებაში მყოფი პირებისგან როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. (355)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურის ამოცანებში შედის სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობა, საპატიმროებში თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მათი საჩივრების მიღება.

თავისი ამოცანების გადასაწყვეტად მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგელობაში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებების დაცვის სამმართველო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლა.

სამმართველოს მიზნებს შორისაა მონიტორინგი და რეაგირება ადამიანის უფლებების დარღვევაზე, წამების და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ფაქტებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა პროკურატურაში, ციხეებში, წინასწარი დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში. თუმცა, სამმართველოს მანდატი ითვალისწინებს არა დაზარალებული კერძო პირის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესების დაცვას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის გასაჩივრებისას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროკურატურა ასევე ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის პოლიციის უბნებისა და დროებითი დაკავების იზოლატორების მონიტორინგს. მას, ამავდროულად, საპატიმრო ადგილების მონახულებისა და პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობის შემთხვევების გამოძიების მანდატიც გააჩნია. ამგვარი ვიზიტების საფუძველს, როგორც წესი, წარმოადგენს შეტყობინება სასტიკად მოპყრობის ფაქტზე ან ჟურნალში რეგისტრირებული მონაცემი პატიმრის მიერ ტრავმის მიღების შესახებ.

მონიტორინგი ტარდება ყოველდღიურად პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ოქმების საფუძველზე, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია სხეულის დაზიანების მქონე პატიმრებზე საგამოძიებო იზოლატორში, კოლონიაში, ციხის საავადმყოფოში შემოსვლის მომენტისათვის და ასევე აღწერილია დაზიანების მიღების გარემოებები. პროკურატურის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან მოინახულონ თავისუფლების აღკვეთის ადგილები, რათა გამოიძიონ, იყო თუ არა წამება ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობა სხეულის დაზიანების მიზეზი.

2012 წლამდე განხორციელბული საკანონმდებლო ცვლილებებით, პროკურატურამ პრაქტიკულად დაკარგა დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსი. კერძოდ, ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2008 წლის 21 ოქტომბრის რედაქციის მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იუსტიციის მინისტრს საპროკურორო უფლებამოსილება მიენიჭა. ამ კანონის მიხედვით, პროკურატურა, არამარტო დამოკიდებული გახადა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, არამედ მის ნაწილადაც იქცა. 2013 წლის 30 მაისს ,,პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი ისევ შეიცვალა, რის საფუძველზე მთავარმა პროკურატურამ დაიბრუნდა იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემული უფლებამოსილება, თუმცა, ის მაინც ვერ გახდა სრულად დამოუკიდებელი, ვინაიდან კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, იუსტიციის მინისტრს და პრემიერ-მინისტრს (ისევე როგორც მანამდე პრეზიდენტს) არ სჭირდება კანონით განსაზღვრული საფუძველი იმისათვის, რომ მთავარი პროკურორი თანამდებობიდან გადააყენოს. (356)

მომზადებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მთავარი პროკურორის კანდიდატს, შერჩევის დემოკრატიული და რამდენიმესაფეხურიანი სისტემის შედეგად აირჩევს პარლამენტი. გაიზრდება საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი და ბევრად მეტი ლეგიტიმაცია მიეცემა მთავარ პროკურორს. ახალი საკანონმდებლო პროექტის განხილვა მიმდინარეობს ვენეციის კომისიაში და საკანონმდებლო ორგანოში.

10.2.4 წამების პრევენციის პრობლემატიკა საქართველოს სასამართლო სისტემაში

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აღკვეთისა და პრევენციის საქმეში სასამართლო ინსტანციებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი პატიმრობის შესახებ, ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და გამოაქვს განაჩენი. სასამართლოს პირდაპირი მოვალეობაა პირის დაკავების/დაპატიმრების გარემოებების, მტკიცებულებების შეგროვებისა და აღიარებითი ჩვენების მიღების მეთოდების დადგენა. აღნიშნული მოვალეობა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტითა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით დადგენილი პრევენციული გარანტიებითაა უზრუნველყოფილი, რომელთა მიხედვით, სუბიექტს შეუძლია გაასაჩივროს

მისი დაკავების კანონიერება სასამართლოში, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია მიიღოს დაკავებული პირის გათავისუფლების გადაწყვეტილება. (333) ეს ეუთოს მოსკოვის შეხვედრის (1991) დასკვნით დოკუმენტშიცაა ასახული. მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან გარანტიას, რომ ყველა დაკავებულსა და დაპატიმრებულს ექნება უფლება, დაუყოვნებლივ წარსდგეს მოსამართლის ან დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრის უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირის წინაშე, რომელთა მიერ დაკავების არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ჩვეულებრივ, habeas corpus უფლებას იყენებს დაკავებული ან მისი სახელით მოქმედი პირი. მართლწესრიგის დამცავი შესაბამისი ორგანოს ან ბრალდების წარმომადგენლის ვალდებულებაა დაკავებული პირი სასამართლოს წარუდგინოს არაუგვიანეს კანონით დადგენილი ვადისა. აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დაკავება უკანონოდ ითვლება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 მაისის N341 დადგენილებით (370) შექმნილი ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს წამების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოსამართლის როლის გაზრდას, კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით: თუ სასამართლო სხდომის/განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ვარაუდი, რომ პატიმრის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულია წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, იგი უფლებამოსილია, გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის გამოძიების ორგანოს; მოსამართლე უფლებამოსილია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს განჩინებით დაავალოს სასამართლოსათვის პატიმრის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. განჩინებაში შესაძლოა მიეთითოს ინფორმაციის წარდგენის პერიოდულობა; თუ პატიმრის/მსჯავრდებულის დატოვებამ პატიმრობის/თავისუფლების

აღკვეთის იმავე დაწესებულებაში შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პატიმრის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა არსებობს ვარაუდი, მათ შორის, ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია, რომ პატიმრის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით დაავალოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს პატიმრის/მსჯავრდებულის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

წამების პრევენციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია მოსამართლეებმა გაიარონ სპეციალური ტრეინინგი წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესაძლო სახეობებისა და შედეგების ამოცნობისა და დროულად გამოვლენის მიზნით.

5.2.5. წამების პრევენციის პრობლემატიკა ომბუდსმენის - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში

წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში ერთერთ უმნიშვნელოვანეს როლს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტი ასრულებს.

სახალხო დამცველის პოსტი საქართველოში შეიქმნა პარიზის პრინციპების შესაბამისად 1996 წლის 16 მაისის #230 ორგანული კანონით (336), რომლის თანახმადაც სახალხო დამცველის ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. მისი მოვალეობაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მონიტორინგი და შეფასება, მათი დარღვევის ფაქტების განხილვა საჩივრების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის თანახმად, სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარ ფუნქციებს და მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს ემორჩილება. კანონი კრძალავს რაიმე სახის ზეწოლასა თუ ჩარევას საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში.

სახალხო დამცველის უფლებამოსილება და კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით სახალხო დამცველის შესახებ. (342) ის უფლებამოსილია მიიღოს

განცხადებები და საჩივრები საქართველოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან და მოქალაქეობის არ მქონე პირებისგან, კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისგან საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, ასევე საერთაშორისო მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლო დარღვევაზე, რაც, თავის მხრივ, შედეგია სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების ქმედებებისა თუ უმოქმედობისა.

პოლიციის მიერ დაკავებული, წინასწარი გამოძიების იზოლატორში და თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში მყოფი პირების განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე განცხადებებს სახალხო დამცველი იხილავს, თუ ავტორი ასაჩივრებს:

ა) სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას სასამართლო გარჩევის პროცესში;

გ) დაკავებული, პატიმრობაში მყოფი ან სხვა სახით თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების დარღვევას;

დ) ნორმატიული აქტების შეუსაბამობას საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა დებულებებთან;

ე) არჩევნებისა და რეფერენდუმის შესახებ ნორმების კონსტიტუციურობას, ასევე თავად არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობას, რომლებიც აღნიშნული ნორმების შესაბამისად უნდა ჩატარებულიყო.

მიღებული საჩივრების საფუძველზე ძიების წარმოებისას, სახალხო დამცველს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ოფიციალური დოკუმენტები და ახსნა-განმარტება ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის პირისგან, დაავალოს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებსა და ექსპერტებს ექსპერტიზის ჩატარება, მიიღოს მათგან კონსულტაცია, ჰქონდეს წვდომა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

2009 წელს სახალხო დამცველის ინსტიტუტს მიენიჭა ნაციონალური პრევენციული მექანიზმის ფუნქცია, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 3).

კანონი მოითხოვს, რომ სახალხო დამცველი უზრუნველყოფილი იყოს ნაციონალური პრევენციული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით.

ნაციონალური პრევენციული მექანიზმის მიზნების შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, საერთაშორისო და რეგიონულ ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირების წამებისგან და სხვა სახის სასტიკი მოპყრობისა თუ დასჯისგან დაცვის მიმართულებით. აღნიშნული სტატუსით სახალხო დამცველს უფლება აქვს გააკონტროლოს თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილი. 2011 წლის ნოემბრიდან ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინააღმდეგობის მიუხედავად, მას ბავშვთა, ასევე მოხუცთა და ინვალიდთა სახლების მონახულების უფლება მიენიჭა. ფორმალურად, ეს დაწესებულებები არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, მაგრამ იქ განთავსებულ პირებს არ აქვთ მათი დატოვების თავისუფალი ნება და მათზე ძალადობაც არაიშვიათია.

დაკავებული პირებისა და პატიმრების განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია და სახალხო დამცველთან უნდა გაიგზავნოს ფოსტით, გაუხსნელად, ადმინისტრაციის მიერ მათი გაცნობისა და ცენზურის გარეშე. ნებისმიერი ასეთი კორესპონდეცია სახალხო დამცველს დაყოვნების გარეშე უნდა გადაეცეს.

სახალხო დამცველს შეუზღუდავად შეუძლია შეაღწიოს ნებისმიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, სამხედრო ნაწილების, დაკავების, წინასწარი პატიმრობის, და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილების (ფსიქიატრიული, მოხუცთა და ბავშვთა დაწესებულებების) ჩათვლით. (მუხლი 15)

საკუთარი (როგორც ნაციონალური პრევენციული მექანიზმის) ფუნქციების შესრულებისთვის, სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა პროფილაქტიკისა და მონიტორინგის განყოფილება.

გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სახალხო დამცველი ქმნის სპეციალურ პრევენციულ ჯგუფებს. ცალკეული გამოსასწორებელი დაწესებულებისთვის ახალი ჯგუფები იქმნება პროფილაქტიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მიერ. ჯგუფის შემადგენლობა დამოკიდებულია მის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე. შესაბამისად, ბავშვთა სახლებს და პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორებს ერთი და იგივე პირები არ აკონტროლებენ, რაც მოქნილობის განსაზღვრულ ხარისხს უზრუნველყოფს. ექსპერტთა ჯგუფი დგება ნაციონალური პრევენციული მექანიზმის საქმიანობაში მონაწილეობაზე განცხადებების საფუძველზე კანდიდატების გამოცდილების, ცოდნისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით.

ჯგუფის შემადგენლობაში ოთხი-რვა ადამიანია. მათგან მინიმუმ 2-2 - კონკრეტულ დავალებაზე ერთად მუშაობს. ჩვეულებრივ ისინი სხვადასხვა პროფილის მუშაკები არიან (მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურე და უფლებადამცველი). ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ წინასწარი გაფრთხილების გარეშე ეწვიონ დაკავების ადგილებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, შეამოწმონ სარეგისტრაციო ჟურნალები, შეხვდნენ პატიმრებს, მათ შორის, თავიანთ კამერებში. ანგარიშები მტკიცდება სპეციალური პრევენციული ჯგუფების მიერ კონსენსუსის საფუძველზე. ნაციონალური პრევენციული მექანიზმის დეპარტამენტი ყოველწლიურად ორ-ორ დაგეგმილ სამონიტორო ვიზიტს ახორციელებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 19 ობიექტში და თითოეულ მათგანში ორი-სამი დღის განმავლობაში რჩება. ასევე, ხორციელდება ორი გეგმიური მონიტორული ვიზიტი ყოველ იზოლატორში. ვიზიტებს გეგმავს დეპარტამენტი პენიტენციური ადმინისტრაციისთვის შეუტყობინებლად.

მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები არასავალდებულოა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. ზოგჯერ მათი რეალიზაცია მნიშვნელოვანი დაგვიანებით ხდება, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ცვლილებები ომბუდსმენის მოხსენების გამო განხორციელდა.

არცერთ სხვა არასახელმწიფო მონიტორინგის ეროვნულ მექანიზმს არ აქვს წვდომა პენიტენციურ დაწესებულებებზე. მხოლოდ შესაბამის საერთაშორისო მექანიზმებსა და ორგანიზაციებს (ევროპის საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) შეუძლიათ პერიოდულად თვალის მიდევნება იქ არსებული მდგომარეობისთვის.

იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველის უფლებამოსილება ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, ის ძირითადად კონსულტაციური ხასიათისაა. მას შეუძლია რეკომენდაციების მიცემა კანონმდებლობაში შესწორებების შეტანის თაობაზე, არაკანონიერი ქმედების ჩამდენის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შემოთავაზება, სანქციების დანიშვნისა და საპარლამენტო გამოძიების ჩატარების ჩათვლით, რაიონული, სააპელაციო სასამართლოების მიერ შესაბამისი საქმეების განხილვაში ჩართვა, საჩივრის შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში, თუ დავა მიმდინარეობს არჩევნებისა და რეფერენდუმის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველსა და მის წარმომადგენლებს დამატებით უფლება აქვთ, შევიდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და მოითხოვონ ინფორმაცია ხელისუფლებისგან.

გარდა ამისა, შეუძლიათ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მისცენ რეკომენდაციები ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე, გადასცენ კონკრეტული საქმეები შესაბამის საგამოძიებო ან დისციპლინარულ ორგანოებს, თუ ჩათვლიან, რომ იკვეთება სისხლის სამართლის ან დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

სახალო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები საყურადღებოა, რის გამოც 2012 წლიდან საქართველოს პარლამენტში შეიქმნა სახალო დამცველის ანგარიშის განხილვის ახალი ფორმატი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალქო ინტეგრაციის კომიტეტი სახალხო დამცველის ანგარიშს იხილავს აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობით, სადაც ხდება რეკომენდაციების განხილვა, გაანალიზება და პარლამენტის მხრიდან გაზიარება. ამის პირველი პრეცედენტები 2013–15 წწ აღინიშნა.

წამების პრევენციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, 2015 წელს ახალი, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა მიღებული პატიმრობის შესახებ კოდექსში, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებში. სახალხო დამცველის პრევენციის მექანიზმის განმახორციელებელ პირებს, საპატიმროებში და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში წამების სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირებისა და სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინების მიზნით, ვიდეო-აუდიო საშუალებების გამოყენების უფლება მიეცათ, რომლითაც ისინი 2016 წლიდან ისარგებლებენ; აღნიშნული უფლების რეალიზებისთვის, სახალხო დამცველისა და სასჯელაღსრულების მინისტრის ერთობლივი შეთანხმებით, შეიქმნება ახალი მარეგულირებელი პროცედურები.

5.3. წამების პრევენციის საკანონმდებლო და ორგანიზაციული უზრუნველყოფა

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების აღკვეთის მიზნით აუცილებელია საკანონმდებლო, ორგანიზაციული და საინფორმაციო პრევენციული მექანიზმების არსებობა სახელმწიფო მართვის სისტემაში.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების 2015–16 წლის სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა 4 მიმართულება:

- არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი , პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;
- არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოვლენა და ყველა საჩივრის დროული, მიუკერძოებელი გამოძიება;
- არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა , კომპენსაცია და რეაბილიტაცია;
- არასათანადო მოპყრობის შესახებ სწავლებისა და შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

5.3.1 წამების პრევენციის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

წამების პრევენციის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ღონისძიებებია: მისი, უფრო მკაფიო სამართლებრივი დეფინიციის შემუშავება; მოცემული დანაშაულის ძირითადი ფორმებისა და სახეობების გამოვლენა; მსხვერპლისთვის მიყენებული ფიზიკური, მორალური ან მატერიალური ზიანის განსაზღვრა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესატყვისად. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა განისზღვროს:

- წამების სუბიექტები - 144[1] - 144[3] მუხლების მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულ უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური სუბიექტებისთვის

(თანამდებობის პირების, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის). საერთო სუბიექტი წამების გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, როგორც მხოლოდ თანამონაწილე ან შემსრულებელი.

- წამების ფორმები - კერძოდ, 144[1] მუხლში წამების ფორმებს უნდა დაემატოს წამება გაუპატიურებით (მათ შორის, სხვადასხვა საგნით), წამება სხვადასხვა მოწყობილობის (ინსტრუმენტის) ან სპეციალური მედიკამენტების გამოყენებით.
- წამების მიზნები - 144[1] მუხლში ჩართულ უნდა იქნეს წამება ანგარებით (მაგალითად, სახელმწიფოს ან კონკრეტული პირისთვის მსხვერპლის მიერ საკუთარი ბიზნესის ან ქონების გადაცემის მიზნით); წამება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (ტერორისტული აქტის, განზრახ მკვლელობის ჩადენის, ადამიანის გატაცების და სხვ.) აღიარების იძულების მიზნით.
- წამების შედეგები - იმავე 144[1] მუხლს ბრალის დამამძიმებელ გარემოებად უნდა დაემატოს წამება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

საკანონმდებლო პრევენციული მექანიზმების სრულყოფისათვის აუცილებელია, ასევე, წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლის, მოწმეების, გამოძიების მწარმოებელი პირებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი დაცვის სპეციალური მექანიზმების შემუშავება-სრულყოფა, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იქნება მათზე ძალადობის, ძალადობის მუქარის, დაშინების თავიდან აცილება, მსხვერპლთათვის ეფექტური სამართლებრივი დახმარების სამსახურის გაძლიერება და უფასო იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა.

5.3.2 წამების პრევენციის სტრუქტურული უზრუნველყოფა

ძალადობასთან და წამებასთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად შეიძლება იქცეს ე.წ. დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის (დსმ) შექმნა-ამოქმედება, რითაც ხელი შეეწყობა სისტემური დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და ბრალმდებლის ფუნქციის განხორციელებას სასამართლო ინსტანციებში. აღნიშნული დამოუკიდებელი სტრუქტურის არსი, საქმიანობის მიმართულებები და მუშაობის პრინციპები წარმოჩენილია „დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის შექმნის შესახებ“ კანონ-პროექტში, რომელიც აქტიურად განიხილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, ასევე, მიმდინარეობს

კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. პროექტი 4 თავისაგან შედგება მის მომზადებაში აქტიური როლი ითამაშა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა. პროექტი დადებითადაა შეფასებული ევროსაბჭოს ექსპერტის მიერ.[2]

„დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის შექმნის შესახებ“ კანონ-პროექტი მიზნად ისახავს სამართალმდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის დამოუკიდებელი, მიუკერძოებული და საზოგადოების მაღალი ნდობით აღჭურვილი მექანიზმის შექმნას (თანახმად 1-ლი მუხლისა).

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი გულისხმობს სისხლის სამართლის დევნის განხორციელებასა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას, თუ სახეზეა 126[1], 144[1], 144[2], 144[3] ან/და 335-ე მუხლებით ან 378-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. კანონი ავალდებულებს ყველა პირს, რომ ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში შეატყობინოს ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ შესაბამის სტრუქტურას (თანახმად მე-3 მუხლისა).

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს:

ა) ეფექტიანი გამოძიების წარმართვა იმ საქმეებზე, რომლებიც შეიცავენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულების სავარაუდო ჩადენის ნიშნებს;

ბ) სამართალდამცავი და სასჯელაღსრულების ორგანოების წარმომადგენლთა მხრიდან შესაბამისი დანაშაულების ჩადენის შესახებ საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ სისხლესსამართლებრივი დევნის განხორციელება.

გ) სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციის მექანიზმის წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათ მიერ გამოვლენილ ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლევრივი დევნის წარმოება.

დ) აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში „მხარედ“ მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

[2] დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის კანონ-პროექტი იხილეთ დანართში #2

ე) ფარული საგამოძიო მოქმედებების განხორციელება. (თანახმად მე-4 მუხლისა)

დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის საქმიანობის პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს:

ა) კერძო პირების ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას;

ბ) დამოუკიდებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს;

გ) ობიექტურობასა და მიუკრძოებლობას;

დ) კანონერებასა და ადეკვატურობას;

ე) საჯაროობასა და გამჭვირვალობას (თანახმად მე-5 მუხლისა).

დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს უნდა ხელმძღვანელობდეს კომისარი. მას ცენტრალიზებულად დაექვემდებარება ყველა თანამშრომელი (თანახმად მე-7 მუხლისა).

კანონ-პროექტის მიხედვით, კომისრის არჩევის პროცედურა ითვალისწინებს რამდენიმე საფეხურს, რაც, ავტორების აზრით, უზრუნველყოფს კომისრის დამოუკიდებლობას. (თანახმად მე-8 მუხლისა).

კომისარი დანიშნავს კონკურსის წესით შერჩეულ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გამომძიებლებსა და პროკურორებს (მე -10 მუხლი).

მესამე თავში განხილულია გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. დამოუკიდებელ საგამოძიო მექანიზმს უფლება ექნება, დაიწყოს და წარმართოს საგამოძიებო ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მათ შორის:

- დაუბრკოლებლად შევიდეს სასჯელაღსრულების, შშს და კერძო დაწესებულებებში;
- სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ და სრულად მიიღოს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის აუცილებელი ახსნა-განმარტება, ცნობა, დოკუმენტი, სხვა მასალა;
- ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევა და მოიწვიოს სპეციალისტები. (მე -11 მუხლი);
- დამოუკიდებლად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან დევნაზე უარის თქმა (მე-13 მუხლი);

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის წარმომადგენლებს (კომისარს, პროკურორს ან გამომძიებელს) მინიჭებული ექნებათ საკანონმდებლო გარანტიები, დამოურჩილებლობის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული თვითმმართველობის ნებისმიერი ორგანოს, თანამდებობის თუ იურიდიული პირის, ასევე თანამშრომლის დაჯარიმება (ჯარიმის ოდენობა განსაზღვრული იქნება 3-20 ათას ლარამდე). (მე-16 მუხლი)

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პარლამენტის წინაშე (მე-17 მუხლი). ის, ასევე, დაექვემდებარება საზოგადოების მხრიდან კონტროლს (მე-18 მუხლი).

მის საქმიანობაში გათვალისწინებული იქნება დაზარალებულების უფრო ფართო მონაწილეობა (მე-19 მუხლი).

ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი საგამოძიო მექანიზმის შექმნა გაზრდის ძალადობასთან და წამებასთან ბრძოლის ეფექტურობას, უფრო გამჭვირვალეს გახდის გამოძიების ყველა ეტაპს, დაზარალებულს შესაძლებლობას მისცემს, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საპროცესო მოქმედებაში და გაამარტივებს კონტროლს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

5.3.3 წამების პრევენციის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

წამების პრევენციის ორგანიზაციულ ღონისძიებებს უნდა მივაკუთვნოთ:

1. დახურული ტიპის ყველა დაწესებულებაში საზოგადოებრივი სამეთვალყურეო კომისიების დაშვების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ამისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა და ომბუდსმენის ოფისისთვის უნდა უზრუნველყოს:

ა) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა რიცხვის, თავად ასეთი ადგილების რაოდენობისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა;

ბ). პატიმრების მიმართ მოპყრობის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი ყოფნის პირობების თაობაზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გ). მეორე პუნქტის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მის შენობებსა და ობიექტებში შეუზღუდავი შეღწევა;

დ). მოწმეების გარეშე, პირადად ან, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარებით, კერძო საუბრის წარმოების შესაძლებლობა პატიმართან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელსაც შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შეეძლება;

ამავდროულად, უარი დაკავების კონკრეტული ადგილის მონახულებაზე შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ სასწრაფო წესით აღმოცენებულ და დამაჯერებელ გარემოებებს, რომლებიც უკავშირდება ეროვნულ თავდაცვას, სახელმწიფო უშიშროებას, სტიქიურ უბედურებას ან სერიოზულ უწესრიგობას მოსანახულებლად შერჩეულ ადგილზე, რაც დროებით ხელს უშლის მიზნის განხორციელებას. განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადება მონაწილე-სახელმწიფოს მიერ არ შეიძლება დასახელებულ იქნეს მონახულებაზე უარის მიზეზად.

2. წამების (ცემის) მტკიცებულების ფიქსაციის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ზომები სტამბულის ოქმით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და სტანდარტების მიხედვით; აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება წამების ან სასტიკი მოპყრობის ფაქტის გამოძიებაში მონაწილე სამედიცინო ექსპერტებს, რომლებიც ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ ყველაზე მაღალი ეთიკური ნორმებით და აცხადებდნენ გაცნობიერებულ თანხმობას ნებისმიერი ექსპერტიზისა და გამოკვლევის ჩატარებაზე.

ექსპერტიზა უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. დათვალიერება უნდა წარმოებდეს დახურულ კარს მიღმა სამედიცინო ექსპერტის მიერ უშიშროების სამსახურის აგენტების ან სხვა სახელმწიფო ოფიციალური პირების დაუსწრებლად. სამედიცინო ექსპერტმა ოპერატიულად უნდა მოამზადოს ზუსტი წერილობითი ანგარიში, რომელიც უნდა შედგეს სტამბულის 1999 წლის დეკლარაციის შესაბამისად. კერძოდ:

ანგარიში უნდა ატარებდეს კონფიდენციალურ ხასიათს და ეცნობოს გამოსაკვლევ პირს ან მის წარმომადგენელს;

მასში შეტანილ უნდა იქნას გამოსაკვლევი პირის ან მისი წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ ჩატარდა ექსპერტიზა;

საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი ანგარიში უნდა წარედგინოს ორგანოსა თუ პირს, რომელიც პასუხისმგებელია წამების ან სასტიკი მოპყრობის შესაძლო ფაქტის გამოძიებაზე. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მისი უსაფრთხო წარდგენა მოცემული ორგანოსა თუ პირებისათვის.

ანგარიში არ შეიძლება გადაეცეს არცერთ სხვა პირს გამოკვლეულის თანხმობის ან სასამართლოს შესაბამისი დადგენილების გარეშე.
3. სავარაუდო მსხვერპლის უფლებების გაფართოვებაზე ორიენტირებული ზომები. კერძოდ, სავარაუდო მსხვერპლი, თუკი ეს შესაძლებელია, თავიდანვე უნდა იყოს ინფორმირებული გამოძიების ხასიათის, ასევე იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც აუცილებელი გახდა მისგან ჩვენების მიღება. მსხვერპლმა ასევე უნდა იცოდეს, თუ როგორ იქნება გამოყენებული მის მიერ მიცემული ჩვენება, მისი რა ნაწილი დარჩება საიდუმლოდ და რა ნაწილი გახდება საჯარო. მსხვერპლს შეუძლია უარი თქვას, ითანამშრომლოს გამოძიებასთან მთლიანად ან მის რომელიმე ნაწილში. (147)

4. მსხვერპლისა და მისი ოჯახის წინაშე ინდივიდუალური და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენაზე მიმართული ღონისძიებები, რომლებიც უნდა მოიცავდნენ:

სამართლებრივი დევნის ხელშეწყობას, სახელმწიფოს მხრიდან სრული ანაზღაურებისა და კომპენსაციის აუცილებლობის განმსაზღვრელ ღონიძიებებს სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ხარჯების ჩათვლით; სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე შეტყობინებისა და ჩივილის ფაქტების ოპერატიული და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველმყოფელ ზომებს. პირდაპირი საჩივრის არარსებობის შემთხვევასიც კი საგამოძიებო სტრუქტურებმა უნდა ჩაატარონ ძიება, თუ არსებობს სხვა მინიშნებები წამებისა და სასტიკი მოპყრობის ჩადენაზე;

ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება წამებასა და სასტიკ მოპყრობაში ეჭვმიტანილი პირისთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერებაზე მის მიერ მომჩივანზე, მოწმეებსა და მათი ოჯახის წევრებზე, ასევე გამოძიების მწარმოებელ პირზე პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლისა თუ ძალაუფლების განხორციელების თავიდან აცილების მიზნით. გამოძიების მწარმოებელი პირები არ უნდა იყვნენ დამოკიდებული სავარაუდო დამნაშავეზე ან იმ ორგანიზაციაზე, სადაც ის მუშაობს.

5. *წამების აღკვეთის ეფექტური საზოგადოებრივი მექანიზმების შექმნის ღონისძიებები, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას:*

- უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქმედი ადვოკატების პოტენციალის გაძლიერებით, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართულებით (წამების მსხვერპლის პრაქტიკული დაცვა, სტრატეგიულ სასამართლო გარჩევებში მონაწილეობა, Amicus Curiae მოსაზრებების მომზადება, ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი, კანონმდებლობასა და სამართალგამოყენებით პრაქტიკაში ცვლილებების ლობირების ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება);
- ჟურნალისტების პოტენციალის ამაღლება წამების თემატიკის პროფესიონალური გაშუქების კუთხით;

თავი 6. დასკვნები და რეკომენდაციები

დისერტაციაში კომპლექსურადაა გამოკვლეული თანამდებობის პირთა მხრიდან ძალადობასთან (წამებასთან) დაკავშირებული აქამდე ნაკლებად შესწავლილი პრობლემები. ძალადობის მრავალწახნაგოვან ბუნებაში წვდომისათვის აუცილებელი გახდა საკითხის შესწავლისადმი სისტემური მიდგომა. ერთი მხრივ, ეს გამოიხატა ინდივიდუალური და კონტექსტუალური ფაქტორების ურთიერთკავშირის გაანალიზებაში, მეორე მხრივ კი ძალადობა განხილულ იქნა, როგორც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგი.

დისერტაციაში გაანალიზდა სხვადასხვა დეფინიციაში ასახული წამების განზოგადებული მახასიათებლები და ჩამოყალიბდა მისი ახლებური დეფინიცია, რომელშიც დეტალურად გამოიკვეთა დანაშაულის სუბიექტური მხარე და დამნაშავის პიროვნება. ისტორიულ ჭრილში გაანალიზდა წამების ფორმირების პროცესი და მისი გამოყენების მექანიზმი ანტიკური პერიოდიდან დღემდე. კრიმინოლოგიური დახასიათება მიეცა წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის მდგომარეობას, სტრუქტურასა და დინამიკას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ასევე, გაანალიზდა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ცნება, რომელიც სამართალგამოყენების პროცესში კონკრეტიზდება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით. განხილულ იქნა სასამართლო პრაქტიკა ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებთან მიმართებით. კრიმინალური ძალადობის (კერძოდ, წამების) მსხვერპლის დახასიათება.

ცალკე იქნა განხილული წამების, აგრესიისა და ძალადობის შედეგები (ფიზიკური, ფსიქიკური/ფსიქოლოგიური, სოციალური) და ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მათზე: წამების მიზნები, სახეობა, მსხვერპლის, გარემო პირობების დახასიათება, მკურნალობა და რეაბილიტაცია.

ემპირიულ დონეზე იქნა შესწავლილი საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის თაობაზე.

წარმოჩენილ იქნა წამებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომელთა მიღება ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. წამების წინააღმდეგ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების კვლევისადმი სისტემურმა მიდგომამ დღის წესრიგში დააყენა მათი სისტემატიზაციის აუცილებლობის საკითხი, რაც დისერტაციაში ასევე ფართოდ გაშუქდა.

გაკეთდა თურქეთის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, უზბეკეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობებში ასახული წამების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი.

შემუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის წამების მარეგულირებელ მუხლებში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რითაც ხელი შეეწყობა სამართალწარმოების ეფექტურობის ზრდას და დანაშაულის დონის შემცირებას.

აქ ამოსავალ წერტილად იქცა საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, რომლის ფარგლებშიც აუცილებელი გახდა წამების წინააღმდეგ ბრძოლის ნორმების იმპლემენტაცია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაში, მისი ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით.

შეთავაზებულ იქნა სპეციალური საგამოძიებო მექანიზმის შექმნის კანონპროექტი, რომელიც საფუძვლად დაედება კარდინალურ ცვლილებებს წამებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიებისა და ზედამხედველობის სფეროში.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა არაერთი საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაცია, თვალსაჩინო გახდა სახელმწიფოს თანამშრომლობა საერთაშორისო მექანიზმებთან, მაგრამ, სისტემურ პრობლემათა რიგის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გვესახება ქვემოთ დასახელებული რეკომენდაციების განხორციელება.

(ა) ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები: *(ა)*

1. *1.* რეფორმების გაგრძელება „სისხლის სამართლის რეფორმის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის“ ჩარჩოში, რომლითაც გათვალისწინებულია: პატიმართა უფლებების დაცვის მექანიზმის სრულყოფა, პირობების გაუმჯობესება სასჯელის მოხდის ადგილებში, პრობაციის სისტემის დახვეწა, სახალხო დამცველის მაქსიმალური ჩართულობა რეფორმების მონიტორინგის პროცესში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა;
2. წამების ფაქტების დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.

(ბ) საზოგადოებრივ კონტროლთან დაკავშირებული რეკომენდაციები : *(*

1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შიდაუწყებრივი აქტების ანალიზი მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შიდა უწყებრივი მონიტორინგის მექანიზმების შეფასება და დახვეწა;
2. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქმედი ადვოკატების პოტენციალის გაძლიერება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის კუთხით: (წამების

მსხვერპლის პრაქტიკული დაცვა, სტრატეგიულ სასამართლო განხილვებში მონაწილეობა, Amicus Curiae მოსაზრებების მომზადება, ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი, კანონმდებლობასა და სამართალგამოყენებით პრაქტიკაში ცვლილებების ეფექტიანი ლობირების სტრატეგიის შემუშავება.

3. პროფესიული ჯგუფების და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის კონსოლიდაცია საზოგადოებრივი ინტერესების ეფექტიანი დაცვისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას ანალიტიკური მასალების (policy paper) მომზადებით საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური განვითარების და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით.
4. ალტერნატიული მოხსენებების წარდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ადამიანის უფლებების რეგიონულ ორგანიზაციებში (ევროსაბჭო, ეუთო).
5. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პოლიციასა და სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის ინსტიტუტის შემოღების პოტენციალის შესწავლა და ასეთი მოდელების შემუშავება

(გ) სახალხო დამცველის, როგორც ეროვნული პრევენციული მექანიზმის საქმიანობასთან მიმართებით:

1. საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის რაოდენობრივი და უფლებამოსილების მანდატის გაზრდა დახურული ტიპის ყველა დაწესებულებაში;
2. ეროვნული პრევენციული მექანიზმის დაფინანსების გაზრდა;
3. სახალხო დამცველის მოხსენების საპარლამენტო განხილვის ახალი ფორმატის სტანდარტად დამკვიდრება და მისი საკანონმდებლო რეგულაციის შემოღება.

(დ) საორგანიზაციო რეკომენდაციები:

1. პოლიციის შესახებ კანონში იმ დებულებების გადასინჯვა, რომლებიც ეხება სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებას, ასევე, ამ დებულებების შესაბამისობაში მოყვანა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებში ჩამოთვლილ საკანონმდებლო საფუძვლებთან;

2. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის დაცვის უზრუნველყოფა;
3. ასევე, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე დადგინდეს: ა) სასამართლოს მიერ წინასწარი ძიების პროცესში მყოფი პირის განცხადების განხილვის პროცედურა წამების შესახებ; ბ)სასამართლოს ვალდებულება შეაჩეროს საქმის განხილვა მისთვის აღნიშნული განცხადების შესწავლისთვის მასალების გადაცემამდე და სხვ.
4. ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების შესახებ ჩანაწერის არსებობისას, ციხის ადმინისტრაციის, საჭიროების შემთხვევაში კი პროკურორების კანონმდებლობით დავალდებულება სასამართლოს მიერ, გამოიძიონ ტრავმის მიზეზები; პროკურორების სტიმულირება, ეფექტიანად გამოიძიონ წამების ფაქტები; სამინისტროსთვის საკუთარი თანამშრომლის მიერ ჩადენილი წამების ფაქტის გამოძიების აკრძალვა; ეროვნული პრევენციული მექნიზმებით გამოვლენილი წამების ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივი დევნის წახალისება.

(ე) საკანონდებლო რეკომენდაციები:

1. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-14 მუხლის (სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე მსხვერპლის უფლების შესახებ) იმპლემენტაცია;
2. სასჯელის გამკაცრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მიხედვით. განრიდების და ამნისტიის შესაძლებლობის გამორიცხვა წამების ჩამდენთა მიმართ;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა:
   - გაერთიანდეს ერთ შემადგენლობად სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე "ცემა" და 126-ე "ძალადობა" მუხლები. ამ მიზნით, შემოთავაზობულია 125-ე მუხლის („ცემა") ახალი რედაქცია (იხ. ქვემოთ);
   - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1, 144^2 და 144^3 მუხლების მიხედვით, წამების სუბიექტად მიზანშეწონილია მიჩნეულ იქნას მხოლოდ სპეციალური სუბიექტი (თანამდებობის პირი, ხელისუფლების წარმომადგენელი). საერთო სუბიექტი

წამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს მხოლოდ თანამონაწილეობის გამო.

- ამავე მუხლს 144[1] უნდა დაემატოს შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშნები:

ა. წამება სექსუალური ძალადობით (მათ შორის, სხვადასხვა საგნით);

ბ. წამება სხვადასხვა მოწყობილობის (ინსტრუმენტის), მათ შორის, სპეციალური მედიკამენტების გამოყენებით;

გ. წამება ანგარებითი მიზნით (მაგალითად, მსხვერპლის მიერ საკუთარი ბიზნესის ან ქონების გადაცემა სახელმწიფოს ან კონკრეტული პირის/პირების სასარგებლოდ.

დ. წამება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (ტერორისტული აქტის ჩადენის, ადამიანის მოტაცების, განზრახ მკვლელობის და სხვ.) აღიარების იძულების მიზნით.

ე. წამება, რომელმაც გამოიწვია სხვადასხვა სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება ან მსხვერპლის სიკვდილი.

კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული სსკ 125, 144[1] -144[3] მუხლების ახალი რედაქცია.

სსკ 125-ე მუხლის („ცემა“)შემოთავაზებული რედაქცია:

1. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.
2. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი,- ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ)დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

ე) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ვ) შეკვეთით;

ზ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

თ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

სსკ 144[1] მუხლის „წამება“ შემოთავაზებული რედაქცია:

1. წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განმეორებადობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, თუ ეს წამება მიყენებულია საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ან ოფიციალური სამსახურებრივი უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) ჯგუფურად;

დ) მედიკამენტების ან სპეციალური ინსტრუმენტების (ხელსაწყოების) გამოყენებით, რომლებიც განკუთვნილია წამებისთვის;

ე) სექსუალური ძალადობის გამოყენებით;

ვ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად, ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

ზ) შეკვეთით;

თ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ი) ანგარებით;

კ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში აღიარების იძულების მიზნით ან მესამე პირის წინააღმდეგ ცრუ დასმენის მიზნით .

3. იგივე ქმედება,–

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

სსკ 144[2] მუხლის „წამების მუქარა“ შემოთავაზებული რედაქცია:

ამ კანონის 144[1] მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა განხორციელებულია საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ან ოფიციალური სამსახურებრივი უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

სსკ 144[3] მუხლის „დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა“ შემოთავაზებული რედაქცია:

1. პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, თუ ეს ქმედებები განხორციელებულია საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ან ოფიციალური სამსახურებრივი უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით, - ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ კოდექსის 144^1–144^3 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

ბიბლიოგრაფია

წიგნები და მონოგრაფიები

1. ასანიძე ს. 2012. *უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია-ფულის გათეთრება.* თბილისი.
2. ბენიძე ვ. 1991. *1924 წლის აჯანყება საქართველოში.* თბილისი: სამშობლო.
3. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., გვენეტაძე ნ. *2011. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.* წიგნი 1. მეოთხე გამოცემა. თბილისი.
4. გამყრელიძე ო. და ავტორთა კოლექტივი. 2008. *სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.* თბილისი: მერიდიანი.
5. ლაგვილავა ი. 2012. *ადამიანის უკანონო ექსპლუატაციის პრობლემები.* თბილისი: წიგნის სახელოსნო.
6. მოსულიშვილი ა. 2013. *კრიმინოლოგიური თეორიების შესწავლის მეთოდური მითითებები.* თბილისი.
7. მესხიშვილი დ. 2012. *ორგანიზებული დანაშაული.* თბილისი.

8. ნაჭყებია გ. 2011. *სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი).* თბილისი.
9. ტურავა მ. 2011. *სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი).* თბილისი: მერიდიანი.
10. ურუშაძე ლ. 2001. *ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიისათვის* - "ამირანი", XIV-XV, მონრეალი-თბილისი
11. პეტერიკი უ., ტიორვი ბ., ფერგუსონი კ. 2013. *სასამართლო კრიმინოლოგია.* თბილისი.
12. ფროიდი ზ. 1999. *ფსიქოანალიზი და სიზმრების ახსნა.* თბილისი.
13. ღლონტი გ. 2009. *კანონიერი ქურდები საქართველოში.* თბილისი.
14. შალიკაშვილი მ. 2010. *კრიმინოლოგია.* თბილისი: მერიდიანი.
15. შალიკაშვილი მ. 2012. *ვიქტიმოლოგია.* თბილისი: მერიდიანი.
16. Arallyn Primm . 2013. *A History of "Trial By Ordeal* "http://mentalfloss.com/article/50161.
17. Bulmer, Martin.(1984. *The Chicago School of Sociology: Institutionalization, Diversity, and the Rise of Sociological Research*. Chicago: University of Chicago Press.
18. Baron Robert A. , Richardson Deborah R. 2004. *Human Aggression Springer.*
19. Brian Innes. 2002. *The History and Methods of Torture* Mason Crest Publishers.
20. Bassiouni M. C. 2010 - *The Institutionalization of Torture by the Bush Administration. Intersentia.*
21. Blenberger H. 1956. *Relations psychologique entre ie criminal et la victimes* // Revue Internationale de Criminologie et de Police Technique.. № 12.
22. Bentham, Jeremy. 1789. *An Introduction to the Principles of Morals and Legislation*.
23. Bernard Crick. 1974. *Crime, rape and gin: reflections on contemporary attitudes to violence, and addiction*.
24. Bishop J. 2006. *Aquinas on Torture,* New Blackfriars, 87:229.
25. Brian Williams Hannah Goodman Chong. 2009. *Victims and Victimisation: a Reader*. http://www.mhprofessional.com/product.php?isbn=0335225268
26. Carmen Andrew. 2010. *Crime Victims: An Introduction to Victimology*. Textbook.
27. Cesereanu R. 2007 *An Overview of Political Torture in the Twentieth Century.*
28. Codd R. 2008. *The shadow of the prison. Families, imprisonment and criminal justice*.
29. Cohn M. 2012. *The United States and Torture. Interrogation, Incarceration, and Abuse*. New York University Press.
30. James Davies. *The Importance of Suffering: the value and meaning of emotional discontent*. London: Routledge.
31. Chantal Meloni. 2010. *Command Responsibility in International Criminal Law.*

32. Donnelly P. Mark , Diehl Daniel. 2011. *The Big Book of Pain: Torture & Punishment Through History.*
33. Danner M. 2004. *Torture and Truth: America, Abu Ghraib, and the War on Terror.*
34. Dijk van Jan – *Introducing Vicimology* http://arno.uvt.nl/show.cgi?fid=122015
35. Doerner William, Steven Lab. 2011. *Victimology* Anderson Publishing.
36. Edwards A. Gill P. 2003. – *Transnational Organised Crime.* Perspectives on global security. Routledg.
37. Euenberger H. 1954. *Psychologische Biziehnugen zwischen Verbrecher und Opfer* // Zeitschrif fur Psychotherapie und Medizinische Psychotogie. № 4.
38. Fisher S. Bonnie & Lab Steven P. 2012. *Encyclopedia of Victimology and Crime Prevention* Publisher: SAGE Publications, Inc. London: T. Payne. Retrieved 12 December.
39. Fijnaut C. Paoli L. 2004. – *Organized Crime in Europe. Concepts, Patterns and Control Policies in the European Union and Beyond.*
40. Flannery, D.J., Vazsonyi, A.T.& Waldman, I.D. *(Eds.)* 2007. *The Cambridge handbook of violent behavior and aggression.* Cambridge University Press, NY.
41. Galtung, J. 1990. *Cultural Violence.* Journal of Peace Research, Vol. 27, No. 3.
42. Galtung, J. 1969. *Violence, Peace, and Peace Research.* Journal of Peace Research, Vol. 6, No. 3.
43. Hagemann Otman, Schafer P. and Schmidt S. Edit. 2009. *Victimology. Victim assistance and criminal Justice.*
44. Hall, C.S. Lindsey G. 1970 *Theories of Personality* N.Y.: John Wiley and Sons.; M.:, 1997.
45. Hawton K. 1992. *Suicide and attempted suicide* //In: Pankel E, ed. Handbook of Affective Disorders, 2nd ed. New York, NY: Guilford.
46. Heise LL, Ellsberg M, Gottemoeller M. 1999. *Ending violence against women.* Baltimore, MD, Johns Hopkins University School of Public Health, Center for Communications Programs, (Population Reports, Series L, No. 11).
47. Heise LL, Ellsberg M. 2002. *Researching Violence Against Women*
48. Hans von Hentig. 1948. *The Criminal and His Victim: Studies in the Sociology of Crime. New Hav.,* CT: Yale University Press.
49. Heitmeyer W. Haupt H. G. and other. 2011. *Control of Violence Historical and International Perspectives on Violence in Modern Societies.* Springer.
50. Holtzman E. 2005. *Torture and Accountability.* by, The Nation.
51. Hurrison S. Dark throphis. 2005. Hanting and the Enamy body in Modern War.
52. "Inquisition". 1913. *Catholic Encyclopedia*.
53. Jackson J. Farrall and E. Gray. 2007. *Experience and Expression in the fear of crime*

54. John P. J. *Dussich Victimology – Past, Present and Future* http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No70/No70_12VE_Dussich.pdf
55. Laub J.H. 1993, *Patterns of criminal victimization in the United States*. In Victims of Crime, ed R. Davis and other. London, Sage.
56. Levinson S. Edit. 2004. *Torture a collection. USA*
57. Lyman Rick. 2006. *In Many Public Schools, the Paddle Is No Relic*. New York Times.
58. McElliskem, Joseph E. 2004. *Affective and Predatory Violence: a Bimodal Classification System of Human Aggression and Violence*. Aggression & Violent Behavior .
59. Marjorie Cohn. 2012. The United States and Torture.
60. Malesevic S. *2010. The Sociology of War and Violence. Cambridge: Cambridge University Press.*
61. *McCoy Alfred* W. 2012. *Torture and Impunity The U.S. Doctrine of Coercive Interrogation.*
62. McElliskem, Joseph E. 2004. *Affective and Predatory Violence: a Bimodal Classification System of Human Aggression and Violen*ce. Aggression & Violent Behavior.
63. Mercy JA et al.(1993. *Public health policy for preventing violence.* Health Affairs.
64. Mendelson, B. 1963. *The Origin of the Doctrine of Victimology*. Excerpta Criminologica 239-44.
65. Mendelsohn, B. 1937. - *Methods to be used by Counsel for the Defense in the Researches made into the Personality of the Criminal*.
66. Nigel Rodley, Matt Pollard. 2009 *The Treatment of Prisoners under International Law,* 3 Edition
67. Oliveira E. O. 2008. *Victimology*
68. Enemy body in Modern War.
69. Parry John T. 2011. *Understanding Torture Law, Violence, and Political Identity.* http://www.press.umich.edu/1419256/understanding_torture#sthash.AxZk9OUC.dpuf
70. Rappaport, Roy A. 1981, *Pigs for the Ancestors: Ritual in the Ecology of New Guinea People*. Enlarged Edition. New Haven, CT: Yale University Press
71. Rodley Nigel http://function.mil.ru/news_page/country/more.htm?id=12006359@egNews#txt
72. Rodley Nigel, Pollard Matt. 2009. The Treatment of Prisoners under International Law, 3 Edition.
73. Rogers Juliet. 2013. *Law's cut on the body of Human rights.*
74. Rodliese Joseph. 2013. *State violence and execution of law*
75. Russil Durrant, Tony Ward. 2006 *Evolutionary explanations in the social and behavioral sciences: Introduction and overview Aggression and Violent Behavior* Volume 16, Issue 5, Pages 361-370
76. Sands P. 2008. *Torture Team. Rumsfeld's Memo and Betrayal of American Values*. Palgrave MacMillan.

77. Schafer Stephen. 1968. *The Victim and His Criminal.* New York: Random House.
78. Seigel, L. J. 2006. *Criminology*, 10th Edition. University of Massachusetts, Lowell. Thomson Wadsworth.
79. Schulz. F. William, Méndez E. Juan. 2007. The Phenomenon of Torture Readings and Commentary.
80. Sinibaldo Fieschi. 2008. *The Cardinals of the Holy Roman Church.*
81. Skoll Geoffrey R. 2012. *Social Theory of Fear: Terror, Torture, and Death in a Post- Capitalist World.* Palgrave Macmillan, Basingstoke, UK, and New York.
82. Shoham S.G., P. Knepper, M. Kett. Edited 2010. *International Handbook of Victimology.* CSC
83. Shapland J. Willmore, and Duff P. 1985. *Victims in the criminal justice system.* Aldershot, UK, Gower.
84. Spitz Shirley. 1989. *The Psychology of Torture.* Centre for the Study of Violence and Reconciliation,
85. Sutherland, Edwin. 1924. *Principles of Criminology.*
86. Sugarman, David B. *Willough Teena, Technology and violence: Conceptual issues raised by the rapidly changing social environment*. Psychology of Violence, Vol 3(1), Jan 2013, 1-8.
87. Tannenbaum F. 1938. *Crime in the community* New-York Ginn.
88. Tofan C. 2011. *Torture in International Criminal Law: Recent Case Law.*
89. Viano E. 1976. Pioneers in victimology.
90. Wertham Frederic. 1949. *The Show of Violence.* New York, New York: Doubleday.
91. Wolfgang Marvin. 1958. *Patterns in Criminal Homicide.* Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press.
92. Zalman Amy . Ph.D. 2007. *History of Torture and Terrorism.* http://terrorism.about.com/od/humanrights/p/Torture.htm,
93. Азаров А. 2003. *Права Человека Международные и российские механизмы защиты*. Москва.
94. Антонян Ю. и др. 2012. *Мотивация поведения осужденных*. Москва.
95. Бумаженко Н.И. 2010. *Виктимология.* Учебно - методическое пособие. Витебск. http://tempus.novsu.ru/file.php/1/Vitebsk/Viktimologija.pdf
96. Будье П. Пассрон Ж. *Основы теории символического насилия* http://ecsocman.hse.ru/data/2011/05/06/1268032824/06bur.pdf
97. Беккариа Чезаре. 2009. *О преступлениях и наказаниях.* М, http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bekkar/_Index.php
98. Валеев Р.М 2005. *Римский Статут Международного Уголовного Суда*. // Международное уголовное право. и др., Казань.
99. Гомьен Д., Харрис Д., Зваак Л. 1998. *Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия*: Право и практика. -М., Издательство МНИМП,

100. Гончаренко В.Д. 1999. *Право человека на свободу от пыток и других жестоких, бесчеловечных или унижающих достоинство видов обращения или наказания*. Теоретико-правовые аспекты, диссертация кандидата юридических наук. Волгоград.
101. Гладких Г. 2005.*Уголовная ответственность за пытки в Российской Федерации.* Автореферат диссертации па соискание ученой степени, кандидат юридических наук.
102. Глуздова О. В. 2002 *Психологические особенности вербальной агрессии в подростковом возрасте.* автореферат диссертации к.ю.н Нижний Новгород .
103. Денисов В.В. 1993) *Империализм и насилие.* М.: Знание.
104. Денисов В.В. 1978. *Социология насилия.* М.: Политиздат.
105. Дюркгейм Э. 2009 *Норма и патология* // Библиотека Гумер.
106. Дюркгейм Э. *Социальный элемент в самоубийстве* . http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Sociolog/Durkgeim/_Soc_Suicid.phphttp://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=498aab152Еишков В. 2001. *Насилие: хрестоматийные подходы М.*
107. Жданов Н.В. 2003. *Исламская концепция миропорядка*. М., Международные отношения.
108. Ибраева А. 2008.. *Уголовно-правовые и криминологические проблемы борьбы с насилием должностных лиц*, Астана.
109. Ильин В. *Тайны исчезнувших цивилизаций.* http://lib.rus.ec/b/406402/read
110. Каргашкин В.А. 1995. *Права человека в международном и внутригосударственном праве*. Москва.
111. Качурова, Е. С. 2009. *Виктимологическая характеристика и предупреждение насильственных преступлений, совершаемых в местах лишения свободы*. Дисс. к.ю.н. Иркутск; http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=1353294
112. Крамер Г. Шпренгер Я. *Молот ведьм* (Malleus Maleficarum)
113. Креч Д., Кратчфилд Р., Ливсон Н. 1992- *Нравственность, агрессия, справедливость.* // Элементы психологии. Москва.
114. Креч Д., Кратчфилд Р., Ливсон Н. 1992 *Нравственность, агрессия, справедливость.* // Элементы психологии. Москва.
115. Куртуэ С. и др. *Черная Книга Коммунизма Преступления, террор, репрессии*. http://blackrotbook.narod.ru/index.htm
116. Лиманская, И. В. 2002. *Виктимологическая профилактика насильственных преступлений против личности.* Автореферат диссертации на соискание ученой к.ю.н, http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=1172426

117. Лосицкая Л.К. 2003. *Международно-правовое сотрудничество в сфере борьбы с пытками и жестоким, бесчеловечным или унижающим достоинство обращением или наказанием*: диссертация кандидата юридических наук: Москва.
118. Льоренте Х.А. 2004. *История испанской инквизиции.* Том I.
119. Льоренте Х.А. 2004. *История испанской инквизиции.* Том II .
120. Лоренц Конрад. *Агрессия.* http://lib.ru/PSIHO/LORENC/agressiya.txt.
121. Лукашева Е.А., отв. ред. 1996.*Общая теория прав человека,* М., Норма.
122. Лукашук И.И. 1997. *Нормы международного права в международной нормативной системе*. Москва, изд. "Спарк".
123. Малкина-Пых И. 2006. *Виктимология. Психология поведения жертвы*. http://bookap.info/lichnost/malkina_pyh_viktimologiya_psihologiya_povedeniya
124. Мосс Марсель. 2003. *Общества. Обмен. Личность.* Труды по социальной антропологии.
125. Масленников К.И. 1999. *Оперативно-розыскные и криминологические проблемы*.
126. Масленников К. И. *Предупреждения насильственных действий сексуального характера.* Дисс.канд. юрид. наук. СПб. http://www.pravo.vuzlib.org/book_z1387_page_1.html
127. Милюков С.Ф. 2007. *Российское уголовное законодательство: опыт критического анализа*. http://www.pravo.vuzlib.org/book_z124_page_5.html
128. Мельник Г. 1999. *Сущность тоталитаризма в сравнении фашистской Италии и нацистской Германии.*
129. Новиков О. 2006. *Пытки в России. Позиции власти, правозащитников и Комитета ООН против пыток*. Москва. Общественный вердикт.
130. Ницше Ф. 1990 Соч. в 2 т. Т.1. – М.
131. Додонов В. Н., Малиновский А. А. 2006. *Основные тенденции развития зарубежного уголовного права*.
132. Охотин Н. , Рогинский А. 2004. *О масштабе политических репрессий в СССР при Сталине: 1921-1953*
133. Петин И. А. 2002. *Криминологические аспекты механизма преступного насилия.*
134. Подгайный, А. М. 2007. *Уголовно-правовая характеристика преступного насилия: Теория и практика:* Автореферат диссертации на соискание ученой степени к.ю.н. http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=1369621,
135. Ривман Д. 2002. *Криминальная виктимология.* Серия «Учебники для вузов» СПб.: Питер.
136. *Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI.* Под редакцией Д. Бакрадзе Тифлис 1887
137. Симонов В. И. 2007. *Уголовно-правовая характеристика физического насилия.* автореф. дис. канд. юрид. наук.

138. Сулейманова Н. Н. 2007. *Уголовно-правовые и криминологические проблемы борьбы с должностными преступлениями.* Автореферат диссертации на соискание ученой степени кан. юрид. наук.
139. Сытых Е.Л.(2000. *Агрессия и насилие: Грани сопряжения понятий*. // «Академия Тринитаризма», М., Эл № 77-65-67.
140. Сыропятов О. Г. 2013. *Психология допроса военнопленных*. Москва.
141. Тевлюкова, О. 2005. *Насилие как феномен социальной организации: опыт теоретико-методологического анализа*, диссертация к.ю.н., Новосибирск.
142. Токарчук Р.Е. 2008. *Насилие как составообразующий признак хищений: вопросы уголовной ответственности*. Омск,
143. Тишков Б. 2011. *Насилие: хрестоматийные подходы*. Москва.
144. Фром Э. 1992. *Душа человека*. Москва.
145. Фуко М. 1999. *Надзирать и наказывать. Рождение тюрьмы*. М.
146. Черных Е.В., Липинский Д.А. 2005. *Юридическая ответственность - целостное правовое явление*, N 3

პერიოდული გამოცემები

147. ლორდი ჯ. 2010. კონსენსუსით შენიღბული უთანხმოების შესახებ, წამების საწინააღმდეგო სამოქმედო სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფარგლებში. *საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ჟურნალი.* ლაიოლა ლოს-ანჯელესის ჟურნალი, #27;
148. ტურავა მ. 2011. წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად - სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით). *ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (სტატიათა კრებული). თბილისი.*
149. Alexopoulos Golfo. 2011. ”A Torture Memo: Reading Violence in the Gulag”. Teoksessa Golfo Alexopoulos et al. (toim.), *Writing the Stalin Era: Sheila Fitzpatrick and Soviet Historiography*. New York: Palgrave Macmillan.

150. Brown, D and Bogaarts Y. 2012 Child marriage: a violation of human rights, Marriage des enfants: une violation Christiansen, C. 2012, Early marriages and global research priorities on adolescent sexual and reproductive health, *The European Magazine for Sexual and Reproductive Health*, WHO.
151. Durrant Russil, Ward Tony, Evolutionary explanations in the social and behavioral sciences: Introduction and overview *Aggression and Violent Behavior* Volume 16, Issue 5, Pages 361-370
152. Combating violence against women: minimum standards for support services, Directorate General of Human Rights and Legal Affairs, *Council of Europe* , Strasbourg, September 2008
153. Crime Victimization and Security Research in Georgia. Results of Sociological Survey 2010- 2012.
154. GORBI International.
155. Galtung Johan. 1990. Cultural Violence. *Journal of Peace Research*. Vol. 27, No. 3 (Aug.,), pp.
156. McKenzie, Andrea. This Death Some Strong and Stout Hearted Man Doth Choose: The Practice of Peine Forte et Dure in Seventeenth- and Eighteenth-Century England .*Law and History Review*, Summer 2005, Vol. 23, No. 2, pp. 279–313
157. Ezzat A. Fattah. 2002. Victimology. *An International Journal* 1 (2) 1989,
158. Newton G. 1988. What is violence/. *The Wation*. № 4. P. 82.
159. Jones F. Stephen (October 1988). The Establishment of Soviet Power in Transcaucasia.
160. *The Case of Georgia 1921-1928»*. Soviet Studies 40, No. 4 (4): 616–639
161. Price, Caitlin (5 February 2005). CIA chief confirms use of waterboarding on 3 terror detainees". *JURIST*. Ret
162. Press-Release of the European Committee for the Prevention of Torture, 13 March 2007.
163. http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/south-caucasus-torture-russian-v8-web.pdf
164. World report on violence and health. World health organization. October 3rd, 2002. p.3 http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/full_ru.pdf
165. Tran, Mark. 2008. "CIA admit 'waterboarding' al-Qaida suspects". *The Guardian* (London).
166. Violence Prevention: the evidence", 2009.World Health Organization, Liverpool John Moores Un
167. Wormer Van *K.* April. 2009. Restorative Justice as Social Justice for Victims of Gendered Violence: A Standpoint Feminist Perspective. *Social Work*, , Vol.54, N2.
168. Walsh Bryan. 2009. Waterboarding: A Mental and Physical Trauma, *Time* http://content.time.com/time/nation/article/0,8599,1892721,00.html
169. Sugarman, David B.; Willough Teena. 2013. Technology and violence: Conceptual issues raised by the rapidly changing social environment. *Psychology of Violence*, Vol 3(1), 1-8. d
170. Victims, victimization and victimology http://www.mcgraw hill.co.uk/open up/chapters/03352098
171. Будье Ж. Пьер Пассрон *Основы теории символического насилия* http://ecsocman.hse.ru/data/2011/05/06/1268032824/06bur.pdf

172. Гремза Н.О. 2004. Возможные пути реформирования системы конвенционных органов в области международной защиты прав человека. // *Московский журнал м/ права,* № 2,
173. Гусейнов А.А. 1992. *Этика ненасилия*. // Вопросы философии-№3. - С. 72 - 81.
174. Колесников И.С. 2006 Уголовно-правовое понятие насилия. *Ползунковский Вестник*. № 3 http://elib.altstu.ru/elib/books/Files/pv2006_03_1/pdf/114koles.pdf
175. Катеринчук К.В. 2008. .Характеристика личности потерпевшего по делам о пытках // / *Юриспруденция: теория и практика.* № 7. С. 28-33.
176. Вицке Р. Э. Государственно-правовой Механизм Уголовной Превенции (теоретико-правовой аспект) http://lawtheses.com/gosudarstvenno-pravovoy-mehanizm-ugolovnoy-preventsii#ixzz3Eo0lKomS
177. Келман Г., 2005. Политический контекст применения пыток. Социопсихологический анализ, // *Международный журнал Красного Креста,* № 857.
178. Келин В., 1988 Борьба против пыток. *Международный журнал Красного Креста*, № 22.
179. Ковалев А.Л. 2006. Международные Конвенции против пыток и законодательство РФ, запрещающее пытки. *Московский журнал международного права*, № 1.
180. Ковалев А.А. 2007. Некоторые вопросы применения Конвенции ООН против пыток и других жестоких, бесчеловечных и унижающих достоинство видов обращения и наказания. *Казанский журнал международного права*, (№ 1).
181. Сабитов Т. 2012. Феномен насилия: проблема дигностики. Бишкек
182. Лукьянцев Г.Е. 2004. К вопросу о современных тенденциях развития международного сотрудничества и международного контроля в области прав человека (Проблемы и перспективы). *Московский журнал международного права.* Москва № 2
183. Миндиашвили А. 2007. Воспоминания о старце Гаврииле. *Издательство Грузинской Патриархии*
184. *Национальные механизмы предупреждения пыток на южном Кавказе* http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/south-caucasus-torture-russian-v8-web.pdf
185. Ившин В., Идрисова С. 2005 Виктимология: учебное пособие Москва;
186. Попович Л. Руководство по реабилитации жертв пыток, нечеловеческого обращения и различных форм насилия, а также их близких и родственников. http://skachate.ru/download/voennoe-13985/13985.doc
187. Попов В. П. 1992. Государственный террор в советской России, 1923—1953 гг. (источники и их интерпретация). *Отечественные архивы.* № 2, с. 26.
188. Протасевич А. Чигина Н. 2013. Криминологическая типология личности преступника в местах лишения свободы. Преступность и личность преступника в условиях глобализации и универсализации права УДК 343.91 *Криминологический журнал Байкальского государственного университета экономики и права*. № 2.

189. Сытых Е.Л. 2003, Агрессия и насилие: Грани сопряжения понятий. Академия Тринитаризма, М., Эл № 77-6567,публ.10706.
190. Сперанский В.И. 1995. Основные виды конфликтов: проблемы классификации. *Социально-политический журнал.*№ 4. - С. 164 - 175.
191. Скотт Дж. Р. 2002.История пыток /- М.: ОЛМА-ПРЕСС.
192. Табатадзе Г.С. 2003-2004. Насилие как социальное явление. Социология, Политология. *Вестник* Волгоград ГУ. Серия 7 Вып. 3 .
193. Тарасов А.- *Наследие Мао для радикала конца XX - начала XXI века* http://radical-xxi.narod.ru/mao.htm
194. Черных Е. В. (1997*). Юридическая ответственность и государственное принуждение*. // Теория государства и права/ Под ред. Н. И. Матузова, А. В. Малько. — М.: Юрист.

ინტერნეტის გამოცემები

195. An Ancient Punishment – The Whipping Post Last Used in Cecil in 1940
196. Bush: Top terror suspects to face tribunals, *CNN / AP*
197. Georgia: Torture and ill-treatment still a concern after the «Rose Revolution» // AI Index:
198. Georgia: Police torture and other ill-treatment must be relegated to the past // AI Index: EUR 56/003/2006 (Public). News Service No: 029. 2 February 2006;
199. http://www.coe.int/t/dg3/children/corporalpunishment/pdf/EnglishQuestionAnswer_en.pdf
200. http://www.encyclopedia.com/topic/corporal_punishment.aspx#2-1G2:3045300461-full
201. Judicial corporal punishment in Britain
202. http://samogo.net/articles.php?id=599
203. http://www.xpomo.com/ruskolan/rasa/yrod.htm
204. http://kprn.clubpn.org/club/libr/html/class/hoc1-46.txt
205. The Inquisition Record of Jacques Fournier Bishop of Pamiers 1318- 1325 http://www.all-crime
206. http://ria.ru/society/20071207/91375685.html
207. Obama's ban on torture: Minnesotans played a role
208. Внешняя и внутренняя политика в послевоенный период - "Мингрельское дело"История РФ - История России. 1917—2009 (Барсенков, Вдовин)
209. http://www.archive.perm.ru/PDF/lichn/subbotin
210. http://www.hrono.ru/dokum/193_dok/19390127stln.php
211. http://shorensteincenter.org/research-publications/
212. http://www.e-reading.ws/chapter.php/149466/161/Rybas_-_Stalin.html

213. http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/full_ru.p
214. http://www.womenshealthsection.com/content/print.php3?title=obs023&cat=21&lng=russia
215. http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/full_ru.pdf
216. http://www.med-pravo.ru/International/Tokyo.htm
217. http://evolutio.info/content/view/26/38/
218. http://www.omct.org/
219. http://simbir-archeo.narod.ru/Russian/17vek/arshiv/84ukasy.htm
220. http://interwiki.info/index.php/%D0%9F%D1%8B%D1%82%D0%BA%D0%B0
221. http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=1289061
222. https://www.du.edu/korbel/hrhw/researchdigest/china/TortureChina.pdf - Institutionalizing Torture:
223. https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-
224. http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs334/ru/
225. http://www.tabula.ge/ge/story/85298-evrosasamartlos-gadatskvetileba-da-saqmis-faqtobrivi-
226. http://www.newsru.com/arch/world/14jun2012/strasburg.html
227. http://www.mentalhealthlaw.co.uk/Kucheruk_v_Ukraine_(2007)_2570/04_ECHR_712
228. http://samvak.tripod.com/torturepsychology.html
229. http://www.georgiatimes.info/interview/95982.html
230. http://www.for.ge/view.php?for_id=30035&cat=3
231. http://ruspsy.net/phpBB3/viewtopic.php?f=190&t=1531
232. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1858229
233. http://whqlibdoc.who.int/publications/2002/5777702252_chap8_rus.pdf
234. http://www.apres-coup.org/mt/archives/title/2005/01/ethics_of_the_u.html
235. http://knowledge.sagepub.com/view/victimologyandcrime/SAGE.xml
236. http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/south-caucasus-torture-russian-v8-we
237. http://www.zin.ru/animalia/coleoptera/rus/kafkverw.htm
238. http://www.georgiatimes.info/interview/95982.html
239. http://knowledge.allbest.ru/up.htmlUnited Kingdom: Corporal punishment in schools at World Corporal Punishment Research Types of Violence and Abuse Violence Prevention initiative http://www.gov.nl.ca/VPI/types/
240. Inter-state application brought by Georgia against the Russian Federation
241. The Case of Hospitals and Prisons in China By LeighAnn McChesney
242. http://yurpsy.com/files/lica/beccaria.htm
243. http://www1.umn.edu/humanrts/russian/instree/Rlist.html
244. Государственный департамент США, Отчет по правам человека 2010 г / Секция о Грузии,
245. Corporal Punishment http://www.encyclopedia.com/topic/corporal_punishment.aspx#2

246. Jump up to:[a] [b] [c] Torture at Times: Waterboarding in the Media
247. Телесные_наказания_в_школе https://ru.wikipedia.org/wiki/
248. PHR Toolkits - Physicians for Human Rights Tools & Resource http://phrtoolkits.org/toolkits/http://phrtoolkits.org/toolkits/istanbul-protocol-model-medical-curriculum/
249. Консульство: Из России выдворили 3875 грузин. Grani.ru, 3 ноября 2006 года
250. http://www.golos-ameriki.ru/content/tbilisi-protests-2011-05-26-122650589/235379.html
251. Inter-state application brought by Georgia against the Russian Federation
252. http://www.newsru.com/arch/world/14jun2012/strasburg.html
253. http://rus.ruvr.ru/2014_01_14/259261569/
254. ევროპოს საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები

საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები

255. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.,1948 (UN Universal Declaration of Human Rights, Article 25) მოქმედ. უზ.ს/დ 15–09–1991
256. ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) მე - 3 გენერალური ანგარიში. 1955. ჯანდაცვა ციხეებში. გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები.
257. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი, ექსპერტთა სემინარის ანგარიში წამებისა და არასათანადო მოპყრობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ, ჟენევა 2007 წლის 11 დეკემბერი.
258. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი., 1966 (International Covenant on Civil and Political Rights – OHCHR) პ/დ 03–08–94.
259. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი., 2000 (UN Convention on the Elimination of all Forms of Discrimination against Women), Article 3 მოქმედ. 1–11–02.
260. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმება,. 1966 (UN International Covenant on the Elimination of all forms of Racial Discrimination). მოქმედ. პ/დ N 1899.

261. ნებისმიერი მიზეზით ყველა დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვის გაეროს პრინციპების კრებული 1988.UN Body of Principles for the Protection of all Persons under any Form of Detention or Imprisonment.
262. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (1950), და დამატებითი ოქმები: European Convention of Human and Fundamental Rights Council of Europe N 1 (07–06–02) , N 4 (პ/დ 23-02-2000), N 6 (პ/დ 23-02-2000),N 7 (პ/დ 23-02-2000), N 12 (პ/დ N 839, 30–03–2001).
263. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენცია (1984) UN Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment მოქმედ. პ/დ N1493, 22–12 1994.
264. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (2003) Optional Protocol to the Convention Against Torture –OPCAT მოქმედ.პ/დ N1889-რს, 08.07.05.
265. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია და დამატებითი ოქმები: (1987) European Convention for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment მოქმედ. პ/დ N274–IIს, 03–05–2000 N 1 (პ/დ 03-05-2000), N 2 (პ/დ N 272 – IIს, 03-05-2000).
266. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო. 2009 წლის ანგარიში— გ.გ.. 155-156 კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებCouncil of Europe Convention on Action Against Trafficking in Human Beings (2005)
267. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი CEDAW/C/SR. 606, 607. 2002; CEDAW/C/SR.
268. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი. 2001. „ადამიანის უფლებების მონიტორინგისსახელმძღვანელო“, პროფესიული ტრეინინგების სერია #7, თავი V, ძირითადი პრინციპები, გვ. 87. ჟენევა, I
269. http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/code_of_conduct.shtml
270. სტამბოლის პროტოკოლი - გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები (United Nations; New York and Geneva, 2001 - 2004).
271. General Comment № 2 "Implementation of Article 2 by State Parties". // OOTI: CAT/C/GC/2/CRP.l/Rev.4 (23 November 2007).

272. Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment CAT/C/AZE/CO/3, 19 November 2009.
273. CPT, Report on Georgia, 2007 and CPT, Report on Georgia, September 2010.
274. Concluding observations of the Committee against Torture. Azerbaijan World report on violence and health. World health organization. October 3rd, 2002. p.3.
275. Dougoz & Greece 2001.
276. Ireland v. The United Kingdom 1978. http://hudoc.echr.coe.int/sites/fra/pagei=001-58035
277. Tyrer_v._the_United_Kingdom http://en.wikipedia.org/wiki/
278. Mortality and Burden of Disease Estimates for WHO Member States in 2002" (xls).*World Health Organization*. 2004.
279. 18 U.S. Code § 2340 – Definitions http://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2340
280. http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/full_ru.pdf
281. http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeTraites.asp?PO=GEO&MA=999&SI=2&
282. http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/resources/x%20and%20y%20v%20the%20netherlands_EN.asp
283. http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=126&CM=1&DF=&CL
284. http://www.ishr.org/Methods-of-torture-in-the-People-s-Republic-of-China.1047.0.htm Common methods of torture and abuse in the People's Republic of China
285. http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0007/178531/Entre-Nous-76-Eng-v2.pdf
286. http://echr.ketse.com/doc/22496.93-en-19980609/
287. http://echr.ketse.com/doc/32275.03-en-20071115/
288. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-90700
289. http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/77.pdf გვ. 94
290. http://echr.ketse.com/doc/50901.99-en-20030204/
291. http://www.refworld.org/cgibin/texis/vtx/rwmain/წამების პრევენცია. ცნობარი.
292. https://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/st08590.ru08-web.pdf
293. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57506
294. http://www.ohchr.org/Documents/Publications/training3ru.pdf
295. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng-press/pages/search.aspx?i=001-58920#{"itemid":["00158920"]}
296. http://hudoc.echr.coe.int/sites/fra/pages/search.aspx?i=001-58035
297. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58987
298. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-60606#{"itemid":["001-60606"]}
299. http://www.hrcr.org/safrica/dignity/east_african_asians_vhtm.htm
300. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001- 57455#{"itemid":["001-57455"]}
301. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58198#{"itemid":["001-58198"]}

302. http://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1ru.pdf p. 32
303. http://www.echr.ru/documents/manuals/Article03/Article%203%20Manual%20in%20Russ
304. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58123
305. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-74111
306. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57587
307. http://www.echr.ru/documents/doc/12028557/12028557.htm
308. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57455
309. http://www.refworld.org/cgbin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=498aab152
310. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001- 57868#{"itemid":["00157868"]}
311. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-77692
312. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57781
313. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001- 59565#{"itemid":["001-59565"]}
314. http://www.echr.ru/documents/manuals/Article03/Article%203%20Manual%20in%20Russian_FI
315. http://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1ru.pdf
316. http://www.ohchr.org/RU/ABOUTUS/Pages/ViennaWC.aspx
317. http://www.echr.ru/documents/manuals/Article03/Article%203%20Manual%20in%20Russian
318. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng-press/pages/search.aspx?i=001-58920#{"itemid":["001-58920"]}
319. http://www.osce.org/ru/odihr/elections/77677?download=true
320. http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/torture.shtml
321. http://www.epochtimes.ru/kommentarij-7-istoriya-ubijstv-kommunisticheskoj-partii-kitaya/
322. http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/full_ru.
323. World report on violence and health. Geneva, World Health Organization, 2002.

სახელისუფლებო დოკუმენტები

324. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68
325. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 დეკემბრის №1143 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამრკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის №437 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

326. საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი № 4137-სსმ I, №3, 11.01.2007წ., მუხ.48
327. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkahkdqvc.pdf
328. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2011. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/dzympimgpvvrngdlhnno.pdf
329. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2010. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezlljkytwmwbpggc.pdf
330. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2009. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/rcbrpcdmwmvalletoggp.pdf
331. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2008. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.
332. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/kixclggyhdexhnxpvdvq.pdf
333. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2007. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.
334. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/hovrgviatpgygykqkpxk.pdf
335. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2006. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/qqtdmlayrfvbaxesdqnn.pdf
336. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/80.pdf
337. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1506.pdf გვ.115
338. http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/80.pdf გვ.538
339. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1506.pdf გვ.121
340. http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/80.pdf . გვ.326
341. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ
342. http://www.lex.uz/pages/GetAct.aspx?lact_id=111457
343. http://www.taxes.gov.az/uploads/qanun/2011/mecelleler/cinayet_mecellesi_rus.pdf
344. http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1349&lang=rus
345. http://www.uk-rf.com/

346. http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/6872/preview
347. http://kodeksy.com.ua/ka/ugolovnyj_kodeks_ukraini/statja-127.htm
348. წამების პრევენცია. ცნობარი. http://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=498aab152
349. http://ombu.primorsky.ru/articles.php?id=22
350. http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/south-caucasus-torture-russian-v8-
351. http://mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=460&lang=geo
352. http://www.mcla.gov.ge/cms/site_images/pdf/saministros_debuleba.pdf
353. http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fad%2Farasatanado_mobkrobis_andasjis_cinaagmdeg_brdzlolis_samoqmedo_gegmis_ganxorcielebis_angarishi.pdf საქართველოში
354. http://pog.gov.ge/res/docs/public_information/legal_acts/normative_acts/sakartvelos_kanoni_prokuraturis_shesaxeb.pdf# საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ
355. http://pog.gov.ge/res/docs/public_information/legal_acts/normative_acts/prokuraturisshesaxeb-7.pdf
356. http://hardest-tortures.blogspot.com/p/blog-page_613.html
357. https://books.google.ge/books?id=75lbhBLsVcwC&printsec=frontcover&dq=%D0%BF%D1%80 Прохоров Д.А. Спецслужбы Израиля 2002
358. http://www1.umn.edu/humanrts/russian/instree/Rh4dpaped.html
359. http://www.icc-cpi.int/iccdocs/doc/doc1589209.pdf
360. http://sartraccc.ru/i.php?oper=read_file&filename=Disser/ibraeva.htm
361. http://www.kenesh.kg/RU/Articles/7307-UGOLOVNYJ_KODEKS_KYRGYZSKOJ_RESPUBLIKI_v_red_ZKR_10_ot_1032012g.aspx
362. http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1008032
363. http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/6872/preview
364. http://pia.ge/show_news.php?id=12216&lang=geo
365. http://news.ge/ge/news/story/126304-badashvili-qonebis-ukanono-chamortmevis-shesakheb-prokuraturashi-697-ganatskhadi-shevida
366. http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58371
367. file:///C:/Users/g.glonti/Downloads/PEERS%20v.%20GREECE%20(1).pdf
368. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2465156
369. http://gov.ge/files/382_42163_147646_34170514.pdf